ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

2006

„ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა რომ არ ყოფილიყო, ვერ აღორძინდებოდა საერო ლიტერატურაც რომელსაც ჩვენ თაყვანსა ვსცემთ და რომლითაც ვამაყობთ. ასე რომ, მე მინდა ვთქვა, ქართული მწერლობა იყო, არის და იქნება ერის წინამძღოლი, მაგრამ, ამავე დროს, ის არის და მომავალშიც უნდა იყოს წინასწარმეტყველიც...“

ილია II

3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

წელიწადი 82-ე №3 2006 წელი
გამოდის 1924 წლიდან

მწერალთა ასოციაცია „მნათობის“
ლიტერატურული ჟურნალი

*ჟურნალი გამოდის საპატრიარქოსთან არსებული
სულიერების, კულტურისა და მეცნიერების
აღორძინების ფონდის მხარდაჭერით*

შინაარსი

განახლებული „მნათობის“ პრეზენტაცია

უწმინდესის სიტყვა ---------- 3
დეკანოზ გიორგი ზვიადაძის სიტყვა ---------- 4
თამაზ ჭილაძის სიტყვა ---------- 6

პოეზია, პროზა

ლია სტურუა – ლექსები ---------- 9
ნიკა ჯორჯანელი – ლექსები ---------- 14
ზეინაბ სარია – ლექსები ---------- 18
თამაზ ჩაჩავა – ლექსები ---------- 20
გურამ დოჩანაშვილი – კაცი, სახელად ნოე. რომანი. დასაწყისი ---------- 22
მამუკა დოლიძე – ჩემი ბილიკით დიდგორისკენ. მოთხრობა ---------- 48
გესო ხვედელიძე – ქაღალდის თვითმფრინავები. მოთხრობა ---------- 60
მიქელ ირემაძე – პირველი სიმფონია. მოთხრობა ---------- 68

ახალი სახელი

ზვიად კვარაცხელია – ნოველები. წინასიტყვაობა ოთარ ჭილაძისა ---------- 87
(იხ. მე-2 გვ.)

შინაარსი

(გაგრძელება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი თარგმანი

ჟაკ კორტესი — ნაგერალი ყაყაჩო. მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა
მამუკა ცეცხლაძემ ---------- 99

მწერლის არქივიდან

ნიკა აგიაშვილი — იქნებ, ენამ უყივლოს! წინასიტყვაობა
ემზარ კვიტაიშვილისა ---------- 109

თვალსაზრისი

მარიამ ლორთქიფანიძე — რამ გადაგვარჩინა ---------- 115
თამაზ ჭილაძე — მარადისობის რუკა ---------- 121

ხელოვნება

ელკა გაკალოვა — ივირონის კარის ღვთისმშობლის ორი ხატი
გულგარეთიდან. თარგმნა ირმა მამასახლისმა ---------- 126

ინტერვიუ

თამაზ გუაჩიძე — ფილოსოფია უპირველეს ყოვლისა.
ესაუბრა ოთარ ხუციშვილი ---------- 131

ბიბლიოგრაფია

ზურაბ კალანდაძე — უცხოური პიესების კრებული ---------- 136

უცხოეთის კულტურული სიახლეები. მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ -138

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განახლებული „მნათობის“ პრეზენტაცია!

ამა წლის 31 ოქტომბერს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდში გაიმართა განახლებული „მნათობის“ პრეზენტაცია. სხდომა გახსნა ფონდის აღმასრულებელმა მდივანმა, დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ.

სიტყვები წარმოთქვეს: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ, მწერალმა ბაჩანა ბრეგვაძემ, კრიტიკოსმა გურამ გვერდწითელმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ გიგა ლორთქიფანიძემ, მწერალმა გურამ დოჩანაშვილმა, ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა თამაზ ჭილაძემ.

დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოუსმინა კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს. პრეზენტაციას უამრავი ხალხი დაესწრო. ვაქვეყნებთ უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის, დეკანოზ გიორგისა და თამაზ ჭილაძის სიტყვებს.

უწმინდესის სიტყვა

ქალბატონებო და ბატონებო! უპირველეს ყოვლისა, ყველას გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს, გილოცავთ იმას, რომ ჩვენ ერთად ვართ, ერთად ვზეიმობთ და მე მინდა ვთქვა, რომ საქართველო არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი და არ შეიძლება, წარმოუდგენელია, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი დაიღუპოს. აუცილებლად გადარჩება საქართველო და აუცილებლად ნათელი მომავალი ექნება მას.

რაც შეეხება ამ ჟურნალის გამოცემას, ეს არის ჩვენი ერის სურვილი, ჩვენი ერის სულის მოთხოვნილება და ამიტომ აქ არაფერია საკვირველი. და მე მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ჟურნალის რედაქტორს, ბატონ თამაზ ჭილაძეს, რომ მე მომმართა დახმარებისათვის.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება წაიშალოს, არ შეიძლება დაეცეს მწერლობა საქართველოში. ის ჩვენს სულშია სამუდამოდ ჩანათებული. მახსენდება ერთი შემთხვევა: მე ვიყავი მიწვეული ეგვიპტეში, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქის მიერ. ჩავედით საკმაოდ დიდი დელეგაცია, დავათვალიერეთ ალექსანდრია, დავათვალიერეთ ქაირო და სხვა სიწმიდეები. ცნობილია ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, ალექსანდრიის სკოლა, ახლა, რა თქმა უნდა, არ არსებობს ეს ყველაფერი, მაგრამ მაინც, რაღაც საოცარი სული ტრიალებს აქ წარსული დიდების, გავიხსენოთ კლიმენტი ალექსანდრიელი და სხვა წმინდა მამები ალექსანდრიისა. მერე გავემართეთ სინას მთისკენ. ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ბრძანდებოდა თავისი დელეგაციით, მე ვიყავი საქართველოს დელეგაციით, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებიც იყვნენ. დიდ, კარგად მოწყობილ მანქანაში ვისხედით, ვსაუბრობდით, საკმაოდ დიდი გზაა ქაიროდან სინას მთამდე და, მითუმეტეს, ისეთი სიცხე იყო, რომ მანქანიდან გადმოვდიოდით 5 წუთით, არ შეგვეძლო, გავჩერებულიყავით. მე მომივიდა ასეთი აზრი, მოდი, შევეჯიბროთ, ვინ უფრო იცის თავისი პოეზია, სად უფრო მდიდარი პოეზიაა — ბერძნებში, რუსებში თუ საქართველოში-მეთქი. ორი პატრიარქი შევთანხმდით და პირველობა, რა თქმა უნდა, ბერძნებს დავუთმეთ. ერთი მიტროპოლიტი გამოვიდა და 15

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წუთი ცნობილი ავტორების ლექსებს კითხულობდა. შემდეგ რიგი დავუთმეთ რუსებს. რუსმა **«Однажди студённую зимную ночью...»** თქვა და ბოლოს დაჩერდა. ჩვენთან, ჩვენს დელეგაციაში ბრძანდებოდა მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე), რომელმაც მთელი „ვეფხისტყაოსანი“ და დავით გურამიშვილის პოეზია ზეპირად იცოდა, რომ დაიწყო, ნახევარი საათის მერე შევაჩერე, მეუფეო, დაამთავრეთ, თორემ უხერხულია-მეთქი.

ამით მინდა ვთქვა, პოეზია არ მოკვდება, მთელი თავისი სიმშვენიერით აღსდგება, აი, ჩინური ფილოსოფიის მიხედვით, ერისა და ადამიანის ცხოვრება შესდგება ამაღლებისაგან და დაცემისაგან. ერთხელ რომელიღაც დელეგაცია იყო ჩვენთან, მათ შორის ჩინელიც ერია, მე ვკითხე, ჩინეთს, რომელსაც გააჩნია ასეთი ბრწყინვალე ფილოსოფია, როგორ შეეძლო, მიეღო სოციალისტური იდეები-მეთქი. ასე მიპასუხა: ერის ცხოვრება შესდგება დაცემისაგან და ამაღლებისაგან და სწორედ დაცემის პერიოდი გვიდგას ჩვენო. ასე, რომ არ უნდა გვიკვირდეს „მნათობის“ გამოცემა რომ შეჩერდა. ქართველი ადამიანის გულში არასოდეს არ შეჩერდება ეს პროცესი.

მე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა საერთოდ ლიტერატურის, კერძოდ, ქართული ლიტერატურის შესახებ. მართლაც, ეკლესიის წიაღში დაიწყო ეს ყველაფერი. აი, თქვენ კარგად იცნობთ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას. კორნელი კეკელიძემ, მართლაც, რაღაც საოცარი შრომა გასწია, მართალია, აიძულეს, გაეხადა ანაფორა, შეეწყვიტა წირვა-ლოცვა სიონის ტაძარში, მაგრამ შინაგანად ის დარჩა ეკლესიის წიაღში. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა რომ არ ყოფილიყო, ვერ აღორძინდებოდა საერო ლიტერატურაც, რომელსაც ჩვენ თაყვანსა ვსცემთ და რომლითაც ვამაყობთ. ასე რომ, მე მინდა ვთქვა, ქართული მწერლობა იყო, არის და იქნება ერის წინამძღოლი, მაგრამ, ამავე დროს, ის არის და მომავალშიც უნდა იყოს წინასწარმეტყველიც. არ არის საკმარისი, გავაშიშვლოთ ჩვენი ჭრილობა, ჩვენი ნაკლი, მთავარი ის არის, ჩვენ უნდა ვთქვათ, რა წამალი არსებობს განკურნებისთვის.

ღმერთმა დაგლოცოთ, ჩვენთან არს ღმერთი!

დეკანოზ გიორგი ზვიადაძის სიტყვა

მოგესალმებით ყველას, ძალიან სასიამოვნოა თქვენი მობრძანება, სამწუხაროდ, ფართი არ არის საკმარისი, რომ ყველა თქვენგანს ჰქონდეს საშუალება, დაბრძანდეს, ძალიან ცნობილი ადამიანები დგანან ფეხზე, ძალიან შეწუხებულები ვართ ამის გამო.

დღევანდელ დღეს თქვენი მობრძანება სიხარულთან არის დაკავშირებული, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდში დღევანდელი შეხვედრა უკავშირდება ჟურნალ „მნათობის“ ორი ნომრის პრეზენტაციას. მოგეხსენებათ, რომ ამ ჟურნალის გამოცემა შეწყვეტილი იყო და კათალიკოს-პატრიარქის ფონდის დახმარებით, უშუალოდ მისი უწმინდესობის გადაწყვეტილებით გაგრძელდა და აღდგა ამ ჟურნალის გამოცემა და ორი ნომერი უკვე გამოსულია და ამასთან დაკავშირებით ვართ ყველანი შეკრებილი. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ქართული საზოგადოებრიობისათვის, რომ კათალიკოს-პატრიარქმა და ფონდის საბჭომ გადაწყვიტა, დაფინანსებულიყო ჟურნალ „ცისკრის" გამოცემა, ბატონმა თამაზ ჭილაძემ, ცნობილმა ქართველმა მწერალმა, წერილი მოსწერა კათოლიკოს-პატრიარქს. მე მაქვს საშუალება (ვიცი, რომ ძალიან საინტერესო იქნება თქვენთვის), გაგაცნოთ ეს წერილი:

თქვენო უწმინდესობავ!

ალბათ, ღმერთმა ინება ასე, რომ ქართული მწერლობის სათავესთან ანაფორიანი გენიოსები მდგარიყვნენ. თქვენს ბრწყინვალე ქადაგებებში ხშირად მოგიხსენებიათ სახელები ჩვენი დიდებული მწერლებისა, რომელთა შორის ქართული ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხული შემოქმედებიც არიან. უზენაესის ნებით, ქართულმა ეკლესიამ და მწერლობამ შექმნეს ჩვენთვის ამქვეყნად ყველაზე დიადი რამ — ქართველი ადამიანის სული, რომელსაც ამჟამად, აღზევებული მედროვეობის, პროვინციალიზმისა და ნიჰილიზმის გარემოცვაში, აშკარად საფრთხე ემუქრება. ამავე დროს, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია ერთადერთი რეალური ძალაა, რომელსაც შეუძლია, უძველესი ქართული კულტურა არა მარტო დაიცვას, არამედ, ეროვნულ ენერგიად გარდაქმნილი, ღირსეულ მომავალში შესვლის გარანტიად აქციოს. ამიტომაც დღეს ყველასთვის, ვინც ქართული სულიერების ბედზე ფიქრობს, უმნიშვნელოვანესი მაგალითი თუ გაკვეთილია ჩვენი ეკლესიის უძველესი გამოცდილება და დღევანდელი ძალისხმევა.

სიხარულით შევიტყვეთ, რომ ჩვენმა ეკლესიამ დახმარების ხელი გაუწოდა ჟურნალ „ცისკარს", ამასთანავე, ამ ცნობამ გაგვიჩინა იმედიც, რომ ეკლესია არ მიატოვებს დასახურად განწირულ ჟურნალ „მნათობსაც", რომლის დამსახურებაცა და მნიშვნელობაც თქვენისთანა უგანათლებულეს პიროვნებას კარგად მოეხსენება.

დარწმუნებული ვარ, თქვენი ერთი სიტყვაც კი დიდსა და ქმედით დახმარებას გაუწევს „მნათობს", რომელსაც 80 წლის განმავლობაში, ჯოჯოხეთურ პირობებშიაც კი, წამითაც არ შეუწყვეტია ხალხისა და მწერლობის სამსახური.

დიდი იმედით მოგმართავთ ქართველთა ბრძენსა და გულისხმიერ მწყემსს...

უღრმესი პატივისცემით
თამაზ ჭილაძე

აი, ეს წერილი გახდა მიზეზი. ამ წერილის შემდგომ კათალიკოს-პატრიარქმა, ფონდის მმართველ საბჭოს წევრებთან ერთად, სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღდგეს ამ ჟურნალის გამოცემა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია გითხრათ ისიც, რომ რედაქციას არ ჰქონდა არანაირი საშუალება, სადაც თავს შეაფარებდნენ, არანაირი ფართი მათ არ გააჩნდათ. აქ სასულიერო აკადემიის პედაგოგებიც ბრძანდებიან და ყველამ კარგად იცის, რა სივიწროვეა სასულიერო აკადემიაში, სადაც 900-მდე სტუდენტი სწავლობს, 120 პედაგოგია. დღეს ორ ცვლაში უწევთ სწავლა ჩვენს სტუდენტებს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, კათალიკოს-პატრიარქმა გამოყო ოთახი, იმისათვის, რომ ჟურნალ „მნათობის" რედაქცია განთავსებულიყო, შეძლებისდაგვარად ყველა საშუალება გამოიძებნა იმისთვის, რომ სათანადო პირობები შექმნილიყო ჟურნალის რედაქციისთვის და, ღვთის მადლით, აღსდგა მისი გამოცემა, რისი მომსწრენიც დღეს ჩვენა ვართ, რის გამოც დღეს აქ ვართ შეკრებილები. რა თქმა უნდა, არანაირი აუცილებლობა არ არის ასეთი აკადემიური საზოგადოების წინაშე ითქვას, თუ რა დამსახურება აქვს ამ ჟურნალს, როდის დაარსდა ის. ყველა თქვენგანისთვის ცნობილია, რომ 1924 წელს პავლე ინგოროყვამ, პოლიკარპე კაკაბაძემ და გალაკტიონ

ტაბიძემ დააარსეს ეს ჟურნალი და ამ დაარსების დღიდან ჟურნალის გარშემო შემოკრებილნი იყვნენ ცნობილი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერების და ხელოვნების წარმომადგენლები და მხოლოდ ჩამონათვალიც კი, რამდენიმე ავტორის დასახელებაც კი, საკმარისია იმისათვის, რომ ნებისმიერ პიროვნებას შეექმნას ნათელი წარმოდგენა, თუ როგორ ჟურნალთან გვაქვს ჩვენ საქმე და რამდენად მნიშვნელოვანია ამ ჟურნალის არსებობა. გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი", დემნა შენგელაიას „სანავარდო", „ბათა ქექია", ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი", „შელოცვა რადიოთი", სერგო კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე", მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე", „ჯაყოს ხიზნები", კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება", „დავით აღმაშენებელი", „დიდოსტატის მარჯვენა", ედიშერ ყიფიანის, არჩილ სულაკაურის, ნოდარ დუმბაძის, ოთარ ჭილაძის რომანები, რევაზ ინანიშვილის მოთხრობები, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, კოლაუ ნადირაძის, სიმონ ჩიქოვანის, ანა კალანდაძის ლექსები, გერონტი ქიქოძის თარგმანები, პავლე ინგოროყვას, ვალერიან გაფრინდაშვილის, ბაჩანა ბრეგვაძის, გურამ ასათიანის, ოტია პაჭკორიას ლიტერატურული ნარკვევები თუ კრიტიკული წერილები, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძის, მოსე გოგიბერიძის, სერგი დანელიას ფილოსოფიური თხზულებანი. ჟურნალში წლების მანძილზე იბეჭდებოდა ბიბლიის ახალი თარგმანი, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შესრულდა. აი ეს არის, ის მოკლე ნუსხა, რაც საშუალებას გვაძლევს, ნათლად წარმოვიდგინოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ ჟურნალის არსებობა და რამდენად დიდ სიხარულს უკავშირდება ის, რომ, ღვთის მადლით, დღეს ჟურნალი განაგრძობს არსებობას და მისი არსებობის კეთილი ნაყოფი აშკარაა, ორი ნომერი უკვე გამოცემულია, თანამედროვე მწერლობასთან ერთად, ჟურნალში იბეჭდება მეცნიერების, ხელოვნებათმცოდნეების, პუბლიცისტების სტატიები. ამ მხრივაც „მნათობი" ძალიან ფართო პროფილის ჟურნალია და, რა თქმა უნდა, მისი ღირებულება კიდევ უფრო მეტად მაღალია.

თამაზ ჭილაძის სიტყვა

უპირველეს ყოვლისა, მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო უნეტარესსა და უწმინდესს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს, ეს მისი შემწეობითა და პირადი თაოსნობით ვდგავართ დღეს იმ დიდებული ფაქტის წინაშე, რომ ქართული მწერლობა, კერძოდ ჟურნალი „მნათობი", რომელიც უწმინდესმა ერთ-ერთი საუბრის დროს „პატარა ეკლესიად" მონათლა, ისევ არსებობს, ისევ განაგრძობს თავის მოღვაწეობას და ხალხს იმედის ძალას აგრძნობინებს. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო საპატრიარქოსთან არსებულ კულტურის გადარჩენის ფონდს, მის საბჭოს, საბჭოს ყველა წევრს იმ ყურადღებისთვის, რომელიც მათ ჟურნალის მიმართ გამოიჩინეს.

დიდი მადლობელი ვარ ყველასი, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ჟურნალ „მნათობის" გასაჭირი, მათი ერთი საუკეთესო ნაწილი დღეს აქ, საპატრი-

არქოს ფონდის სხდომათა დარბაზში ბრძანდება და ჩვენთან ერთად იზიარებს იმ დიდ სიხარულს, მე ვიტყოდი — სიამაყეს, რომ ჩვენ ვართ და ვიქნებით მუდამ, იმიტომ რომ ყველაზე დიდი მფარველი გვყავს ამ ქვეყნად — ღმერთი, ღმერთი ჩვენთან არის!

დღეს ყველასთვის აშკარა ხდება, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია და არც სურვილი აქვს კულტურას მიეხმაროს. საკვირველი კია, რადგანაც ყველა სახელმწიფო, თვით რუსეთიც კი, დღეს კულტურაზე ზრუნავს, იმიტომ რომ, უპირველეს ყოვლისა, მომავალზე ფიქრობს. კულტურაზე ზრუნვა მომავალზე ფიქრია. ერი, რომელიც თავის კულტურაზე არ ფიქრობს, მომავალზეა ხელჩაქნეული. ჩვენ ასეთი ერი არა ვართ. ეს ჩვენმა ეკლესიამ დაგვანახვა კიდევ ერთხელ.

ჟურნალი „მნათობი" არასოდეს გარეულა პოლიტიკურ ბატალიებში. პოლიტიკამ შეჭამა არა მარტო სულიერი, საერთოდ ჩვენი ცხოვრება, შეიქმნა ისეთი აბსურდული ვითარება საქართველოში, თითქოს ხალხს პოლიტიკის მეტი აღარაფერი ჭირდებოდეს. მთავარი ფიგურა ქართველი ხალხისა გახდა პოლიტიკოსი. ეს ძალიან დრამატული და შემაშფოთებელი ვითარების აღმნიშვნელია. ჟურნალ „მნათობს" თავიდანვე მიაჩნდა და დღეს, რა თქმა უნდა, განაგრძობს ჩვენი დიდი წინაპრების დაწყებულ საქმეს და იმ რწმენით ცხოვრობს და მოქმედებს, რომ ქართველთა ყველაზე დიდი პოლიტიკა დღევანდელ დღეს კულტურის სამსახურია, რასაკვირველია, ეროვნულ დამოუკიდებლობასთან ერთად. ეროვნულად დამოუკიდებელი ერი, უპირველეს ყოვლისა, თავის კულტურაზე უნდა ფიქრობდეს, გვექნება კულტურა, გვექნება მომავალი! — ეს ჭეშმარიტებაა და ჩემგან არავის ესწავლება. მე ვწუხვარ, რომ ჩვენში ეს ასე არ არის. ბოლოს და ბოლოს, თავისუფლება კულტურის ენით მეტყველებს. ერთადერთი ენა თავისუფლებისა კულტურაა, ამის დავიწყება არ შეიძლება, მე ვიტყოდი — ამის დავიწყება საბედისწეროა. პოლიტიკის გაბატონების გამო, ჩვენს თვალწინ ზოგიერთები ცდილობენ, გაჰყონ ჩვენი ხალხის ერთიანი კულტურა „გუშინდელ" და „დღევანდელ" ნაწილებად, ურთიერთდაპირისპირებულ გუშინდელ და დღევანდელ მოვლენებად. ეს, სხვა თუ არაფერი, შთაგონებულია ლენინური თეორიით „ერთი ხალხის ორი კულტურის შესახებ", რომელიც თავის დროზე იქცა სამოქალაქო ომის იდეოლოგიურ ბაზისად. და ის არის ძალიან საყურადღებო და ძალიან საგანგაშო, რომ ჩვენთან კულტურის ასეთი დაყოფა აშკარაა. ვის ვუტოვებთ, ვის მიღწევად ვთვლით, ვის ვაბარებთ იმ დიად მიღწევებს, რომელიც წარსულში, გუშინ ჰქონდა ჩვენს მეცნიერებას, ჰქონდა ჩვენს ხელოვნებას, ჰქონდა ჩვენს მწერლობას, — ცარიზმს? კომუნისტებს? ვაბარებთ და უარვყოფთ მას? არა, ეს ქართველი ხალხის დიადი მონაპოვარია, ამ მონაპოვარს კი ერთადერთი დრო აქვს — მარადისობა! არ არსებობს კულტურის დრო. კულტურა, რომელიც დღეს იწყება, არ შეიძლება კულტურად ჩაითვალოს, კულტურა, როგორც კაცობრიობა, შორეული წარსულიდან მოდის. არ შეიძლება სხვანაირად მისი წარმოდგენა და ყოველი სხვანაირი წარმოდგენა სახიფათო და საგანგაშოა. გუშინდელი და დღევანდელი კულტურების ასეთი დაპირისპირება იწვევს კიდევ უფრო დიდ უბედურებას: ეს არის არა მამათა და შვილთა ნორმალური, ლოგიკური და სასურველი დაპირისპირება დიალექტიკური განვითარებისთვის, არამედ გერებისა და მამინაცვლების ბიოლოგიური სისასტიკით აღბეჭდილი ბრძოლა. აი,

სადამდე მივდივართ, მეგობრებო! ადამიანებს ეშინიათ თავიანთი ასაკისა — ეს არის ყველაზე საბედისწერო რამ, რაც კი ჩვენ ამ ბოლო დროს გადავიცადეთ. აქედან უკვე ერთი ნაბიჯია უპატრონოთა თავშესაფრებამდე და უფასო სასადილოებამდე, რომლებიც სიღატაკის ნიშანია და არა წარმატებისა.

ჩვენ, სხვათაშორის, მართლაც შეგვიძლია დღევანდელ დღეს ავაშენოთ ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო, რა თქმა უნდა, თუ ზოგიერთი დაგვაცლის, მაგრამ უარყო და დაუპირისპირდე შენს წარსულს, ტრადიციებს, შენი ხალხის ადათ-წესებს, ცხოვრების თავისებურებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ავაშენოთ ძლიერი, მდიდარი სახელმწიფო და... დავკარგოთ სამშობლო! ეს კი საშინელებაა. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ იმ დიად ცნებას, რასაც სამშობლო ჰქვია და რომლის დასაცავად მახვილიანი ბერის აჩრდილიც დგას. ჩვენმა ხალხმა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე თავისი სიცოცხლითა თუ სიკვდილით დაამტკიცა, რა არის სამშობლო. ამიტომ, კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვახსენებ ჩვენს ეკლესიას, პირადად კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს და მთელ ქართველ ხალხს, რომელმაც უდიდეს გაჭირვებას გაუძლო, მაგრამ იმედი მაქვს, ეღირსება ადამიანური ცხოვრება, მას ხომ ჯერ არასოდეს ადამიანურად არ უცხოვრია! მოდი, ვუსურვოთ მას ღირსეული მომავალი და „მნათობი" ჩავთვალოთ, მივიჩნიოთ ერთერთ იმ ჯარისკაცად, რომელიც საქართველოს მომავალს ემსახურება.

დიდი მადლობა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია სტურუა

ანატომიური თეატრი

ერთი ფილტვის ქანგბადი ამოგაჯრეს,
ქვეცნობიერიდან — ჰორნოფილმების მასალა,
ე.წ. „გულის სიმები“
ფეხის მარღვებით შეცვალეს,
თირკმელიც ხელს გააყოლეს,
ქირურგისთვის სულერთია
კენჭს ამოჯრის, თუ ემოციას...
რაღა დაგრჩა?
ნევროზი — ტროის ცხენი,
მოშიებულზე რომ კონსერვის ქილასავით
გახსნი და იქიდან
დაწნილებული ბრინჯაოს მხედრები
ამოვარდებიან, მარმარილოს ხელები,
რომლებიც ცნობილ ქანდაკებას აკლია,
ისე ლამაზად მოგახრჩობენ
და ტკბილად, თითქოს
შაქარი გადაგცდა სასულეში...

შიში

წელკავი, საწოლი, ტელევიზორი...
გვერდითი ხედვიდან
ღამის ჰეჰელა მოდის,
ჰირდაჰირ ბალიშის სითეთრეზე,
ე.ი. ჩემზე, მეშინია
ხმამაღლა ვაუღლებ ზმნას,
გამრავლების ტაბულას ვმღერი,
ვერ ვიგერიებ,
ნუთუ ბოლომდე არ ჩავმქრალვარ?
კიდევ შემიძლია ჩემს უძრაობას
მედიტაცია დავარქვა,
რომ, რაღაცნაირად, მნიშვნელოვანი გავხადო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

❀ ❀ ❀

დედაჩემი ისე ხშირად მესიზმრება,
რომ, წესით, უნდა მეშინოდეს,
არადა, მათბობს
სიტყვით, შეხებით?
მართლა, ვარსკვლავებთან ცხოვრობს
და ხანძარი აქვს ჰირში?
თავიდან ვეღარ გამაჩენს,
რომ სხვა ბედი მქონდეს,
ჰეიზაეს თუ შემიცვლის:
რამდენიმე ბღუჯა ბალახი,
ერთი მუხა, თავისი ენერგეტიკით,
ვაკის და ვერის მასივები,
ნისლით განელებული —
თანაგრძნობა, რომელსაც გადავეჩვიე...

სულისმოთქმა

რატომ უკრავს მუსიკოსი სახურავზე?
რა უნდა ცაში ობივით მწვანე კაცს?
შაგალი ეავთ სისხლში ებრაელებს.
ჩემს დავიწროებულ სისხლძარღვებში
რუსთაველი ვეღარ ეტევა,
ეჰიკურ სევდას გლობუსებით ვიქარვებ,
იატაკზე დასადგმელს სამაგიდოთი ვცვლი:
თან „მინა რხეული", თან ჰატარა სამშობლო
მოსაფერებლად კარგია:
„ჩემო ჰატარა სამშობლო!"
სინამდვილეში — ფასკუნჯები რომ შემოგივლიან
და შენს ხორცს აჯმევ,
აჯმევ და აჯმევ, ახალი ხომ არ ამოგივა,
გაჩონჩხებაც არ უნდა შეგატეონ,
ჯინსის ჩაცმა აღარ გამოგივა,
მშვენიერი სივიწროვის დრო წავიდა,
რამდენიმე მეტრი აბრეშუმი, ჩითი, ბამბა,
მერე, კილომეტრები: ჭეტელა, მეკირალა ფერების,
სანთელივით, შაქარივით გაქრობა...
დღემდე გიუვარს შენი
მარტივი სიმღერები
რევოლუციური გნიასის ფონზე!
სიკვდილიც მშვიდი გექნება,
ტკივილი ხორცმა იცის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ იწვალოს, ფასკუნჯების ჰირში,
შენთან უვნებელი მტრედები მოვლენ
და სევდის ბაღში წაგიყვანენ...

ნანატრი სიმარტივე

A ჰუნქტიდან B ჰუნქტში
მიმავალ მატარებელს
მთელი ჩემი მათემატიკა გავატანე,
ლექსის მადანი და სიყვარულის სნეულება.
გამრავლების ტაბულა,
„მახსოვს ჰირველად სასწავლებელში“
და ბანქოს ქაღალდზე
დაწერილი ფლირტი
დავიტოვე სისადავისკენ მიმავალ გზაზე,
სადაც ყველაფერი ტვირთმოხსნილი ჩანს:
დედაჩემის სული, რომელმაც
დაისვენა ჩემგან,
ცამ — ყოველგვარი სიმბოლოებისგან,
ერთადერთი დანიშნულება —
მოხუფული ქალაქის სარქველობა,
ამ ქალაქში დგას ჩემი სახლი,
სახლში ტელევიზორი, საიდანაც
ყოველდღე მკლავენ ვირუსები, ტერორისტები,
ქერათმიანი ბრედ ჰიტი
და ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ.
ამაზე ბედნიერი სიმარტივე
რაღა გინდა!

რეალურ ქვეყანაში

ვინ მოიგონა ბუნების თანაგრძნობა?
შიშველი რომ დავდიოდე,
ლეღვის ფოთლის ამარა, კიდევ ხო,
მაგრამ როცა ქსოვილი
უფრთხილდება სხეულს, გაწყვეტილია
წვიმასთან და მზესთან უშუალო კავშირი,
ჰაერსაც, თითქოს, დოლბანდიდან ვსუნთქავ,
მეშინია ჯიების, კოღოების, ღამის ჰეჰლების,
როცა გაეოფილი უნდა მქონდეს
მათთან სამუარო, როგორც სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახის წევრებთან,
ფანჯრებს ვკეტავ, რომ ღამე
სახლში არ შემოვიდეს,
ეს შიში საიდანღა გაჩნდა
მთვარეზე დაწერილი ტონა ლექსების მერე?
აღარ არის ბუნება ჩემს მხარეზე,
ხეები მოდიან და სიტუვებზე ფეხს მაბიჯებენ
რეალურ ქვეყანაში, უხეშად რეალურში...

იყო თეატრი

იყო დრო, ღამეს ვუსმენდი,
მისი მუსიკის გამომხატველი სიტუვებიც
გამაჩნდა, საკმაო მარაგი,
ახლა ტელევიზორი ჯამს სიჩუმეს,
ვერ გააძღობ გათენებამდე
რა თეატრი მქონდა ერთი მსახიობის!
რა ნერვების თამაში და ბრჯვეიალა კალარატურა!
სულ ქათმებმა ამიკენკეს, მარცვალ-მარცვალ,
ველზე ეინულის ჩიჩახვები ჩამოეკიდათ,
წიწილების გამოსაჩეკი სითბო დაკარგეს
აბა, რა იქნებოდა?
ერბოკვერცხებიდან მთელი ოქრო გამოვუღე:
ავტოპორტრეტისთვის, გვირგვინისთვის,
აღმატებითი ხარისხისთვის...
მორჩა, გათავდა,
კვერცხისგულში ჰურია ჩაწობილი,
თეატრი დაკეტილია...

❀ ❀ ❀

დანია სხვაა,
კი, საჰერობილე,
მაგრამ მის კედელში
არ ჩაგატანენ.
ჯერ ილაპარაკებ, ილაპარაკებ,
გულს მოიოხებ,
მოწამლული დაშნები მერე...
კირი მიწვავს ალერგიულ კანს,
აგურებიდან ეული მიჩანს,
წითლად დაფოთლილი
არც ჰოეტია სადმე, გედს შემადაროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც დედაჩემი,
მხოლოდ, ჰერტრუდა დადის, რომელსაც
მშობიარობის ტკივილებიც კი არ ჰქონია,
ისე გააჩინა
ხავერდის ვიწრო ჰამლეტი,
ამიტომ გრილია დანიის ჰაერივით,
— ვაიმე, დედა, გავთავდი!
მაინც ვეუბნები...

ჩემს შვილს, ეკას!

ბავშვი ხატავს სახლს —
ერთი წითელი ატლასის საწოლი,
ეზოში ასეთივე წითელი ძაღლი,
დანარჩენ ფურცელს ავსებს
ბალახით, ან ცით,
შუაში, მზის გვერდით, აწერს ხელს,
თავზე ეიფლიბანდებსაც კი
უმაგრებს ლოგიკა:
წითელი საწოლი ზამთარში
უფრო თბილია, წითელი ძაღლი
ვარდების ბუჩქს გავს,
ცა — სინათლეს, რომელიც დღეში
ორი საათით მოდის,
ბალახი ისეთი რბილია, შეიძლება მოწველო,
მაგრამ ცხოველების დახატვა არ იცის
და წერს: ძროხები, ცხვრები
ასოებს წვიმის დახრილობა აქვთ,
კომპოზიცია ჯკვიანია და
ოდნავ სევდიანი
ბავშვმა იცის, რა არის სევდა —
მშობლები ღამეს ტალახივით ბურის
რიგში ათენებენ...
დილისთვის,
ნახევარქვეყანა ბალახში,
კიდევ წითელი კვერცხებია ჩახატული
თვალით გრძნობს, რომ ასე ჯობია,
გულით — რომ მალე აღდგომა მოვა
და ბატარა სიხარულს მოიტანს...

ნიკა ჯორჯანელი

სონეტი

მე ეს მხვდა წილად, გავურბოდე თავსა და მილეთს
და ცხადად ვგრძნობდე, აფრახავით გაშლილი სიო
როგორ მიაფრენს ზღვის ტალღებში მანკიერ ხმელეთს.
მე ეს მხვდა წილად, თოლიების ვუსმინო წიოკს
და დავაკვირდე, არემარე, რომელიც მილეწ-
მოლეწა ქარმა, რანაირად წარმოთქვამს: „ვძრწი“-ო:

მე ეს მხვდა წილად, სიჩუმეში თამბაქო ვწიო
და შენ გიცქირო, თვით მიცქერი ხანამ, და მერეც.

მე სინამდვილე არც მახარებს და არც მაღონებს.
გულს არ გიჩუენებ და არ მივდევ დაძრულ ვაგონებს,
თუმცაღა გრძნობა მეტისმეტად მაწვება ყელში.
ვაგზლის ცივ მერხზე მოვთავსდები და ზოგ უზაკველ
ფიქრს გავამყარავნებ გვერდით მჯდომთან ვინმესთან, ელჩი
სულ სხვა ქვეყნისა, რომ არაა არც ერთ რუკაზე.

2005

❀ ❀ ❀

დოინჯშემოყრილ მთებს
შემოჰფლეთიათ ნაბდები — გრიგალი.
კბილებჩაცვენილ დევს
შერიყრაყებით დასწვია ჯიგარი.
მივჩერებივარ გზას:
არ ჩანს ხანძთელი, არ მოდის ოშკელი.
ნისლმოხვეული, დგას
უიმედობის სვანური კოშკები.

სილაყვარდეში სნობს,
იქაურობა მელნიან ხელებზე
მოულოდნელად მცნობს.
და თუმც სიტყვებით „ბევრს ითხოვ, მელექსე“
გარეთ მაგდებენ — ბედშივე, ის
კიდევ ეოფილა მხოლოდღა ვარჯიში
შენზე წერაში, მრჯის
მაინც იგივე: ფერფლს სილაყვარდეში,
ნაღველმორეულ ბრიყვს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე შენ ისევე ძლიერად, ისევე
გაგიჟებამდე მიყვ.
ოღონდ მასწავლე, რარიგად მივეცე
თავდავიწყების რულს,
გამოვეთიშო უშენო სიცხადეს,
ამოვეშენო ნულს
უმომავლობის ამ და ამ რიცხვამდე.

ოღონდ მასწავლე ცდა,
და მე შიგნიდან გავარღვევ თაბაშირს!
დამახელოვნე! და,
გამობრმმედილი, ძვირფასო, მთავარში,
იმედოვნების სრულ
უაზრობაშიც ცხოვრების შემკობას
მოწყურებული, სულ,
შემოგარენის გაქრობის შემდგომაც,
დაგელოდები, მდგომარე წუნარ
განშორებათა მეგლივით,
ქარბორბალებით კუნთებში ხან,
ხანაც ძარღვებში დელგმებით.

2005

❦ ❦ ❦

ნუ დაბრუნდები ქალაქში, თუ გაეცალე ერთხელ.
თავისი სახით ჰირვანდლით წარმოგდგომია ხეტეე.
მისაფურთხია სახლების ხრო. კი, ძნელად: ერთ-ერთში გაჩნდი.
მაგრამ იარე მათ შორის შენ და ჰგავდი შენ შენსავ აჩრდილს.

ნუ დაბრუნდები ქალაქში. უბრალოდ ვითომ არ გახსოვს
გზა და, უვადოდ გზაკვალდაქსაქსულს,
სხვა არაფერი დაგრჩენია, გარდა ჯირკზე ჯდომისა წვდიადში.
თვითონ გაგიშვა ქალაქმა. მუდამ ზედმეტად მიაჩნდი.

ნუ დაბრუნდები ქალაქში. ჰე, სხვა რამ ირგუნე ხვედრი!
თუ სითამამე არ გეოფნის, მწარეს ნურავის ჰუვედრი.
სჯობს მაუვლისფერთა ფუჭად ცქერას, რომ ჯამდე მინდორში მაუვალს.
ნუ დაბრუნდები ქალაქში. ნურც სოფლისაკენ წახვალ.

შეეხე ნაზად ბალახს, ხეებს, ფოთლებს, ფრთხილად, ნაზადვე,
ცოტცოტაობით ბოლომდე გაზავდი
მწვანეში არემარისა, ილხინე, დატკბი თავბრუთი
კმაეოფილების განცდისგან, შვებისგან, რომ აღარ დაბრუნდი.

2006

ეროვნული
ბიბლიოთეკა

❀ ❀ ❀

მინდოდა, მტკვარო, ოღონდაც არ ღირს,
შენთვის ორიოდ სტრიქონის მიძღვნა,
ნუ იბღინძები, ნუ იხსნი აღვირს,
გაქანება გაქვს როდესაც ციცქნა.

მქონემ მაგგვარი ფერის და სახის,
რა, და, ბეჩაო, მხოლოდღა ის ქნა,
რომ შენ შესახებ ამდენ იწილო-
ბიწილოს სწრაფად გაექცე სახლში
და საკუთარი ძირი იტირო...

ჰირდაჰირ გეტყვი: ვერასდროს გაგშლი
— გინდ ბრმა მეძახე, გინდ უცხვირჰირო —
ქვეყნიერების ვაების დამხშველ,
მანუგეშებელ მშვენიერ თემად.

მოკლედ, არ ვფიქრობ მე შენზე სულაც...

იმ ჩემს სევნიას — იცი შენ — ემანდ
თაუვანი ეცი დღედაღამ, სულმნათს.

2006

საყვარლის გახდის გამო

შენ იხდი ტანთ, და საუკუნის გახდას ვესწრები.
მინავლებული ბედისწერის ღვივდება ღველფი.
აკვარიუმში ხტუნაობენ ოქროს თევზები.
კედლის რუკაზე შრიალებენ ცისფერი ზღვები.
სართულებს შორის, ცარიელი, მიმოდის ლიფტი.
და შენი ტანის ნატიფობას ესწრაფვის შრიფტი.

შენ იხდი ტანთ და ჩემს აქამდე მოწყენილ თვალებს
თითქოს ძეგლს უდგამ, თვითონაც რომ არ იცი, ისე.
რისთვის? ისინი ვერ ნახავენ, თუ როგორ გალევს
თავის გასავლელს ეოველივე ეალბი და მქისე.
და მხოლოდ ერთში თუ მიუძღვით მცირედი ღვაწლი:
მათში არასდროს აღბეჭდილა რისხვა და ღვარძლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ იხდი ტანთ, და არა დენი, არამედ სისხლი,
სისხლი მოძრაობს საფენებში კედლების მიღმა,
მოტკბო-მომლაშო, ალისფერი, ნამდვილი, მკვირცხლი...
ვისაც შეეძლო სამოსელთა ასეთი მიურა
ლამის ემღერა კინოლენტზე, როგორც არია,
ის რეჟისორი, სამწუხაროდ, უკვე მკვდარია.

იხდი, და მაღლა თაროებზე წიგნები — ნაშთი
უწინდელ დროთა — იმ ამბებად ჩნდებიან, მათში,
აი, საკუთრივ ამ აწმეოსთვის რომ აისახა.
და ვინც მაგონებს ამა ქვეყნად მოსვლამდე ნანახ
მშვენიერებას (ვერ ვიგონებ მე თვითონ რახან)
და უკვდავებას ვინც მიქადის, სწორედ ისა ხარ.

იხდი, და რაღაც წვეთოვანი, ფაქიზი გზებით
ჩემში შემოდის, საკადრისად რაც ჯერ ვინ აქო,
რასაც საკადრისს ვერც აღუვლენ, განფენილს ზევით.
ვგრძნობ მე იმ მხარეს. წამი მინდა, რომ დავინახო
და იქ აღმოვჩნდე... არ მეძლევა. გარბის. ვერ მიცდის.
წამი მაკლდება, საუვარელო, უკვდავებისთვის.

იხდი, და თითქოს ტოვებენო ტაძარს თათრები.
გარეთ ხეებზე ფრინველების მძაფრი თათბირი
დუნდება, წუდება. არც კეთილი და არც მრისხანე
ხმა აღარ ისმის გარემოსი. აღარც მანქანებს
გააქვთ გუგუნი. სასწაული ტკბილად ახანებს.
მის მოლოდინში ფეხს იკიდებს სრული სიწუნარე.

დღე იჭვრიტება ფანჯარაში, როგორც მნათობი,
და, თბილ მინაზე შუბლმიდებულს, თანდათანობით
გამოეკვეთა ჰირისახე. ეველა შფოთვა კი
თოვლივით გადნა, ბურუსივით მიმოიფანტა.
შენ იხდი ტანზე და ირხევი, როგორც ინფანტა.
და თითქოს მთელი სამეაროა ერთი ოთახი.

აგერ მთლიანად გახდილი ხარ! და უკეთესად
ჩამდის ჰაერი. არაფერს გთხოვ, გარდა ერთისა —
აქ, აქ დავრჩები, რომ დღედაღამ ვიფხიზლო და ამ
ჯერქვეშ დამეხვას მერე ბოლოს სიკვდილის დაღი.
სხვენი სამოთხედ გარდაქმნილა. სარდაფის ცდა კი,
ცდა ჯოჯოხეთად აგზნებისა, ამაო ცდაა.

2006

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამულს

დგას გაძლების ჟამი,
ბაგეს უფრთხის ჩქამი, –
ხვალის რა ჩანს, ხვალის?
ძლევა იდუმალი.

ეს იცოდე, მანამ
გეავარ ცრემლის ქალი,
შენს ჯიშკართან ვდგავარ –
ამოწვდილი ხმალი!

❀ ❀ ❀

მზემ მასესხა თვალში სხივი,
მიწამ – მუჯა ხორცი,
მიწა მითბობს ფეხისგულებს,
მზე მკლავებზე მოცნის.

მევალეთა შუა ვცხოვრობ,
ღმერთო, სესხის ღირსმეავ,
მზისა ვარ და კიდე – მიწის,
მიწის ვარ და მზის ვარ!..

❀ ❀ ❀

წელს კი...
წელს ბებო-ბებუნა და წაბლის ხელჯოხი
წეკილად მისდევენ
სოფლის დაღმართში
გაქცეულ ბილიკს
და მაუვლიანში გაკაწრული წვივივით მტკივა,
რომ იქ, შორეთში
უსაშველოდ უმკრთალდება
ერთ ვარსკვლავს ფერი.

❀ ❀ ❀

ვიღამ გაზომოს უონაღი
ნამუსის ნაკლებ-მეტობით,
ჰირველ ღალატამდე გენდობი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლამაზღიმილა მოძულეც
შეგ ხვდება იღბალ-ბედობით,
ჰირველ ღალატამდე გენდობი!..

ღია ბჯითა და ქულფათით,
ქალობითა და დედობით
ჰირველ ღალატამდე გენდობი!..

სიყვარული

როცა უკვე აღარ ემებ,
მაინც და მაინც მაშინ, როცა უკვე აღარ ემებ,
სულ რომ არ ელი,
რომ არ ელი სულაც, იქაა,
ვერანაირი ქალური ალღო ვერ გიშველის:
განწირულია დაუნახველობისთვის,
მიუხვედრელობისთვის,
უპასუხობისთვის.
თითქოს იოლი დასანახია:
ჯოჯოხეთურად ბაგეშეკრული,
უცები მზერის იასამნებს გიძღვნის მალულად,
მაგრამ რაკი იქ არ ელი,
აღარ ელი რაკიღა იქა,
ვერასოდეს დაინახავ,
ვე-რა-სო-დეს!..

თარგმანი

(მარინა ცვეტაევა)

ჩემს ლექსებს, ნათქვამს ასე ადრიან,
როს არც ვიცოდი, ჰოეტი მერქვა,
ამოფრქვეულებს შადრევნის შხეფად,
მაშხალის ფეთქვად,
ეშმაკუნებად შეჯრილებს ტაძრად
და დარჩენილებს მერე იქავე,
ლექსებს სიკვდილსა და სიცოცხლეზე,
წაუკითხავებს.
მიმობნეულებს მტვრიან თაროზე,
სადაც არვისი დასწვდებათ ხელი,
ჩემს ლექსებს, როგორც ძვირფას
ღვინოებს,
მოუვათ ჯერი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჩაჩავა

❧ ❧ ❧

დღე არის სევდა უშენობის, დღე არის ზეცა,
რა სიჩუმეა ეს სიჩუმე, ფიქრი რომ მოაქვს
და მერე ამსხვრევს, თუ ეს დროა, გუშინ რომ შეწუდა,
თუ ოქროს ტეეა, რომ შრიალებს და შენზე ღელავს.

დაბრუნებაა მომავლიდან, მსხვრევა ფანჯრების,
დრო არ ტრიალებს, დახვეული გველივით წვება
და იცქირება თავის თავში სიზმრებს ნაჩვევი,
ვაშლს კი ნაყოფი ჩემს ეზოში წუდება და წუდება.

ეს ეოველივე ქვეუნიური არის და არცა,
გაოცებული შეეცქერი და ჩრდილებს ვისწორებ
და არსებობის შემორჩენილ მიმხრჩოლავ ნამწვავს
ვანდობ საფერფლეს, ჩაიფერფლოს მთელი სიცოცხლე.

ჰქონდეს, რაც არის, ის რაც იყო, და რაც იქნება,
რა უბიწოა ეოველივე — ზღვაც და ხმელეთიც,
ან ეს ლაქვარდი, მორღვეული ზეცას ისედაც,
ანდა ეს სითბო გადმოსული ხელის შეხებით.

უნაპირეთი ამ სამეაროს, და ეს მცირედი
ჩვენი სიცოცხლის, ჩვენი სუნთქვის, გამოცანების
და სიეეარულის და ეს ხილვა, და ეს იმედი
შეეზღუდავი — შავ მიწიდან აღმოცენების.

❧ ❧ ❧

კლარა ჩაჩავას

მას ისე სურდა სიცოცხლიდან გამოღვიძება,
საათი წუთებს ამრავლებდა, წუთი საათებს,
და თერმომეტრში ჩამწეედეული ვერცხლი იწეედა
და ვერ აღწეედა ვიწრო ღარში თავის სისავსეს.

სიცარიელე ქვეუნიური, ფუეე გონება,
სიტეეების წვიმა, გადახსნილი სულში უდაბნო,
და სიმარტოვის სიმარტოვე, როგორც გოდება
და გამარჯვება უსუსურთა ასე უდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდეს მინდვრები და ველები მშვენებით უკმარს
და ორთაბრძოლა მისსავ თავთან, კვლავ რომ გრძელდება,
და ეს ოცნება ჩაწნეხილი მტევნებში უქმად
და ეურძნის წვენი, რომ იდუღებს და დაღვინდება.

ამოძახილი გვირაბიდან მისივე მკერდის,
ამოძახილი უფსკრულიდან, სადაც სულია
და მეოცნებე ბაირაღის ფრიალი ველში
და ეს სიკვდილი, სიცოცხლედ რომ გარდაუქმნია.

იეოს ტკივილი, ეს არაფერს მაინც არ ნიშნავს,
ვალის აღება და გადახდა — სულით და სისხლით,
როცა იცრება და იცრება საათში ქვიშა
და არ კი იცი — ეოველივე რატომ და რისთვის.

❀ ❀ ❀

ეს სიცოცხლეა ირგვლივ ისევ, იეავი ჩუმად,
ღამე ნელდება და მოკლდება კაბა ხეების,
არც ეს ფიქრია, არც მთვარეა ზეცაზე უქმად,
არც სახლებია არეოფნის, თუ ეოფნის ძეგლები.

არც მახვილია, არც ფარია ეს წუთი ნდომის,
ოდნავ სიალე, ოდნავ ბინდი, ოდნავ ღრუბლები,
არც ეს განცდაა ჩაგუბული ღრიალი ლომის —
გამოღვიძების, განახლების, სუნთქვის უფლების.

ამოიღვრება ეს სიმდიდრე შენთან შეხვედრის —
დაუსვენებლივ, დაუძლეველად, დაუფარავად,
და სილამაზე, სიევარული ერთის შეხედვით,
ერთის შეხებით აღმოჩენა, ჰოვნა, დაკარგვა.

და ნაბიჯები, სინკოპები საფეხურების,
მთვრალი კარები, ანთებული ხელში ასანთი,
ბზინვა ბალახის, ფოთლის ვარდნა, განცდის მორევი,
უგონო ღამის დაბზარული შავი ბაზალტი.

და დაკრეფილი ხელებივით ვაშლის ტოტები,
და ეს სამეარო თითქოს ძილში როცა მშვიდდება,
ბრამსის სონატის ვარსკვლავების ცაზე ნოტები,
რაც ცოტა ხანში სულ უკვალოდ გადაიშლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ დოჩანაშვილი

კაცი, სახელად ნოე

რომანი

არასოდეს მინახავს ატლანტის ოკეანე, მაგრამ ეს ეგებ არაფერს ნიშნავს.

ასე 18-20 წლის რომ ვიყავი, ანუ თითქმის ორმოცდაათამდე წლის წინათ, არ ვიცი რომელი ყურმოკრულით, ანდა საიდან ამომიტივტივდა და თან როგორღაც ძაან ამოჩემებული სიჯიუტით აშკარად რაღაც-სხვისაგან – მაშინ ისიც არ ვიცოდი, თუ ვინ, ან რა იყო ეს ვიღაცა-სხვა, – და კი არ ჩავიფალ, როგორ გოროზად დამაწვა ეს უზარმაზარი, მოკვდავებისათვის მძლეთამძლე სივრცე და ამას კიდევ რა უჭირდა ჩემი ასაკით უფროდაც ბეჩავი გონებისათვის, უფრო ის იყო ვაება, რომ ამ ოკეანის ფსკერზე დაფლული ვრცელი ქალაქი გაელვებებით მელანდებოდა, არეულ ხალხით როგორ დარეული, და რაღა თქმა უნდა არც ის ვიცოდი ასე მწარედ და უუმძიმესად რად დაისაჯნენ, და მიუხედავად იმისა რომ თვით ის უუდიადესობა, წიგნად მოცემული, ჯერ გადაშლილიც კი არ მქონდა და რომელ წიგნსაც მახინჯად წითლები როგორ ბოროტად, მათი ჭკუით დაუნდობლად და სისასტიკით და მაინც როგორ უსუსურად უსუსურობად ზრახავდნენ, რადგან უთავუბოლო ზღაპრებად და მონაჩმახად რაცხდნენ და მათთვის შედარებით უმტკივნეულო რამ – გინდაც „დოკუმენტალური“-ვით ლიტერატურული მონაცემები? – სუყველაფერი მითი ეგონათ და თანაც სულელური, თვით გილგამეშმეფე, ჰომეროსი, და რამდენი უცნობი თუ ნაცნობი ვინმ, და ეს – ტროასა და შუამდინარეთის არქეოლოგიური გათხრებისაც კი მიუხედავად, რომელ ტროასაც არქეოლოგთა მამამთავარმა სწორედ „მითი“-კო, გინდაც „მითი“-კა „ილიადა“-თი რომ მიაგნო და თვით ეს უუდიადესი, თუნდაც როგორი ალმასური და კლდეკაცური ნებისყოფითა და როგორ მტკიცედ მოქნილი – არაა შეუსაბამობა ეს... – ნიჭიერებით დაწერილი პოემა, გინდაც სხვა ყველა დიდ ნაწარმოებთან ჯუფთად აღებული, დიადი წიგნის ნებისმიერ ერთ გვერდთანაც კი ვერ მივლენ, რადგან ეს წიგნი თვით მამა-ღმერთის ნებით, მამა-ღმერთისგან გამომავალი თავად სულიწმიდათი და ერთადერთი შვილით, თავად ქრისტეთი ანუ სიტყვითაა შექმნილი და თუ მანამდეც და მას მერეც სხვებს ანუ ადამიანებს აქმნევინებდა წმიდა სამება დიდ ნაწარმოებს ესა წიგნი ხომ მუდმივი მზეა და რამდენადაც მეტი იმ მზეზეც გინდაც როცა ძალიან მაღლაა და გინდ როდესაც ჩასულია, მაგრამ ეს უგნურებისათვის, რადგან მზე – მზეა, ის მერე რა რომ, რომ დროებით სხვებზე მცხუნვარებით და გინდაც მკრთალად დაბჯენილი და გინდ შავი ღრუბლებით შეგებებული და უკუნშიც როგორ ძალიან, კი,ა, – არის ვისაც რომ სულაც მთავარი მზეი-ესი სწორედ ამ წიგნით უხილავს ის, ის მერე რა რომ გონებით გინდაც სუმთლად-მცირედით შეუხებლად მთავარია რომ, – ეს რაღაც წმიდა სიდიადე როგორ მძლავრად და თან ნატიფად ლბილი სათნოებრივი უწმინდესობით არის, კი, არის, – არის, არის,

და ადამიანთადმი ამქვეყნისათვის საკმაო დროით, ორმოცდაათამდე წლით ადრე მუდამ ვფიქრობდი ატლანტიდაზე; მსრესდა; მერე და მერე კი როგორი იმედითა და თან მაინც როგორღაც დათრგუნვილმა გავიგე, რომ წარღვნა აუარება ხალხის ეგრეთ წოდებულ „ეპოსში“ა, და, ატლანტიდათი გაჟღენთვით შეპყრობილი, მაინც სხვა რომანებსა და მოთხრობებს ვწერდი ჩემი მცირედი შესაძლებლობებით აქამდე, რადგან მკაფიოდ ვგრძნობდი რომ ატლანტიდამდე გული, გონება და ხელი ვერ მიმიწვდებოდა და ნუ გეგონებათ და იფიქრებთ, რომ ახლა კი, ვგრძნობ, მაგრამ მაინც უნდა ვეცადო.

კით

მთელი ეს წლები, არ მინდა გრძელი ახსნებით თავი მოგაბეზროთ და მოკლედ გეტყვით, რომ შედარებით ერთგული მწერალი კი არა, გადამწერი ვიყავი და ხოლო ნიჭი, ისევე როგორც სილამაზე, სულაც არაა გასაპრანჭვრეხი რადგან არავითარი დამსახურება ამის (ნიჭისა და სილამაზის) ქონა-ში არაფერია, ჩვენგან, მაგრამ შედარებით სულსუ მცირედით ვამართლებდი იმას, რომ, ჯერ თავი და თავი შეგრძნება და სამადლობელი — :

„ქველისმოქმედებათა შენთა და ნიჭთა უსასყიდლოდ ღირს-ქმნილნი უხმარნი მონანი შენნი, მეუფეო, გულმოდგინედ შენდა მიმართ მოვილტვით, და“ —

„და მადლობასა ძალისაებრ შევსწირავთ“...

... მადლობის ძალისაებრ შემწირველნი ქართულ მწერლობაში რამდენიმე მართლაც სამაგალითო შემოქმედი მე-გულ-ება, თუმც ზოგიერთი მათგანი — ცოტა არ იყოს მისმიერი ძალის არასაშურველად, რადგან ნიჭსაც, კი, ნიჭს გააჩნია, მარტივი დაყოფით სულ ცოტა ორგვარი მაინცაა, ხოლო პირველი, ვინც ღირსეულად მაგრძნობინა ეს, თანამედროვეებში, გურამ რჩეულიშვილი იყო, 26 წლისა, როგორ შფოთიანცხოვრებიანი და როგორი მყარი, და, ასე განსაჯეთ კატორღელიც კი ნავარდობებშიაც, კი, შემოქმედი, და ეს „მადლობასა ძალისაებრ შევსწირავთ“ ისევე როგორც გზისგამკვლევად დამაჯერებელი და აუცილებელი და არგასაკვირია ჩემთვის იმდენადვე, როგორც დიდ-გასაკვირვი იყო ჩემთვის ბავშვობიდანვე, ასე 10-12 წლის რომ ვიყავი, ჯიბგირობა (ესაც ბევრგვარია; შეიცავს ეგრეთ წოდებულ-შერქმეული „დიდი“ და „მაღალი“ თანამდებობისა — ისემც... — წყალობით ქვეშევრდომ-პაიკ-მალემსრბოლით ხელქვეითაგრეთვ-მსრბოლელებისაგან მორთმეულ ვითოხეირსაც, — აგრეთვე ისემც, რაცგინა დოლარშიშხათიანს...) და ხელმრუდობა, როგორც ეს ახლაა (2003-2005 წ.) რაღა თქმა უნდა არა მაგრამ საკმაოდ დიდ-მოდებულად გავრცელებული იყო მშობლიურ (?!)ჩვენსში, და მართლაც დიდად მანცვიფრებდა გამონათქვამებ-ამგვარები, რომ, „რა პატიოსანი კაცია (ჭაბუკია; ახალგაზრდაა; ყმაწვილია), ტროლეიბუსში ჯიბეზე არ დადის“, და თუმცა ახლა იმათთვის, დაწინაურებული ჯიბგირებისათვის ტროლეიბუსი რა სახსენებელ-მოსატანია, ავტობუსსა და რიქშას ვერ განაცხვავებენ თვით „ტაჭკისაგან“ რამე რო იყოს, „ჯიპებიანნი“ გახლავანთყე ჩემობატონო, და თან ალბათ კი არა, რაღა თქმა უნდა, და, რასაკვირველია, შუამავლებით იჯიბებენ რამდენ-რაოდენს ძალიანც ბევრებსა უმრავლესობას კი ვალუტათი დიაღაც, ეს მათიიმათი ბნელჯიბისათვის დღესავით ნათელია, და თუ ხანდახან ვერ იწვნევენ გაჯიუტებულებისაგან ვერას? — აქვე არაა ყურისძირში „ციხეს რად უნდა რკინის კარები“ ძლიერ ადვილი არი შესაგზავნად, დამქაშურიყე ჯანოვან-ძალოვნებით, ხოლო უშუშაბანდო ციხიდან გამოშვება კი ძაან ძნელია „პრინციპულები“-საგან უხელგონებისჭუჭყოდ, კი, თუკი „მაღალთ“ და იმათსა ფრჩხილთ-ჭუჭყთ ჯიბეს? — არა, ეე.... ჯიბე და მურთაქა და ამისთანა ჩამორჩენილობებები არა ტოროლა, არამედ საზღვარგარეთული კაპიტალისტურად უკუნეთურა გისოს-სეიფებიანი დიდად კარღია ბანკები კარგა-საკმაოდ ეგულებათ, და მარტოკლ-განა ჩვენებურებიანებისა (ისემც,), დაუტევნიათ?,

მე კი ჩემს საქმეს (ხელობას) „ძალისაებრ“ ჩემი შესაძლებლობებით კარგად თუ არც ისე, — როგორც იყო, კი, — ვაგრძელებდი, მაგრამ განვაგრძობდი მართლაცდა დიდის ჭაპანწყვეტით, ჩემთვის როგორად ძნელ დროსაც კი, კი, რადგან, როგორი მადლობელი ვარ მეგობრის,

მხატვარ (მერე როგორი) ვახტანგ რურუასი, რომელმაც, ჩემი ვაჟის ირაკლის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ გადაწყვიტა და მითხრა, რომ, ვიცი რომ როგორმე დაძლევ თავს და შესძლებ და რამენაირად გადასძლევ მაგ როგორ მძიმე შენს-ას, ვიცი და უკეთესებს (და არა „გადასარევებს“-ო) დაწერო, და ამ როგორ წყალობად ნათქვამს ჩემგან ისიც რომ დაემატა რომ როგორც ყველა პირობით რომ ვთქვათ შემოქმედს ჰყავს თავიანთი-მოყვარული მსმენელები თუ მნახველები და მკითხველები და მათ შორის მეც და არ მინდოდა ირაკლის გამო, ირაკლითი, გულდაწყვეტილები ყოფილიყვნენ ამით გულში თუნდ უნებურად და გინდაც ცოტათი და უნებლიეთ როგორღაც მაინც გაეკილათ ჩემი შვილი, და, როგორც იქნა მივადექი და დავწერე ჩემი ძველ-მოქმედპერსონაჟებიანი ვრცე-

ლი მოთხრობა „მერომელიღაცე მიხეილ და სხვანიც კიდევ ორ-ორნი“, მერე მოვახერხე და, გადამწერმა, ვახტანგის თქმითა და ირაკლით გადმოვიწერე ნაკარნახევი ორი რომანი და ოთხიც მოთხრობა, და, მე ულირს-გათამამებულმა, ცოტათი ვიგრძენი რომ რაღაცა თუნდაც მცირედი, მაღლის შეწევნით ვისწავლესავით ჩემს ხელობაში და, გადავწყვიტე, შევბღაუჭებოდი თვით წარღვნას, რომელსაც ჯალაბითა და ყოველი ჯურის წყვილ-ცხოველებით, უზარმაზარი კიდობანის წყალობით, ღვთის შემწეობით გადაურჩა კაცი, სახელად ნოე...

და თუმცა მუდამ მყარად მახსოვდა და მახსოვს რომ ნებისმიერი ხელოვნება ეს ხომ მარადი „დიადი ვერასოდეს“აა,

და მაგრამ,

მაინც,

როგორ ძალიან და საგულდათავდახელოდ,

ვემზადებოდი,

და ჯერ როგორ დიდად დამწყდა გული რომ ატლანტიდაზე არსებული ლიტერატურის მქონე ერთ-ერთ ჩემდამი კეთილგანწყობილ მკითხველს დასწვია მთელი წიგნები, და სამაგიეროდ რაღაცა „ინტერნეტი“-ს წყალობით, რომელი სიტყვაც სულაც არ ვიცი რასა ნიშნავს მიშოვნა ძალიან ახლობელმა, ატლანტიდაზე, ასე ვთქვათ „მეცნიერული გამოკვლევები“-ს მოკლემოკლე ანოტაციები თუ რას ეძახიან და მათი, მეცნიერ-მაცთენელთა (— „სწორის შემშლელი“ — საბა) რბილათე რომ ვთქვათ დიდად თამამი შეხედულებან-მოსაზრებები ატლანტიდაზე, რომელ-მეცნიერთა გვარსახელების ჩამოთვლას არავითარი აზრი არა აქვს პლატონის გარდა, რომელმაც თავის ორ ნაშრომში, ქრისტეს იესად შობამდე IV საუკუნეში, გამოთქვა თავისი დაბეჯითებითი შეხედულება ატლანტიდაზე, რომელი ქვეყანაც — რა ექნა იმასაც (პლატონს) და მამაღმერთის ძე-შვილის იესად მოვლენამდე იყო და ესი ქვეყანა ანუ კუნძული მიაჩნდა წარმართებისათვის და წარმართებისაგან კარგა-დაწინაურებული „წყალთა ღმერთის, პოსეიდონის უფროსი შვილის, ატლანტი-ს საკუთრებად“ და ვისი „დინასტია“-ც ვითომდაც ფლობდა დიდსა სივრცეებს ისევე როგორც ევროპაში ასევე აფრიკა-აზიაშიც, ყველაზედ ფუფუნებიანი განცხრომით გამოირჩეოდა თვით მაღალამხანაგ პოსეიდონისა აუარება „ღირშესანიშნაობებ კერპთა“ ოქროსქანდაკებებიანი (პლატონმა მგონია და ალბათ არ იცოდა ძველი აღთქმა) იყო რადგანაც და მაგრამ თვლიდა რომ ატლანტიდა უძლიერესი „კატაკლიზმების შედეგად“ ვრცელ წყალთა სიღრმეში დაეშვა.

რომელ ზემორე-აზრსაც არ იზიარებდა არისტოტელე, რომელიც ატლანტიდას მითად თვლიდა, და ზოგიც ალეგორიად აღიქვამდა პლატონის იმ ორ ნაწარმოებს სადაც ატლანტიდად მიჩნეულ ტროა-ზეა საუბარი ხოლო პლატონის მოწაფეები და მათიც მიმდევრები კი დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ რომ ეგვიპტეში უნახავთ იეროგლიფებით ჩანაწერები ატლანტიდაზე, რომელიც „ჰერაკლეს სვეტების“ მიღმა იყო ატლანტის ოკეანეში, მერე მიწყნარდა ეს კამათები, კარგა დიდი ხნით,

ხოლო დიადი გეოგრაფიული აღმოჩენების (?! — რატომ „აღმოჩენა“? — ისედაც იყო) დროს დიდად განახლდა აზრთ-მსჯელობანი და ერთიც გამოჩენილი კატალონიელი თვლიდა რომ ქრისტეფორე კოლუმბის მთავარი და ნამდვილი და ფარული მიზანი ქალაქ ატლანტიდის როგორმე მიკვლევა და აღმოჩენა იყო, მერე კი, დღეისის ჩათვლით არ განელებულა ატლანტიდაზე „მეცნიერული“ მითქმა-მოთქმანი, თვით თავის დროზე ხომ ძალიან უფრო და ახლაც კი გამოჩენილი ფრენსის ბეკონი (მაინც ვახსენე პირობისა და მიუხედავად სახელ-გვარიც-კი ერთად, თან განმეორებით რადგან მეგონა რომ არისტოტელეს მიუხედავად პირობისა უსაყვედურო შემოგაპარებდით რადგანაც საკმაოდ-კარგა გაქნილებიც ვართ ეს გადამწერები-ეს,)... მოკლედ, ფრენსის ბეკონს თავისსა ტრაქტატში „ახალი ატლანტიდა“ აღუწერია მის მიერ ატლანტიდად სახელდებული კუნძული სადაც რომ ნუ იტყვითა და თურმე ისეთი „სრული ბედნიერება“ სუფევდა“ (—?!, — ამისთვის დაისაჯნენ?), და მოჰყვა და მოჰყვა ამას ჯერ კიდევ პლატონის ორი დიალოგიდან მოყოლებული ატლანტიდაზე ნაშრომები (ნეო-ნეო პლატონიზმისტური), მაგრამ, ადამიანი ბუნებით რადგან დაუდეგარია და კიდევ მოჰყვა და მოჰყვა ამას თავისებური მეცნიერების მოსაზრებანი რომლებიც რატომღაც მათსაცდრონდელ ანუ მოღწეულ პუნქტ-ტერიტორიებს ასახელებდნენ და, რომლებშიც სად და სად აღარა თვ-

ლიდნენ ამ გამქრალ სამეფოს, სულო და გულო – პერუში, მექსიკაში, ბერმუდის სამკუთხედთან, ოკეანობით ატლანტიდის სეხნია წყნარ ოკეანეში, ლა-მანშში, კუბასა და პანამაში, დიდ ბრიტანეთში, შპიცბერგენსა და საფრანგეთში, ნიდერლანდებში, დანიასა და სპარსეთში, და დღეს რომ ასევე არსებობენ მრავალ ისეთ კუნძულზე – ანტილის, აზორის, ბაგამის, კანარის და ასე შემდეგ, აგრეთვე ზღვებმა რა დააშავეს და აზოვის, კასპიისა და შავ ზღვაშიც მოიგულვებოდა, ხოლო დაღუპვის უმთავრეს მიზეზებად მოიხსენიებოდა ცუნამი რათა ევოლუციურად განვითარებული ქვეყანა პირისაგან მიწისა პირწმინდად უნდა აღგვილიყო (–?!). აგრეთვე „კარგი ტაიფუნი“ (!!) რომლის ტალღების სიმაღლეც რამდენიმე ათეულ მეტრს აღწევდა „თავისუფლების“ ქანდაკებისა არ იყოს და ეს ტაიფუნი „წარმატებით ანადგურებდა“ (–!!!?) ცივილიზებულ ქვეყნებს, აღინიშნებოდა მათი (ცუნამ-ტაიფუნის) დამანგრევლობით ერთგვარი კოლეგა მიწისძვრაც, რომ „სათნო ატლანტიდა“ შავმა მაგიამ დაბრიდა, გამომგონებლურობითი ქვეყანა „მუ“-ც არ დატოვეს გულდაწყვეტილი – ეს ძველი კონტინენტი 12 ათასი წლის წინ დაიღუპაო იგი როგორც ასეთი თავის არქიპელაგებიანაო თუმც ის მერე რა რომ ამ ჰიპოთეზების დადასტურებისათვის არც ერთი საბუთ-მტკიცება არ არსებობსო და წყარო, აგრეთვე რა დააშავა ცხოველთა სამყარომ და გამოგონილიქნენ სამთვალიანი (–ერთნახევარ-ჯუხტიანთვალებიანი) მაიმუნები-ლემურიაები რომლებიც კვერცხისა-დადებით მრავლდებოდნენ და ისინიც ალბათ როგორც ძალიან განვითარებულნი (სუცოტა, თვალებით), რომლებსაც ევოლუციობის გულობიზა ბუნებისაგან მოხვდათ და არსად,

არსად,

არსად!, –

რომ ატლანტიდა ცოდვებისათვის დაისაჯა არამედ „სტიქიური კატაკლიზმებისაგან“ (კატაკლიზმაო... კაცო, სად კატა და სად ოყნა... ვის აღარა და, არც ერთ ვეტერინარს რომ ვერ ვიცნობ... აფსუს...), ხოლო ყველაზე მეტად ისევ და ისევ ტროას და კრეტას უფრო უკავშირებდნენ „კარგსა ცუნამ-ტაიფუნებს“ ისე კი სხვაც ბევრი-ბევრი ტერიტორიები იქნა ჩამოთვლილი როგორც მოგახსენეთ, გააჩნდა იმას თუ „პატრიოტობა“-სი მიხედვით რომელ ქვეყან-ტერიტორიას უმფრო მოეთვალებოდა პატრიოტები და სულ რომ არაფერი „ტერიტორია“-სა და „პატრიოტი“-ს რამდენი რამ აქვთ საერთო თუნდაც თანხმოვან-ხმოვანებით და გვყვაანს ჩვენცა მაგრამ ატლანტიდასთვის სად გვცხელოდა და რა გვემცხეთებოდა, ხოლო ერთ-ერთი პარნტრიოტული ადამიანი თუ არა, სუცოტა მოადამიანო მეცნ.-კუზმინი (ისევ გვარი, ეჰ... მაგრამ „პარნტრიოტები“ ხომ ყველაფრისა, და მათსა შორის ავტო-გამჟღავნებისაც ღირსნი არიან, სისულელისა - განსაკუთრებით...), რომელმაც „აღმოაჩინა“ რომ პლატონისა ატლანტიდური ტროა რუსეთში იყო-ვოო, გააიგივა, отождествил – რაღა, რა-საქციელზედაც ამაზე ამჩვექართველებსაც გვაქვს საკარაულო ატლანტიდების უცოდინრობა-არქონებისაც მიუხედავად მსგავს თეორიებზედ საღი გამოთქმა-რამ რომ „სად ერეკლე და სად ჩემი კერასინკა“-ო,

მაგრამ,

მე მგონი,

ყველანი და ყველაფერი გადაჩრდილა და ყველასა და ყველაფერს გადაახტნა ერთი ჭეშმარიტი კოსმოპოლიტი რამ, რომ ნუღარ იტყვით და, თავისებურად დაასაბუთა,

რომ, ატლანტიდაიოუ კოსმოსში იყოვო,

შენ საღოლ,

და სანდა-საღოლ, ჰამაც!:

ხოლოო, მერეეე,

შორსმჭვრეტელური (ამ სიტყვის ბუკვალური გაგებით) ტექნიკა მძლავრად რომ განვითარდა, ჯერ იყო და ერთსაც მშვენიერ დღეს მშვენიერსავე ტაროს-ამინდში ანუ ძლიერად მოწმენდილ დარში ძალუმი ხელსაწყოებით ერთი ვრცელმდებარეობიანი დაძირული ქალაქის მქრქალი კონტურები აღმოაჩინეს ოკეანის ფსკერზე, პლატონის ორთავ „დიალოგში“ თქმისებრ შიგ შუაგულში დიდ-აკროპოლიანი, და თითქოს გადაწყდა ამით ყველაფერი მაგრამ ნურას უკაცრავად რადგან მერე რომ სრულიად სხვადასხვა ადგილებშიც, ოკეანეთა ფსკერზე რომ აღმოაჩინეს (– რა აღმოჩენა უნდოდა, აკი ყოფილა, თუნდაც ფსკერზე, ჩრდ. ამერიკასავით), თითქოსდა მსგავსი ქალაქები (შუაგულში კვლავ წარმართულ-ბევრმსხვერპლშესაწირავებიან-აკროპოლები იესუმდელი რაღა თქმა უნდა), მერეე – აიბნნენ, რაც გინ-

და დიდად ყოფილიყვნენყე ვრცელხარისხიანი მეცნიერები და მე-ამგანხრით მთლად უწიგნურსაც ამებნა თავგზა ამ „ინტერნეტი“სეულით, და ჩემდა როგორ აუურაცხელ ბედნიერებად როგორ დამატყდა რომ არსებობს თავი და თავი წიგნი და წყარო კი არა ოკეანე რომ წვეთად ვერ მივა ისეთი წყარო, თავად ბიბლია, როგორ გასახარ-საგანსამეორებლად რა-მოწიწებით აღსანიშნი რომ თვით მამა-ღმერთის როგორ მოწყალე განკარგულებით სიტყვა-ქრისტეთი და სულიწმიდით, წმიდა სამებით, როგორ ბოძებად, ჩვენთვის, და თანაც ჩვენგანვ გადმოწერილი, რომელსა წიგნსაც (—პირობითი თქმა... თუმც გარეგნულად მაინც წიგნია ხოლო წიგნზე კი რამდენად მეტად — აღურაცხელად სათნო სული, მთლად უმთავრესი მწყალობელი, ნებისმიერი ადგილის გადაკითხვისას უფრო და უფრო ახალი და ღრმა), და რომელ ყოვლადსა წიგნად-ძლევამოსილებას აი და ია ათეისტები თავხედურ ზღაპრების შეკოწიწებას და გამოგონილ მონაჩმახებად თვლიდნენ, მაგრამ, არამცთუ გულითა და გონებით, თვალითაც როგორ დამტკიცდა როგორ, რომ არამცთუ ყოველი ამბავი და მონაყოლი არამედ თითოეული მისი ფართი მილიმეტრობით მილიმეტრში ჯდება თუ გნებავთ მატერიალისტური განზომილებებითაც კი მართლაცდა სწორად განსწავლულებით ღირსყოფითა და პატიოსანი შრომით და ამას მთა-არარატზე ნოეს კიდობანის მატერიალისტურიც კი მონახაზის მკაფიოდ გამოჩენაც მოწმობს ოღონდ დღეს ეს თვითმფრინავიდან, და თუ აქამდე ეჭვებქვეშ დაიყენებოდა რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მისი მნახველები იმტკიცებოდნენ რომ შესულან კიდეც კიდობანში და მისგან ფისს იღებდნენ რათა ამულეტები დაემზადებინათ, და ასეთი „ლეგენდები“ დიდხანს არსებობდა ხოლო ერთხელ ფისის შემგროვებლებს (და არა შემგროვებელს) მეხი დასცემიათ და ამის შემდეგ მსგავსი „ვოიაჟები“ შეწყვეტილა, მაგრამ შუა-ვ საუკუნეებში ბიზანტიელი მართალი ბერი იაკობი ორჯერ რომ ცდილა მაინც ასულიყო სანუკვარ ადგილამდე, დაქანცული ენარცხებოდა თურმე მიწას და იძინებდა ხოლო გაღვიძებისას ისევ ძნელი გზის დასაწყისში ელვიძებოდა, ხოლო მესამედაც რომ სცადა ეს, გზად წყარო დაუნახავს და წყურვილი რომ მოიკლა, გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა რომ უფალმა შეისმინა მისი -ოცვები- და ჯილდოდ კიდობნიდან მოტეხილი ნის ნატები უწყალობა და ანგელოსმა დაამატა რომ აწი ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებს კიდობანის ნახვას იქამდე, სანამ ღმერთი თავად არ გაამხელს მისი ადგილმდებარეობის საიდუმლოს... არარატიდან მობრუნებულმა ბერმა აღწერა ყოველივე ეს ხოლო მისთვის ბოძებული კიდობნის ნაწილი დღესაც ეჩმიაძინში ინახება, ყოველთა სომეხთა კათალიკოსის რეზიდენციაში, რომელიც უცნაურად ანათებს ხოლო ბერის მოღვაწეობამ რადგანაც რწმენა ყოველგვარ მეცნიერებაზედ შეუდარებლად დიდად მეტია,

მერე

და

მერე

კვლავ განაწყო კიდობნისკენანი, ძიებისაკენ, და მათგან მხოლოდ ერთ 150 კაციან რუსულ ექსპედიციას მოუხერხებია ეს, კიდობანამდე მიღწევა მაგრამ მრავალი ფოტოსურათიდან, სადაც ნათლად სჩანს კიდობანი ერთადერთიღა გადარჩენილა რადგანაც ყველაფერი შთაუნთქავს რევოლუციას ყოველი რევოლუციის დამანგრევლობითი წესით, მაგრამ ამ ერთი ფოტოსურათის არსებობა იმიტომ ინება ღმერთმა რომ ადამიანს კვლავაც და კვლავაც გახსენებოდათ ნოეს კიდობანი, და მას შემდეგ რა და როგორი ექსპედიციები არ მოწყობილა კიდობნისაკენ მაგრამ აგუგუნდებოდა ხოლმე არარატში მიმქრალი ვულკანი, მშვენიერი ამინდი წარმოუდგენელი ყინვითა და ქარიშხლებით იცვლებოდა, ჩამოზვავებას იწყებდნენ ზვავები, და — დავარქვათ პირობითად ასე — ბუნებამ (მეტეოროლოგიური პირობები, სტიქია) ისე ინება, რომ, თვით ჯომოლუნგმაზე რამდენგზის და გზით ასული ადამიანები არარატის მთის სწორედ იმ ადგილას არ მიუშვა სადაც რომ ადრე, დროდადრო, ნოეს კიდობანთან შუასაუკუნეებამდელ ასე ვთქვათ ალპინისტებს უშვებდა ხოლო შედარებით ახლახან ერთადერთი ფოტოსურათი, წამლად დაგვიტოვა,

და,

როგორ შვებად,

არის —

ბიბლია,

და მე, მისი როგორ-ულირსი, როგორღაც მაინც ვბედავ და, რაღა თქმა უნდა სწორედ

მის, მისსა... რომელი სიტყვა... — წმიდა სამების კი არა, არა — ამდენად უგონო და თავხედი არ ვარ, არამედ — წმიდა სამების ნახელავისა და ნახელარის და სულში როგორ მკაცრი და მაინც როგორი სათნო ნატერფალის აჩრდილისაც კი ისეთ პაწია ნამცეცს როგორიცაა ზღვაში წვეთი კი არა, რაც დედამიწაზე წყალია, იმის წვეთის მენამცეცედი, —

ამოვეფარე, —

შევეფარე.

და მეგობარი მხატვრით გულის გამაგრებასთან ერთად, როგორ მამხნევებს არქეოლოგიაში ჩემი ხელმძღვანელის ქალბატონ ნინო ბერძენიშვილის (საქართველოს ისტორიის დიდი მკვლევარის, ბატონ ნიკო ბერძენიშვილის რომელმაც დიად ქართველთან ივანე ჯავახიშვილთან და ჩვენი ისტორიის გამოჩენილ მოღვაწე-ამაგდარებთან ერთად ჩვენს ისტორიას რაოდენ დიდი და კეთილშობილი და ჩვენთ-გადამრჩენლური როგორი ღვაწლი დასდო და რომელ ჩვენს-ღვიძლ ისტორიას კი დღეს — 2005 წ. — არად აგდებენ სულგაყიდული ანუ ბინძურ-სოროსით წარწყმედილი „განათლებისა განმანათლებლები"), მიუხედავად გარდაცვალებისა, ჩემთვის მისი თვალნათლივიც კი არსებობა, —

ბატონი ნიკოს მეუღლე, ქალბატონი ნინო და მე ქვის ხანის შემსწავლელ არქეოლოგიაში ვმუშაობდით რომელ არქეოლოგიასაც მუსიკასთან ერთად გადმომწერლობის გამო ვულალატე, მაგრამ მუსიკას, და არქეოლოგობას დღემდე ვეთაყვანები და ასეც გამყვება ბოლომდე რადგან სხვაგან არსად მინახავს ხელობისადმი ისეთი ერთგულება არქეოლოგებმა რომ იციან ყველამ, (ყოველ შემთხვევაში 60-70-იან წლებში ასე იყო, ახლა არ ვიცი, ამ საყოველთაო არეულობისას როგორაა, არა მგონია საქმისადმი რომ გაბზარულიყო მათი ერთგულება), ქალბატონი ნინო და მე თხუთმეტამდე მაინც ხანგრძლივ არქეოლოგიურ ექსპედიციაში ვართ ნამყოფი, ძირითადად იმერეთსა და აფხაზეთში,

ზემო იმერეთში კი, ჩემთვის მშობლიურივით სოფელ ვაჭევში, სადაც მხოლოდ ცერცვაძეები — რაკაი ხალხი, ჩემობატონო, ცხოვრობს, იქაურები სისხლში გამჯდარი იმერული თავაზით, რაღა თქმა უნდა, არ გვკადრებდნენ ამას, მაგრამ როგორც მერე, იქ მუშაობის მეოთხე თუ მეხუთე წელს გავიგე, — გვეპატიოსო და, თავიდან ეს ხალხები ანდა ისეთი ძაან გაჭირვებულები გვეგონეთო, რომ, აბა კაჟებს რა აბოჭიეთო, ვაჭევი კი, მთელი იქაურობა კაჟითაა მოფენილი და სანამ მღვიმე „ხერგულას კლდე"-მდე ჩავაღწევდით სადაც ქვის ხანის უმდიდრესი (კაჟით, ობსიდიანით და პალეონტოლოგიური მასალით) ძეგლი ითხრებოდა, ქალბატონი ნინო იმ ჩამავალ და ამომავალ კარგა მოზრდილ დაღმართ-აღმართშიაც წამდაუწუმ იღებდა მიწიდან დაუმუშავებელი კაჟის ნატეხებსაც კი, ეგებ ადამიანისაგან შრომის კვალი რომელიმეს ჰქონოდა, გადაგვერივნენ თურმე ვაჭეველები, თუმცა ხერგულას კლდეში არქეოლოგიური მასალით ასეთი უხვი სადგომი არასოდეს მინახავს, 28 ათასამდე ქვის ხანის ნიმუში აღმოჩნდა, ქალბატონი ნინო მთელი გრძელი დღის განმავლობაში მხოლოდ საველე დღიურის შესავსებად თუ ჩამოჯდებოდა ყოვლად უზურგო ალუმინ-ბრეზენტის გასაშლელ სკამზე, ხშირად დღენახევარსაც ვმუშაობდით, გათენებისას დავეშვებოდით დაღმართში და შებინდებისას ამოვდიოდით, მე — ისე დაღლილ-დაქანცული, ხანდახან შუა აღმართში ვაპირებდი „წამოწექილობა"-ს, ხოლო ქალბატონი ნინო კი, ვისაც ჩემზე ბევრად უფროსი შვილი ჰყავდა იმ აღმართშიაც „ბოჭავდა" კაჟებს, ექსპედიციაში მისი საკვები დილა-საღამოს ერთი პატარა ნატეხი შოკოლადი გახლდათ, მერე კი, იქაურმა გლეხკაც-მუშებმა რომ გაიგეს თბილისში საკუთარი „ვოლგა" (მაშინ ეს ავტომანქანა დიდ ფუფუნებად ითვლებოდა) ჰყავს ქალბატონ ნინოს თავისი შოფრითო? — გადაირიენ პირდაპირ ნამეტარი ჩემობატონო — „აბა რა დაკარგიათ ამჩვენ გადაკარგულშიო", მაგრამ მისი საქმისადმი სიყვარულით წარმოუდგენელი შრომისუნარიანობაც არ იყო ისეთი განსაცვიფრებელი და დასაფასებელი, როგორც, სხვა ძირითადი, უმთავრესი რამ —

ქალბატონი ნინო? — ქვის ხანის დროინდელი ადამიანის როგორ ნამდვილი, ნაღდი ჭირისუფალი, იყო...:

ქვის ხანის ანაბანას რომ ვითვისებდი, ერთი ის მიკვირდა დაზვერვითი ექსპედიციების დროს ქალბატონი ნინო ზოგ მღვიმესა თუ გამოქვაბულს ისე აუვლიდა, ხეირიანად არც შეხე-

დავდა, სხვაში კი — აუცილებლად გაათხრევინებდა მუშებს საცდელ თხრილს, ღრმულს. ამის მიზეზი მხოლოდღა ხერბულას კლდეში გავიგე, როდესაც, განთიადისას, ქალბატონი ნინო ამომავალი მზის წინ გახარებული დადგა და, უზომოდ ბედნიერმა, მითხრა:

— ამომავალი მზე უყვარდა, ჩვენში არაა ქვისხანელის ისეთი მღვიმე პირით აღმოსავლეთისაკენ რომ არ იყოს.

და, განაგრძობდა, გახარებული:

— მღვიმეებში, კი, გურამ, პირდაპირ მისწრებაა დაბინავება, ზაფხულში — გრილა, ზამთარში — თბილა... — აგერ, როგორც აქ პატარა ღელე მუდამ ახლოს ჩაუდიოდა, და ძვლის ამ მომცრო ჰარპუნებით დღევანდელ კალმახზე ალბათ უკეთეს თევზს იჭერდა, რამდენად უფრო სუფთა გარემო იყო მაშინ...

და, უეცრად კი, მოიწყენდა:

— მაგრამ საშუალოდ ოც, ოცდახუთ წელიწადს ცხოვრობდა თურმე...

„რა დააშავეს ასეთი, მაინც... მაშინ ხომ მაინც არ იქნებოდა პარტისტორიის სწავლება და ამისთანები“... — ვფიქრობდი მენე, ზემოიმერელიც.

როგორი სევდა ედგა, თვალებში...

ხერგულას კლდეში კი მუდამ ზუზუნი იდგა რაც მე, გამოუცდელს, შრიალა ღელეს ექოდ გამოძახილი მეგონა, ხოლო ერთხელ კი, როდესაც მღვიმის მაღალი ქვის ჭერიდან თაგვი ჩამოვარდა, ქალბატონ ნინოს ჯერკი ცოტათი შეეცოდა თაგვი, მაგრამ მერე კი გახარებულმა მითხრა:

— თაფლიც რა უხვად ექნებოდათ!... — და, მოიწყინა, კვლავ: — ათასი მტერი ჰყავდა, საბრალოს... ჯერ მტაცებელი ცხოველებიდან დაწყებული (ფაუნისტურ მასალაში ბლომად ერია დათვის ძვლებიც...), იტანჯებოდა, სანადიროდ ხომ მღვიმიდან გადიოდა...

ამაზე კი, არ დავფიქრებულვარ, ისევე როგორც, ბევრ არქეოლოგს მოპოვებული ნივთების (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსი თუ თიხის ნაკეთობების) მოყვანილობა უფრო გვაინტერესებდა ვიდრე მისი დამამზადებლის ცხოვრების წესი სამარხებს თუ არ გავითვალისწინებთ, ჰეე, რაღანაირი არ შეგვხვედრია, და ეგრეთწოდებული „პარალელები“... მაგრამ მაშინ ხომ არამცთუ პაწია თანამოზიარე თაგვი არამედ ვირთხაც ბევრი ჰყავდათ, როგორც ახლაც გვყვანან სოციალისტური პაწა-თაგვები და დიდრონ-დიდრონი ჰალსტუხებიან (— ხშირად იცვლიან) სოც. — ვირთხები...

და მეგობარი მხატვრის გამხნევებით და ქალბატონ ნინოს ძირითადი საქმიანობის — სუპირველ რიგში იმდროინდელი ადამიანის წარმოდგენის როგორღაც გადამდები მეშვეობით როგორც იქნა და, გავბედე და, მივადექი კაცს, სახელად ნოე, ხოლო მისი კი, არსებობა, ნოეს კიდობანთან დაკავშირებულმა ერთმა ამბავმაც, მეტად დამაჯერა:

„2003 წელს 4-კაციანმა ჯგუფმა — ტელეჟურნალისტმა, რეჟისორმა და ორმა ოპერატორმა თურქეთის ძნელადდასაყოლიებელი შესაბამისი ორგანოების თანხმობის შემდეგ, 10 წლის შემდეგლა მიაღწია არარატის მთას. მთა მოღუშული დახვდათ. იქ არც ვენახი და საერთოდ არაფერი არ ხარობს, — ჰყვება ექსპედიციის ხელმძღვანელი, ანდრეი პოლიაკოვი, — იგი კაჟის ფუძიანი ვულკანია, დროდადრო გამოსდის ნახშირორჟანგი, რაც ხშირად „მთის დაავადების“ მიზეზი ხდება“.

დაა, განაგრძობს:

„პირველ ღამესვე გამოავლინა არარატმა თავისი მკაცრი ხასიათი. ვულკანური გუგუნი არ გვაძინებდა. გამთენიისას საშინელი თავსხმა დაგვატყდა, ერთ-ერთმა ელვამ კარავი გახია. სწორედ ამის შემდეგ ვიგრძენით ჩემი განზრახვის საშიშროება. დილით ყველამ მძაფრად ვიგრძენით კიდევ ერთი სიურპრიზი — თოვლი და ნისლი“.

განაგრძობს ალექსეი ლეგეზო, ოპერატორი:

„თავიდან ამინდი ჯერ მშვენიერი იყო. ქვევით ყველაფერი გადავიღეთ, კარგი შთაბეჭდილებებით დავიხუნძლეთ და დავიწყეთ აღმა ასვლა. მეორე დღეს, ამინდი უცებ გაფუჭდა. ამბობენ, ასეთი რამ აქ ძალზედ იშვიათად ხდება. რეჟისორი ილია ტარასოვი ცუდად გახდა და გზის გაგრძელება ვეღარ შეეძლო. მოგვიწია ორად გაყოფა. ორმა განაგრძო გზა თურქებისაგან ნებადართული მარშრუტით, სამხრეთის ფერდზე. უცებ დაიწყო წარმოუდგენელი ქარბუქი და ძიება შეწყდა“.

მაგრამ არარატის ძირში ექსპედიციის მონაწილეებს დიდი ჯილდო ელოდათ. —

„ჯერ დაინახეს გიგანტური ქვის ღუზა. ასეთებს კიდებდნენ გემებზე (და არა კატ-

ერებსა და იახტებზე) შუა საუკუნეებში. მაგრამ ეს ღუზა დაახლოებით 2,5-ჯერ აღემატებოდა მათ. გვერდით ორი მეტად საინტერესო ქვა აღმოჩნდა. ერთზე გამოსახული იყო ბაბილონური გამოსახულება, მეორეზე — უძველესი წარწერა.

მერე ადგილობრივ ქურთებს უაღრესად საინტერესო ადგილი უჩვენებიათ, არარატისაგან 10 კილომეტრის დაშორებით, „აკილა"-ს მთაზე..... — ეს ურთულესი საკითხია, მაგრამ რომელსაც დიდად უცნაურხილვებიანი ამერიკელი ასტრონავტი ჯონ ირვინი, სხვებთან ერთად, ადასტურებს.

და, კიდევ უმთავრესი ბიძგი:

1916 წელს რუსულმა ექსპედიციამ არარატის მრავალი სურათი რომ გადაიღო და მათგან კი ერთადერთი შემორჩა, მას შემდეგ კიდობანის გამოსახულებას ველარავინ ხედავდა თვითმფრინავიდან, რადგან ყოვლად აუხსნელი მიზეზებით მიწას გადაუფარია, რაც შუა საუკუნეებს შემდეგ არ მომხდარა. და, შედარებით ხანმოკლე დროში? — მუზეუმის მცველი გაოგნებული გვიამბობს:

„1948 წლამდე ეს „ნოეს კიდობანი" მიწის ქვეშ იმყოფებოდა. მსგავსი ფორმა არსად ჩანდა. 1948 წელს ძლიერი მიწისძვრა მოხდა და ეს „კიდობანი" (ნეტავ რად უნდა — „ბრჭყალები") ზედაპირზე ამოვიდა. მისი გამოჩენის მომენტში შემოგარენი ძლიერმა ელექტრონულმა ნათებამ გაანათა, ელექტრონათურების შუქის მსგავსად".

და თუმცა არქეოლოგიის ერთ-ერთ პრაფესორს (აქ მართლა არაა საჭირო მისი გვარის აღნიშვნა) მიაჩნია რომ ყველაფერი, რაც ნოეს კიდობნის ძიებას შეეხება, სრულიად არამეცნიერულია, არადამჯერებელია, რაზედაც ბატონი ანდრეი პოლიაკოვი ღირსეულად ბრძანებს, რომ:

„რა თქმა უნდა, რწმენა საფუძველთა საფუძველია, მაგრამ ამას გარდა, ახლა ჩვენ უამრავი მეცნიერული დასაბუთება გვაქვს, რომ წარღვნა ნამდვილად იყო და რომ კიდობანი არარატის მთაზე უნდა იყოს".

და, კიდობანის დროებითმა მიმალვამ და კვლავ გამოჩენამ, მრავალთაგან დანახული შუქის თანხლებით, ეგებ, მოგვანატრა და ყოვლად აუხსნელად ჯერ დაფარა და მონატრებულებს კვლავ აღმოღვიძვრინა იგი უფალმა, თუმც, „გარკვეულ დრომდე აღარავის უშვებს" მაგრამ ეს მხოლოდ გარკვეული, ამოუცნობი დროით, მის მაღალ ნებამდე.

მაგრამ, ამანაც, გაქრობა-აღმოცენებამ, როგორი რწმენა დაბადა, ჩემში... ეგებ, საჭიროა... — ეს ურთულესი გადმომწერლობა, მკარნახებელი თუ ინებებს.

და, ჩემი ასაკითა და ჯანმრთელობით თუ ვერ მოვახერხებ „კაცი, სახელად ..."-ს დამთავრებას რადგან აქამდე აქ რომ ვარ ესეც საკვირველია, ასაკითაც და უმთავრესად ცხოვრების ჩემი წესით, და იქ ხომ, რაგინდ ადგილას გავმწესდე, მაინც ხომ გავიგებ, გინდაც ცოდვილი რარიგ, თუ რა როგორ იყო, და მხოლოდ ამისა გამო, ანუ გარდაცვალებულს, საქმის ვერ მომსწრეს ამმხრივ ნუ შემიცოდებთ, არა, შესაცოდი ის გვექნება, რომ, აქ — ამ ცხოვრებაში, ვერ მოვასწარით კაცზე, სახელად ნოე, ფიქრი...

და თუმც როგორ ძალიან, ძალიან, ძალიან მენატრება ირაკლი, მაინც მინდა რომ მაცოცხლოს ღმერთმა, ნოეიანის დამთავრებამდე, და, ამისათვის მხოლოდ სიცოცხლე როდია, განა, საკმარისი, არამედ:

„აწცა განმინათლენ თვალნი გონებისა ჩემისანი,

აღაღე პირი ჩემი ზრახვად სიტყვათა შენთა,

და გულისხმის-ყოფად გზათა შენთა,

და ქმნად ნებისა შენისა, და გალობად შენდა აღსარებითა გულისათა,

დიდებად და გალობად ყოვლადპატიოსანსა სახელსა შენსა, —

მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ამინ".

და როგორ მინდა რომ ვიცოცხლო ნოეს ამბავის გამთავრებამდე, როგორ თუმც რადგან კი ეს ძალიან ძნელია, ძნელი, მაგრამ, იმედად, მახსენდება მეგობარი პოეტის, გივი გეგეჭკორის სტრიქონები: „და უარყოფის ეს უარყოფა მშობიარობის მგვრიდა ტკივილებს", ხოლო, თვით და თავად ყოველდღიურად საკითხავ სახარებაში, რომელ მახარებელსა და მის რომელიმე მუხლს ჩემგან ყოვლად უნუბურად ამორჩეული მაგრამ განგება, ამომარჩევინებს, როგორ იმედად, როგორი შრომის დამთავრების როგორ მომავალ შვებად, შემხვდა ჩემს უაღრესად საგულისხმო კი არა და, მეტი-რამ, მეტი, დიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისმეტყველ იოანედან თავი 16, სადაც, 21 მუხლში, –

„დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყრმაი, არღარა მოეხსენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა". – .....

და როგორ განსაკუთრებული ვედრებით აღვავლენ ახლა ჩემს წინანდელსაც ხვეწნა-ვედრებას, ლოცვას, ყოველი საქმის – და განსაკუთრებით როგორი ძნელის – დაწყებისა, წინ:

„მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა; საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის, და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი",

და, დამემატებინოს ლოცვა ყოველი საქმის მომთავრების შემდეგ:

„აღვსება ყოველთა კეთილთა შენ ხარ, ქრისტე, ღმერთო ჩემო, აღავსე სიხარულითა და მხიარულებითა გული ჩემი და მაცხოვნე მე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ყოვლად მრავალმოწყალე".

და, თუმც, თუ მოხდა როგორი ბოძება და ეს ნაწარმოები, გადმოწერილობა ნოესა და მის კიდობანზე რაღაც სასწაულით დავამთავრე, დე ჩემი გარდაცვალების შემდეგ ამოქვეყნდეს, რადგან ისედაც ბევრხანს ვიყავი აქ და აღარ მინდა, ამ საქმის გინდაც მისაღებად გადმომწერი, მაინც გავწითლდე, ისე კი, როგორის დიდის შვებით მეთქვას და ვიტყოდე ლოცვას სწავლის დამთავრების შემდეგ:

„ყოვლადსახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩვენ მადლი სულისა წმიდისა შენისა, მომნიჭებელო გულისხმის-ყოფისა და განმაძლიერებელი ძალთა სულთა ჩვენთასა, რათა ჩვენ, ყურადღებნი გარდმოცემულის ჩვენდა სწავლისა,

აღვიზარდნეთ შენ, შემოქმედისა ჩვენისა, სადიდებელად,

მშობელთა ჩვენთა სანუგეშოდ,

ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ".

2005 წელი,
ოქტომბერ-ნოემბერი

თავი I
თივაზე

კაცი თივაზე იწვა, გულაღმა, და ისე იყო გადაღლილი რომ თუმცა პირქვე ერჩია განრთხმა, ამის ილაჯიც კი ვერა ჰქონდა მაგრამ უსუსური-ვინმ კი არ იყო, არა, –

ფიქრობდა.

მზე მაღლა იყო, ჯერაც კიდევ კარგა შემდგარი, შემოდგომისი, და თუმც როგორ კარქაათბობდა და თვალს კი სჭრიდა და ის კაცი, ნოე, თუმც მოჭუტულებთვალებიანაც ცის ჭვრიტიმალსაც ვერ ახერხებდა რადგან მზე თან რომ ათბობდა თან თვალახელილს ცრემლებს ადენდა მაგრამ ნოე მზეს არ შესწყრომია, და, ფიქრში ის მზეცა და თავიც იმართლა:

„მაშ, როგორ გინდა"...

მზე რო ხანდახან ისე მცხუნვარე იყო რომრო რაგინდაც ძაანც როგო-ररोგორი-მისავათებით ვაიდედა-საც ვერ დაიჩივლებდა ესა ნოე, კი, ახლა, სთვლობისას, კარგი რამ იყო, გაგულისება და ჩაჯინება გრძელზაფხულობით თუკი სჩვეოდა, ნოე მაშინაც ამართლებდა –

„მაშ როგორ გინდა ამდენი პურ-ხილი უმხურვალოდ რომ დაგიმწიფოსო", – ნოეს ბალი და ალუბალი და ამისთანები ძრიალ უყვარდა მაგრამ ამათზე ძალიან მეტად? –

პური. რა მადლით გამტკიცული, და, კონჩოლიც კი, თუმცა პურის წვენს ისეთი სუმძაფრად ამო სურნელი არ ჰქონდა ხოლო ახლახან ამოყრილ პურს? მწველი თონიდან? ნოე და მისი პურის მტენი როგორ ძალიან, ისუნთქულობოდნენ, კი, არც ერთ ვარდ-ყოილს, ვერც ერთ ფერისას, ასეთი მშვიდად ძალუმი კეთილსურნელება, როგორ უხილავ მაგრძნობიარე შარავანდედად ყუით ყუამდე რომკი ადგა, არაფერს ჰქონდა.

სხვას.

...

გლეხთ მშვენებაც და დიდკაცთ საფერიც?.. –

მზით მოდიოდა.

ასეთი იყო ასე ერთთავად მუდმივკარგი მზე მაგრამ ყინვა კი? – სუ-ფინთი იყო.

მაგრამ ამასაც არა უშავდა – ხმელი შეშა და იმისი ჯანი.

ნოეზე კეთილ კაცს ამბობდნენ, შურიანებიც კი; ნოე პაპა-დიდედით გაზრდილი იყო.

დიდედო დიდად მადლიერი იმით იყორო, რომ ესა ნოე, შვილიშვილი, უყვარდა-როგო, თქმა იცოდა რომ: დედ-მამას შვილისა აბა რა გაეგება, თითონაც ჯერაც ბალღები არიან, აი, მე კიდე, შვილებმა თუ ვერა, ამან მაჩვენა ნამდვილი შვილის — შვილიშვილისა ფასი, მაშ ორჯერ შვილი, რა, აბა ტყუილა კი არ ჰქვიაო.

და უყვებოდა და უყვებოდა მთლად ბალღსაც, ნოეს, იმ მთისასა და ამა ბარისას, ნოე მაშინ ხომ ჯერაც სულაც ვერ იწინასწარმეტყველებინებოდა, მერე და მერე დასჩემდა ეს, და რა იყო, კაცო, რა წყევლასავით რამ-ნიჭი იყო ესა, სუსხვა, კაცებო, მთელიდღეები, ხალხნოო, მიჰქონდა და როგორ დიდად ლამობდა რომ ამ წინასწარი ამოცნობანებისათვის როგორმე თავი ენებებინა მაგრამ ეს ისე ძნელი იყო, რომ, დანებდა, ამას, რა იყო მაინც ემ ნოეს თავსა, და ბოლო-ბოლო იმდენი ილამა რომ, ათასში ერთხელ თუ მიჰხვდებოდა მოსახდენსა, და ესაც ყმაწვილობა-და-ჭაბუკობისას, მხოლოდ,

როგორც,

თუნდ,

აი ამ დღესა, ამოუჩემდა, ცისარტყელა, და, რომ მოსწვიმა და მერე რომ, გამოიდარა, კიარ გადასწვდა, კიდით-კიდესა?.. ნოე კი არა, ცისარტყელა.

ხოლო მეტად სხვა კიდით-კიდემდე გადაწვდენა ნოესაც აკი ძალიანძაან ელოდა მაგრამ ამისა არა იცოდა, რა... —

ყმაწვილი იყო.

ჯერ.

მაგრამ ჯერ ის იცოდა თუ ხვდებოდა რო, რომა დიდედო მართლა კარგი რომ იყო.

კი, კი.

გრძელ საღამოობით, ბავშვს, სამფეხა სკამზე გვერდით მოისვამდა, თვითონ კი საკარცხულზე ჯდებოდა მაგრამ თავის თავითვი გადიდგულებული კი არ იყო, არა, — ნოეთვი,ნ, ესა და, ჭრაქს არ ანთებდა და, იყურებოდნენ ღამეში, სიბნელეში, მაგრამ სიბნელე არ იყო ეს, რადგან დიდედოს სიტყვები ახლდათ, რაღად უნდოდათ, ჭრაქი.

გამგონსაც, მთქმელსაც კი.

დიდედო ნოეს, პატარას, დაბალის ხმითა უყვებოდა წინაპრებიდან თაობაში თაობებიდან გადმოსაცემად იმ უცხო ამბებს, რომ, თურმე ძალიან დიდი ხნის წინათ, ედემის ბაღში ცხოვრობდა თვით ღმერთისაგან ჯერ მეგრეთა და თიხით მხოლოდ ქანდაკი და მერე იქავ სულშთაბერილი მხოლოდღა ერთი კაცი, სახელად ადამ, და, მიმოწყენილს, ღმერთმა ადამს მისსავ ნეკნზე ჩამოძერწილი უბოძა ქალი ვისაც სახელად შეერქვა ევა რომელი სახელიც „ძრწო-ლას გველთა“ და ამასთანავე „ცხოვრება“-ს, ნიშნავს, და, დიდედოს მთლად საბოლოოდ ვერკი გაეგო თუ რატომ გამოაძევა ღმერთმა სამოთხიდან პირველი ცოლქმარი... — ერთი სიტყვაა ესა „ცოლქმარი“, ერთ სიტყვად აკი უნდა გახდენო, — თავადვე ბრძანა წინასწარ, ეს, რადგან თუმც დაარღვიეს მამაღმერთის დარიგება და აკრძალული ნაყოფი იგემეს, მაგრამ ღმერთმა ხომ სუთავიდანვე თვითონ აუწყა, ორივეს, რომ — აღორძდითა და გამრავლდითო, და აღავსეთ ქუეყანაჲ და ეუფლენით, მას, ო, და, დადუმდებოდა ხოლმე დიდედო აქ, დუმდა, ფიქრობდა ნოეც, დიდედოთავისის შვილიდაშვილი, მერე დიდედო შეკრთებოდა და განაგრძობდა, რომ, რაღა სამოთხე იყო ადამისათვის ის ედემი, რომელ ბაღშიაც — საჭმელ-სასმელზე ხომ არ იყო მარტოკაღ საქმე, — სუყოველ ცხოველს თუ ფრინველსა თუ თევზთ და მთლად უღიმღამო მწერებსაც კი ყველას არქმევდა თავ-თავისსა და მათიანთ სახელთ, აგერ ნოესთვისაც კი ჯერ როგორ გაუჭირდათ სახელის შერქმევა თუმც მათ ქალაქში რამდენიბევრი სახელია და ბოლოს იმარჯვა ვითომ დიდედოს სიძემ, ნოესმა მამამ ლამექმა და იმან შეარქვა ვაჟიშვილს „ნოე“ რაც „განსუეჱნებასა“-სა და „შრომისაგან შვება“-ს ნიშნავდა, „გინა ღირსებით სიკვდილსა“, ც, თურმე, მაგრამ ამისა მხოლოდღა მერე გაიგო, ნოემ, ხოლო საბრალო ადამს მხოლოდღა თვითონ და თავად — ანუ თვითონლას-მარტოკინას — ის მერე რა რომ გინდაცა ორად — ცოლი ესვა და დაეარებოდა ედემის ბაღში — და იბნეოდა, კი, ნოე, ბალღი, — შესასაბრალოდ დასჯილსავით მარტოკინს-ადამს უნდა გამოეგონა აუარება სახელდადებებები და, როგორ სიმწრის ოფლშიც ცხოვრობდა, ალბათ; მარტო უფასო და გადამწიფებულ კარალიოკსა და ანანასზე ხომ არ იყო, საქმე; მერე, გამრავლდნენ, ადამიანები, ოღონდ სამოთხიდან, კი, გამოძევებულები, კი, მაგრამ ბოლომდე გაძევება არ უნდა ყოფილიყო ეს რადგან ნადირთა

ტყავებით შეუმოსავს თავად მამაღმერთს ადამდაევა, კი, მაგრამ იმ სიბნელისადა მიუხედავად დიდედოსაგან როგორი სევდით, მწუხარებით სჭვიოდა რომრო, რატომ არიან ერთი დედმამის შთამომავლობა, ადამიანები, ასე ძალიან განსხვავებულები და დიდედოს ცრემლის როგორ მკაფიოდ ჩინარიც კი ნატამალებიც ერთვოდა, ხმაში, რომ ნეტარატომ არიან როგორად სათნო-ღმერთისაგან უკლებლივ ყველაადამიანი მოსაფერებელნი, როგორ უნდა ღმერთს რომ ყველანი სამუდამისოდ დარჩნენ ისევე კარგნი როგორც ბავშვები ბავშვობაში არიან ხოლმე, — აქ აუცილებლად დაადებდა ნოეს თავზე ხელს, — და ჯერ კიდევ როდის იყვნენ მაინც გვერდიგვერდ ამპარტავანი კაენ და მართალი აბელი, და რომ კაენის შთამომავლობის გვერდთდამხარდამხარ ღმერთმა ადამდაევა დააჯილდოვა და უბოძათ მესამე შვილი — სახელად შეთ, თუ სით, თუ სეთ, დიდედამ ზუსტად ვერ იცოდა მისი სახელი, მაგრამ ისი კი ძალიან უწყოდა რომ ნოე უნდა დამდგარიყო კარგი მო-ადამ-იანე ანუ კეთილი და სათნო და მოწყალე და მშრომელი და არა ძუნწი რაგინდ ქონება დაეგროვებინა რადგან როგორ ძალიან ხშირად ადამიანი რაც მდიდარია უფრო ძუნწია და უცნაურობა კი არა და, რა წყევლაა, ეს,

და თავის ნოეს, თავზე, ჰკოცნიდა,

და ნოე თუმცა ჰასაკით-მცირე მაგრამ როგორი დიდ-მაღალი რადგანაც ბავშვი და უცოდველი

ეუბნებოდა ორმაგ დედას რომ მთელ ქვეყანაზე ყველაზე კარგი ბებიაა, — ასეც ეძახდა ხანდისხანობით, გულდაენითაც აჩუყებული

მაგრამ ორმაგი კი არა, როგორღაც მეტიც, დედა, მშობლისმშობელი, ეუბნებოდა რომ

გინდაც როგორი და როგორი და გინდაც რაგვარი და რანაირი ყველაზე დიდი დიდედო მაინც, კი, იყო ადამითევა და ადამისევა,

ადამისეული,

გინდაც ისა რომ, გველგამოვლილმა, შეაცდინა,

მაგრამაც ეგებ ადამი მერე-და-მერე ვერ და არა და სულ სუველარა იგონებდა სასურველ სიტყვებს, ჟღერადობით მთანმხვდომს და ხოლო ეს საქმე, სიტყვათქმნადობა გადმოგვეცა ჩვენ, მისიანურ-ადამიანებს, რომლებმაც სამოთხეში განცხრომის ნაცვლად — განცხრომის, ვითომ? — დაფიქრდებოდა რომ უნდა ვხნათაა და ვბაროთ და უნდა ვთესოთ და ედემის ბაღის ცოტათი მაინც ჩვენით ასაღორძინებლად რამდენი ოფლით ვრწყათ უნდაუნდა მიწამარჩენალი,

და როგორ უკვირდა ახლანდელ ნოეს, ჯერ კიდევ ჭაბუკს — პირქვე, კი, იწვა, ნეტავი რა დროს, ნეტავი რომელ გახსენებაზე მოახერხა ეს მოგონება-მოვეგონებობა

ხოლო დიდედო, ის მერე რა რომ აქ აღარ იყო როგორ მკაფიოდ განუგრძობდა რომ, მაინც როგორი მოწყალეა თავად ის, ღმერთი, რომელიც ახლა, მისობისასაც და ნოესობისას ადამიანებმა მრავლად დაშალეს, დააქუცმაცეს, კერპებად, თანაც,

მაგრამ როგორი ბოძებაა და მხოლოდ წყალობა კი არა და წყალობით როგორ გადავსებაა ქვეყანა, ესე: —

„ნოე, ხომ გიყვარს ძალიან, პური“,

„კი“ — მაგრამ ამას ცოტა გულგრილად პასუხობდა ბალღიც კი, ნოე, მაგრამ დიდედო მის გულში იჯდა, —

„ოღონდაც, ნოე, ხანდისხანობით უნდა გშიოდეს“,

და, ნოე, ბალღი? — :

„ძალიან მიყვარს!“ —

მართალს ამბობდა,

ხოლო დიდედო, ფერნაცვალი და რა უმწეოდ და დიდებულად გახევებული მიწად ჩაფლვის წინ, ახლა ვითომდაც მხოლოდ მიწაში, იდო, მაგრამ, დიდედო? — მაინც როგორ

იყო, კი! იყო!!,

და ნოეს ისიც ანცვიფრებდა რომ, არამცთუ მისი ორმაგი, დედა, არამედ ესა, რაზედაც იწვა და თივა იყო ვითომ მხოლოდ მიწის საფენი, ესი რაზედაც იწვა რომ სხვა თუ არარა, როგორ ძალიან უცნაური იყო თუნდაც იმითაც, ერთ დროს მწვანე და ყვითლად მოსილი როგორ ახლა და მაინც, რატომ, როგორღა, რითითა ჰქონდა ამა ვითომც მკვდარ ბალახს, ამ თივას ანუ, მწვანე ბალახზე მეტად მკაფიო და საშშვიდებლად მაამებელი — მოსილი როგორ, ცოცხალი სუნი,

ხოლო დიდედო, ამა მოცელილ თივაზე რამდენად უფრო მეტი და მეტი, სულდგმული როგორ, განუგრძობდა, რომ

რომ თავად ღმერთი კი ისეთისეთი მოწყალეა რომ მის დაყოფვასაც, ჩვენი ჭკუით ნა-

კუწ-ნაკუწად დაქუცმაცებასაც კი გვპატიობს როგორ თავხედებს, ადამიანებ-ადამისიანებს, ესჩვენ, —

აგერ სულ აგერ ჩვენი ქვეყანა ატლანტიდა წყალთ ვითო-ღმერთის პოსეიდონის მძლავრად შექმნილ-შაქმნილი ჯერ ნაყოფი და მემრე შვილი იყოვო ვითომდაც, ნამყოფილარა ვითომ ატლანტი და მათ დიდსაპატივსაცემოდ-ვითო — არარსებულთა! — შეერქვა ამ ჩვენს ქვეყანას, ატლანტიდა და ხოლო ჩვენ კი ყველასა-კი და მათ შორისაც ჩვენ, მედაშენ, ნოე, ატლანტიდები გვეწოდა ზედაც გინდ გამოგონილს საქმეში-მაინც, და კიდევ კარგი უცოდველებს, კი, მაგრამაც მაინც — ვაისირცხვილო, ხოლო ღმერთი კი მაინც როგორი და რა კეთილად მოწყალეა, მიმოიხედე, ჩემო ნოე, მაგრამ ჯერ არა, მიმოიხედავ-ნუ, ჯერ გაიხედე... —

ახლა თივაზე, დიდედოს მჭახედ ნატიფი ლბილი სიტყვები მხოლოდღა კი არ ახსენდებოდა, არა —

ესმოდა; ესმოდა როგორ, ახლაც! — :

— ჯერ გაიხედე, მართლაშვილო, ჯერ ხომ თავო და თავო ღვთისავ და ჩემოც, ნოე, შენს ბავშვობაში თუ როგორ წვიმდა, რამდენნაირად, ნოე, თქორი და თქეში და ფრუტი და დელგმა და ისხარი და ღოლფო და ქარიშხალი და შხაპუნა—როგორ და გინდაც უბრალოდ, ვითომდაც, რო-ცრის, როგორ თვალღიად გაჰყურებდი წვიმას შენ, ნოე, და ღმერთმა ინებოს რომ სასწაული-ეს შენთვის ჩვეულებრივ-რამ-დ არ გქცეულიყოს მაღალ ღვთითა და ცოტათიც, ჩემით, —

მზე პირსც იბანდა აკი ხანდისხან, რასიხარულით,

— და შეგრჩენოდეს ის უდიდესი ბედნიერება რომ ყოველი და ყოველგვარი წვიმა-წვიმები შენთვის პირველი ყოფილიყოს ისევე როგორც ბავშვობაში... ხომ?

— ხომ... — ეუბნებოდა წვიმას თივაში ნოე, მთლად მშრალი, — კი... არა, კი კი არა და, არამედ — ნეტავ...

და რაღა ახლა დაუბრუნდა ის ძლივს, ძლივსღა, როგორ წამებით, ძლივძლივობითა დაძლეული და უკუძლეული წინასწარმეტყველება, — ეს როგორ ცხადად წარმოუდგა რომ, სწორედაც ასე აღიწერებოდა, მერმისობაში, წვიმა: „მზის შარავანდედი მიწათა და წყალთაგან აღიღებს ცვართა და შერთავს ღრუბელთა და ღრუბელი ვეღარ-ეიტანს და ჩამოადენს წვიმათა“,

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და ნოეს, ჭაბუკს, იმა მოთიბულ ბალახბულახზე მწოლიარეს, თავისს დიდედოს მისსა შვილსდაშვილს, აბა რა გული გაუძლებდა, ნეტა რა გული გაუძლებდა, არ? ისევ და ისევ იმა ვითომდაც ყოფილად-საღი მარცვლის, მარცვლისა რა უცნაურსა სახედ-ცვალებადსა, იმ ცვლად-მარცვალზე, გარდაცვალებით, კი, დიდედოსაგან, თქმული: თუკი ხუვილი-ს — ყანის თავთავის რომელიმ ერთი მარცუალი — „ესე არს ერთი ცერცუთა, ანუ ხვარბალთაგანი“ — არ მოკვდებოდა? იდო და იდო და ედებოდა თავისთვის, მხოლოდ, ხოლოკი თუკი მოკვდებოდა? რაცგინდა მცირე? — ამოისხამდა, კი, ოცდაათსა და სამოცსა და ასსაც კი, ნაყოფს, და თივის სუნით, ამ სუნნელებით გადახუნძლული ნოე, ყმაწვილი, დიდედოსაგან სუნთქავდა როგორ, სუნთქავდა, ამოდ, როგორ ძალიან ისუნთ-სუნთქ-სუნთქულებოდა მკაფიოდ, როგორ,

ხოლო დიდედო კვლავაც წარსულად იკარგებოდა კი არა არა არამედ ბრუნდებოდა ოღონდ როგორ დღევანდელისამიერი, კი, და, განმრავლებული, როგორ!, —

რადგანაც ნოეს ახსენდებოდა, რომ, შეფუთულს როგორ, რაღაც უცნაურ ბინდსაბუნდში როგორ, თეთრულად მკრთალში, დიდედმისის თან მოხიბლული და მოწიწებითი აღფრთოვანებით მჟღერი როგორ თან, ხმა იგი, ხმა ჩაესმოდა:

„ადექი, ზეზე“,

ზეზე დგებოდა პატარა, ნოე,

„აქ ფანჯარასთან მოდი, ბალღო“,

მიფლასტუნებდა, ძილსდაღვიძილში, ნოე,

და, მივიდოდა და,

თვალებ-აჰ-როგორ-გაფართოებულს, თვალებადქცეულს, დიდედოსისა როგორი წრფელად სევდანარევიც და სიხარულით, მოწიწებისაგან, როგორი მჟღერი, თუნდ ხმადაბალიც:

„ნოეე, თოვსს“...

ეს რა წყალობა იყო მაინც, როგორი თოვლი მოდიოდა, ბარდნიდა, როგორ... — !?., და, ბავშვინოე, ამ რაღაცროგორულ უზომოუუ მწყალობელური ბედნიერებით როგორი სავსე — თვალით შემყურეს, სულშიც უთოვლდა, და მისათვის ხომ რაღაც წყალობათუტანჯვაცრამ ხიბლით, — წინასწარმეტყველება ესაც,

როგორი, ახსნა თოვლისა გინდაც მომშრალ-ოდ-როგორ მაგრამ სიტყვით, თვით სიტყვით რარიგ გადმოცემული: „თოვლი: რა წვიმას ზამთარს ცივი ჰაერი შეჰხუდების შეათოებს და დამოცვივა“,

და, როგორც მცირე რამ დანაწვიმარივით, — „ცუარი არს სინოტივისაგან ჰაერისა ულ-რუბლოდ მოსული ღამით და დილეულ ფურ-ცელზედ მდგარი“, ასევე მცირე-რამ თოვლი „პირველ ზამთრისა რა ღამის სიცივემა ცვარი შეაშთოოს უხმობენ თრთვილს“,

ხოლო მერე კი ასევლამაზად აღიწერებო-და-იქნებოდა ყაპი, და ფიფქი, და ჭყაპი, ბური, ჭირხალი, ხურხლი, ბუქი, ხიაწი და ნანქერი და ბზარი და ლეღმა და არხილი, ლილო და თვით მთით ვერ-ნატვირთი და როგორ მძიმედ რარიგ მძვინვარე ზათქიანობით გადამქელავი ბეჩავ შემხვედრთა სწრაფად გოროზი როგორ, ხვავი,

ბალღობისას კი, ნოეს ქალაქში, როგორ თან მჩატე და მოლივლივე თანაც დიდდიდა როგორ, თოვლი? — ბარდნიდა, როგორ,

სხვა უკეთესი რა ენახა თვალს, არა, ყინვა-ცაც კარგი ჰყოფილა, კი, უიმისოდ ხომ ვერ იქცეოდა წვიმა მჩატ-თოვლად, როგორ მჩატედ და მძიმედ, ც, ბარდნიდა, გაოცებული შეჩერე-ბოდა მიჩერებულად გაოგნებული ამ უუთე-თრეს წყალობას, ბავშვი, თოვლისა იყო სუყვე-ლაფერი, დიდედოს ხელსაც, ნიშნეულსაც, მხ-არზე დადებულს მხრით ვერა მაგრამ სულით კი გრძნობდა, კი, გრძნობდა, რა უცნაურად საკვირველობა-რამ ყოფილა აი-ეს, — ბარდნა, — ეს ზეცით მადლი, მაინც რაოდენ რამდენნია და, ერთად შეკრულნიც როგორ მკაფიოდ ცალ-ცალკევებულები, თან, აი თოვლი ხომ თითქოს ერთია და მაინც როგორ ერთადერთია მისი ყოველი თვითონი ფიფქი, აუარება თანამფენო-ბით როგორ-ეს მჭიდროდ შემოკარულნი ურთი-ერთობით და მაინც როგორ სულაც არ უშ-ლიან ერთმანეთს, ბარდნას, და ამ ამ-როგორულსა დარაზმვაში უერთმანეთოდ და მაინც ერთად, როგორ მთლად ერთად და სივიწროვეში-მით-ომ თითქოსადაობაში, როგორ-ძალიანს შემო-კარულობაში, ამ, არავითარი ხაოვანება და არც ჩქამითი ფხაჭვნა და მცირედიც კი ხორკლიანობა ხომ — როგორ შორს, ჩვენგან, სათოვლეთათვის, მათით, არამედ მხოლოდ ფენა და ფენა და რისი-რაისი ცალ-ფანტელი და ეული ფიფქი არამედ როგორ ძალიან-ძაან მაღლიდან მაღ-ლა ყინვა-ყინელით—მოწიფულთა ეთერდაცვენა და, რა სისპეტაკეს, როგორ სპეტაკად სუფ-ალასეს-ამ, თავდაწმენდილად გვფენსგვფენს, კი... ჰო.

ხოლო ფიფქები როცა იკლებდნენ, არხი-ლობამდე — მცირესაც ფიფქსა, თან ბზარქმ-ნილობამდე, რო უყურებდა — რომ კნინდე-ბოდნენ დიდედო სევდით და დანანებით იტყ-ოდა ხოლმე:

„თოვსლა, ეჰ, ნოეე“... — სულაც ახლახან, როგორა თოვლდა.

ხოლო როდესაც დიდედოსათვის არც თოვ-ლი იყო, არცა წვიმა და არცაც ქარი და გინდ მზვარეობა დაუნდობელი პაპანებისა თუ ძლიერ-ყინელის გინდაცდა უხმო, მოჭიქულო-ბით ლაწალუწი, დიდედოს როგორ ღრმა ჭროღა თვალთა გუგებში მთლად ერთიანი სისრულეთი აის-როგორად ღრმა ჭროღა თვალთა გუგებში მთლად შევსებულად ამო სისოვლე ეძალებოდა, და თითქოს მთელი ისა-თავისი მომომცროო-ვით მთელი სხეული, ეყლინთებოდა ისეთი ზორბა კურცხალით რომ, მთელ მის სახესღა კი არა და, ტან-ხელთს ჰყოფნიდა, დიდედო ძაან დაბალის ხმით, იყურე-ბოდა შორეთში და ჰყვებოდა ასე, როგორ ხმადაბლად მყლერხმიანი, იყურებოდა სადღაცს-შორეთში და ჰყვებოდა ასეც, რომ, დიდი ხნის წინათ, თურმე, როდესაც ღმერთმა არაფრისა-გან კი არა და, უარესიც კი, სიძნელისაგან, უფრო, ქაოსისაგან შეჰქმნა წყალი და ხმელი და ზეცა და მიწა და აღმოაცენა გვიმრისე-ბური ბალახიცა და უზარმაზარი შროშანები და ნაყოფიანი და უნაყოფო ხეები და ზღ-ვებადა და ოკეანეებად-თვით დაბუდებულ წყალში იქითკენ როგორ სულსწრაფად მავალ-მავალსა მდინარეებს თუ ნაკადულებს თუ ღელეებსა და რუთ, გზადაგზა როგორ სა-კმა-ყოფილოდ არწყევევინებდა თავის მცენა-რეთ და თვალსმიერი კიდევაცმეტი სილამაზი-სათვის ბალახბულახში გამოურია ფერადო-ვანი ყვავილები და რომ დახედა და გადახე-და თვით მამაღმერთმა თავის ნახელავს და მოაზრებულს, — უკვე შექმნილი იყო მის მიერ დღეცა და ღამეც და მათი მკვეთრი თუ ლბილი მანათობლები და იხილა-რა მამაღმ-ერთმა თვისი თავისა თავად-ნალვაწი, და, მოე-წონა, რადგანაც იყო ყოველივე ეს „რამეთუ

კეთილ", და თუმც დიდედომ ბიბლიისა განა აბა რა უწყოდა-რა, ვინ რა იცოდა მაშინ-დელთაგან მომავალი წერა-კითხვისა, მაშინ, და მაგრამ თუმცა არც ყოვლადვრცელი წმიდათაწ-მიდა სამებისა იცოდა ვერა, დიდედომ, ნოესამ, რაცგინდ მიმხვდარმა ამას გულის დაფარულ მადლით-შიგანნთა, ერთი იცოდა მამა-ღმერთი, და ზეპირ-ზეპირად სიტყვიერებით გადმოცემუ-ლი ნამდვილ-იგავურ ამბებისა როგორ, კი, სწამდა, ხოლო ხანდახან გამოერეოდა უცნაურული და ღვიძლი როგორ წინასწარმეტყველობა, რამ, და წინდაწინვე ბუნდოვანად მაგრამ მკაფიოდ გრძნობდა იმასაც რომ მომავალი ერთ-ერთი დიდად დიადი მოციქულთაგანი იტყოდა ასე რომ „წინასწარმეტყველება არასოდეს წარ-მოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამი-ანები სულიწმიდის მიერ ამოქმედებულნი წარ-მოთქვამდნენ მას ღმერთისაგან" (II პეტრე, 1,21), და დიდედომ კი მძაფრად იცოდა ნოეს რომ რაღაც უნდა ეტვირთა ისეთი რამ რომ, ესა უღირსი მისი თანამედროვეობა არ იქნე-ბოდა, ძალიან ვერა ამისი ღირსი, და დიდედო კი, მისაახლოებლად, ღმერთთან, თავის ორმაგ შვილს ზეპირადვევე გადაუცემდა და ხანდახ-ანობით აჩვენებდა კიდევაც, რომ, ეს ყველაფერი, აი-ესი სუყველაფერი „შექმნა ღმერთმა... დიდი თევზები და ყოველი სულდგმული, მცურავი თავ-თავისი გვარისადა მიხედვით, რაც კი წყ-ალში ფუთფუთებს, ფრთოსანი თავ-თავისი გვარისადა მიხედვით",

და, დაინახა ღმერთმა,

რომ,

კარგი იყო, ეს, —

„რამეთუ, კეთილ",

და ეს ბრჭყალებით ნათქვამები, ეს-მე უღ-ირსმა, გადმომწერმა 2005 წელს გადმოვიწ-ერე და ვაპირებ კვლავაც გადმოწერებებს ეს-მე ისედაც გადმომწერი, ცნობილი ღვთის-მეტყველე ანუ ღმრთითა მეტყველე ალექსან-დრე პავლეს-ძე ლოპუხინის რა-როგორი ღრმა „ბიბლიის განმარტებანი"დან, რომელი წიგნიც რა დიდსულოვნად მიწყალობა მეუფე დიმიტ-რიმ, მთავარეპისკოპოსმა იმ აჭარისა საიდან-აც რომ შემოვიდა საქართველოში, განსან-ათლებლად, თვით წმიდა პეტრეს წმინდანი ძმა ვინც რომ იესუსაგან გახდა თვით წმიდა ანდრია პირველწოდებული, და სხვაგანაცა აგრეთვ-ბრჭყალებით გადმოვიწერე მე უღირს-მა-ამ, თვით თავად თვიით ბიბლიიდან. სხვა ადგილებიც, უბრჭყალებო კი, ჩემიც სიტყვები და სიტყვებითქმნილი ზოგი მოკლე და ზოგ-იც არცთუ მოკუნტულა წინადადებები მარ-ტოკ-ღარიბი ჩემი თავით და ჩემი ხელითვე გადმოვიწერე დახმარებით იმ, რაც რომ გვა-ცოცხლებს და სიტყვას გვიდგამს და ნათელ-სა გვცემს ესჩვე-უღირსებს, ჩვენ,

და აკურთხა ღმერთმა ისინი და თქვა: „ინ-აყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ ზღვები. ფრინველებმა იმრავლონ მიწაზე",

და მერე ადამი რომ უყურებდა თუ, ლიფ-სიტებიდან როგორ ღონივრად იზრდებოდნენ დიდნი თუ მცირე მაგრამ მცირეთაგანნთაგა-ნაც კი ემ ლიფსიტებთან შედარებით რამდე-ნად დიდი, დიდროვანი, დია-თევზები, და, ღვთი-სა ნებით, —

„ფრინველებმა იმრავლონ მიწაზე" როგორ არ იყო სასწაული, ეს სიფაქიზე — ადამის დროსაც მრავლდებოდა მხოლოდ მის გარდა ყოველი სულიერი და ჯერ ადამ და მერე კი ნოე ხედავდა, რიდით დასცქეროდა უსუსურ-სა და ჭყიპინჭყლოპინა-მაინც,ბარტყებს,რომ-ლებიც ხეებზე ანუ მაინც-მიწაზედ დადებულ ნისკარტით შეთხზულ ბუდეებში კი იზრდე-ბოდნენ მაგრამ ის-რაც იმათი ზედაპირულად სამფლობელო ხდებოდა იყო თავად ჰაერი, მიწაზე თუმცა მაღლამდგომი მაგრამ თავი და თავი მიწა და წყალი იყო მაინც, რაგინდ სულიერთ ბევრიც ეფრინა ფრთების ფართქუნით თუ, ფართქუნისაგან შესასვენებლად რაცგინ-დაც გრძელ-გრძლად ელივლივათ ზემოთში, ცაში,

და, თქვა კიდევ ღმერთმა: „წარმოშვას მი-წამ სულდგმული თავ-თავისი გვარისდამიხედ-ვით — პირუტყვი, ქვემძრომი და მიწის მხეცე-ბი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე", და,

იხილა, ღმერთმა,

ყველა ისინი და,

ძლიერ იხილა ისინი ყველანი ღმერთმა, და, —

„რამეთუ კეთილ",

და, რაღაც-ვინმ მთავარი, ყველაზე ძნელად შესაქმნისი, აკლდა ალბათ ღმერთს, რადგან სულ ბოლოს, წარმონაქმნნათგან, ჯერ თქვა ღმერთმა და, აღსრულდა, ღვთით,:

„ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩვენისა (—აჰ, ვი-ღაცასთან მოითათბირა ღმერთმა-თვით-ღმერთმა,

სუცოტა ერთი ვილაც-ვინმ ახლდა და ვინ თუ არა — უდიადესიც, ღრმად ეფლობოდა ფიქრში დიდედო, იძირებოდა, ინთქმებოდა მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა და მაინც მაგრამ იცოდა რომ, უწყოდა თუ რარიგ როგორ რომ, — რომ მაინც ასე იყო, იყო... კი!.) და მსგავსებისაებრ",

„და მთავრობდით თევზთა ზღვისასა და მფრინველთა ცისათა, და ყოველთა პირუტყუთა, და ყოველსა ქვეყანასა და ყოველთა ქვეწარმავალთა, მავალთა ქვეყანასა ზედა"

და, მიწის მტვრისაგან და თიხისაგან ქანდაკად შექმნა ღმერთმა კაცი ერთარსთან, თავად სიტყვით და, შთაბერა, სული, და ნოე, ცოცხალი, თივაში როგორ სახეჩარგული ადამისეულ ნესტოებით იჟღენთდა, ჰაერს, მთლად წამდაუწუმ სიცოცხლეს სძენდა გინდაც გადაღლილ როგორ ძალიან სხეულს, თავისას, და ნოესაგან განსხვავებით ადამს მხოლოდ შინაური ცხოველები კი არა,

არამედ მისცა ღმერთმა მსგავსს თავისი ხატისას მაშინ ჯერკიდევ ურისხველი ლომი და გრძელფეხება ჟირაფი და მოკლეფეხება მელი და თხუნელა და რალამაზ მბზინვარე ფრთეთა მქონე ფარშავანგი და მძლავრფეხება ბეჰემოთი და სპილო და მარტორქა და წვრილებფეხება ირემი და აქლემი და შველი და მაინც როგორი განსხვავებულები — ვეშაპი და კოღო,

ორ-ორნი იყვნენ თავიდან და, მერე თანდისთან მრავლდებოდნენ, როგორ ორ-ორნი და რაძალიან ერთიმეორისანი, იყვნენ, და შენაღონები ცალი-ადამ ბოლომდე ჯერაც ვერა ცნობდა რომ ბატონობდა, მათ, რადგან სახელებს, ანუ სიტყვას არქმევდა, ყოველს, ეს ძნელი იყო, და სიტყვიერულ აღმაფრენისგან მთლად დაღალული ადამ სევდ-განსართველად, მიმოწყენილი, რადგანაც არა ეპოვა „მსგავსი მისი", დაიარებოდა ედემის ბაღის კიდით კიდემდე და, ღმერთს შეებრალა თავისი ადამ, და რადგანაც რომ ყოველივესი თლადაც კეთილად დანახვა სურდა, მოეთათბირა ისევ, თავისას, თვისსა: „არა კეთილ არს ყოფად კაცისა ამისა მარტო, ვუქმნეთ მაგას შემწე, მსგავსი მაგისი", და, რადგანაც ადამს თავის სევდიან სიმარტოვეზე დაწყვილებულმა ცხოველებმა აუხილეს მგრძნობადი თვალი, და ღმერთმა ღრმად მძინარეს გამოუღო ცალი ნეკნი და იმა ნეკნს კი ცოტაოდენი ხორციც აჰყვა და აღმოუვსო ისი გვერდი და სამაგიეროდ ძალიან-თიხით და ცოტათიც როგორ-ღიდებელ მიწას, მტვრითა, დააქანდაკა ადამის ნეკნზე და შთაბერა სული და „მიიყვანა იგი ადამისსა", დედაკაცი-რამ მთლად პირველი ხოლო ადამმა სწორედაც მაშინ იწინასწარმეტყველა მისი, ადამის პირველი წინასწარმეტყველება, რადგან, თავისი ევას დანახვაზე, სუმაშინათვე:

„და თქვა ადამ: აწ ესე ძუალი ძუალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი. ამას ეწოდოს ცოლ (— „დედაკაცი, გინა ქმროსანი") რამეთუ ქმრისა მისისაგან გამოღებულ იქმნა იგი",

და, საოცრებად გასაოცრებავ, დაამატა, რომ! —

„ამისთვის დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი" — ! —:

კაი ბატონო, კიბატონო ადამის მამა და შემქმნელი თვით ღმერთი იყო ხოლო სად იყო მაშინ დედა, მაგრამ სად იყო, რომელი დედა, მერე და მერეღ იქმნნენ მხოლოდ, ღვიძლი დედანი,

და დიდედოს რომ ჯერ არცა ჰქონდა მოყოლილი ბალღი-ნოესთვის ესა ამბავი, ერთსაც მზიან დღეს მთლად ჩვილმა ნოემ, დაუჟამებელმა, სადღაც შორს მყურემ, გათიშულმა და განაკიდებმა ძალიან სხვაგან და რაღაცაძალით უცებ ნაკბენმასავით, რაღაც იდუმალ ხმადაბლობით, თქვა:

„ხვალ მოვა წვიმა"...

და თუმც მეორე დღეს ის სუმთელიდღე კარგა მზიანი ამინდი იდგა მაინც მოვიდა როგორ ნამდვილი, პირწმინდა წვიმა, ნაღდი ისხარი — „წვიმა სწრაფი და ადრე მომდარებელი (საბა)"... — მზე პირს იბანდა!,

და დიდედომ კი, ადამის მცოდნემ, ჯერ ძლიერ სწრაფად გადაწყვიტა რომ ნოესათვის თავზე დაედო ნოეთ-ამაყი ხელი მაგრამ ნელინელ დაუშვა, დაბლა, კვირვის მარჯვენა — ადამის, რაღაც, მოსდგამდა ნოეს, იმაზე მეტი ვიდრე სხეულით თანხვედრება იყო, ეს-ესა,

და, ყველაზე მეტად სანცვიფრებელი მაინც ის იყო, რომ, რომ აუკრძალა მამაღმერთმა ადამს და ევას აკრძალული ხის — სიკეთისა და ბოროტების ნაყოფის ჭამა **რადგან** ხე პირველი უწყვეტელი სიცოცხლისა მთლად დაჰკარგავდა ამითი ძალას რადგან ადამდაევა აკრძალულ-ხილით, განმრავლდებოდნენ, დიდად,

მაგრამ კი, რატომ-ნეტავი, სულმაშინათვე აკურთხა (დალოცა) იგინი ღმერთმან მეტყველმან: „აღორძინდით და განმრავლდით. და აღავსეთ ქუეყანა და ეუფლენით მას“, —

რაღა კურთხევა გამოდიოდა თუკი ამისთვის, განმრავლებისა საძირკვლის ჩაყრით ორთავ ცოლ-ქმარი სამოთხიდან განავლინა, ღმერთმა, ვერა ხვდებოდა ამას გონებით ნოეს დიდედო მაგრამ გულით კი რაღაცას-მაინც კარგად წრფელს გრძნობდა, თუნდ ნოესათვის, ვერ-კი იცოდა, რა, ს,

და მხოლოდ ესი არ იყო, ვერა, საკმარისი: „და მთავრობდით თევზთა ზღვათა, და მფრინველთა ცისათა“... და ასე შემდეგ,

ხოლო კი ნოე, თივაზე პირქვე მწოლი ახლა, როგორ გრძნობდა რომ, „აჰა, მოგცე თქვენ ყოველი თივა (ანუ ბალახი; მოუთიბავიც და მოთიბული) სათესავი მთესველი თესლისა , რომელ არს ზედა ყოვლისა ქვეყანასა. და ყოველი ხე. ..., თუენდა იყოს საჭმელად“,

მაგრამ ისიც, კი, დაუმატა, რომ „ნუ მოჰკუეთ შენ ხესა ხილისა გამომღებელსა პატნეზად (— „მებრძოლთა ციხისა“, „საფარად მიწა“) და იმ როგორ-სათუო, განრისხებისა შემდეგ ადამდაევას ღმერთმა როგორ შეუნარჩუნა ნაყოფიანიც ხეები და დაუმატა უნაყოფოც, ცეცხლის ანთებად თუმცაკი იქა, ედემისას, მარად ტფილოდა, და დიდედოსაგან ნოემ იცოდა რომ ცოდვის ჩადენამდე არც ადამიანები და არცაც მთლადაც ლომებ-ვეფხვები არა სჭამდნენ ხორცს, და პირველი ცნობა ხორცით კვებაზე ჩვედღევანდელი ადამიანებისთვის მიეკუთვნება მხოლოდღა წარღვნის, შემდგომობას, მანამდისინ კი არ არსებობდნენ ხორციჭამია მტაცებელი ნადირები და როგორმსუნაგი ფრინველებიც კი მწერებისა და ჭიალუების ნაცვლად ბალახბულახით კვებავდნენ, ბარტყებს, და სურნელოვან როგორ, ბალახში ჭაბუკმა ნოემ, ასწია თავი, და შინაურსა თუ მთლად გარეულ ცხოველ-ფრინველთა და თევზთა და ქვეწარმავალთა და ასე შემდეგ, მბრძანებელმა და მფლობელმა, ნოემ, მთლად მიივიწყა ესი-კუთვნილი ყველაფერი, თავისი ხელის მტევანს დახედა,

შეაბრუნა და,

შემოაბრუნა,

და, როგორ იგრძნო რომ სუყოველივეზე დიდად დიადი საოცრება ხომ ეს თვითონ იყო, ადამიანი, ორფეხ-ორხელი, ერთთავა, ნოე, და თუ ცხოველი რომელიმე-რამ სამბილეში თუკი გაასწრებდა, ეგ არაფერი, სამაგიეროდ ნოესაგით ვერცერთ-არსებამ იცოდა, შრომა, მკლავებითა და მტევნებით, ხელის, მადლით, და ნოე გრძნობდა რომ მთლად მთავარი ამა სხეულის იყო ის სული, ღვთისაგან რომ ედგა, და, ნესტოებ-როგორ დაბერილი, სულს სამშვინებლით ძალზე ჰკვებავდა, სუნთქავდა როგორ ძალიან როგორ,

ხოლო ადამმა როცა იგემა ის აკრძალული ძალიან ხილი და თავისი მინამ უცოდველი სიშიშვლისა პირველად შერცხვა, მამა-ღმერთის პირველ შეკითხვისთანავე აღიარა, კი, დანაშაული, ეს მთლად პირველი აღსარება ანუ ცოდვისა მონანიება იყო ამ ჩვენს სრულიად დედამიწაზე რომლის კიდურა აღმოსავლეთშიაც ძევდა, ედემი, სამოთხის ბაღი, და ღმერთმა დიდად უცნაურად, კი, გააძევა:

„და უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსა მათ“,

ხოლო მინამდე, დიდად მძვინვარედ ძაან ძალიან ძლიერულითი მრისხანებით რომ დასწყევლა „მიწისა ლომი“, „ცხოველთა შორის უგონიერესი“, მაგრამ ვაი-რომ იმ-ისეთ ისეთასა გონიერებას, — ავტორი ასეთ-გონიერების, გველი:

„წყეული იყავ შენ ყოველთაგან პირუტყუთა და ყოველთაგან მხეცთა ქუეყანასა ზედათა, მკერდსა და მუცელსა ხვიდოდი და მიწასა სჭამდე ყოველთა დღეთა ცხოვრებასა შენისათა“, —

ნეტა ორფეხი იყო იქამდე, ევასთვისა და მის თვალთაგან, თვალებისათვის, გველი? თუ მაინც მთლადმყარ ორფეხობისა და თავიდანი ადამისას გველად შეიქნა, გადაიქცა? ეს ახლაა რომ არაა უცხო და ძნიად სანახი ესმისი-ამბავი რადგანაც, შემდგომ, ჩვენობისაკენ, როგორ-ვაი და მართლაცდა რარიგ ვუიიი რომ ამ ჩვენსა დროში გველი რახშირად საძაანცოტა-არანაკლებ, ორფეხად ჩნდება ანთუ პირიქით, მსხვილთა თუ წვრილთა გველებისაგან, გველაძუობით, გვლისწიწილობით, თუმცაკი ვითო-ორფეხია და თანაც რამდენს, მიწაზეხოხვით, გადაყვლეფამდე კი არა და ჰალსტუხ-კიტლებზე (კიტელებზე) არ ამჩნევია ვერაფერი ნაცუდსამიწარ, ტანზე,

ოღონდ თვალისთვის, ეს,

ხოლო იმისი სუმთლად როგორ-საკბილო და ნაკბილარი, ევა, მაცდური თავისი მეუღლისა... თუმცაღა რაღაღ მეუღლეობა იყო, ეს, ერთ ქრისტეს როგორი მიერისადმი, რადგან ადამის ტვინის და ენის როგორი უწყვეტი ოფლით გამოიგონებინებოდა ყოველ ცხოველთა, სულიერთა ყოველთა მათთვისსახელი ანუ თვიით სიტყვა, ეიგი, ხოლო მოცლილ-ევაკი ედემის ბაღში ძირითადად ხომ ისე-რა ტყვილა გასეირნ-დასეირნობობანასა სჩადიოდა და ხოლო კიდე ხანდასხანობით იყურებოდა კიდენც წყალში, წარბებაპრეხილი, ანარეკლშიაც რაღა თქმა უნდა ევავ-შიშველი და დანანებით ფიქრობდა ეგებ, რომ, რატყვილა ჰქონდა დატენილად აღვსილი, მკერდი,

და,

გადაჰკიდა კიდევაც გველს,

უქმობამ,

მისმან,

მაგრამ იმათი ერთადშეყრა ღვთისაგან მაინც არ იქნებოდა, ასე ადვილად არ გასწირავდა თავისი ხატის მსგავსისა,ს, ცოლს, ამით რაღაცა მოხდა და ხდება ჩვენთვის მარადის აუხსნელი ამქვეყანაზე, მაგრამ ის-კი იცოდა უკვე ღმერთმა რომ ურყევსა და მარადიულს, მძულვარებას, შულს-მარადიულს ჩამოაგდებდა ერთობ განსგამდგარს და მაინც თავისსა მსგავსის დედაკაცსა და სულსხვას, შორის, და, უკვე მღოღავს, ეგრე და ისე მღოღავს ღმრთისაგან დაწყევლით ისისი გველი რომ თვალებითაც კი რადგან ვერავის უყურებდა, ცეცებ-ცეცებით აღოღებდა, მიაძვრენდა თვალს, განს, და დააწყევლა მას, ქვემძრომს, ღმერთმა:

„და მტერობა დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა. და შორის თესლსა შენისა და შორის თესლისა მისისა“, —

„მტრობა ისეთი, რომ, ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგელსავდე!“

და, როცა ოდნავ მოითქვა სული, უდიდებულესიც, სადაც, რომელშიაც ბრწყინვალესობა როგორი, ღმერთმა დედაკაცს უთხრა: „სატანჯველს გაგიმრავლებ“;

და, დაფიქრდა რა, ბრძანა:

„განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი და სულთქუმანი შენნი, მწუხარებით ჰშვნე შვილნი“.

და, დაამატაც:

„ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე“.

ჰეეე, ჯერ შორი იყო, ეე, რაღაც სიტყვა... ჰო, — ევასემანსიპაციამდე. ძაანაც ყოფილ ეგრეთწოდებული სუსტსქესოვნების.

ხოლო კი ადამს, აღმსაარებელს პატიოსნად, უყურა, ერთხანს — უყვარდა, როგორ... სხვა თუ არარა, მსგავსი თვით მისი, იყო; ეს, გარეგნულად... ისე კი ჩუმად, ძალიან ჩუმად და მთლად ჩვენში დარჩეს — რა ძალა ადგა... რა... თუმც... სიყვარული, რა! და, სანამ სხვა რამს, უწყალობებდა, აიღო ღმერთმა და „ხოლო ადამს ჰრქუა“: „რაკი შენს დედაკაცს (დედაკაცი ერქვა უკვე, ისედაც, კი...) დაუჯერე და შეჭამე იმ ხის ნაყოფი რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცლე. ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო“, — რაც, ხორცს, თუმც სჯობდა სინამდვილეში ადამისა და მის ჩამომავალთათვის, მაგრამ ამისთვის, ბალახისა-ამ? — : „პიროფლიანი ჭამდე პურსა, ვიდრე მიწად მიიქცეოდე რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“.

მაგრამ უწოდა ადამმა ალბათ როგორიღაცა მადლიერებით ახლა როგორღაც უფრო თავის გინდაც მტვრადსაქცევ დედაკაცს — „ევა ანუ თავად ცხოვრება“, რადგანაც, — „რადგან იგი გახდა ყოველი ცოცხალის დედა“, — ადამიანები იგულისხმებიან მხოლოდ, რადგან „ნერგნიცა სულიერად ითქმიან რამეთუ აქუს მათ მოძრაობისა და აღორძინებითისა და თესლოვანებისა ძალი“,

და, ა, ა,

შეუდგა ადამ მის კუთვნილ მიწას, და თუმც ნარ-ეკალი და ძეძვი და ხიწვი ბლომად ერია მაგრამ ეს მიწა სინამდვილეში სულაც არ იყო, არა, — ღვთით დაწყევლილი, პირიქით — იყო, და რა სიუხვით გგმადლობდა როგორ, თუღ ენდობოდი და მიიღებდი და მოუვლიდი, ეს ღმრთისმიერი „მიწა დაიწყევლოს“ დიდი ხნის შემდეგ, წინასწარმეტყველ ესაიასთან, წმიდა წერილში არის ახსნილი: „... დაჭკნა დაღონდა სოფელი, დაჭკნენ ქვეყნიერთა დიდებულნი. წაიბილწა მიწა მის მკვიდრთა ფეხქვეშ, რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო აღთქმა“ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე რომ, ისევ ადამიანთა გამო დაიწყევლა მიწა ღმერთისაგან და ისიც — სათნოდ, რადგანაც შრომისათვის, და ამ როგორი-წმიდა წინასწარმეტყველ ესაიასი ესი სიტყვა თუმც წარღვნიდან ვრცლადშემდგომ დროს, იყო, ნათქვამი, თუმცა წარღვნამდეც როგორ ძალიან დაიწყევლა და კი არა და, მთლად უარესი, ადამიანთა ავზნიანობით ჰა-და-ჰა თითქმის მთლად გადაიფარა და ასეამგვარად აღიგავა თვალთაგან კეთილი როგორ, მიწა, რადგანაც ჩვენგან, ადამისთაგან წაიბილწა და არა ყოვლადმოყვარულ ღმერთისაგან, და ბევრადბევრა აუარება წყალთმლეკაობით მისით სარჩენთა ადამიანებისაგან მაინც ისე ვრცლად როგორ გადაიფარა უსაშველო წყალთაგან ეს უბიწოება ყოვლად, მიწა, მის ცოდვილობას ვინ იტყოდა, ის იყო მადლი იქამომდე, თანაც როგორი... და მერეც, მერეც, ახლაცაა, რაც წყალს გადურჩა — როგორ კეთილად მომცემელი ალალიშრომით სიუხვ-ნაყოფთა,

და ნოეს, ბალღს-ჯერ, სულვერ ესმოდა დიდედმისის ეს სიტყვები გადმოცემული მიწის მწირობით სიხრიოკეზე, და თვით დიდედოსაც ვერ გაეგო წინაპრებისაგან ყურამდე ენით გადმოცემული, ეს...

ხოლოკი ევამ, ანუ „ცხოვრება“,მ, ორი ვაჟი შვა ჯერ, მას შემდეგ როცა ადამმა „იცნა ცოლი თვისი. და მიდგომილმან შვა კაინ და თქვა: „მოვიგეთ კაცი ღმრთისა მიერ“, — და როგორ ძაან გახარებულმა თქვა ეს მიუხედავად რომ ძლიერ იტანჯა, ევა პირველ ძეს, თავის კაენს ჯერ აღიქვამდა როგორც საჩუქარს თვით მამა-ღმრთისაგან, მაგრამ როდესაც ბნელმა კაენმა, ამპარტავნებით გულღვარძლიანმა ველად და მიწად გაიწვია ერთადერთი ძმა, უმცროსი თანაც, და თან მართალი როგორ, აბელ, ისიც როგორი ტანჯვით ნაშობი და მაინც მოკლა, იგი, მიწას შეურთო უბიწო სისხლი, ევა ასევე-ვ ველარ იტყოდა რომ „მოიგეს კაცი“, და თან ვის მიერ, ხოლო კაენმა მთლად წყევლა-კრულვა შეინერგა ჯერ თავისთავში და მერეკიღა მთელსა იმ თავის გრძელსა მოდგმაშიც რადგანაც თვით ღმერთს, ადამისაგან, აღმსარებელი მამათავისისაგან განსხვავებით, აბელის მოკვლა დაუმალა, თავისი ცალტვინ-უბადრუკა ჭკუით, თვით ღმერთს, თავისის დიდის იმა-გონებამახვილობით-ვითო წააფარა-რა ლერწამი და ბალახბულახი ჯერაც თბილ აბელს, რალა ძმას, თვისას,

ასე შესცოდა მთლადაც ბოლომდე

ადამიანთა სხვადასხვაგვარრჯულით გასამრავლებელ მოდგმაში მთლადაც პირველმა პიონერ-ათეისტმა,

მაგრამ, უფალმა, — გასაოცრებავ! — მთლადაც სუპირველ როგორ-ცოდვილს და თან ბოროტად აქამდელ-ჩვენთვისაც როგორ მუდმივად სავალალოდ, კი, მთლადაც ბოლომდელ დღევანდელთათვის, ჩვენთვის, იმ საქციელით სულით მთლად ბოლომოღებულმა, როგორ, ურწმუნოების პირისფარეშს, კაენს, მთლადაც საჯაროდ ნიშანი დასდო იმისა რომ, რომ არასოდეს არ მოეკლა მერეცდამერეც იგი შემხვედრს, დაინდო როგორ, ნეტავირატომ იმ ცოდვის შემდგომ როგორ ძალიან მიმოწანწალე, ის, და ისიცაც კი ბრძანა, უფალმა, რომ მთელ შვიდ წილად, კი, მიეზღვეოდა კაენის მკვლელს კაენის მოკვლა, და, ღვთისგან მისჯილად იხეტიალა, იტორღიალა-რა ძალიანურა ალთაბალთურად კაენმა, დიდხანს, — მერე და მერე აგერ, ჩვენამდეც კი მოაღწია, ხოლო იმ თავის დროში კი ბოლო-ბოლო დაესახლა მაინც, მინამ ძალიან მოწუწუნე, შურისძიების მაინც-შიშით იმ თავის შვილებ — ხოლო ადამის შვილიშვილებიანა კაენი ნოდის ქვეყანაში, გადაღლილ-იყო იმდენი წოწიალით, მაშინ იყო რომ ადამიანმა მრავლად იგემა მიწისაგან ხიჭვი და ძეძვი, თან იღლიაში დაი-თავისი, ჰქონდა, და მრავლდებოდნენ, გზად, გზადაგზა, გზაშიდაგზაში, შობდნენ, და საბოლოოდ იმა ვრცელ ქვეყნად დააბიჯა ცოდვილი ფეხიც სადაც რომ უკვე მომთაბარეობდნენ მასავით მიმოწრიალე კაენიტები, ეს გაძევებულთა და თავისითავის უბედურთა ქვეყანა მაგრამ სადაც, ღვთით, კაენსა მისსა ნაშიერებიანა არა, არ ჰკლავდნენ იმისივე ნაშიერები — მათთვის უცნობიც კაენიტები, და, იქამდე მთლადაც ეკლებში მოხეტიალე კაენი შედგა, შეჩერდა ბოლოს, და გააშენა ქალაქი და, თავის დაია-ნა, რომელზედაც რომ ნებადართულად ყოფიერებდა მართალ-აბელის ველად მოკვლამდეც, დაესახლა, იქ, თუმც, რალ ქალაქი იყო, ესა — თხრილებიღ, მ'ხოლოდ, და მესერითღა შემორაგული თავ-ცოდვის შემდგომ გაველურებულ ცხოველებთაგან თავდასაცავად, და,

ასე იყო, კი,

ასე იყო ეს,
წმიდა წერილი ბრძანებს, ასე,
და უწოდა, კი, თუნდაც წყევითა მაძებარმა უწმინდურ-კაენმა, გადახვეწილმა უფლის პირისაგან იმ ქალაქს თავისი შვილის სახელი ენოს, თუ ენოშ, თუ ენუქ, და, საოცრებავ, მერე და მერე მესამეცშვილიან ადამისა — სახელად სით, თუ სეთ, თუ შეთ, და მისსა ერთ-ერთზედა, კი, შთამომავალზედ? — მოწყალება ეს რადაროგორი: „ხოლო სათნო ეყო ენუქ(ენოშ)ღმერთსა", და, კიდევ მეტად გასაოცრება, „სათნო ეყო"-სის ახსნა, როგორი!: „და არა იპოვა,რამეთუ გარდაცვალა იგი ღმერთმან"

ხოლო კაენმა ამასობაში უფროცკიდევ შვა ძენი, ასულნი,
და იშვნენ მერე ენოქი,
იმისი შვილი ყირადი,
იმისი შვილი მეხუაელი,
აქეთ — შეთისა მრავლდებოდნენ,
იქით კი მეხუაელმა შვა მეთუშალახი, რომელმაც იცოცხლა 969 წელი, ყველაზე დიდხანს, პირველ შვილების შობაზედ-ღა ბრძანებს ხოლმე ხშირად, წმიდა წერილი, და ისე დიდხანს კი იცოცხლა მაგრამ რათ გინდა, იმისგან იშვა შთამომავალიც ცოდვილი ადამისა, აღმსარებლობის მიუხედავად რადგან კაენის სისხლიანიც იშვა ავზნე-ლამექი რომელმაც ორი ცოლი მოიყვანა,

ხოლო ლამექზე ბიბლია უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს, რადგან ლამექი კაენიტების განსაკუთრებით მახასიათებელია. მისი სახელიც, „ლამექ", ზოგიერთი განმარტებით თუ ძლიერსა და მაგარს ნიშნავს, სხვათა მიხედვით? — სულაც „დამანგრეველს", „მტერს"...

და სწორედ ამ ლამექმა, კი, ჩაიდინა პირველი სამარცხვინო საქციელი — ორცოლიანობა, ამით „უკვდავჰყო" თავისი სახელი, ხოლო მისი პირველი შვილი, „იაბალი" თუ „კარავში პირუტყვთან ერთად მცხოვრებთა „მამა"სა ნიშნავს, მეჯოგეების მამობილობას, და მისი ეს მომთაბარეობა არც იყო გასაკვირი რადგანაც რარიგ მოხეტიალე კაენისა ჩამომავლურად შთამომავალი, გახლდათ, მეორე შვილი კი, აჰსაოცრებავ, მოწყალება ეს რადაროგორი: მეორე შვილმა, „იუბალ"-მა, ერთიც ვნახოთ და რაღაცნაირად გამოიგონა სიმებიანი და ჩასაბერი საკრავები, და თუმც ისიც ყოფილა მიწისმოქმედი, მესაქონლე და მონადირე, მაგრამ რატომღაც კი არა და თავად ღვთის ნებით საკრავებიც, — კი, გამოუგონავს რადგან ყველასაგან განსხვავებით, ისა-მისაგან ამომავალი დარგი, მუსიკა, ნდომნია,

ღვთით,

მერეკი ისევ ლამექისაგან იშვა „თუბალ-კაენი, რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი" რომელსაც მამილო-ლამექ ალბათ ყველაზე მეტად სცნობდა,

და, აქ, პირველად ქალის სახელი, ევასი შემდეგ:

„თუბალ-კაენის დას ერქვა ნაყამა" რომელი სახელი ნაყამა-ც „სასიამოვნო"-ს ნიშნავს რაც ასე მიესადაგება იმის (ანუ ნაყამასი) დროსაც და სამომავლოც კაენიტების უფრო და უფრო გახრწნილსა ზნეს და, ვარაუდობენ, რომ ორცოლიანი მამა-ლამექით ტანს ავსულ-ჩადგმულმა — პირველი იყო იმა ქალებში რომლებმაც ძაანაც ხილულ სას.-ცოდვებში („სასიამოვნო ცოდვებში") ჩაითრიეს მამაკაცობა, ხოლო ლამექიც სხვაც-ცოდვებისაგან დროს არ ჰკარგავდა რადგან ან მართლა მოკლა კაცი და ყმაწვილი თუ იქადის თუ იმუქრება ამას „ბიბლიის განმარტებანი"-ს მიხედვით, გაურკვეველია მაგრამ ის კია ლამექი რომ მთლად ქედმაღლურად ტრაბახობს იმისი (თავისი) ხელით მოკვდინებებზე ანუ მისილავ ჭკუით მბრძანებლური შეუპოვრობით? — ეს კია, კია,

ხოლო ადამი რომ შესცქეროდა მესამე შვილის, ნუგეშად-შეთისაც და ყველა ნაშიერთ, კაენიტებსაც, — შორითმხილველი, იყო, და, დაფიქრებული, იყო მწარედ, ადამ — ეს მაინც როგორი და რა ხალხი შემოიხვია, შემოეხვია... ადამი როგორღაც წყნარის და გატრუნულის თავზარდაცემულობით, ფიქრობდა, და, ძლებდა მაინც, — იმ დროს ძალიან დიდხანს ცოცხლობდნენ და ზოგი როგორ და ზოგიც როგორ ცხოვრობდნენყე ადამიანები, 800-900 წელი არაფერი იყო იმათთვის, ეგებ იმიტომ იყვნენ ისე-ძაან დღეხანგრძლივები რომ სუფთა საჭმლით შეურყვნელით და უხორცოდ იკვებებოდნენ, ჰაერიც სალი იყო, წყლებიც, თუ ძალიანა არა ციოდა როგორ მრავლისამომცველ მიწად ეძინათ და კაუდებოდნენ მაგრამ იმდენად რომ დაგეშილები მიმოდიოდნენ, ვარჯიშდებოდნენ, ამით, განსაკუთრებით კი იმ ვარჯიშითა ფიზკულტურულობდნენ რომ რომ-

რავლდებოდნენ, აგრეთვე პაწას გარბ-გამორ-ბოდნენ ჯოგებისა და არვეთ დევნაში რომ-ლებსაც სქელი რძის გარდა ტყავებისათვის ცქვიტად მწყემსავდნენ და მდინარეების გად-ალახვაც ხშირად უწევდათ ბერილ-ტიკით და ყოველივე აი-ამითი თუ ხანგრძლივობდნენ ისე დიდხანს და ჩაქუჩიანი ნევროპათოლოგები თუკილ არ იყვნენ მაშინ ჯერკიდე? — დიდი ამბავი, რაცგინდაც ცოდვა ჩადინათ სრულებით არა-ჰნევრიანობდნენ რაწნევა რისწნევა, და თანაც სად იყო მაშინ გულისგამხეთქი ტე-ლეარხებ თუ ტელეთხრილები და აგრეთვეცა არ იყო მაშვინ ვერ-თეთრ-ყირმიზა მასმედი-ური შაშვალებები და ანდაც შტერულთვალე-ბა ან ამღვრეულთვალე ან გაფაციცებულთვალ მინისტერები სულაც არყვანდნენ აბა ჰეიდა ჩვენსავით კი არა ყვანდნენ... ვაჲ, სიტყვა წამამცდა კიღამ ლამის-უხამსი შენ გადაშენ-დი როგორ ძალიან სასიამოვნოვ მადამ ნაყა-მა,

ღმერთი კი,

დუმდა,

ადამის ძენიც უყრუებდნენ ყურს, თვალებს უხუჭდნენ, მიმოდიოდნენ უგზოუკვლოდ ალ-თაბალთასა,

მაგრამ, ყოველივე ამისადა მიუხედავად, „და იქმნეს ღღენი ადამისნი, რომელთა ცხოვნდა (რაც იცოცხლა) ცხრაასოცდაათ წელ და მოკუდა", და, მიიცვალა, გარდაიცვალა, ადამ. და, ვინ იცის, ეგებ ედემის ბაღსა და სამოთხ-ეში ისევაც მოხვდა ტანჯული ადამ, რადგა-ნაც, ალბათ, ის შეცოდება ეპატია, ღვთით, რად-განაც სწორედ მის საფლავზე, „თხემის ადგ-ილზე" დაეპკურა თავად მაცხოვრის წყალი-დასისხლი. შეუნდო, ეგებ, აღსარებისათვის, იმ.

... მაგრამაც მისი ვრცელდებოდა ადამის მოდგმა, და როგორც უკვე ადრევ აღვნიშნეთ ერთგან გასაოცარი რამ ისა რომ — „ხოლო სათნო ეყო ენოქ (თუ ენოშ, თუ ენოქ, თუ ენუქ, თუ... ვიცოდეთ უნდა რომელიმეთგან მისი მთლად სწორი მართალსახელი) და დადიოდა ღმერთთან ენოქ", — თვით თავად ღმერთთან დადიოდა ადამისა და აბელის შემდგომ!, თუმც ადამთანა თვით დადიოდა, მამაზეციერი, კაენი-კიდე? — ერთხელღა იყო მხოლოდ ღმერთთან, დაბარებული, მეორედ კი, მკვლელს თავად გამოეცხადა ღმერთი იმას მაგრამ რათ გინდა, — და, როგორც გითხარით, კიდევ მეტად გა-დასაოცრებავ, — სხვები თუ ძაან არხეინს იყვნენ, ენოშისადმი თვით ღმერთს მიერ „სათ-ნო ეყო"-სის, ახსნა, კიდევდაკიდევ! „და ალა იპოვა, რამეთუ გარდაცვალა იგი (ენუქ)ღმერთმან", — იქნებ, ვინც მ ა ს-თან მავალია, ინებებს, ასეც... სად მაქვს ამდენი გონება, განსჯა, გულით კი, მგონი რაღაცას ვხვდები... — ,

აქ კი, დავიდებ მხარზე ხელს და ისე ვი-ტყვი რომ ამერია ბოლოს და ბოლოს ვინ ვისი ძე იყო, თუ ვინ ვინა შვა, ან... ეჰ, მე კი არა ადამსაც კი არეულ-ჰყავდა შთამომავლე-ბი, იმათი მოდგმა, სულ ვერღ იცოდა ვისი ლავიწი ვის ლავიწს აწვა, და

ხოლო ენუქმა აკი შვა ხომ მეთუშალახი რა გავაჭირეთ პატარათიც მეთუშალახით, საქმე, ეგებ იმიტომ რომ ესი სახელი მთლიანობაში „ისრის კაცსა" და „იარაღის ადამიანს ნიშ-ნავს", და რომელიცა ალბათ დღე-ხანგრძლივო-ბისათვის ყველაზე ნაკლებ მიაჩერდებოდა ტელევიზორს დღეს და არამცდაარამც ჩაი-ჭვრიტინებოდა მასმედიაში ამჩვე დროში რომ დაბადებულიყო, რომ, რადგან ყველაზე მეტად იცოცხლა — 969 წელი ოღონდაც ესა ძალიან ძველი წელთალრიცხვით და რეკორდი და მერე როგორი დაამყარა მაგრამ სად იყო, აბა მაშ-ვინ, გინესის წიგნი,

მაგრამაც დიდი ამბავი... ეგ არაფერი, იმიტ-ომაც ვერ იცოცხლაა იმდენს,

ხოლო მეთუშალახმა სიყმაწვილისას — სულ რაღაც 200-ოდე წლისამ, შვა ზემორემრავ-ლად ნახსენები ავანგარდისტ-და-რაციონალ-იზატორული ყმაწვილი ლამექ ლუწცოლიანი, რადგანაც, ც., და კიდევ ც., და იმანა კი, კიდევ ძალიან უფრო მეტადა და თითქმის სრულიად შეჭაბუკებულმა (ოთხშვილის შემდგომ), ასე იყო ეს და კიდე რაცხა ოთხმოცდა ორი წლისამ, შვა პატარა ძე.

და უწოდა მას, სახელად... ნოე...

და აი, რატომ, თურითვინ უთქვამს ასე, ლამექს:

„ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფა-ში მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა", —

აიი, თუ ვინა ჰყოფილა პირველჩამყრელი და მესაძირკვლე იმ სა-უცხოო ქმედებებისა მერე და მერე „ინდულგენცია" რომ შეერქვა — „ჩაიდინე, არა, ხომ, ხომკი ცოდვა? მაშინ გენაცვაა, დაჭე ფული და, თავისუფალი ხაარ",

— ეს მოიგონა ასე ლამექმა რომელიც ნამდვილად არ გამოირჩეოდა ღვთისმოსაობით მაგრამ თავისი ტყავის დასაზღვევად ის შვილი, ნოე, საგასაქარწყლებად, გადაიწყვიტა, გიამბობთ შემდგომ,

ხოლო რაც შეეხება მისი, ნოესიმამით ძმებსა და დაიას — აბა რა გვიჭირს თუ დაებრუნდებით ცოტათი უკან ამა ისედაც არეულ-დარეულობაში და არა სჯობიან „სასიამოვნო"-თი რომ წამოვიწყოთ დაბრუნება ეს რადგან ძმებისა მზგავსად კი არა, არამედ უფრო ნაყამაც თურმე თავისებურად გამომგონებელ-ნოვატორი და რაციონალიზატორისტკა იყო რათა „ჩვენთვის რომ ეჩვენებინა (და ეჩვენებინა... და ეჩვენებინა... და ეჩვენებინა და კვლავ ასე შემდეგ) რაღაც იდუმალი" და სწორედაც მან, ავანგარდისტკამ, დაუდო თურმე) სათავე იმ... ეე... — ჰო, დღევანდელურად რომ გამოვთქვათ იმ „საზოგადოებრივი ინსტიტუტი"ს ჩამოყალიბებას, რომელიცა რომ განსაკუთრებულად მიესადაგებოდა კაენიტების მიდრეკილებებს,

„ვარაუდობენ, — ბრძანებს დიდი, მართლაცდა დიადი ოქროპირი, მისი როგორად უდიადესი უმაღლესობა იკვლევდა-რა ამ უზნეო ხალხს, - რომ სწორედ იგი პირველი იყო იმ ქალთაგან რომლებმაც ცოდვაში ჩაითრიეს ღვთის შვილები რითაც დედამიწაზე დაამკვიდრეს ამგვარი უზნეობა" და სად იყო მაშინ ბეჩავ-გინესი, ხომ გაიგებდა რომ ყოველივე ახალი, განსაკუთრებით კიე მოდა ეს მივიწყებული ძველია რადგან რომელსაზემორემრავლადნახსენებარსა ნაყამა-საც აეკვიატა და აიღო და ევა-ბებო-ვით შემოირტყა ლეღვის ფოთოლი ხოლოკი მაშინ მაშინდელი ლეღვის ნაყოფი ლამექის მთელსაც გოგრასა ანუ თავს უდრიდა და ახლა ფოთლებს აღარ იკითხავთ? და ხოლო ევამ ძალიან თუ შემოიტმასნა ლეღვის ფოთოლი და ხელისგულებსაც აფარებდა ზედ, ნაყამა-მან კი, თუმცა შემორტყმით ძალიან მჭიდროდ შემოირტყა იგივ ფოთოლი ხოლო იმ შემორტყმულზე ძაანდეკოლტე ნაქონებარა თანაც ორმხრივი აისეთი, ისეთი როომ, ატლანტიდურა მამაკაცთათვის? — თვალო და თვალო და ქვედატანო, რისირაისი დღევანდელური ვინმ-ეველინა პ., და კიდე, ეე... ეე... — ზოგიერთულა მოკლედ, ქალები, ხოლო, იმათგან მთლად პიონერმა,ნ? მთლად უყელსახვევოდ და მთლად უმანდილოდ-რასაკვირველია მიმოწრიალედ მიმოარეული ორგანიზმისა ზოგიერთულა ნაწილების გახსრხევით (— განსაკუთრებული რხევით) და დაგადუგით („დაგადუგი — ძლიერი და რიტმული ცემის ხმა მაგარი სხეულისა მაგარსავე სხეულზე" — ქართ. ენის განმარტ. ლექსიკონი). კაცებზედ დჟიგიტ ვააჰხვუხ ნაყამამ, რაღაცა 90 წელს არც მიღწეულმა ერთიც ჭაბუკი რომ შეაცდინა, სახელად — იყა.

ხოლოკი ლამექს ძე-იუბალისთვის, მეპუსიკესათვის სადღა სცხელოდა, ხოლო იმათავისიც ძე თუბალ-კაენისა, რვალისა და რკინის საჭურველთა გამომჭედელისა, კი, სწორედაც რომ ძალიან სცხელოდ-ეპაპანაქებოდა და მერე როგორ, რადგან მჭრელ იარაღებს ვერ გამოიყენებდა თუ რა, და რიხიანად უთხრა ერთხელაც თავის გვარდიგვერდულად დაწექილ ცოლებს: „ისმინეთ ჩემი, ლამექის ცოლებო, ყადა და ცილა, ყურად იღეთ ჩემი ნათქვამი: ჰო, მოვკალი კაცი ჩემდა სატკივრად (ნანობდა, ვითომ? — არა-აჰ...) და ყმაწვილი — ჩემდა ჭირად" — ტრაბახობდა? ჰა?

თუ, მართლა მოკლა და მონანიებას ჰთამაშობდა? — ეგება მართლა იყო ღმერთი, — „რაღა არ ხდება" — პატარახნობით შეეჭვდებოდა, ასეც, ლამექი,

და, ხმამაღლადაც სწორედ ამიტომ უთხრა ეს დაგადუგისა მოლოდინში მთლად გაფითრებულ ყადას და ცილას,

ეგებ, მრისხანეს თამაშობდა ან? ისიცოლები მთლად მორჩილებას და არარაობას რომ შედგომოდნენ, — სუარ ეკივლნათ, ანუ.

ხოლო დიდედო როგორ ხშირად რაძალიან ღრმად, დაფიქრებული, უცებ ძალიან გაიქნევდა თავს და, მერე ისევ, რადაღვრემილად დაფიქრებული, ეგება სწორად სულ ვერ იცოდა ისე და ახსოვდა თუ ზუსტად ვერც ახსოვდა ისეთსა იყო გარიყულობასა და ისე ხმადაბლა რომ ძაან ძნიად გაიგებდი თუ რას ამბობდა, ჩაილაპარაკებდა, ასე: „ჰოიი, ადამ, ბეჩავო შენა, ეს რაღა ხალხი შემოიხვიენე, ჩვენი ცოდვებით შე უცაბედად დამძიმებულო, რად აჰყევ, ევას"...

ხოლო ამას კი არცთუ ძალიან იშვიათად იტყოდა ხოლმე; რადგანაც რაცგინდ შორასა, ევას? — ჰსაყვედურობდა; თანაც, მწარედ, და

ზედაც გინდაც იმისსა იმძველძნელ მდგომიარობაში შედიოდა: „ვერ მოგიარა... მაგრამ ადამს შენთვის აბა სად ეცალა, საქმეგამოლეული კი არ იყო, სიტყვებსა სწნამდა... შენ კი ხომ საქმე სუ არარა არა გქონიყა, ევავ, თამამებ სიტყვებს სხარტულად შენა ვერ გამოიგონებინებოდი და, სასმელ-საჭმლისა მოზელცხობისა და ქსოვისაც ხომ არა-იცოდი, რა, ერთი ეგ იყო ედემში რო წალმა-უკულმა დასეირნობდიი, ხეტიალ-ობდიიი, და მაგრამ რაცგინდ გინდაც ედემი ყოფილიყო და იქ ჰყოფილიყავ? — უსაქმურობით გაუსაძლისია ერთდაიგივობა და ერთფეროვნება რაგინდაც ბლომა-ფერები ერიონ შიგა და, რა გექნა შენცა, მინამდე თუმცკი კიუცოდველი მაგრამხო მაინც ქალი იყავ მაინცა შენა და, წაგძლია ემაგ მოკლე სულმა, და, იმა დასაწყევლ — ისე აგიხდა... — ბოროტ-უბრძნესით, დაიწოს ისა, და გინა ედემი და გინდ მედემ-ბედემი ეძახე შენა და ზედაც სამოთხე, დალოცვილი, სულ დაივიწყე... წყეულის გამო“...

! —

სამოთხე მაინც, სიდამ იცოდა!.. მაგრამ ჩვილი ნოესი, ასე 50-60 წლისას ჯერ პაწა თავზე ედო როგორ ლამაზად დაკოჟრილი ნაშრომნაჯაფი ხელისგული, კი,

— და შენც რა გექნა-მეთქი, რაღ დაგრჩენოდა იმა მითომდაც უგონიერესით... ჰეე, ჰეეი, აბადა განა უგონიერესი მიიყვანდა გველად ქცევადა, თავს?, დაიწოს ისა, რადგანაც სწორედ იმითითა მითო საქმითვი მოსწყვიტევი და იგემე კიდეც ის აკრძალული როგორ, ხილი, უცაბედობით კიარა და, უსაქმურობით გაცდინა იმა საგველემ, ადრევეც გველმა, შენა კიდეე, უმაქნისობით? — თავში გიქროდა და შაცდებოდი, ჰო, მა რა ჯანდაბა იქნებოდა, კი...

და უცებ ლამის შახტებოდა:

— ვაიჰ! და, შენ რო ვერა შაცდენილიყავ ებალღი როგორღ მეყოლებოდა..., ვეჰ!

ნოეს დიდედო? — მპატიებელი იყო, ნოეთი...

პატიება კი, ვის აღარ გვინდა ადამიანებს, ჩვენ, იმთავითვე და აამ ბოლომდე, და აბა რომელი წითელკოჭები ვიყავით მაშინ, ც, ხოლო ძალიან განსაკუთრებით? მთლად ავზნიანებს გვჭიროდა, ესა, და, ლამექმა რომ თავისისა პაპის პაპათა — გულღვარძლძალიანგესლიანად ღრძო კაენისა ის გაიხსენა მკვლელის მოკვდენად მოკვდინება რომ ასაკრძალად ბრძანა ღმერთმა და, იმხნევა კიდეც, თაღლითი გული:

„— თუკი კაენის მომკვლელებს თვით ღვთით შვიდგზისად მიეზღვეოდათ ლამექის გამო სამოცდაჩვიდმეტგზის მიეზღვებათ“, —

მაგრამ, უნდოდა კიდევ რაღაც, კანტყავით გრძნობდა რომ ჩაბუდულს მასში მისსა კუპრს სურდა კიდევ-რამ, ჯერ მამშვიდელი და, მერე კიდევაც-გამაარხეინებელი,

და,

რომ „იცოცხლა ლამექმა 182 წელი (— „თითი არ მოგვკვნიტო“...) და შვა ძე“. ეს ადრე იყო კიდევ სხვა ძეებზე, მეოთხე შვილიც ძლიერ ყმაწვილსა შეეძინა. ხოლო, იმასა? — „და უწოდა მას სახელად ნოე“,

და ასე თქვა მაშინ ლამექმა, აკი როგორაც მოგახსენეთ სავინიცობა-საინდულგენციოდ ოღონდ შვილისა, ხარჯზე: „ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში (დიდი მშრომელი და მეჯაფე ჯეილი იყო, კი,) ამ მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა“,

ხოლო ეს იმიტომა თქვა და ინება ასე რკინულ-ლამექმა, რადგან, თუმც სულ არ იყო სუცოტათიც კი ღვთისმოსავი და სახელიც მისი „ლამექ“ აკი ნიშნავდა „მძვინვარე ადამიანს, ომისა და ნგრევის კაცს“, მაგრამ როდესაც კაენისებრ ეგებ მართლაცდა მოჰკლა კაცი და მიაყოლა ჭაბუკიც-ვინმე, გაიფიქრა რომ, ვაითუ მართლა დანრისხებოდა მისთვის თუმც ყოვლად გამოუცხადებელი მაგრამ ეგების სადღაცას მაღლა ცა-ცებში მყოფი ღმერთი, და, კაენიტმა, ისე-ყოველი-შემთხვევისათვის მიტომ უწოდა შვილს ნოე რომ გამოსულიყო იგი ბევრშრომით მამაიმისისათვის „დამშვიდების, ნუგეშის სახით“, და ამით ეგებ გამოსცლოდა თუნდ სათუო-ღმერთისაგან მიწის დაწყევლას, ჯერ კიდევ როდის, კაენისდროინდელს, ძალა, და სურდა ამა თავისი ვითომცი წინსვლით — შვილისადმი „ნოე“-ს დარქმევით — ნიშნავს აგრეთვე: „დაცხრომა, გინა განსუენება“,ს, — და ამიტომაც გამწესებად სწორედაც მისსა, ხორცითა შვილისა, მიწად შრომისა, გამოსყიდვია ფასად, თავი რომ ყოველ-შემთხვევისათვის უჩინარ ქუდში ჰქონიყო და მან, ეგრეთწოდებულმა ატლანტიდისა-პადრე-დ-ლამექმა საჯაროდ დასდო აღთქმა იმისა რომ მისი ეს ვაჟი, ანკეტურა სახელად ნოე, სრულწლოვანი რომ გახდებოდა? —

სრულწლოვანება კი მაშინ ასე 120 წლიდან ეწყებოდათ ადამიანებს — ის მერე რა რომ სხვადასხვა არხებს თუ ღარებს-ტელევიზიურს ვერ უყურებდნენ არამედ კაენისმიერ თხრილებს შესცქეროდნენ, მხოლოდ და ეგებ ამიტომაც ძლიერ ნელინელ იზრდებოდნენ, მაშინ, სამაგიეროდ კი, ხომ მოგახსენეთ რომ საშუალოდ ასე რვაასსა წელიწადს ცოცხლობდნენ მაშინ რადგან ჰაერი იყო შეურყვნელი (ესაც მოგახსენეთ) და თუ ადამიანთა გამონასუნთქით იბილწებოდა მაგრამ არცაც ღვთითნაბოძები ბუნება არა თვლემდა და ვებერთელა შროშანები ჰაერს მეტადაც სწმენდდნენ (ეს კი ჯერ სულაც არ მომიხსენებია მაგრამ აკი „სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს") და საღი თევზები დაცურავდნენ რაღა თქმა უნდა წყალში თანაც აუმღვრეველში და როგორც ახლა-მეთქი, მეთქი, ქრისტეს იესად შობიდან 1990-2000-ან წლებში ტელევიზიით არ გადმოიცემებინებ-მოქმედებდნენ მეთქიმეთქი როგორღაც მჟავედ-სამომაკვდინოდ აღჭრილები არხებ-მაუწყებლობანი (და კიდევ კარგი რომ სამიოდ მსრულებელი-ვინმ,მ,მ, — მღერაობითა — ქართულ-რუსულადც-დაინგლისურადცა, მჯღნავი, საზღვარგარეთულ ჰოპ-ჰოპ-როკ-ენსტრნადებზე მიიწვიეს (იქაც არანაკლებ უქიქინებთ) და სულაც არა გამოდიოდა აისეთური შხამმყვარიანი გაზეთები როგორებიცაა „26664 საათი" (— გრძელგაზეთია, და რამდენისათვის დასაბრმავებლად ისე აშუქებს მთელ რიგ საკითხთა წარწყმედილ კონას?—! (და კიდევ ბევრიცსხვაგაზეთი და მხარს უბამენ იმათ, ადრეც და ახლაც მთავრობისთაებს მთლად დამწყებლური ავანგარდისტული) ანუ მეწინავე... (— ისემც!) ვაი-მწერლებიც, იეფად ნაშოვნ „წარმატებ"-თავშიავარდნილები აი იქამდეც რომ ჩვენს წმიდანებსაც კი მისდგნენ ანუ როარ ვარგანან ზნაჩიტ ვჯობივართ იმათ ჩვენაო სად ჰქონდა აბა თამარ დედოფალს ჩემისთანევი ნოველლლლებიო და სიბინძურისაკენ როგორ გულგრილად ანუ კრეჭ-ღმეჭა-კრეჭით როგორ ძალიან უმართალგულოდ და საერთოდაც მთლად უგულოდ და სინამდვილეში კი დაბალ-გონებით საყოველ-თაო დათრგუნვისაკენ ბოროტის-ქირით მებაირაღენი — რადგან გულისგამხეთქნი გულუბრყვილო მსმენელებისა თუ მაყურებლისა თუ მკითხველებისათვის — კურსია ასეთი და ტელევიზიითც ზოგიერთულა ხშირად გამოდის — რა ქნას იმანაც კაი-ადგილი, უნდა, უნდა, დარაჯნას, გინა ———ი, ეშმაკისფეხნი კი არა და, სატანის ფეხის მთლად ცერათითის ტურტლნი და მწვირე, მიღწეულები თავისის ჭკუით პროზ-პოეზია-მხატვრობაში უმაღლესთ მწვერვალთ ისი საბრალო მიქელანჯელო კი ჩიოდა, 89 წლისა, რა ცუდ დროს ვკვდები ახლაღ ვისწავლე ხელოვნებაში ანაბანაო, და ლეონარდოს დასრულებულად და სრულყოფილად ვერ მიაჩნდა თავისი არცერთი ნახატი — შევიხსენოთ აქ რაების ავტორს, და, კი დავაშავეთ რამდენი რამ მაგრამ მაინც რა დავაშავეთ ძაან ისეთი რომ ეს კაენისზინტლნი ასე ძალიან მოდებულ-გვყვანან —

და, სახალხოდაც, ფერად-ჭრელადი ტელევიზიით თავიანთურა ტყავ-სიყვარულით იკრიჭებიან, ზოგიც ნამეტურ „კონფიდენციალური"სა ჰთამაშობს, ზოგიც — ღრმულ-ღრმულად აკადემიანურს მთელის თავისი იმათავისი სერიოზნულობით განითამაშებს, ზოგი, და თან სიტყვას სახალხოდ აწყვეტინებენ ისეთ... დამსახურება-ს თავი რომც გავანებოთ მამა-პაპებად რომ ეკუთვნიან, იმათ, და ერთსაც როგორ თავხედურ თუმცა ნაკითხ თუმცა რად გინდა და მაინც როგორ უვიც კვარტეტში კიდევ კარგი რომ არ შედიოდნენ — თორემ, სხვაგვარად, გაგვიგჯებოდა მართლა გული — ახალი თაობის ისეთი მართლაც ბრწყინვალე და ურიოშონი გულით, ქცევითაც, მართლა მწერლები, არა-მათსავით, — გიო ახვლედიანი, ლაშა იმედაშვილი, ზვიად რატიანი, ბესიკ ხვედელიძე, დათო გოგიბედაშვილი, გიორგი შერვაშიძე, გურამ მეგრელიშვილი, კობა რობაქიძე და ჩვენდა როგორ საბედნიეროდ, სხვებიც, და სხვებიც, კი, ხოლო ერთ-ერთი იმათგანი (იკვარტეტისა), განსაკუთრებულად ჰოპ-ავანგარდისტი სიტყვას თუმც ხშირად აწყვეტინებდა პაპათტოლა კაცთ, და თუ ხანდისხანობით ეს არა — თავის ვითომდაც მიმომხიბვლელი სიმართლეთი უფროსებისანათქვამზე რაძალიან დამცინაურად იკრიჭებოდა, ისე-ცრუ პირით რომ გამახსენდა მთლად დიდედოსი არა მაგრამ ჩემი ბებია ფაცას ნათქვამი ვინმე ქლესაზე — „რავა ყველისი ვაჭარივით იკრიჭები, შენ", — რატო ყველისა, მაინცდამაინც, რა ვიცი, ასე კი ამბობდა ძალიან ადრე და თურმე არცთუ ძალიან ტყუილად, ღღევანდელებზეც,

ერთი რამ კი ჰქმნა — შეგვაყვარასავით, გარიყული ერთი-ვინმ, კაცი:

კაცო, ისი ნარცისი, შეყვარებული თავის თავში, თავს სულ არავის ახვევდა თავს, იჯდა თავისთვის, სუფთა წყალში იყურებოდა და, არც თანამდებობა უნდოდა დ არც არაფერი, იყო, კი, ასე, ესენი კიდენ? — „აჰხ რა კარგი ვარ რა მშვენნიერი!!!“ — ხოლო ნარცისი თურმე მართლა მომხიბვლელ-იყო, თუგინდაც წყალზე, და ჩუმათ იყო, ენის ტარტალი არა სჩვეოდა ამისთანავებით.

და მაინც რა მოკლე ხანში შეიპკურეს, იპკურეს ვითომ, თავისი ჭკუით, ძალი, და ასე ძალიან არა მაგრამ ყოველთვის იყო, გვჭირდა ჩვენ ეგა, თანამდებობითვი, ც, და ვნახავთ აგერც თუარ დაჰნიშნამენ, წყალობსთ ეგეთებს, დირეხტურები, ხოლო ლამექმა, ის მერე რა რომ იმდროინდელმა პადრედ-მპყრობელმა ამითაც როგორ გამოიჩინა კაცთმკვლელობისკენ მიდრეკილური ხელი და თავი და, რომ მოიხსნა თავისი ჭკუით ეგებარსებულ ღვთისა წინაშე საფრთხე იმითი რომ მიწათ მოქმედს,

ანუ ნოეს,

თავისი ვინცგინდ და რაცგინდ ყოფილიყო და მაინც მამის, ლამექისა გამოსასყიდად

როგორ ეკუთვნა მიწა-მიწად შრომა ულევი,

მაგრამაც ნოე ერთსაც საქმეს ძლიერ უზადოდ, წარჩინებულად ძალიან ფლობდა — ღურგლობა იყო, ეს.

ხუროობა.

ნოე რომ მისით გაშალაშინებულ ხეში ლურსმანს რაზუსტი მოძრაობით ჩაასობდა, არ ტკიოდა, ხეს. და როგორ ღირდა ყურებად ის, რომ, ის რომ რანდავდა — ეს იუბალი უკრავდა, თითქოს, პრიალდებოდა მის ხელისგულებქვეშ წიფელი იქნებოდა, მუხა თუ ფიჭვი, მხოლოდ ურთხელს არ ეკარებოდა, ვერ იმეტებდა მოსაჭრელად რადგან „ურხელი — მაღალი წიწვოვანი ხე. აქვს ძვირფასი მოწითალო ფერის გამძლე მერქანი“.

ხოლო მერე და მერე, დიდი ხნის შემდგომ, არც ხის დიად ჯადოქართ — სტრადივარისა და გუარნერის ხეებს სტკიოდათ ჯერ რანდა და მერე შალაშინი, ანდა ეგებ ტკიოდათ მაგრამ მსგავსად „დედაკაცი (ხეც) რაჯამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყრმაი, არღარა მოეღხსენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი (ვიოლინო) სოფელსა შინა“, რომ მოიგლინაროგორ-ხელებით საკრავთა მეფედ რა დიდებულად შენაკოწიწიც სიმებიანა საკრავთ მეფე ქვეყნად, ეს — ვიოლინო იყო სტრადივარ და გუარნერის გრძნეულ ხელებში ურთხმელიცა და ნაძვიც, ფიჭვი,

და, ასე რომ-რო,

რომკი მიუსაჯა ლამექმა ნოეს თავისთავისთვის თავისი ჭკუით მხოლოც მიწითმშრომლობა და, უანდერძაც? —

სულ მთლად ბოლომდე არ იყო, ასე, თოხბარის გარდაც ნოე ხერხსა და ჩაქუჩს და ხელეჩოს ძვირუხსენებლად, უნაკლოდ ფლობდა, ეფერებოდა ნოე ხეებს, ფაქიზ-თითებით, ნივთად აქცევდა, ერთი ურთხელს ვერ ეკარებოდა, თავს ვერა თვლიდა იმისსა ღირსად.

ხოლო ემაშინ ქალაქისთავმაც და პოსეიდონის ტაძრისა მძღოლმა, პადრედ-ლამექმა არა იცოდა-რა ნოეს მაღალი ხუროობისა, — თორეე, იფრენდაა, მტრისას, — სულსუპირველად რომ გადასწყვიტა სუთავიდან ეს — მიწის დაწყევლის შვილით-შრომისა გამოსყიდვა, ემაშინ მშვიდმა, შემშვიდებულმა, „მაგარ“-ლამექმა თავისი ეგრეთწოდებული ქალიშვილის, სახელად „ნაყამა“-თი — რაც რომ „სასიამოვნო“ს გარდა „მორთულობას და მოკაზმულობას“ და რაც მთავარია „მიზიდვას“-აც ნიშნავდა, დაადო თავი და მშვიდად შევიდა იმა-დიდათე აღსაგზნებელში რომელიცა რომ ის-აღგზნებული ნამდვილად მისის (კაციანი ქალი) და მეტიც უფრო ბევრსახოვანსა მისსისებ-სებთ ქალიშვილისა (აკი სიტყვაა პიროობითი) მიერ დაარსებულ ჭრელურ ბარდაკში. რაცგინდა ძაან აღგზნებული, მშვიდად შევიდა, კი. ნაჩვევი იყო. ხოლო იქ აკი ნაყამასისტკეები დაუღალავად, მართლაცდა როგორ მუხლჩაუხრელად, შრომობდნენა, იქ.

და ხოლო ნოე კი მამაიმისსას ხომ სულ აღარა ენაღვლებოდა, მთავარი ისი იყო მისთვის რომ მიწის კაცად გაამწესა, დაბადებიდანვე აკანონა, ეს, ასე 80-ოდ წლამდე ასვენა — მინამდე სანამ მთლად ბალღი იყო მოუწიფავი, და — თუმც დიდედოს თავისი სიძედ ლამექი არ უყვარდა და კი არა და... ძალიანც მეტი, მაგრამ უყვარდა როგორძალიან შვილიშვილი, ორმაგი ნოე, მართლურად ზრდიდა, და აი ახლაც კი, რომ აღარ იყო ამა ძნელქვეყნად უყვარდა მაინც როგორ და როგორ,

და თუმცა ნოეს ძაან ერჩივნა თივაზე წოლა, და ესეცა ხომ აღზრდა იყო ერთგვარი, ჰო, კი, მაგრამ მოისმა დიდედოსი:

— გეყო. ქალაქისაკენ წადი, ნოე.

მაგრამაც ნოეს, სამუდამოდ ბალღს — არის ასეთი ბედნიერება ოღონდ ძალიან იშვიათურად, კი — თივაზედ წოლა იმ თავის ქალაქს დიდად ერჩივნა, — გაემეორა

— წამოდექ, ზეზე.

წამოდგა, ნოე.

და,:

— ქალაქისაკენ, ნოეე, იარ. — გამოგვივიდა, ეფრეიტორი... — არა, დიდედო კარგი, კარგიყო, ხმაც — რბილი ჰქონოდა: — დამიჯერევი...

რაღ დარჩენოდა. მძიმედ, დაიძრა.

—

მაგრამ ის მაინც კარგი იყო რომ ამ დღესაც, კი, თივის წყალობით თვით სიცოცხლისა მაუწყებელ-და-მაცოცხლებელი რომკი შეიგრძნო სუნად, თვით სული, და აკვირდებოდა როცა სხეულს და ძალიან-ა ითვალიერებდა, — როგორ გონივრად ჰქონდა აწყობილი და თავად სულთან კი შედარებით ამა უბადრუკ სხეულისა სჯეროდა ნაკლებ, თან სული-ისი რა ზევითიც იყო და თან რა შიგნით, ც და ნესტოებით სუნთქვაცშთაბერილ შიგანს უფრო, კი, ამცნო ჩალისფერვ თივით, ეს, და, ატლანტიდისკენ მავალი, გზაზე, მაინც გრძნობდა და იცოდა რომ, იმა ვითომცადა მყარად დაწყევლილ დედამიწაზე მისით შრომა რომ იმ შრომასა ბედნიერებად გარდუქცევს, ღმერთი — რას და რას აღარ ამოუყვანს, უბოძებს ნოეს, და, ხოლოკი კი ატლანტიდასაკენ მიმავალს, გზაში, იმ გზად აქეთ ხვდებოდნენ ნოესათვის როგორი უცხო და მაგრამ მაინც მისიანები შემოხვდებოდნენ მამა-კაცებად წოდებულები, და, ერთმანეთი თუმც სრულებით არ ეხატათ გულზე, ეპიტნავებოდათ არ, ესალმებოდნენ მაინც ერთურთს რადგან ასეთი იყო, წესი,

რომელიმესაგან, პირველ-თქმულიყო უნდა

— ბარრა.

ეგებ აქედან წარმოიშვა თანამედროვე სიტყვა „ბრავო", რადგანაც „ბარრა" ნოეს იმ შემხვედრისათვის უნდა ეთქვა ვისაც რომ ილლიაში სასიამოვნოდ სასიამუვნე ქალი ჰქონდა, კი, ამოჩრილი, ატლანტიდადან წამოღებული, კი, სადაც ნაყამას ხორცშემწეობით დაინახესა მამაკაცებმა რომ „მშვენიერები იყვნენ ადამიანთა ასულები მათთვის და მოჰყავდათ ცოლად ვისაც ვინ მოეწონებოდა" ზოგიერთს ლამექის უკვე-ამასდურობით რწყვილადაც ესვათ ორ-ორნი სასიამუვნო, ცოლნი მაგრამ თვით ატლანტიდაში არ სარგებლობდნენ, ქალით, მხოლოდ ხორცთშეწირვის დროს (კერპთ-ეჭმეოდათ) იმა დიდ ტაძარ-პოსეიდონისას,ში, — იმასხო აკი ძაანაც მობეზრებული ჰქონდა თევზი, შესწირავდნენ შემწვარ-მოხარშულ-მოხრაკულებ ხორცს და ოკეანედ აგდებდნენ სადაც რომ პოსეიდონი იმათი ჭკუით არა თვლემდა და მერე კიდენ? — ამით უფლებამოსილები დაერეოდნენ ერთიმეორეს; უკერპსამსახურო დღეებში კი იმიტომ გამოჰქონდათ დედაკაცები რომ, რა იცი, ეგებ ალესილი რკინითა ეგება მაშვრალი და ერთრამ ნატკენი საერთო ჯამში დაუდგრომელი ლამექ კი მაინც ისვენებდა ნელინელური ხანდისხანობითა, — ისე კი არ იყო მართლა საქმე რომ მთლად-განუწყვეტლივ განუწყვეტელი სიამოვნობებებობა ეჰთამაშებინა, და, საერთოდაც,

„ბუმბერაზები იყვნენ იმ ხანებში ქვეყნად და მას მერეც, როცა ღვთისშვილები (—მაინც...) შედიოდნენ ადამიანის ასულებთან (— როგორიც გინდა ჰყოფილიყვნენ, მაინც...), რომლებიც უშობდნენ მათ". და რადგან მორიგ-მორიგ ადამიანთა შობა-გაჩენა უშრომელად ვერ შეიძლებოდა, ამიტომ მათი (ბუმბერაზების) ცოლები მაშინ... რომელი სიტყვა... ჰო — იმისობისას, იმიანობისას სუულ ყველანი უკლებლივ კიოდნენ — ეს თუ რატომ და, ზოგი სიამოვნებისაგან გაჰკიოდა, ზოგიც კი — ბარრად ტანჯული ტკივილებისაგან ამოჰკიოდა — ვინ რა იცოდა თუ ვის და რომელს რადარარიგი დამთხვევითობა შემოხვდებოდა, და ამიტომაც ღვიძლ-ჯიგარ ცოლებს ხშირად უცვლიდნენ ერთიმეორეს, ერთიმეორეში, ან — სესხად ავახშებდნენ,ც, საზღაურით, კიი და თუ ნოესთან შემხვედრს ორთავ ილლია დასაქმებული, ჰქონდა? — ერთ-ერთ ცოლს — მკვიდრი იქნებოდა ის თუ გაცვლითურა-ანნათხოვრულად შესესხებული, მიწაზე დებდა და იმ ბარაა-სალამზე? — გამოექალამანებოდა:

— რიქშა, იშშაკა.

ხოლო ეს „რიქშა" რასა ჰნიშნამა, ანდაც „იშშაკა", ახლაც არ ვიცი... ჩამორჩენილ-ვარ... უპოლიტიკანო.... მაგრამაც, მაინც, უნდა ვიმხ-

ნევოთ უნდა უბევრ-ენებო, თავი — გაუში სხვებმა იცოდნენყე ბევრნი ენები და მათი-ტარტალი ხოლო ამ მე-ს კი მეზადაპირულს (—ძალიან, ვითომა?! — ერთი კინკილა ქართულიც მკმარა, მე ამა ყარიბ ქართულზედაც ყაბულსა ვაარვარ მაგრამ ეს საიდან სად გადმოვუხვიე..., მოკლედ, სა-ასაკივლოდ ბუჩქებისაკენ ოლონდ ვარდების მიჰქონდათაყე ერთორ ქალები, ხოლო ატლანტიდაში? — მიაგნეს იმას, რომ, რადგანაც ქალი აკი ხომკი ძალიანაც-კი კარგია, არა? და მაშინ ქალი თუ რაცმეტი იქნება ის არ სჯობიან?, და, სქელადსქელი ქალები იყვნენ მთელს იმ ქალაქში ძაანმოდა-ში, მაგრამ, მართლა კი არ იყვნენ ბუმბერაზები (— მამაკოქმრიკო კაცები), მეტრა-სემდესიატიც ვერ იყო, ზოგი, და იმოდონა და იმსიდიდო ქალისა თრევა გინდ უცაბედად გამობანილ იღლიითა არ გინდოდა? ჰა?

მაგრამ ადამიანი რადგან გონიერია, ის ფსხვილი ქალი კი-ქონდათ იღლიაში მაგრამ ვარდების ბუჩქებისაკენ ვირისა ჯიპვირ-ტაჭკითა მიედინებოდნენ, ცალ-იღლიითრო ქალი გაქონდათ ასაკივლელად მეორე ხელი ტაჭკის (ჯიპვირრის) ოოჟეები (ოოჟი — სადავე — სლავ.) ეჭირნათ ხოლმე, და აი ასე მოქონდაც ხოლმე კარგა-ქალები, ფსხვილ-ფსხვილნი-რაღა, კი, მოკლეთ, და რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, სასიამო-ენებოდ იღვაწეობინებოდნენ-ცაცა, ეხევ მოკლედ, ისი ქალები კი, კიოდენ, მოკლედ, თუმც რაღა მოკლედ!, მოკლედ კი არა არამედ თვით ცამდე მთლად გრძლად, ნეტარებისაგანთუ ანდაც ძაან პირიქით, მოკლეთ, ჰკიოდნენ, აბა!?, კი,

ხოლო რადგანაც ბუმბერაზთათვის არ არსებობდა ისეთი ქალი ყოველ კაცთერთთას ტანთსასიამოვნო რომ არ ჰყოფილიყო და ვიღას აღარა სჯერდებოდნენ ხოლო ძალიან მსხვილებსა კი — ტანტანსასიამოვნოებს ეძახდენა, დიდად სწყუროდათ ბუჩქებისაკეენ ტანტანსასიამოვნოებით, ტანტალი — მეტად ცუდფინთი ვიყო თუკი ვიტყუილებოდე,

ნოე კი თვით იმ ქალაქშიც კი იმედით შედიოდა, კი, თვით დიდსამ-თითჩანგალას (—კარგა მომჩანგველს ამბობდნენ პოსეიდონზე, კი,) შვილ-ატლანტისა რომკი გახლდათ, კი, და სახელიც-რომ მისი ერქვა კისწორეთა, კი, და თავსაც იმით იმხნევებდა, კი, ამა ქალაქად ის ერთადერთი კაცი, მთლადაც სუგიჟად შერაცხილი, კი, რადგან გლახაკი ხანდახან გინდაც მხიარული, კი, და როგორ-უცნაურ სახელად მხოლოდ მხოლოდღა — „თ“, კი, როგორ ნეტარად თავისად ჰყავდა, თ...

კი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მაშუკა დოლიძე

ჩემი ბილიკით დიდგორისკენ

მოთხრობა

ეძღვნება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში
დაღუპულ გმირებს

სათავე

ღმერთო! საიდან გაჩნდა ამ სილამაზეში ეს გაბოროტებული არსება?! ხმალი კითხვის ნიშანივით აღუმართავს, არ იცის, რა უნდა – მითვისოს უცხო წალკოტი, თუ გააკამტვეროს, არაფრად აქციოს... ეს ხმალი პატრონივით მოუსვენარია; როცა ხელი იღლება მისი ქნევით, ლამის მოწყდეს ხელს და თავისით დატრიალდეს, როგორც სიკვდილის ცელი. ისიც არ იცის, რად გამოადგება უცხო სილამაზე, მის ხელში რომ ჭკნება, კვდება და ფურცელ-ფურცელ მიყვება ქარს. არ იცის, მაგრამ სხვისი მოსპობის ჟინი არ ასვენებს.

ღმერთო! როგორ შევაჩერო ჩემი ქვეყნის დამანგრეველი ეს მოუსვენარი, მოუხელთებელი თარეში?!

მეფედ ვიყავი კურთხეული, ძალა ჩემს ხელში იყო, მაგრამ გონიერ ძალას ის უგუნური არსება თვალსა და ხელს შუა უსხლტებოდა, რადგან არ სცნობდა კანონს. ნგრევის გარდა, სხვა არც ჰქონდა მიზანი. ურჩხულივით იყო შემოწოლილი ჩემი გონების კუნძულს და თავისი გაუმაძღარი თათებით ნელ-ნელა, ლუკმა-ლუკმა ყლაპავდა მას. ლექსების წერა რომ არ მცოდნოდა, ალბათ, ვერც ვერასდროს მოვერეოდი, რადგან მის მოუწესრიგებელ, კანონგარეშე შემთხვევითობას მხოლოდ ჩემი პოეზიის თავისუფლება განჭვრეტდა! სასახლის კარზე გაოცებას ვერ მალავდნენ – რა დროს ლექსების წერაა ამ დიდი თურქობის ხანაშიო, მაგრამ როგორ ამეხსნა თუნდაც დედოფლისთვის, რომ ძალა, რომელიც არ სცნობდა ბრძოლის წესებს, სტრიქონებად ქცეული და გარითმული, მისაწვდომი გახდებოდა ჩემთვის, რადგან თუ ის კანონგარეშე მოქმედებდა, მეც, სიტყვის მადლით, თავისუფალი ვიყავი, მეც ვიხედებოდი კანონის და აუცილებლობის მიღმა და არ ვკარგავდი იმედს, რომ დავინახავდი უხილავს.

ვერც ერთი ჩემი ფილოსოფოსი ვერ განჭვრეტდა ხიფათის მოახლოებას. მე კი, წინასწარ ვგრძნობდი სტრიქონებად ქცეული მტრის შემოსევას. გული მიგრძნობდა, სად გამოჩნდებოდა ის. საფრთხეს შევიგრძნობდი, როგორც ჩემი ქვეყნის ლექსად თქმული სილამაზის უეცარ რღვევას: იქ, სადაც სიტყვა ფერხდებოდა, ლაღად და თავისუფლად ვეღარ ირეკლავდა ქვეყანას, სწორედ იქ უნდა მომხდარიყო, ან უკვე ხდებოდა გადამთიელთა თარეში.

ერთხელ, ნაჭარმაგევში მესიზმრა, როგორ ინგრეოდა კლდეკარის ციხე. წამოვფრინდი და მზე რომ ამოიწვერა, უკვე თეძამის ხეობაში ვიყავი. არ ვიცი, რამ დამასიზმრა ეს?! იქნებ იმან, რომ შუალამედე საწერ მაგიდასთან ვიჯექი, ვწერდი და ვერც ვწერდი, რაღაც მიშლიდა ხელს. სიტყვები კი ლაგდებოდნენ სტრიქონებად, მაგრამ სტრიქონი ვერ მიედინებოდა ლაღად, თავისით, შეუცნობლად, დასახული მიზნისაკენ და ისე მომერია ძილი, ისე შეერია სიტყვით მოტანილი ხილვა სიზმრებს, ვერც კი დავიჭირე სიზმარ-ცხადის ხიდზე გადასვლის წამი. მე მხოლოდ საბოლოო შედეგი ვიხილე –

ოთხივე კუთხით ცეცხლად ავარდნილი კლდეკარი...

მზეს ამოსვლა არც დავაცადე, არჯევანის მთას შევუდექი. ავდიოდი მაღლა და მაღლა. ჩემი ბრძანებით ლოგინიდან წამოგდებული ჯარი სახეამღვრეული მომდევდა. ვერაფრით გაიგეს, რატომ მივაქროლებდი ჩემს შიშნარევ ფიქრებს კლდეკარის ციხისკენ, როცა მტრის გამოჩენის არავითარი მოლოდინი არ არსებობდა იქ, გადამთიელთა სიახლოვის ნიშან-წყალიც არ ჩანდა გარემოს. მართლაც, რომ ავედით, კლდეკარი უვნებლად დამხვდა. ისეთი სიმშვიდე, სიჩუმე და სილამაზე მეფობდა ირგვლივ, თითქო ციხე-კოშკი ჩემი ქვეყნის სისხლით სავსე ისტორიის გარეთ იყო გატანილი და მარადისობასთან შერწყმული.

მხოლოდ მე ვგრძნობდი, რომ ეს იდილია მოჩვენებითი იყო. მწვანე ზვირთებად გადმოღვრილ ფერდობზე ბრაზით მოელვარე სახეები დავლანდე. რომც არავინ ყოფილიყო, უნდა მერწმუნა მტრის არსებობა ამ მშვიდ და ჩუმ გარემოცვაში, ჩემს თვალს უნდა დაენახა, წარმოესახა, შეექმნა ხიფათი იქ, სადაც თითქოს არაფერი იყო საშიში. თუ ჩემი მოლოდინი არ გამართლდებოდა, დამიჩლუნგდებოდა გულის ხმა — ერთადერთი იარაღი, რომლის მეშვეობითაც შემეძლო უწესრიგოდ, უაზროდ და უმიზნოდ მოხეტიალე მტრის გამოცნობა. ბრძოლა უნდა გადამეხადა იქ, სადაც თავისთავად იქნებ არც მომხდარიყო ბრძოლა, სხვანაირად არათუ ხმა გაქრებოდა, ძალას დაკარგავდა მეფის სიტყვაც; აღარავინ ენდობოდა სიზმრად ნანახ თუ სიტყვით მოტანილ ხილვას, იმ ერთადერთ გამონათებას, რომელიც ამსხვრევდა ბნელი ძალების წყვდიადს. არ შეიძლება, ჩემი სიზმარი ცხადის მომასწავებელი არ ყოფილიყო... უნდა შემეგრძნო, დამენახა არარსებული მტერი ხეთა შორის ჩაღვრილ სივრცეში, ყურს იარაღის ჟღარუნი უნდა გაეგონა ახალგაღვიძებული ტყის იდუმალ შრიალში. ის, რაც ტოტი შეიძლება ყოფილიყო, დავლანდე, როგორც ხმალი. მტრის დანახვა და ჩემი ბრძანება ერთი იყო. აქამდე ეჭვით შეპყრობილი ჯარი უცებ გაიშალა, რისხვით განათდა. ამომავალი მზის ათასი სხივი აირეკლა ქარქაშიდან ამოღებულ ხმლებში და სიტყვა არც მქონდა ჩამთავრებული, გადამთიელებად ქცეული ტყე უკვე ყოველმხრივ იჩხეხებოდა და გარბოდა.

❀ ❀ ❀

კლდეკართან გამარჯვებამ მიიქცა ზეიმად გამოიწვია სასახლეში. ვერც ერთი სასულიერო მოაზროვნე პოლიტიკოსი ვერ გაიზიარებდა მტრის პოეტურ-სიზმრისეული ხერხებით აღმოჩენის გზებს. კლდეკარის ერისთავმა — ლიპარიტმა, წარმოსახვის თამაშად მიიჩნია ციხეს შემორტყმული მტერი.

— რომელი გადარეული შეაკვდება კლდეკარის ციხეს, როცა ქვეყანას არც გალავანი აქვს, არც კარი?! ნებისმიერი მხრიდან შემოდის და გადის გადამთიელი. შენი მოლოდინის მიხედვით ის არ იმოქმედებს, მეფეო.

— ეს მოლოდინი მაინც უნდა არსებობდეს!

— რა საჭიროა? ვინ ამოძირკვავს იმ უცხო თესლს, უდაბნოს ქარმა რომ შემოიტანა ჩვენთან? პირიქით, რაც მეტს შეებრძოლები, უფრო გაბოროტდება, ბრძოლას დაგიწყებს, თუ ყურადღებას არ მიაქცევ, იქნება თავისთვის, ფესვებს გაიდგამს, აღმოცენდება და ისე შემპარავად შეეთვისება აქაურობას, ქართველს და არაქართველს ველარც გაარჩევ ერთმანეთისგან.

— ვის ჭირდება ასეთი უჯიშო ერი, რომელსაც ქართველობა მარტო სადღეგრძელოებად და თქმულებებად შემორჩება?

— აქამდე, რა, არ ამღვრეულა ჩვენი სისხლი? წარმავალია სისხლი და ხორცი, გარდაუვალია ერის აღრევა! მთავარია ქართული სული შევინარჩუნოთ, ერთი დროშით გავაერთიანოთ მრავალი ერი! — დასჭყივლა ლიპარიტმა.

აღარაფერი ვუპასუხე. ის იმდენად მიწიერი არსება იყო, სულსა და სხეულს განცალკევებულად იაზრებდა. ბევრს ლაპარაკობდა სულიერებაზე და არ იცოდა, რომ სიტყვა „სისხლს“ ახალი აღქმის შემდეგ სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც ვერ იხედებოდა რეალობის მიღმა და სასოებით არ ეპყრობოდა იმ უზენაეს ნებას, ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებას რომ წარმართავდა. ქვეყანა რომ აწყობილი ყოფილიყო, ლიპარიტიც მონახავდა თავის საკეთებელ საქმეს ერთა თანამეგობრობის სფეროში, მაგრამ მე ქვეყანა არაფრიდან უნდა შემექმნა, თანაც ისეთი ქვეყანა, სადაც სიტყვა „სისხლს“ სულიერების ახალი აზრი მიეცემოდა. ასეთ დროს უნდა მოწყდე მიწას, გადაიხედო არსებულს მიღმა; ლიპარიტი კი ქვევით მექაჩება, ჩემთვის მიუღებელ სინამდვილეში, სადაც ვერ ვხედავ გადარჩენის გზას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ მე ხელს გიშლი, შეეცდები გაგეცალო — მითხრა ლიპარიტმა. — სულ გადავიხვეწები იმ ქვეყნიდან, სადაც შენ ფრთების გაშლას აპირებ, ოღონდ ერთს გეტყვი; მეც მაქვს ჩემი გულის ხმა და რაც ჩამესმის, იმას გეუბნები: სახიფათო ბრძოლას იწყებ, მეფეო! შენისთანა მეოცნებე ან იმასაც დალუპავს, რაც აქამდე მოგვიტანია, ან მართლაც დიდ ქვეყანას ააშენებს. არ ვიცი ერთ კაცს, თუნდაც მეფეს, გაქვს თუ არა უფლება სასწორზე შეაგდო შენი ხალხის ბედი.

ლიპარიტის ხმა სულ უფრო შორიდან ჩამესმის. მეორე დღეს შემატყობინეს, რომ ლიპარიტმა დღე-ღამის განმავლობაში დატოვა საქართველო. ალბათ, უთენია გადაკვეთა სამხრეთის საზღვარი, რადგან ინათა თუ არა, საოცარი თავისუფლება ვიგრძენი. გონებას თითქო შემოეხსნა გარე სამყაროს სარტყელი და გაეხსნა შინაგანი თვალი, რომელიც არ იფარგლებოდა რეალობის თვალსაწიერით და ყოველივე არსებულს ზეციერ არსთა სამყოფელიდან ხედავდა.

ხელის გულზე სათამაშოსავით დალაგდა ჩემი ქვეყანა. ასეც შემეძლო მისი შეტრიალება და ისეც. ამ კალეიდოსკოპური თამაშის შედეგად ახალი სახეები ჩნდებოდნენ. უფრო სწორად, ეს სახეები და ფორმები მიედინებოდნენ თავისთვის, მაგრამ მე შემეძლო ამ მდინარეში შესვლა, მათთან შეხება, მათი გათავისება. სახეთა ქმნადობის ეს დაუშრეტელი ნაკადი ძალას მაძლევდა, ლაღად და უშეცდომოდ ვმოქმედებდი. გამარჯვებას გამარჯვებაზე ვაღწევდი. ჩემგან დევნილმა გადამთიელებმა შავად შეიღებეს წვერი, თავზე ნაცარი დაიყარეს და ერაყის სულთანს შესთხოვეს დახმარება — „გვაწიოკებენ, გვიშველე“-ო. სულთან მაჰმუდმაც არ დააყოვნა, ყოველმხრივ აფრინა მსტოვარი და ჯარის შეკრება ბრძანა.

ოპოზიციურ ძალთა და უცხოტომთა უზარმაზარმა კოალიციამ პირი შეკრა ჩემს წინააღმდეგ. არ იყო ეს ურწმუნო ხალხი, ოღონდ მათ რწმენას თავისუფლება აკლდა — სწორედ ის, რაც უხვად მეძლეოდა ცოცხალი სიტყვის მადლით. ისევ შევცურე სახეებისა და ხილვების დაუსრულებელ ნაკადში, ისევ დავეწაფე მათი სიცოცხლის ანკარა წყაროს, რომ მომავალი ბრძოლის გმირები გამომეყვანა იქიდან.

ლირიული გადახვევა გმირების ძიებაში

რამდენჯერ შევხვედრივარ იმ პატარა მინდორს, ტყით გარემოცულს, ნახევრად ღიას... როცა სევდანარევი სიხარული ტალღასავით მოაწყდება ჩემი ცხოვრების ნაპირს, გადმოდის კალაპოტიდან და აავსებს გულს იმ უზარმაზარი ენერგიით, რაც ვერ ეტევა მოგონებების ჭურჭელში და იქიდან გადმოღვრილი, წუთისოფლის ზღვასავით გაშლილ მარადისობას ერწყმის. არ არის ეს მხოლოდ ლირიული გადახვევა. ეს იმდენად სავსე სიცოცხლეა, რომ ცრემლსაც იტევს და სიხარულსაც, გულის გულშიც ფეთქავს და მთელ ქვეყნიერებასაც აცოცხლებს. არავინ იცის, რომ უმძიმესი ბრძოლების წინ, როცა წყდებოდა ჩემი ქვეყნის ბედი, სწორედ იქ მივდიოდი. არავის ვუმხელდი ჩემს ადგილსამყოფელს, ვერავინ დაინახავდა იმას, რასაც ვხედავდი: ვხედავდი წარსულის წყვდიადში განათებულ დღეს, როცა ბედნიერი და უდარდელი ვიყავი, როცა არ არსებობდა ის დიდი საზრუნავი, თექვსმეტი წლის ბიჭს რომ დამაწვა მხრებზე. რაც უნდა შორს წასულიყო ლექსად თქმული სიტყვა, მაინც ვერ შორდებოდა იმ პატარა მინდორს, სინანულის ცრემლით დაცვარულს და სიხარულით სავსეს. მეც ველარ მივიწევ წინ; გამიტკბა, დილის სიზმარივით გამიტკბა იქ ყოფნა! დაუსრულებლად შემიძლია ვესაუბრო მინდორს, სივრცეშიც რომ არის გაშლილი და დროშიც. რაღაცას მეუბნება იაგორას ველი, რასაც შეიძლება უსასრულოდ ვუსმინო და ის სიტყვა, თუ მინდორი, თუ ტყე, ათასი სახით მეთამაშება, მრავალფრთიანი სარკესავით ყოველმხრივ შემიძლია შევაბრუნო. ხან მის სიღრმეში თოვლით სავსე ტყე ირეკლება და ვხედავ პატარა ბიჭს, კუდში როგორ სდევს დედას. მერე კი ვხედავ, თხილამურებით როგორ ვეშვები ფერდობზე. მივექანები მთელი სისწრაფით, არ მეშინია, რადგან ვიცი, რომ ხეთა ჯარს იქით, უცებ ველზე გავიჭრები და რაც ნაკლებ შევშინდები, უფრო შორს გავსრიალდები მინდორში. იქ კი, უკვე სტუდენტები ვარჯიშობენ. ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მწვრთნელი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს სათხილამურო წრეზე ავარჯიშებს. ამ კაცის მზემოკიდებულ სახეზე თითქოს ზეციდან იყო

ჩამოწვეთილი ორი ცისფერი თვალი და მის ხილვაზე ჩამოსრიალების საამო განცდა სიმშვიდის კალაპოტში დგებოდა.

მზე აბრჭყვიალებდა თოვლს, აბრჭყვიალებდა იმ კაცის თვალებივით ლურჯ ჰაერსაც. კაცი მინდვრის შუაგულში იდგა. მე ირგვლივ ვტრიალებდი. მთელი დღე რომ მესრიალა, დაღლას არც ვიგრძნობდი. დამსხვრეული შუშასავით ბრჭყვიალა თოვლი თავისით მიმაქანებდა სათხილამურო გზებზე. როცა ძალიან ჩამოცხებოდა, ვიხდიდი პერანგს, რადგან იქ, მზით სავსე თოვლში ზამთარი და ზაფხული დღის განმავლობაში ენაცვლებოდა ერთმანეთს. ამიტომ თეთრი, ქათქათა თოვლი და ხავერდოვანი ბალახი ერთი ხსოვნის შუქჩრდილში იყო გახვეული.

დროა დავუბრუნდე ჩემს ისტორიულ თხრობას და წინ წავიდე, მაგრამ არ შემიძლია! ვერ ვწყდები აქაურობას და ისევ ვტრიალებ სათხილამურო წრეზე. სინანულით ვემშვიდობები ზლაპარივით გადაშლილ მინდორს, რომელიც არსებობს მხოლოდ ჩემთვის, მაგრამ იმდენად ღრმაა ეს ჩემთვისყოფნა, რომ აღემატება ერთი კაცის გრძნობასა და ფიქრს და არსებობს თავისთვის. იაგორას ველი გადადის ჩემი სიცოცხლის ფარგლებს, გადადის ჩემი ნება-სურვილით, რადგან ისეა შერწყმული ჩემს არსებობასთან, რომ თავის უსასრულო წიაღსვლაში მეც გამიტაცებს თან. მეც ვგრძელდები ჩემი წარსულის და დაბადების იქით, გადავდივარ სხვა არსებობაში, წინაპართა სახეებში, მაგრამ გადავდივარ არა წარმოსახვის ძალით, ან ისტორიული რომანის ფურცლებზე, გადავდივარ პიროვნულად და ცოცხლად, და თუმცა ამ სიცოცხლეს არა აქვს კონკრეტული სახე, არც არაფერია ცხადად მოსაგონარი, მინდვრის თავისთავად ყოფნაში მეუფლება უხსოვარი სიცოცხლის გრძნობა, როგორც განცდა იმისა, რომ მუდამ ვიყავი და ყოველთვის ვიქნები...

ამიტომაც ვერ ვშორდები აქაურობას! საუკუნეთა უკუნეთში მიმაქანებს დროთა სივრცეში გაშლილი მინდორი! მიმაქანებს ისე, რომ თანაც ვერ ვწყდები თოვლით განათებულ სივრცეს, სადაც ცისფერთვალება კაცი უსიტყვო ღიმილით რაღაცას მამცნობს და ახალთახალი თხილამური, პოლონური ფირმის ემბლემით, მზეზე ბრჭყვიალებს. მერე, დაღლილი, გაზაფხულის ველ, დამძიმებულ თოვლში მივათრევ თხილამურებს ზიმთ, პარკისკენ. დღის ორი საათია. ზამთრის არდადეგები დამთავრდა და პარკის განაპირა შენობიდან სკოლის ზარი მოისმის. მოწაფეები მიმორბიან ირგვლივ, მე კი, ვერ ვძღები სრიალით, ისევ და ისევ ვეშვები პარკის სასრიალოდან. გაზაფხულის სურნელება ასდის მზით სავსე თოვლს. გაკვეთილებს გამოპარული დღე დღესასწაულივით გრძელდება. მას ვერ აჩერებს სკოლის ზარი, პირიქით, სწავლის მესამე მეოთხედში შეჭრილი სათხილამურო ზეიმი თითქოს აჩერებს დროს და არც არასოდეს დასრულდება. ზამთრისა და გაზაფხულის შეხვედრის ეს თავბრუდამხვევი სურნელება წუთიერია, მაგრამ შეჩერებულია ეს წუთი, მარადისობაშია გადასული, იქ სადაც წარსულიც შეიძლება იხილო და მომავალიც და ვგრძნობ, რომ სწორედ ასეთი სურნელი ტრიალებდა მაშინაც, ათასი წლის წინ, როცა გაზაფხული შემოდიოდა დიდგორის ველზე.

— კარგი, გეყოფა! — სადღაც შორიდან მომესმის ლიპარიტის ყვირილი. — რა თხილამურები, რისი სკოლა! ან სად იყო მაშინ ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო სეზონი! გონს მოდი, მიმოიხედე! მგლების ხროვა მოსდგომია თავფარავნის ტბას! ნემსიც ვერ ჩავარდება ჯავახეთის ზეგანზე! გამოფხიზლდი, შემოგვიერთდი! ყველა არ არის ილღაზის მომხრე! თუ ჩვენს მრწამსს გაიზიარებ, ოპოზიცია პოზიციად დაგიბრუნდება, დიდი პოლიტიკური ძალა მოიყრის თავს შენს გარშემო.

— პოლიტიკური ძალით სასწაულს ვერ მოახდენ, ერთზე ათად მოსულ მტერს ვერ დაამარცხებ!

— მაგრამ, ასე, გაფართხალებასაც ვერ შეძლებ! შენი გონება ქარივით დაფრინავს, რას არ მიედ-მოედება! ოცნება ფეხზე თუ არ დააყენე, სიცხადეს თუ არ დაუბრუნე, ხმალს ვერ მოიქნევ, ნამდვილ ისტორიაში ვერ შეხვალ.

რა ვქნა, როგორ გავაგებინო ამ გაჯიუტებულ ერისთავს, რომ ნამდვილ ისტორიაში მხოლოდ სიცოცხლის გზით შეიძლება შესვლა! მკვდრის გაცოცხლებას მაგონებს ისტორიული რომანი, არქივის მტვრის კორიანტელი რომ ასდის და ჟამით გაყვითლებული ფურცლების ფერი გადაკრავს. ის სახეები და სახელებიც ყურით მოთრეული და ძალად

შეთხზული მგონია, თუკი შერწყმული არ არის მეხსიერების ცოცხალ ნაკადთან.

იაგორას ველი. ბაკურიანი. პოლონური თხილამურები. ცისფერთვალება კაცი. თოვლის ბრილიანტებად მოციმციმე ველი. ხავერდოვანი ბალახი... ეს ყველაფერი ჩემი სიცოცხლეა, ჩემზე უმეტესი, ჩემს დაბადების იქით გაშლილი და მხოლოდ ამ გზით შემიძლია ნამდვილ ისტორიაში შესვლა!

— კარგი, გეყოფა, გმირები დროზე მონახე, უკვე სუნი იკრეს მგლებმა!

— გმირი უკვე მოვნახე, იაგორას ველზე, ბრინჯაოსფერი, ციდან ჩამოლვრილი თვალებით.

— არ იშლი შენსას?

— კოტე ასტახიშვილი. ის იმდენად ნაღდი კაცი იყო, რომ წარუშლელია მისი სახე, ეს სახე მარაოსავით შემიძლია გავშალო წინაპართა უთვალავ სახედ, რომ მივადგე იმ პირველსახეს, რომელიც დიდგორის ველზე შემიძლია გავიყვანო.

— ასე აღარ ვთამაშობ, ხელი დამიბანია, ნახვამდის...

ლიპარიტის ხმა თანდათან იკარგება. მის ნაცვლად ახლა მზიური ველის სერენადა ჩამესმის. მთვარე ვერცხლისფრად ანათებს ტრამპლინის ფერდობს. კოხტის წვერიდან ქარივით მოფრინავს ახალგაზრდა კაცი. ქარი სტვენს მელოდიას და მაშველების პატარა ქოხშიც ბუხარი იმ ტკბილ, ჟრუანტელის მომგვრელ სერენადას აგრძელებს.

სასტუმროს წინ კი, პარკის საციგურაო მოედანზე, ავსტრიელი ქალების სილუეტებში „ოქროს სიმფონია" ირეკლება! ყინულის სარკეზე შემოცურებულ ხბოს ლოყაწითელი გოგო ეთამაშება. მუსიკა ზარივით წკრიალებს ჰაერში, ადის ზევით და ზევით, უერთდება იმ ქვეყნის ზეცას და უცხოური მელოდრამების, ვესტერნების, ბლიუზებისა და როკ-ენ-როლების რიტმული ნაკადი საუცხოო ხიბლით მოსავს ქართულ სოფელს. ტყე-პარკის ბილიკებზე კი ნელი,მოზომილი ნაბიჯით დაიპარება შავებში ჩაცმული, ჯინსებზე იარაღშემორტყმული კაცი. დიდი სიფრთხილით ზვერავს მიდამოს. თვალის დახამხამებაში შეუძლია ბუდიდან იარაღის ამოღება და გასროლა. მისი შემყურე, მეც ფრთხილად დავდივარ, ჯინსის ჯიბიდან უეცრად ამოღებულ დანას ვესვრი ხეს... მერე, სოფლის პატარა სალუდეში ვართ. ამ დროს შემოვარდება მთვრალი, სახეშეშლილი ბიჭი, იარაღს ამოიღებს და ყველას მესვრის. მე კი არ ვინძრევი. ძმაბლად ვაბოლებ სიგარას, ყურადღებას არც ვაქცევ და ისიც იბნევა, ველარაფერს მიბედავს, საბოლოოდ კარგავს თავგზას და ის მეორე, ვინც ვერ დადგა შურისძიებაზე მაღლა, ახლა აღტაცებით შემომცქერის, ახალ ჭეშმარიტებას იმეცნებს — თუ როგორ უნდა დაინდო სუსტი, როგორ უნდა განავრცო სიყვარული მოყვარეზეც და მტერზეც და ახლა უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ ისიც ჩემთან ერთად იბრძოლებს.

ეს ყველაფერი, უამრავ სახედ და სცენად გაშლილი და თანაც ერთიან, დაუნაწევრებელ განცდაში გახვეული, ფარდასავით ეფინებოდა იაგორას ველს, ეალერსებოდა პარკის სიმწვანეს. ვინ იცის, იქნებ არც იყო ასე მომხიბლავი ის გარდასული დრო? წარსულს ხომ მხოლოდ აწმყოს გადასახედიდან ენიჭება განსაკუთრებული ხიბლი, ხიბლი რომელიც ზეციურ არსთა სამყოფელიდან მოდის და ნოსტალგია ერთხელ ჩავლილი ბავშვობის მიმართ, კაცობრიობის უდიდეს სევდას — სამოთხის ბაღში ვერდაბრუნების სინანულს ერწყმის. ამიტომ სერენადა, იავნანასავით რომ ჩამესმოდა, რიტმი, რომელიც სისხლს მიჩქროლებდა, ყინულის სარკე, სადაც ფირფიტასავით ტრიალებდნენ ოქროსთმიანი ქალები, არ ეკუთვნოდა ამ ქვეყანას, მოწყვეტილიყო ამ სოფლის საზღვრებს, ადიოდა კოხტა გორაზე, გადადიოდა ცხრაწყაროს მთაზე, მიიწევდა დროთა სივრცეში, მაგრამ ჯერჯერობით, ვერ აღწევდა დიდგორს.

— ვერც ვერასდროს მიაღწევს — ფოთლების შრიალში მომესმა ლიპარიტის ჩურჩული. — ისევ გადაუხვიე, ისევ სხვაგან დაფრინავს შენი ფიქრი. იმისთვის, რომ ეპიკური ბრძოლა მოიგო, ლირიკას თავი უნდა დაანებო, პირად ბედნიერებაზე უარი თქვა.

— ვინ დაანაწევრა ცოცხალი სიტყვა ლიტერატურულ ჟანრებად? ლირიკის წიაღში იბადება ის უნაზესი განცდა, აუღებელ ციხესავით რომ აღიმართება ბრძოლის ველზე!

სამზადისი

სამი დღეა თრიალეთის ფერდობს მივყვებით. მტერი ფეხდაფეხ მოგვდევს. ბრინჯაოსფერი კაცი წინ მიგვიძღვის. მისი ცისფერი

მზერა მრავალ ხეობას ირეკლავს, საიდანაც ათასობით მეომარი ამოდის და გვიერთდება. შებრძოლებას ჯერ არ ვაპირებ. მდევარი როგორმე დიდგორებზე უნდა შევიტყუო, იმ მთაგორიან ზეგანზე კოალიციის ლაშქარი ფრთებს ველარ გაშლის. უკვე მივუახლოვდით ორბეთს და ვერეს ხეობაში ჩავუხვიეთ. წინ წამოვიდა და ჩემს შესახვედრად გაიხსნა პანტიანის ტყე. ტყეს უამრავი პატარა ბიჭი აფარებს თავს. საოცრად მეცნობა მათი სახეები, ფოთლების ქარი ჩამჩურჩულებს ნაცნობ სახელებს, მაგრამ ბავშვობის მოგონებებს ველარ დავუბრუნდები. სასწრაფოდ წინ უნდა წავიდე, ხეკორძულას სათავისკენ.

— წინ ვერ წავალთ — ტყიდან გამოვიდა შავებში ჩაცმული კაცი.

— გზა დაგვებნა?

— გზა არასოდეს დამებნევა, მაგრამ აი, ვინ ვნახე ტყეში;

კაცმა უნაგირიდან ტომარასავით გადაკიდებული ქალი ჩამოხსნა. ქალს საოცრად მიმზიდველი სახე ჰქონდა. მიზიდულობას მისი შავი, ლამაზი, ოდნავ გაკვირვებული თვალები ქმნიდა. თვალის გარსი სულ ფერს იცვლიდა; ხან ისე გაიხსნებოდა და გამოანათებდა, თითქოს ფსკერი არც ჰქონდა და თავბრუს მახვევდა ფერთა თამაშის ეს დაუსრულებელი სიღრმე, ხანაც იხურებოდა ფარდა, იფანტებოდა უძირო თვალთა წყვდიადი და მისი რბილი, ნათელი მზერა მამშვიდებდა.

— ვინ ბრძანდებით, ქალბატონო?

— რაკი დამივიწყე, დამარქვი, რაც მოგესურვება. — გამიღიმა ქალმა. — ოღონდ წინ ნუღა წახვალ, უკან უნდა დაბრუნდე, ქუთაისში.

— ქუთაისში? იქიდან არ მოვდივარ?

— ქუთაისში უნდა დაბრუნდე.

— თუ თბილისში?

— არა აქვს ამას მნიშვნელობა, ორივე ქალაქი ერთნაირად ინაწილებს შენს ბავშვობას, მაგრამ თბილისი უცხოელებმა შეისყიდეს, ქუთაისი კი ყოველთვის შენი იყო და შენ გელოდება.

— აქ დამელოდეთ! — დავაგდე სიტყვა და იმავ წუთს, იმ თვალებთან განმარტოებულს, დამეუფლა თავბრუდამხვევი სისწრაფის შეგრძნება.

— გზა რომ შევამოკლოთ და რაც შეიძლება მალე ჩავიდეთ, ერთ რამეს გაგახსენებ. — მომიბრუნდა ქალი. — გახსოვს, ეზოში რომ თამაშობდი და თვალი სულ ჩემი ფანჯრისკენ გეჭირა? იცოდი, ფარდას ვიყავი მოფარებული და ჩუმად გიმზერდი. შენც ყირაზე გადადიოდი, ათასნაირად თავს მაწონებდი...

დიდედამ დილიდანვე ჩამიშვა ეზოში. ძლივს ჩამოვახრიგინე ველოსიპედი. მოედანზე პანტიანის ტყიდან ჩამოსული ბიჭები დგანან. გადასწრებაზე უნდა შევეჯიბროთ ერთმანეთს. შევქუჩდით. ფეხებისა და ბორბლების მეტს ვერაფერს ვხედავ. გაისმა სროლის ხმა და წინ გავიჭერი. პირველი ბილიკი ჩავათავე და იმ ფანჯრისკენ მივქრივარ. ფანჯარაში არავინაა, მაგრამ ვიცი, რომ მიყურებენ და მეამაყება, რომ პირველი ვარ.

— კარგად დაიმახსოვრე ეგ სიამაყე! ხმლის ქნევით როცა დაიღლები, ჩემი სიყვარული ძალას შეგმატებს.

— ველოსიპედს რაღა ვუყო?

— შეგიძლია ცხენით შეცვალო, ჯინსებზე ჯაჭვის პერანგიც ჩამოიცვა, ეგ არაფერს შეცვლის, შენ ხომ ისევ შენ იქნები.

აღარ ვიცი, ვინ მეუბნება ამას. ახლა გაოგნებული, ბნელში ვზივარ და აფრიკის ჯუნგლებს შევცქერი. ხიდან ხეზე ყვირილით დახტის შიშველი, კუნთებდაბერილი კაცი. ყველაფერი ეხერხება მას; ლომებთან შერკინება, სპილოზე ამხედრება, თვალუწვდენელი კლდიდან მორევში ჩახტომა. ნეტა ეგეთი ვიყო! კაცი ისეა შეზრდილი ტყეს, თითქოს არც არსებობს სხვა გარემოში. ვგრძნობ, როგორ გადმოდის მისი ველური ძალა ჩემს არსებაში, ძარღვებში როგორ ფეთქავს სისხლი. ველარ მოვითმინე, წამოვხტი, დარბაზი გავიარე და ხელი შევახე იმ კაცის მწვანე სამყოფელს. აფრიკის ჯუნგლი კედელზე გაკრული ქსოვილი აღმოჩნდა! ქსოვილი გადავწიე, ბნელს შევაპარე თვალი. დავინახე, რასაც ველოდი! შიშველი ათლეტი ხიდან ჩამოსრიალდა და წინ დამიდგა!

— ხელს რატომ მიშლი? — ისე დამიყვირა, ლამის დავყრუვდი.

— ჩემთან წამოხვალ! - ვუთხარი.

— არ შემიძლია. სეანსი რომ დამთავრდება, უნდა გავქრე აქედან.

— ისეთ ომში წაგიყვან, არასდროს გაქრები. ისტორიაში შევა შენი სახელი.

კაცმა უარის ნიშნად თავი გააქნია, მაგრამ მის გაბრწყინებულ თვალებში თანხმობა ამოვიკითხე.

აღარ მახსოვს, რით დასრულდა ის სეანსი. იმდროინდელმა გაზეთებმა ერთი აურზაური ატეხეს იმ გაუგებარი, ყოვლად უმსგავსო ფაქტის გამო, როცა მთავარი გმირი უეცრად გაქრა აფრიკის თვალსაწიერიდან და მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაკარგა გამჭოლი მოქმედების დრამატურგიული აზრი. გმირის ერთგულმა მაიმუნმა მართალია, სცადა პატრონის როლის შესრულება და სიუჟეტის წარმართვა, მაგრამ აქედან, როგორც ჟურნალისტი წერს, მაიმუნობის მეტი არაფერი გამოვიდა.

ახლა ისევ პანტიანის ტყეში ვარ. ჩრდილივით ადევნებული თანამგზავრი სადღაც დავკარგე. იქნებ, აფრიკიდან ლტოლვილი, სწორედ აქ დაუბრუნდა თავის ბუნებას და ჯუნგლების მეფე, ქართულმა ტყემ ჩაიხუტა გულში?

ან იქნებ ტყეს გველის პერანგივით შეატოვა თავისი სხეული და შემოცურა ჩემს უნებურ ფიქრთა და მოგონებათა გაუცნობიერებელ ნაკადში, დიდი ძალით და გასაოცარი ენერგიით დამუხტა გარდასული გრძნობების ტალღა?

მსხვერპლი

— უკან ნუღა იყურები, წინ გაიხედე — ჯინსებიდან იარაღი ამოიღო შავებში ჩაცმულმა კაცმა. — ყველაზე ძვირფასი რამ უნდა გაიღო მსხვერპლად, სასწაული რომ მოახდინო და მომავალი ბრძოლა მოიგო. დავიძარით!

ბინდი ჩამოწვა. ბანაკი დავტოვეთ და ალპურ საძოვრებზე გავედით. მზე ურჩხულივით გაწოლილ ღრუბელს შეერია და ორთქლის გველეშაპმა ცეცხლის ფრქვევა დაიწყო. თამამად შევიჭერი მზის ცეცხლით გაჟღენთილ ნისლში. მეგზური წინ მიმიძღვის. ბალახზე ცხვრის ფარასავით გაშლილ ღრუბლებში მივაბიჯებ. ზევით მივიწევ დიდგორებისკენ. ბილიკი ჯერ ქვევით ეშვება, ძალას იკრებს, რომ უეცრად მაღლა აიჭრას, ხმალივით შემართულ მთაზე. ნაბიჯ-ნაბიჯ ახლოვდება პირველი დიდგორი, ზედ წვერზე შემომდგარი ეკლესიით.

მეგზური გაქრა. ის ქვევით მელოდება, გზის გასაყართან. ზევით მარტო უნდა ავიდე. მარტოსულმა უნდა შევალო ეკლესიის კარი, რადგან ჩემს შესაწირავს სხვა ვერ გაიღებს მსხვერპლად. აქ არც მოგონებაა, არც ძალადობა. აქ სუფევს აწ და მარადის შეჩერებული დრო, დრო, რომელიც მხოლოდ აწმყოში ფეთქავს და უწინარეს საუკუნეთა ნათქვამი სიტყვა ისევ და ისევ ხორციელდება საკრალური ქმედების წესით.

მთელი ღამე ლოცვად ვიდექი სიზმარ-ცხადის ხიდზე. ჯერ მძიმედ მოძრაობდა გალობასავით გაბმული სიტყვა, აზრიც არ ჩამესმოდა ბოლომდე, მაგრამ მერე და მერე, მწუხრი რომ მიიწურა და ცისკარი გაიხსნა, საოცარი სიმსუბუქე და სიცხადე ვიგრძენი. ღვთის სიტყვა უფრო და უფრო აჩენდა უსასრულო მნიშვნელობათა თვალჩაუწვდენელ სიღრმეს. იფანტებოდა ეჭვი, მოდიოდა აზრი, ვხედავდი გზას, უსასრულოდ როგორ გამეგრძელებინა სიცოცხლე. ყველაფერი ის, რაც ცოცხლად იყო ჩაწერილი გულში, ახლა უბიდან ამოვიღე, რვეულივით გადავფურცლე და მივხვდი, რომ ეს იყო მსხვერპლი, რასაც უფალი მოითხოვდა ჩემგან. ის, რაც იყო ჩემი და ჩემთვის არსებული, თურმე არ მეკუთვნოდა მხოლოდ მე! ძალა, რომელიც სიტყვით აცოცხლებდა და სამუდამოდ იმახსოვრებდა მას, აღემატებოდა ადამიანის ნიჭს და ქვეყანა რომ გადამერჩინა, უფლისთვის უნდა მიმეძღვნა სწორედ ამ ძალით აღბეჭდილი ცხოვრების საუკეთესო წუთები.

ლექსებით სავსე რვეული დავხურე და ცეცხლზე შემოვდე. მოხდა სასწაული! სანთლის ალი არ წვავდა ჩემი ცხოვრების ფურცლებს! ამ ცეცხლით ნაწრთობი სიტყვა თუ გრძნობა, თუ აზრი, ახლა საიმედო ჯავშანივით შემომერტყა გულზე. მზე რომ ამოვიდა, რვეული სწორედ იქ გადავშალე, სადაც ეწერა, თუ როგორ გამოვიხურე ეკლესიის კარი და როგორ გავედი დიდგორის ველზე.

ბრძოლა

ინათა თუ არა, ჰორიზონტიდან ზღვასავით წამოვიდა კოალიციის ლაშქარი. ელვარე მუზარადები, ოქროს ჩალმები, თვლებით მოჭედილი უნაგირები სარკეებივით ირეკლავენ მზის ცეცხლს და ხანძრად ავარდნილი თვალსაწიერი ჩვენსკენ მოიწევს. ხმლების ფარებზე შეხეთქების ხმა შიშს უნდა თესავდეს, მაგრამ

შიში არ არის... მის ნაცვლად ჩნდება სილაღის და თავისუფლების განცდა და გადაუხდელი ომი ჩაფიქრებულ მოთხრობასავით კი არ მამძიმებს, პირიქით! სიტყვის სიცოცხლეს მინდობილმა, ჯერ არაფერი ვიცი, რა მოხდება, რა გადამხდება თავს, თავისით რა გადმოხეთქავს ფურცელზე, მაგრამ ეს არ-ცოდნა სავსეა ცოცხალი გრძნობით, დამუხტულია ბრძოლის ჟინით, გარემოცულია საიმედო განწყობით.

ერთი სული მაქვს გავშიშვლდე, მოვიშორო ყოველივე მოფიქრებული, გათვლილი და მარტოდმარტო შევცურო რისხვით ანთებულ ზღვაში, რომ მარტოსულის სიმამაცემ გახლიჩოს მტრის უსახურ სახეთა ტალღა და ამ ნაპრალში ერთსულოვანი ნაკადივით შეიჭრას ჩემი ლაშქარი. არ შეიძლება ამ დროს უკან მოხედვა, სინანული... უნდა მოვიჭრა უკან დასახევი გზა, რომ აღიკვეთოს მოძრაობის ყოველი შესაძლებლობა ერთადერთი მიმართულების გარდა – წინ, ზღვას დანატრებული გულის ვნებათაღელვის სიღრმეში!

❀ ❀ ❀

– ქართველები სულ გაგიჟებულან! ხეკორძულას ხეობა ჩაუხერგავთ, ზურგში დამსჯელი როქის-სპა ჩაუყენებიათ. გაქცევის და გადარჩენის გზას აღარ იტოვებენ. – ამ სიტყვებით ფაფარგაშლილ ცხენს მოახტა ნეჯმ ად დინ ილღაზი, აღმოსავლეთის ვარსკვლავად წოდებული.

– თითქოს ისინი იყვნენ ხუთას სამოცი და ჩვენ – სამოცი ათასი – მთავარსარდალს გამოეპასუხა ერაყის სულთანი.

– შენ რაღას გვიბრძანებ, ლიპარიტ ბატონო? – ახლა მე მომიბრუნდა ილღაზი.

რა უნდა ვუთხრა? დიდი ხანია პოლიტიკურ აზრს ვეღარ ვხედავ მეფე დავითის პოეტურ აღმაფრენაში, მაგრამ გამარჯვებას გამარჯვებაზე კი აღწევს. იქნებ ჩემი აზრი ვერ წვდება მისი შემოქმედების სიღრმეს?

– მე მოღალატე არა ვარ! – გულიდან აღმომხდა.

– არც არავინ გაბრალებს – თავი დამიქნია ილღაზმა. უბრალოდ, სამშობლოს გადარჩენის საკუთარ კონცეფციას იცავ.

– ჩემთვის მიუღებელია დავითის მრწამსი – გავაგრძელე – ვერაფრით შევურიგდები იმ აზრს, რომ ჩემი ქვეყანა მიწაზე არ იდგეს, ოცნების კოშკივით ცაში იყოს გამოკიდებული და იმ კოშკს, რეალობის გრძნობის მოკლებული მეფე მართავდეს.

– თუკი ქართველთა მეფე ცაში დაფრინავს, ფანტაზიას არც ჩვენ ვართ მოკლებულნი. ისეთ მოკავშირეს მოვძებნით, სიზმრადაც არ მოელანდება დავითს.

ილღაზმა გაიღიმა და თვალი ჩაუკრა ერაყის სულთანს.

❀ ❀ ❀

გათენდა. გაიხსნა ცისკარი. მზემ გამოიხედა წამით, მაგრამ თვალი აარიდა სისხლმდინარე ზღვას და ღრუბელი ჩამოიფარა სახეზე. ადამიანის გონება ვერ იტევს დავითის სიმამაცეს! ლამის მარტოდმარტო, ორასი რაინდის თანხლებით შეჭრილა მტრის რიგებში! ისეთი სისწრაფით ტრიალებს, ისე იქნევს ხელს, თითქოს ხმლის წვერით უხილავ სტრიქონს წერს ისტორიის ფურცელზე. სისხლისფრად იკვეთება სიტყვა. ყოველ მოძრაობას, აქ და ახლა გაჩენილ აზრს, არაერთი სახე და სხეული ეწირება. ხმლით შემოწერილი სიტყვა უამრავ ქვეტექსტს მოიცავს, ათასი წახნაგით ტრიალებს, ბრწყინავს, ყოველმხრივ ირეკლავს არსებულს და სიკვდილთან ბრძოლას, უკვდავებასთან თამაშის მნიშვნელობას ანიჭებს. შეუძლებელია სიტყვასთან შერწყმული მეფის დამარცხება. ერთი მხრიდან თუ შთანთქავს მტრის ტალღა, მეორე მხრიდან, ახალი წახნაგით შემობრუნდება და ბრძოლას განაგრძობს.

მის გვერდით ციხესავით აღმართულა ბრინჯაოსფერი კაცი. ვერაფერი ანგრევს ციხეს, რადგან ქვით კი არაა ნაშენი, გულის ცოცხალი ქსოვილისგანაა მოქსოვილი; სადაც ირღვევა, იქ ახალი ქსოვილით ჩაინაცვლება და ისევ მთლიანდება. ცოცხალი ციხე ციდან ჩამოღვრილი თვალებით ირეკლავს მეფის თავდაცვის გზებს და ამ ანარეკლების მიხედვით მოძრაობს. მარჯვენა ფრთაზე შავი, პანტერასავით კაცი ტრიალებს. თვალის დახამხამებაში უსხლტება მოქნეულ ხმალს. წამი შეაჩერა მისმა სისწრაფემ, დაშალა ის მეათედ, მეასედ, მეათასედ წამებად და დროის ამ უსასრულოდ მცირე მონაკვეთებში ისე სწრაფად მოძრაობს, თითქოს ერთის ნაცვლად შვიდი

კაცი იბრძვის! ვინ აღუდგება წინ ამ შესანიშნავ შვიდეულს? მტერი დაიბნა, უკუიქცა. ზღვა უკან გარბის, ბღავილით ეხეთქება საკუთარ თავს. მის ბნელ სიღრმეში მათრახი აღუმართავს ერაყის სულთანს და ცხენკაცების ახალ ტალღებს მოერეკება წინ.

დავითი კი ზღვის შუაგულს უახლოვდება. გონების გრძნობას, თუ გრძნობის გონებას მინდობილი ლაშქარი ფიქრზე უსწრაფესად მოქმედებს. დავითი არ იხედება უკან, იცის, რომ ერთი კაცივით შემართულ ჯარს აღარ სჭირდება მისი ბრძანება. მეფის სიტყვა საკუთარ გულისთქმად ქცეულა ყოველ მეომარში. ერთი ხმალი ისე ზუსტად და უშეცდომოდ პასუხობს ათგზის მოქნეულ ხმლებს, რომ ბრძოლის ქაოსში იდუმალი წესრიგი ჩნდება. ვნებათა ჭიდილი აზროვნების ცოცხალ ნაკადში გადადის, რომლის სინათლე და სიმხურვალე პანტიანის ტყესაც აღაგზნებს! ბავშვები აღარ იმალებიან იქ! ფარდობითობის თეორიის თანახმად, დიდი სისწრაფისგან შეჩერებულ დროში, უდიდესი სისწრაფით მიქრის დრო და ტყიდან დემეტრე უფლისწულს საომრად შემართული ბიჭები გამოყავს! განსაცდელით სავსე ცხოვრებამ დროზე ადრე გაზარდა ისინი! აგარიანელთა ზღვა ახლა პანტიანის მხრიდანაც იხლიჩება, მაგრამ უეცრად დემეტრე უფლისწული „თბილისელი ბერების" გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება! დავითმა იგრძნო შეფერხება მარცხენა ფრთაზე, ისიც განჭვრიტა, თუ რა ეშველებოდა გაუცხოებულ თბილისს. მეფის ბრძანებით ასობით შევარდენი აიჭრა ცაში. შევარდნებმა უზარმაზარი კალათი აიტაცეს თან, სავსე რომ იყო საოჯახო ალბომებით, სამახსოვრო წარწერებით, ძველი თბილისის ხედებით და რაც მთავარია, აბო თბილელის ცხოვრების ფურცლებით! და წამოვიდა ურჩ თბილისელებზე გულშიჩამწვდომ სიტყვათა თავსხმა! წვიმის ისრები ფარსაც ამსხვრევდნენ, მუზარადშიც ატანდნენ და გადაულებლად წვიმდა და წვიმდა თბილისელი კაცის გულში!

— ეს აღარ არის ბრძოლა! — ცას მუშტი მოუღერა თბილისის ამირამ, მაგრამ ის უკვე მარტო იყო. სინანულით შეპყრობილი ჯარი დავითის მხარეს გადადიოდა... მაშინ არაბთა მეფემ, დურბეიზ სადაყის ძემ შეიერთა მონანიებას გაქცეული ნაშთები და გზა გადაუჭრა ქართველებს, მაგრამ დემეტრემ ისეთი ძალით დაარტყა, მონანიება სანაცვლოდ გაუხდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბთა მეფემ მსტოვარი აფრინა ფლანგებზე; თოღრულ მოჰამედის ძემ და განძის ათაბაგმა ერთდროულად შეუტიეს უფლისწულს, რომელმაც მოასწრო ალყის გარღვევა, უკან დაიხია და ტყეში შეიტყუა მდევარი.

კოალიციის მარჯვენა ფრთა პანტიანის ტყეში შეიჭრა. ტყე ბრაზით ახმაურდა, აშრიალდა, აკვნესდა. მწვანე ტალღები გასაოცარი სისწრაფით გარდაქმნიდნენ ბავშვობის მოგონებებს შურისმაძიებელ მხედრებად. ხეთა ჯარი წინააღმდეგობის ახალ ძალებს წარმოშობდა თავის წიაღში. არაბებმა სცადეს ტყის გაჩეხვა და გზის გაკვალვა ულრანში, მაგრამ მოგონებების ტყეს ნაჯახი ვერ გაკაფავდა და ხმალი ვერ გაჭრიდა! ფესვებით ის წარსულიდან ამოდიოდა და კენწეროებით მომავალს წვდებოდა! გაუთავებლად იცვლიდა ფერსა და ფორმას, ჩურჩულებდა იდუმალ სიტყვებს; მათი მნიშვნელობა არ ესმოდა მტერს, მხოლოდ გულს უმღვრევდა და გონებას უბნელებდა. წარმოსახვას მოკლებული ჯარი დაიკარგა გაუკვალავ ხლართებში და როცა ტოტებიდან არაბულ სპილოს დედიშობილა კაცი დაახტა, როცა მის გამაყრუებელ ყვირილზე ტყის ბინადარნიც გამოჩნდნენ, არაბთა მეფე, დურბეიზ სადაყის ძე, უკვე გაქცევას ფიქრობდა...

დიდგორზე კი ისევ გახურდა ბრძოლა. პანტიანის ტყე ისევ გაცოცხლდა და შემოვიდა წინა ფრონტზე. ილღაზმა სწრაფად გადააჯგუფა ძალები, უკანასკნელი რეზერვიც გახსნა და თურქ-სელჩუკთა საუკეთესო ლაშქარი გამოიყვანა. ჯარს თუღარ არსლან კუზიანი სარდლობდა. ნამდვილ გოლიათებს მოუძღოდა წინ ეს ქონდრისკაცი. სხვა, უფრო მარტივი საჯარისო შენაერთებისგან განსხვავებით, თურქების ლაშქარს შეეძლო გარდასახვა და მტრისთვის მოუხელთებელ, ფანტასტიურ სახეთა მიღება, მაგრამ შიში არ ეკარებოდა ქართველის გულს, არცერთი მეომარი არ იხედებოდა უკან. ამიტომ დავითმა მოხსნა ხეკორძულას სათავესთან მდგომი როქის-სპა და პანტიანის ჯარს მიაშველა. თვითონ ცენტრალური ძალებით, ისევ წინ დაიძრა ილღაზისკენ.

ყრუ მუსიკოსის ჰეროიკულ სწრაფვას და უსინათლო პოეტის სიმღერას რომ ეკადრება, ისეთი სიდიადის ომი გაჩაღდა! დავითის პოეტური სული და სიზმრისეული ხილვა, მებრძოლი აზრის სიცხადეში გადაიზარდა და თუკი თურქების ჯარი თავზარდამცემად იცვლიდა ფერსა და ფორმას, ქართველთა როქის-სპაც შემოქმედებითად აზროვნებდა; გეომეტრიული ფორმების – მწყობრი სამკუთხედების, კარეების, რკალების წრიული მოძრაობით ცელავდა თურქებს და გზას იკაფავდა სისხლის ტალღებში.

რომ გაიმარჯვო, ბოლომდე უნდა შეინარჩუნო გულის სიცხადე, არ უნდა დაარღვიოს ბრძოლის ქაოსმა საბრძოლო ხელოვნების რიტმი და სტილი! უნდა ირწმუნო, რომ ვნებათა ჭიდილში იდუმალი წესრიგი სუფევს, ფარული აზრი საზრდოობს და გზა ამ აზრისკენ გულის ძარღვების ბილიკზე გადის. გაჩნდა თუ არა ეს აზრი, ღრუბელიც ჩამოსცილდა მზეს და განათდა ყველაფერი! დავითი ახლა თავისი სხეულივით შეიგრძნობდა საკუთარ ლაშქარს; მას აღარ სჭირდებოდა გონების კარნახი; სხეულმა იცის, როგორ იმოძრაოს, ხელმა იცის, როგორ შემოიქნიოს ხმალი...

სად გაწვდებოდა თურქ-სელჩუკების ფანტაზია გულისა და გონების ამ ერთიანობას? ფიზიკურ ძალთა სიჭარბესაც ვერ იყენებდა ილღაზი, ფრთებს ვერ შლიდა დიდგორებს შორის. მაშინ თუღარ არსლან კუზიანმა საგანგებო ბრძანება გასცა; გოლიათების ლაშქარი უცებ შევიწროვდა, გაიჭიმა, დაიგრიხა და გველეშაპივით შემოსრიალდა ორ მთას, სათოვლიასა და ნაბაღრებს შუა.

წინგატყორცნილი ხმლების, მუზარადებისა და ჯავშან-პერანგების ცეცხლოვანი თამაში ურჩხულის ქერცლივით აელვარდა! გველეშაპი ყალყზე შედგა, ათასი ხმლით და მახვილით აიქოჩრა და გამძვინვარებული ღრიალით, ქართველთა როქის-სპას დააცხრა...

აქ დავითმაც მოუხმო შინაგან ძალებს, ბოლომდე დაძაბა წარმოსახვა, გაიხედა სიცოცხლის სათავისკენ და იხილა ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება უყვარდა... ქალის ოდნავ გაკვირვებული, ღრმად გახსნილი მზერიდან სინათლის მკვეთრი სხივი გამოდიოდა. დავითმა ხელი ჩაავლო სიყვარულის სხივს, შუბივით შემართა და მთელი ძალით შესტყორცნა გველეშაპს. ურჩხული ბოლოწეულივით გაიხლიჩა, სისხლის ტალღებად შადრევნებად გადასკდა. თუღარ – არსლან კუზიანი შიშით მუხლებზე დაეცა, თვალისმომჭრელი სხივით დაბრმავებულმა გოლიათებმა კი პირი იბრუნეს და თავისიანებს დაუწყეს ხოცვა.

დავითმა ისარგებლა თურქ-სელჩუკების არეულობით, მისიკვდილებულ ურჩხულს უკანასკნელი თავიც წააცალა და უკან დახეულ ზღვას დაედევნა. თავდავიწყებით მიაპობს მტერს, რომ როგორმე „აღმოსავლეთის ვარსკვლავს“ მიაწვდინოს ხმალი, ფაფარგაშლილ ტალღაზე ამხედრებული ილღაზი ძირს ჩამოაგდოს და ვიდრე ჩამოვარდება, ჰაერშივე გაკვეთოს!

ყაზვინის, ართვინის, განძის, ბაღდადის კოალიციის ნაშთი ახლა უკვე ისტერიულად იქნევს ხმალს, თავგანწირვით იცავს თავს, მაგრამ რა დააკავებს ქართველს?!

და აი, დაეცა ბაღდადის ჯარის უკანასკნელი კორდონიც და ორი მთავარსარდალი პირისპირ შეეჩეხა ერთმანეთს;

– რა ხანია გელოდები – გაუღიმა ილღაზმა – გვეყო ამდენი სისხლისღვრა! მოდი შევრიგდეთ, ზავი დავდოთ და ფედერაცია შევქმნათ...

დავითმა აღარ აცალა, ხმალი ნაჯახივით დასცხო და თავი გაუხეთქა ბაღდადის მბრძანებელს!

არაბთა მეფემ, დურბეიზმა, ხელში აიტაცა მძიმედ დაჭრილი სიმამრი, მაგრამ ვიდრე შიშის ფრთებს გამოისხამდა, დავითმა მოასწრო და მეფის ძალაუფლების სამკაული ჩამოგლიჯა ყელიდან; ჩამოგლიჯა არც არავისთვის, რადგან დავითს არ სჭირდებოდა არაბთა ძალაუფლება. იგი საგანძურს ცაში ეძებდა და არა მიწაზე. ამიტომ თვალმარგალიტი დაწყვიტა, ზეცას შეატყორცნა და წვრილ ვარსკვლავებად მიმოფანტა საღამოს ბინდში.

ილღაზის დამარცხებამ და დურბეიზის სამარცხვინო გაქცევამ საბოლოოდ ძირი გამოაცალა ზღვას. შემოსეულთა უკანასკნელი ტალღაც ღრიალით გადაგორდა დიდგორებიდან, შორს გაიშალა ფსკერზე, გათითოკაცდა. მტვრად გაიფანტა მტერი, უდაბნოს ქვიშას შეერია და არაფრად იქცა.

გამოცხადება
(რეპრიზა)

— არა ვარ მოღალატე! — უკუქცეულ ზღვას მედუზასავით შემორჩა ლიპარიტის ამღვრეული სახე — მტრის რიგებში იმიტომ აღმოვჩნდი, შენთვის საჭირო ცნობებს ვაგროვებდი.

— ყველაფერს გაპატიებ! — ლმობიერება სანთელივით აელვარდა სისხლისღვრით ჩაბნელებულ გულში — ოღონდ, აღიარე და ირწმუნე, რომ თავდავიწყების ძალამ სძლია საბედისწერო სიცხადეს.

— ვერ ვაღიარებ — ისევ ვირზე შეჯდა ჯიუტი ერისთავი. — შენი საბრძოლო ხელოვნება ცეცხლს ეთამაშება, ისეთ სტიქიას აღვიძებს, ცაში ფრენის ნაცვლად ქვესკნელში შეიძლება აღმოჩნდე! რა უფლება გაქვს, როგორც მეფეს, საღი გონება დაკარგო და შენი ქვეყანა მიანდო გულის ვნებათაღელვის ტალღებს?

— ვინ გახლიჩა სული ორად? სად გადის საზღვარი გულსა და გონებას შორის? მთელი ცხოვრების აზრით არის სავსე გულის სიღრმეში გაშლილი მინდორი!

— სწორედ იმ მინდორმა დაგღუპა — თავი გააქნია ლიპარიტმა — თავისუფლება მოგინდა? დროსა და სივრცეს გადააბიჯე? იცოდე, მტერმაც ისარგებლა ამით და მომავლის წყვდიადში, რუსეთის იმპერიასთან დაამყარა კავშირი! შენ თუ ბაკურიანი, იაგორას ველი და პოლონური თხილამურები გამოსტაცე მერმისს, ილღაზმა უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი „ბოევიკები“ მოიხმო!

— ომი მოგებულია! ქართველებმა მთელი ღამე სდიეს მტერს და უთენია ყარსიც აიღეს!

— რაღა დროს ყარსია! სამხრეთისკენ რას იყურები, ჩრდილოეთისკენ გაიხედე! მზით გაბოროტებული უდაბნოს ნაცვლად ახლა ყინვით დაზაფრული ტრამალები მოიწევენ ჩვენზე! მთელი ჩრდილოეთ კავკასია აღსდგა და საავდროდ შეიყარა ჩვენს წინააღმდეგ! პირგამეხებული ღრუბლების უკან კი ისეთი ძალა დგას, რომელსაც აღარც სახე აქვს, აღარც სახელი და აღარც კი იცის ვისზე იყაროს ჯავრი თავისი სისხლიანი წარსულის გამო!

ეს სიტყვა იყო და მოტორის გუგუნმა ყურთასმენა წაიღო! კავკასიონიდან შავი ღრუბელი წამოვიდა. სოკოსავით ამოიზარდა სამაჩაბლოს ველზე ბენზინის იასამნისფერი ბოლი. შავი ზღვიდან მწყობრად ამოვიდნენ ბრასლეთ მოელვარე „ბოევიკები“! დაიხურა ცა. მზე დაუბნელდა დიდგორებს. ღილის წყვდიადში ათასფეხა, მუხლუხა ხოჭოებივით მოცოცავენ ჯავშნოსნები, რკინის თავებზე დამაგრებული ზარბაზნებით. ადამიანი აღარ ზის შიგ, კომპიუტერი მართავს ამ ჯოჯოხეთურ ძალას და ჯარის ეპიცენტრის ეკრანზე ათასფერ რომბებად, კუბებად და იეროგლიფებად იქსაქსება დიდგორის ველი.

— შეჩერდით! — ყალყზე შევაყენე შინ დასაბრუნებლად შეტრიალებული ჯარი.

— გაუმარჯოს ერთიან საქართველოს! — დასჭყივლა ლიპარიტმა. — სიყვარულის ძალად თუ გარდაისახა ჩვენი შინაგანი ბრძოლა, წინ რაღა დაგვიდგება!

— მეც დაგეხმარებით — ლაშქარს გამოეყო შავი მხედარი —ჩვენც შეგვიძლია შემოვიყვანოთ კომპიუტერული ჯარი!

„არა! ბრძოლა კაცმა უნდა მოიგოს და არა კომპიუტერულმა ჯარმა! ხმლის ხელით შემოქნევამ უნდა იმარჯვოს და არა კლავიშებზე თითების თამაშმა! გამარჯვებას ვერ დააპროგრამებ! მაშინ გაგიმართლებს, როცა თავს დაივიწყებ და მიენდობი ღვთის შეუცნობელ სიტყვას, სამოთხესავით მიუწვდომელ ბავშვობას რომ ანათებს!“

— გასაგებია — ფიქრი გამიწყვიტა ცისფერთვალება კაცმა. ზურგჩანთიდან ძველი, უზარმაზარი მაგნიტოფონი ამოიღო და მუსიკა ჩართო...

ისევ განათდა ის გულშიჩამწვდომი მინდორი! სიძველისაგან დამტკბარმა მელოდიამ ჟრუანტელივით დამირბინა ძარღვებში! აბიბინდა ბალახი, აბრჭყვიალდა თოვლი. ჰაერში ნაძვის ხის სათამაშოებივით აელვარდნენ ბავშვობის ნიშანსვეტები. ისევ გაიხსნა ცა, გაიშალა მოგონებათა სივრცე. სიმღერებმა გაშალეს ფრთები, შემოვიდა, შემოიღვარა უცხო ქალაქებისა და ნანატრი ქვეყნების ოცნება; საზღვარი აღარ ჰქონდა მუსიკას, უკიდეგანო სიმღერა მტრის კომპიუტერულ ცენტრშიც შეიჭრა, მოგონებების ვირუსმა დაარღვია „პენტიუმის“ მეხსიერების პროგრამა! ცენტრმა მმართველობა დაკარგა, არასწორი ბრძანებები გასცა, ჯავშანტრანსპორტის უსახური მასა

უკან შებრუნდა, პატარ-პატარა ჯგუფებად დაიქსაქსა და „ბოევიკებმა“ ერთმანეთს დასცხეს!

ატყდა, მაგრამ რა ატყდა! ენა ვერ იტყვის რა ჯოჯოხეთი დატრიალდა ირგვლივ! ასოასო იმსხვრეოდა და ითიშებოდა ტყვიამფრქვევების, ტანკების და სარაკეტო შენაერთების ინტერნეტი! ქვესკნელის გრანტებით მოძიებული სამხედრო ტექნიკა ერთმანეთს ეხეთქებოდა, ხრჩოლავდა, ზედიზედ ფეთქდებოდა და ცეცხლის ზვირთებად ეღვრებოდა ლიახვის ტალღებს! ველარ ვარჩევდი ჯართად ქცეულ მტერს შეჯახებებისა და აფეთქებების ქაოსში! ქვემეხების გრუხუნს, მანქანების ყვირილს შიგადაშიგ ადამიანის ბღავილიც ერწყმოდა! გაოგნებული შევცქეროდი ამ აპოკალიფსურ ხილვას! ვიღას ეცალა ჩვენთვის? ინგრეოდა და იფერფლებოდა ბოროტების უდიდესი იმპერია!

სინანული

ვინ ვარ მე, რომ ვბედავ, შევეხო დიდი მეფის წმინდანად შერაცხულ სახეს, ჩემი ნოსტალგია, ჩემი გრძნობა და ფიქრი მოვახვიო მის აღმაშენებელ სულს?! შევეხო ჩემი უსუსური ხელით, უღირსი გულით, სინანულით სავსე ფიქრებით?!

სად არ გადაგაგდებს, რას არ გაგაკეთებინებს ეს გაუსაძლისი ცხოვრება...

ამიტომაც არა ვარ ღირსი ჟამთა აღმწერლად დავუდგე იმ დიდ შემოქმედს, შედევრივით რომ შექმნა თავისი ქვეყანა ღვთით ბოძებულ სილამაზეში. თუკი მას, ვისაც ვერ ვბედავ შევაწვდინო თვალი, გულიდან აღმოხდა გალობანი სინანულისა, მე, ჩემი გაფანტული გონებით, დაკნინებული სულით, გაუბედავი სურვილებით და შიშის გრძნობით, მონანიების ღირსიც კი ვერაფერი ჩამიდენია! დავეხეტები ჩემი ცხოვრების ტყეში, გზააბნეული გავდივარ დროთა მინდვრებზე, მაგრამ სადაც არ უნდა წავიდე, რაც არ უნდა გავაკეთო, მაინც ვერ ვაღწევ თავისუფლებას! გალიაა ჩადგმული ღრმად, გულში და არც კი ვიცი, რა ბნელი და ავი ტრიალებს შიგ.

ღმერთო! მომეცი ძალა, ამ ავბედით დროში თვალი გავუსწორო საკუთარ ცხოვრებას! მონანიების ღირსად ვაქციო ჩემი შიში და სიძულვილი, შური, ეჭვიანობა, სხვისი განკითხვა... მომეცი ძალა, დავამსხვრიო საფლავის ქვასავით დამძიმებული სიტყვა, რომ აზრის სიღრმეში მუსიკა შევიგრძნო! ქროლვით რომ წარიტაცებს სიავის ფიქრებს, ჩააქრობს მათ ლოცვასავით გაბმულ მელოდიაში და ამიყვანს დიდგორის ველზე; იმ წმინდა მიწაზე, სადაც იხსნება გულის სარკმელი, რათა გამოჩნდეს დიდი ბრძოლების უსაზღვრო სივრცე! და მიხარია, რომ გზა იმ სივრცისკენ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წუთებზეც გადის და რაკი ვარ, ვარსებობ, ვცოცხლობ, მეძლევა უკვდავ სიცოცხლესთან ზიარების ნებაც, მეძლევა იმიტომ, რომ მსხვერპლი გაღებულია, გზა გახსნილია – რწმენის, წარმოსახვის და ოცნების გზა და მჯერა, რომ მეც იმ დიდი ძალის ნამცეცი ვარ, რომელიც შთააგონებდა დავითს, მეც არ მასვენებს ის გულის ცეცხლი, გონების ის სიმხურვალე, საიდანაც ხმალივით შემიძლია შემოვიქნიო სიტყვა და თავი გავაგდებინო ჩემს გასასრესად შემართულ უღირსი გრძნობების ურჩხულს!

„მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოება ჩემი. უფროის განმბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმინდე მე; რამეთუ უსჯულოება ჩემი მე უწყი, და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის...“[1]

[1] (დავითის ფსალმუნები. 50-ე ფსალმუნი.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესო ხვედელიძე

ქალალდის თვითმფრინავები

მოთხრობა

იმ დილით მეტად უცნაურ გუნებაზე გაელვიძა. ძილს თითქოს ბოლომდე დაეცალა სურვილებისგან. არც საუზმე გახსენებია, არც წყურვილი უგრძვნია, საპირფარეშოშიც კი არ შესულა. რაც ხელში მოხვდა, ის გადაიცვა. თეთრი, კოპწია ხელჩანთა იღლიაში ამოიჩარა და გარეთ გავიდა.

მთვარეულივით მიჰქონდა ფეხი. შემხვედრნი უბრად ეცლებოდნენ გზიდან და თვალს აყოლებდნენ. არც ამისთვის მიუქცევია ყურადღება — ფეხები თავისით მიაქანებდნენ.

კინოთეატრის ფოიეში უხმაუროდ შეპაკუნდა. ბილეთის აღებაზე არც უფიქრია, ისე შევარდა დარბაზში.

დილის სეანსი იყო.

გეზი ბოლო რიგისკენ აიღო. მიუჩვეველ სიბნელეს ხელისცეცებით იკვალავდა. ბოლოში კედელს გადააწყდა — განაპირა სკამზე დაეშვა და ეკრანს მზერა გაუსწორა.

„მთავარს თვალებით ვერ დაინახავ!“ — ჩაუკრა თვალი ეკრანიდან ფილმის გმირმა.

უცებ გათბა. თითქოს აივსო კიდეც. მერე გვერდით მჯდომისკენ წააპარა თვალი და გაიღიმა.

ნელა მოატრიალეს მისკენ სახე. კაი ხანს აკვირდებოდნენ.

—მოვედი. — მოჭრით ამოთქვა ამან და ტუჩები კეკლუცად მოპრუწა.

არაფერი უპასუხეს. მხოლოდ თავი დააქნიეს მძიმედ და კვლავ ეკრანისკენ მიაბრუნეს.

უმალ შეამჩნია — დარბაზში მარტონი ისხდნენ.

„მთავარს თვალებით ვერ დაინახავ!“ — გაიმეორა ისევ ფილმის პერსონაჟმა.

დაძაბული იჯდა და ეკრანს თვალს არ აშორებდა. თან გვერდით მჯდომის სახის აღდგენას ცდილობდა გონებაში, მაგრამ არ გამოსდიოდა. როგორც კი ეკრანზე გადაჰქონდა ყურადღება, იმწამს ემღვრეოდა მეხსიერებაში თითქოს მყარად ჩაბეჭდილი გვერდით მჯდომის სახის ნაკვთები.

—მოვედი-მეთქი! — ამოთქვა ისევ, ოღონდ ამჯერად ეკრანისთვის თვალი არ მოუცილებია. ახლაღა შეამჩნია, ფილმში მოქმედება ოდნავადაც არ ვითარდებოდა — მხოლოდ მთავარი პერსონაჟი ძაგძაგებდა ეკრანის შუაგულში და გაუთავებლად იმეორებდა:

„მთავარს თვალებით ვერ დაინახავ! მთავარს თვალებით ვერ დაინახავ!“

გააჟრჟოლა. გვერდით მჯდომმა კი ისევ მისკენ მოატრიალა სახე და კვლავ მდუმარედ დააკვირდა.

—მითხარი რამე! გთხოვ! — აეწვა უცებ ამას გული და თვალებიც აუცრემლდა.

—რამე... — დაიჩურჩულა გვერდით მჯდომმა ისე, რომ კბილები არ დაუცილებია ერთმანეთისთვის. — აბა, რა გითხრა...

—რამე...

—ჯერ ხომ იმანაც არ იცის, რა უნდა გითხრა და...

—ვინ იმან? — დაიზაფრა ეს და უცხო კანკალმაც დაურბინა სხეულში.

—იმან... — სხარტად მიუგეს და საჩვენებელი თითი ზემოთ აიშვირეს.

სულ დაიბნა. დაფიქრება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — თითქოს მის მაგივრად ვიღაც უხილავი ცოდვილობდა გონებაში და მეტად უგერგილოდაც.

—და იცი, რატომ ვერ მიმახსოვრებ? — ჩასჩურჩულა უცებ გვერდით მჯდომმა ყურში.

მოულოდნელობისგან შეხტა. მერე თავი უარის ნიშნად გადააქნია.

—იმიტომ, რომ იმას ჯერ არ მოუცია ჩემთვის ზუსტი მონაცემები. კარგად დამაკვირდი, თუ არ გჯერა... ვერაფერს მამჩნევ? ხომ არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალის ფერი მაქვს, არც სიმაღლე, არც წონა, არც ცხვირისა და ტუჩების მოხაზულობა, არც ვარცხნილობა და ჩაცმულობა... არაფერი. თვისებებზე ხომ ლაპარაკიც აღარაა. სულ არ ვიცი, რა მიყვარდეს, რა მძულდეს და საერთოდ... რა ვქნა, ისიც კი არ ვიცი... შემომიყვანა ამ დილის სეანსზე და მორჩა. კიდევ კაი, შენ მაინც გამოგაჩინა...

უმალ მიხვდა ყველაფერს.

გვერდით მჯდომი კი განაგრძობდა:

—ჯერ ისიც კი არ გადაუწყვეტია, რა ფილმი უნდა გავიდეს ეკრანზე... უბრალოდ თავში ის ფრაზა უტრიალებს, ახლა რომ ორთავეს გვესმის და თან გაუთავებლად.

„მთავარს თვალებით ვერ დაინახავ!" — მოისმა ალბათ უკვე ვინ იცის, მერამდენედ ეკრანიდან.

—და რა უნდა ვქნათ? — იკითხა ამან, თან უნებურად თავისი თეთრი ხელჩანთის გახსნაც გადაწყვიტა, მაგრამ გვერდით მჯდომის სიტყვამ შეაყოვნა:

—რა გაქვს ჩანთაში?

დაფიქრდა. კი არ დაფიქრდა, უხერხულად დაიძაბა — თითქოს გახსენება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

—არაფერიც არ გაქვს ჯერ... — ასე მიუგეს.

—რადგან იმას ჯერ არ დაუწერია?

თავის ქნევით დაუკრეს კვერი.

—და ახლა სადაა?

—ახლა? — თვალი მოწკურა გვერდით მჯდომმა და დაფიქრდასავით. — ახლა ლიმონიან ყავას უნდა მიირთმევდეს და ზედ კარაქიან პურსაც აყოლებდეს.

—კი მაგრამ, ჩვენ?! — აღშფოთდა ეს.

გვერდით მჯდომმა პასუხად მხრები აიწურა.

—ვნახოთ... ხომ დაამთავრებს საუზმობას... მერე დაწერილსაც აუცილებლად გადაიკითხავს... შეიძლება აღარც მოეწონოს და სულ არ გააგრძელოს...

—რას ჰქვია არ გააგრძელოს... კი მაგრამ ჩვენ?! — უფრო აფიცხდა ეს.

—დავრჩებით აქ... და სამუდამოდ.

მან გვერდით მჯდომისკენ წააპარა მზერა. იმას უკვე ხელისგულები აეფარებინა სახეზე და თრთოდა.

—საუზმეს მორჩა. — გაიგონა უეცრად ორად—ორი სიტყვა, გვერდით მჯდომს სახეზე აფარებული ხელისგულებიდან რომ გამოუსხლტა.

„მთავარს თვალებით ვერ დაინახავ!" — მოისმა კვლავ ეკრანიდან.

—საიდან იცი ყველაფერი ეს? — დაეჭვდა უცებ.

გვერდით მჯდომმა სახიდან ხელისგულები ჩამოუშვა და გამოხედა.

—ვერა ხვდები?

—ნწ... — გააქნია თავი.

—საიდან და... წერა რომ დაიწყო... ეს კი შუაღამის გასრულების შემდეგ მოხდა, მე იმთავითვე საკუთარ პროტოტიპად ვყავდი ჩაფიქრებული... წინასწარ სულ არ იცოდა, რა უნდა დაეწერა. უბრალოდ უძილობას ვერ მოერია და გადაწყვიტა, წერით გაერთო თავი... მაგიდას მიუჯდა. კალამი მოიხელთა. ქაღალდიც... იფიქრა, იფიქრა და მხოლოდ ერთი აბზაცი მოაკვარახჭინა... აბზაცი ასე იწყებოდა:

„იმ დილით მეტად უცნაურ ხასიათზე გაეღვიძა. თითქოს ძილს ბოლომდე დაეცალა სურვილებისგან. არც საუზმე გახსენებია. არც წყურვილი უგრძვნია. საპირფარეშოშიც კი არ შესულა. რაც ხელში მოხვდა, ის გადაიცვა. თეთრი ხელჩანთა იღლიაში ამოიჩარა და გარეთ გავიდა"... და ასე შემდეგ... ეს შენზე იყო... მერე აქამდე მოგიყვანა, ჩემს გვერდით ჩამოგაჯინა და ჩაეძინა კიდეც... უთენია თვალი რომ გაახილა, არც გადაუკითხავს ნაწერი, ისე წამოდგა... აბაზანაში შევიდა და ცხელი შხაპი მიიღო. რომ გამოვიდა, ჩაიდანი შემოდგა. აადუღა... საუზმობს—მეთქი ახლა... ჩვენ კი ველოდებით... სულმოუთქმელად... წერას რომ იწყებდა, მართლა პროტოტიპად ვყავდი მოაზრებული...

ამან კიდევ ერთხელ შეათვალიერა გვერდით მჯდომი.

—კი მაგრამ...

—არავითარი მაგრამ! — შეაწყვეტინეს. — მხოლოდ მოაზრებული-მეთქი, და არა განხორციელებული... თუმცა გადაწყვეტილი ჯერაც არა აქვს ბოლომდე. შენ როგორ გგონია?

დაფიქრდა.

—ანუ, შენ ბიჭი იქნები, მე კიდევ — გოგო?

—ალბათ... ბოლო-ბოლო ეგ ხელჩანთა ხომ ქალისაა...

ხელჩანთაზე დაიხედა.

—და არც არაფერია აქ ცუდი...

დარბაზში ცოტა ხნით სიჩუმემ დაისადგურა.

„მთავარს თვალებით ვერ დაინახავ.“ – მოისმა უცებ ისევ ეკრანიდან.

დაფიქრდა. მერე გვერდით მჯდომისკენ წაიწვდინა ხელი, ხელზე დაადო და თითები მოუჭირა.

–რა ცივი ხელები გაქვს, როგორც ყველა ქალს... – ჩასჩურჩულეს ყურში.

–შენ კი პირიქით...

–როგორც ყველა მამაკაცს?

–ალბათ.

გვერდით მჯდომი უცაბედად აცქმუტდა.

–რა გჭირს? – შეეკითხა გოგო.

–დაიწყო! – აღტყინებით ამოთქვა ბიჭმა. – დაიწყო-მეთქი, განაგრძო უნდა მეთქვა. საწერ მაგიდას მიუჯდა... ღამით ნაცოდვილარს კითხულობს... დაკვირვებით... ნეტავი რას მოგვიხერხებს...

ცოტა ხანს უბრად ისხდნენ. მერე ეკრანი ჩაქრა და კინოდარბაზში ბაცი შუქები ალაპლაპდნენ.

–უნდა გავიდეთ. – თქვა ბიჭმა. – ეგრე აგრძელებს...

ერთდროულად წამოიმართნენ სკამებიდან. ხელი არ შეუშვიათ ერთმანეთისთვის, ისე გავიდნენ დარბაზიდან და ყინულოვან ფოიეშიც ამოჰყვეს თავი.

–როგორ ცივა? – ჩაიბუტბუტა ბიჭმა.

–ამ სიცივეს თოვლის ბაბუას თვალები აქვს. – დაეთანხმა გოგო და ქუჩაში გააბიჯეს. დამაჯერებლად მიირწეოდნენ.

–იცი, შენ მაღალი ხარ. გამხდარი. ხაკისფერი თვალები გაქვს. თმა კიდევ ჩალისფერი და გვერდზე გადავარცხნილი. – უთხრა გოგომ.

–ეგ იმიტომ, რომ იმან გამიმზადა მონაცემები. – გაუხარდა ბიჭს. – აგერ მომისმინე... უკვე ვარ დედით ქართველი. უცოლო, ოცდარვის, სპორტული აღნაგობის, თუმცა გაუთავებელმა ომმა თავისი დაღი მაინც დამამჩნია – მაკლია ცალი ნეკნი და აგერ, საფეთქელთან იარაც უნდა მქონდეს.

–გაქვს!

–ჩემი სხეული დახალულია, მიღებული მაქვს უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება, ვცხოვრობ მარტო. ამასწინათ კატა მომიკვდა, ჩემი შავი კატა „რონალდო“... შიმშილით.

–როგორ მიყვარს შინაური ცხოველები... – დაიკრუტუნა გოგომ და უცებ გაბრაზდა. – შიმშილით?

–რა ვქნა, ეგრე წერს და... თურმე იმიტომ, რომ ფეხით სიარული მყვარებია და ხანდახან ისე ვერთობი ხოლმე სიარულით, რომ რამდენიმე დღეც კი გადის...

–საწყალი... – ამოიოხრა გოგომ.

–მეე? – დაიძაბა ბიჭი.

–შენ რა შუაში ხარ... კატა... თორემ ფეხით სეირნობა მეც კი მიყვარს.

–სახლის უკან დამიმარხია... ჯვარიც კი დამისვამს პატარა... ასანთის ღერებისგან შეკრული...

ბიჭმა საყელო აიწია.

ისევ მიაბიჯებდნენ.

–აგრეთვე, გახლავარ მეოცნებე და დამყოლი ბუნების... მეხერხება ქალური ხელსაქმე, დიდ ბებიას უსწავლებია ბავშვობაში, მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი – ესეც მისგანა მაქვს.

–ძალიანაც კარგი. – მოეწონა გოგოს.

–არ ვეტანები სპირტიან სასმელს, არ ვარ ეჭვიანი.

–ოჰო.

–გავიცნობდი მომავალში სასიყვარულო ურთიერთობისთვის პატიოსან, წიგნიერ, შავთმიან, ხალიან ქალიშვილს...

გოგომ აქ უხერხულად ჩააბველა და ლოყაზე ხელი მოისვა.

–...რომელსაც არაფერი ექნება მომავალში საწინააღმდეგო, საყვარელ ადამიანს, კვირაში ორჯერ, მარჯვენა მკლავში თავისი, სასურველია სიფრიფანა თითებით შეუშხაპუნოს ხოლმე ერთჯერადი შპრიცით ჟანგისფერი სითხე...

გოგოს მოულოდნელობისგან სახე მოებრიცა.

–რაო, რაო?

ბიჭმა უდარდელად გაშალა ხელები.

–მე რა ვქნა... იმან ეგრე გადაწყვიტა და... თან ყველაფერს გაუთავებელ ომს აბრალებს, ბოლო-ბოლო პროტოტიპად ვუნდივარ და...

გოგომ ბიჭს ხელმკლავი გამოსდო. მიაბიჯებდნენ.

–შენ კიდევ ძალიან სექსუალური ხარ... – წამოსცდა უცებ ბიჭს.

–როგორი? – ცნობისმოყვარეობა თითქმის ყველა ჭრილიდან გამოეჟონა გოგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—როგორი და... ახლავე გეტყვი... შენი თვალები გაზზე მოხარშული ყავის ფერია. ტანი კოხტა და მადისაღმძვრელი. მკერდი ზომაზე ოდნავ მძიმე. თმა სწორი და სურნელოვანი. ცალ ლოყაზე ფოსო. ქუჩაში სიარულისას მუდამ მაღალ ქუსლებს ებჯინები. გაქვს მეოთხე ჯგუფის რეზუსუარყოფითი სისხლი...

—ვაუ!

—ხარ შორსმხედველი, გიყვარს კლასიკური მუსიკა და დაკონსერვებული ბადრიჯანი ნივრით...

—ფუუჰ!

—გეხერხება ფერადი ქუდების ქსოვა. ასევე გიყვარს ლოყაწითელა ვაშლებით გამასპინძლება. შენი სიმაღლეა 169 სმ, წონა კი 52 კგ.

—რაც მართალია, მართალია! — გაამაყდა გოგო და მაღაზიის ვიტრინაში არეკლილ საკუთარ თავს როყიო მზერა შეავლო. — მერე?

—მერე... თაყვანს სცემ მილას — იოვოვიჩს და ვუდის — ჰარელსონს... გიყდები ფიგურული სრიალის ყურებაზე ტელევიზორში. გაქვს გადატანილი ანემია და სასწრაფოდ საოპერაციო მარჯვენა მენისკი...

გაკვირვებისგან გოგომ ცალი წარბი აპრიხა.

—... ხომ შეიძლებოდა... კი მაგრამ ხომ შეიძლებოდა... ისე არ შეეძლო ვითომ?.. დეგენერატი ეგა! — გაბრაზდა იქვე. — ანემია საიდანღა მოიტანა? ანემია არა, მუნი...

—ჩუ! — შეაწყვეტინა ბიჭმა. — იმან ეგრე ჩათვალა საჭიროდ! რომ გადაიკითხავს თავიდან, ალბათ გადაასწორებს ჩვენში კიდევ ბევრ რამეს... საერთოდაც, ეგრე სჩვევია ხოლმე... ბოლო-ბოლო მისი პროტოტიპი ვარ და ეგ თუ აღარ ვიცი...

—მთავარს თვალებით ვერ დაინახავ. — გაახსენდა გოგოს. — ჩემი ანემია და მენისკი ამოიღოს, და შენი ნარკომანობა... მეტი არაფერი. დანარჩენი გენიალურია. მერე?

—მერე, გაიცნობდი ჩაფიქრებულსახიან, განათლებულ, ღღის მანძილზე ალერსიან, საწოლში კი ველურად უხეშ, ახალგაზრდა მამაკაცს მრავალშვილიანი ოჯახის შექმნის მიზნით... რა უბედურებაა? — გაღიზიანდა უეცრად ბიჭი.

—რა? — ვერ მიხვდა გოგო.

—მრავალ შვილს ჭამა არ უნდა, მოვლა, ჩაცმა-დახურვა და ასე შემდეგ.

გოგომ ფეხებზე დაიხედა.

—რას იზამ... რა ლამაზი ფეხები მქონია... — სცადა იქვე სიტყვის ბანზე აგდება.

—ამოსაღებია და მორჩა! — აშკარად აფიცხდა ბიჭი. — მრავალშვილიანი ოჯახი მე არ ვიცი! დაგვცინის თუ რაა?.. რა დროს მრავალი შვილია?

განიერ ქუჩას მიუყვებოდნენ. გამვლელებს ყურადღებას არ აქცევდნენ. თითქოს ვერც კი ხედავდნენ.

—სად მივყავართ? — იკითხა უცებ გოგომ.

—ჯერ არ გადაუწყვეტია. — უპასუხა ბიჭმა. — განსჯაშია. ფიქრობს. ისე, ვარიანტები ბევრი აქვს... შენ როგორ გგონია?

გოგომ მხრები აიჩეჩა.

—რომელიმე რესტორანში ხომ არა?

უეცრად აფორაჯდა ბიჭი.

—ცარიელი ჯიბით?.. — ამოიტრიალა იქვე ჯიბეები. — მომცეს ფული და... სიამოვნებით. აქაურ გემრიელობებს მივირთმევდით: ხინკალს. ქაბაბს. მწვადს. ნაღების ლიმონათს დავაყოლებდით.... არა?.. არა... მეტისმეტად არარომანტიკულია... მაშინ ჩაის დავლევდი ჟასმინის, ნამცხვრებს მივირთმევდით, ან ჰაეროვან ბეზეებს და ბამბის ნაყინს და...

—და იქნებ რომელიმე მიტოვებულ სკვერშიც გაგვიშვას... — წაიოცნება გოგომ.

—ან ბოტანიკურ ბაღში, ჩანჩქერთან... — ჩამოართვა სიტყვა ბიჭმა.

—თუნდაც, უბრალოდ, ვიწრო ქუჩებში გვასეირნოს... ხომ იცის, სეირნობა გვიყვარს...

—ვნახოთ. — დააიმედა ბიჭმა.

კვლავ მიაბიჯებდნენ. ჭადრებიდან ფოთლები ცვიოდა. ნაბიჯების ქვეშ ხრაშუნობდნენ.

—აიხედე, რამხელა ცისარტყელა! — აიშვირა უცებ ხელი გოგომ ცისკენ.

ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე მართლაც ცისარტყელა გადაჭიმულიყო.

—წვიმა რომ არ ყოფილა? — გაუკვირდა ბიჭს.

—იმას ეგრე უნდა და... — ახსნა გოგომ ლიმილით.

—მაშინ გავძვრეთ. — შესთავაზა ბიჭმა. — ასე ამბობენ, ბედნიერება მოაქვსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მოდი. — დაეთანხმა გოგო და ხელჩაკიდებულები გაიქცნენ ხიდისკენ. სირბილით მოიტოვეს უკან ცისარტყელაც და გზის დიდი მონაკვეთიც. მერე ტრანსპორტით გადახერგილი ქუჩაც გადაჭრეს და სახლის სადარბაზოსთან შეჩერდნენ.

—ეს ხომ ჩემი სახლია. — აღმოხდა გოგოს და თვალები აუბრწყინდა. — როგორ მომშიებია...

—ხომ არ დაგტოვო? — ჩაილაპარაკა ბიჭმა, მაგრამ გოგომ თითები უფრო მოუჭირა ხელზე.

—ეგრე უნდა რო იმას? — იკითხა დაბეჯითებით.

—ვის?

—იმას.

ბიჭმა კითხვა უპასუხოდ დატოვა.

—რაღატომ შეგვახვედრა? — დაეკითხა გოგო. — რაღაც უაზრობა გამოდის...

ერთმანეთთან ძალიან ახლოს იდგნენ და თვალებში შესცქეროდნენ.

—მგონი, ჩვენ შორის აუცილებლად უნდა მოხდეს რაღაც და იმიტომ. — გათამამდა უეცრად ბიჭი.

გოგომ განზე გასწია მზერა.

—ასე მალე?

—მერე რა მოხდა... სქელტანიანი რომანის დამწერი ვინღაა ჩვენ დროში... ახლა ნოველაა მოდაში... სამგვერდიანი... მაქსიმუმ ოთხიანი!

—ოთხ გვერდში რა უნდა მოვასწროთ? — გაუკვირდა გოგოს.

—იმან მოინდომოს და...

გოგო დაფიქრდა. მერე ცალი ქუსლი ააკაკუნა ასფალტზე.

—იცი, მე მარტო ვცხოვრობ.

—რასაკვირველია... — არ გაჰკვირვებია ბიჭს.

—ჰოდა, მაშინ ავიდეთ.

გოგომ სადარბაზოში შეაბიჯა. ბიჭი უკან მიჰყვა. უცებ აიარეს კიბეები და ერთ-ერთი ბინის კართან შეჩერდნენ.

—აი აქ. — თქვა გოგომ.

—ვითომ? — გაუკვირდა ბიჭს.

—დილით აქედან გამოვედი და...

—მაშინ კი... მაშინ კი... — დააქნია თავი ბიჭმა. გოგოს უცებ შფოთი გაუკრთა თვალებში.

—რა გემართება? - შეცბა ბიჭი.

—გასაღები?

ბიჭი დაფიქრდა.

—იქნებ ხელჩანთაშია...

გოგო მობუზული იდგა. მერე ზელში გაძარცა. სახე გაუნათდა.

—გამახსენდა... კი არ გამახსენდა — ხომ ხვდები... გასაღები მუდამ ყელზე დაკიდულ ძეწკვზე მაბნევია ხოლმე... ვნახოთ. — გოგომ კისრიდან ძეწკვი მოიხსნა და ზედ მართლაც ეკიდა პატარა, ვერცხლისფერი გასაღები.

გოგომ გასაღებს აკოცა, მერე კარს მოარგო და გააღო.

—მე მივხვდი, რომ მუდამ ღია კარებში შესვლა მიყვარს. — თქვა გოგომ.

შევიდნენ. დიდ ოთახში შეჩერდნენ. გოგომ თეთრი ხელჩანთა შეიხსნა და ტახტზე მიაგდო.

—ჩემი გაკეთებული ნივრიანი ბადრიჯანი უნდა გაგასინჯო. — მიუტრიალდა ბიჭს.

—ან ლოყაწითელა ვაშლი...

—დიახაც.

—ქუდსაც ხომ მომიქსოვ? ფერადს? მცივა თავზე... — მოიბუზა ბიჭი.

—მხოლოდ თავზე?

გოგო სამზარეულოში გავიდა. ბიჭი ტელევიზორთან მდგარ სავარძელში ჩაეფლო და თვალები მოხუჭა.

—შენ რა გქვია? — მოესმა გვერდითა ოთახიდან გოგოს ხმა. დაფიქრდა.

—ჯერ არაფერი...

—ჰი-ჰი. მეც.

გოგომ ოთახში ლანგრით ხელში შემოაბიჯა. ლანგარზე ორი თეფში იდო დანა-ჩანგლით. კიდევ ღრმა თეფში შეკმაზული ბადრიჯნით და თხლად დაჭრილი პური.

—ვაშლი არა მქონია. — ჩაილაპარაკა სევდიანად.

—არ არსებობს! — ბიჭი ნერვიულად წამოდგა ფეხზე და გოგოს მკლავებს გადაწვდა.

—ყველგან დავჩხრიკე...

—ჩანთაშიც? — იკითხა ბიჭმა და თვალი ტახტზე მიგდებული ხელჩანთისკენ გააპარა.

გოგო ტახტისკენ მიტრიალდა. შემდეგ ტანის ღუნე რწევით მიუახლოვდა, ხელჩანთა აიღო და შეათამაშა.

—მძიმე კია.

—აკი ვამბობდი. — აღელდა ბიჭი ხელების ფშვნეტით. — აბა, გახსენი.

—რა უნდა ქალის ხელჩანთაში ვაშლს?

—იქნებ იმას უნდა რომ იყოს?

—ვის?

—იმას.

გოგო მაგიდასთან მივიდა, ხელჩანთა გახსნა და მაგიდაზე გადმოაპირქვავა.

ჩანთიდან მართლაც ლოყაწითელი ვაშლი გამოსხლტა და ბიჭთან მიგორდა.

ბიჭმა აიღო. შეათვალიერა. მერე ხმაურით ჩაკბიჩა. წვენი ნიკაპზე ჩამოეღვარა და ყელში ჩაუვიდა.

—ვაი! — აცქმუტდა გოგო.

❀ ❀ ❀

ცოტა ხანში ტახტზე გულაღმა იწვნენ, შიშვლები. ჩართულ ტელევიზორში ფიგურული სრიალის რეპორტაჟს გადმოსცემდნენ. წყვილები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. გოგო სიგარეტს ეწეოდა და ჭერის ბზარებს ასცქეროდა. ბიჭი თვლემდა და სასიამოვნოდ დაბუჟებული სხეულის ფეთქვას უგდებდა ყურს.

—ეს მართლა შენი სახლია? — შეეკითხა უცებ გოგოს.

გოგო მისკენ გადატრიალდა და სიგარეტზე ნაფაზი დაარტყმევინა.

—ის თუ მოინდომებს, შენიც გახდება. — თბილად უპასუხა და სახე მოუთვალიერა. მერე საფეთქელთან აკოცა.

გოგო თვალებიდან ისეთ სიმშვიდეს ღვრიდა, ბიჭს მთელ ტანზე დაბურძგლა.

—გცივა? — მხარზე ლოყა ჩამოადო გოგომ და საბანი წამოახურა.

—შენს გვერდით? — გაეღიმა ბიჭს და გოგოს სიგარეტი ჩამოართვა.

—მე რა... — გაიკვირვა გოგომ. — ბევრი ვერაფერი...

—კი აბა...

—მაინც რამდენი?

ბიჭი იდაყვებზე წამოიწია და გოგოს ცხვირზე ცხვირი გაუხახუნა.

—აქედან და ყველაზე შორ მზემდე...

—ეგ რამდენია?

—რამდენია და ყველაზე მეტი... აქამდე სად იყავი?

—მეე?

—შენ.

—და შენ სად იყავი?

—ან მე სად ვიყავი? — თითქოს საკუთარ თავს შეეკითხა ბიჭი. — ეგ [illegible]... სად ვიყავით, როდესაც თურმე...

—თურმე?

—თურმე...

—ერთმანეთი ასე ძალიან გვცოდნია?

—და ასე კარგად ყოფნაც შეგვძლებია... — ბიჭი კვლავ საწოლზე წაგორდა.

—ეგ იმას ჰკითხე...

—ვის?

—აქამდე რომ მუნჯად იყო ჩვენზე... იმას.

ბიჭმა თავი დააქნია.

—ახალდაბადებულივით ვარ!

—მეც!

ბიჭმა სიგარეტი გოგოს ტუჩებისკენ გაიწვდინა. გოგო ფილტრს სქელი ტუჩებით დაეწაფა, თან ბიჭს ეშმაკურად ააცქერდა და უეცრად ტუჩებში ეცა — ბოლი უკანვე ჩაასუნთქა. ბიჭს ხველანარევი სიცილი აუტყდა.

—კაია! — დაიძახა ხმამაღლა და გოგო მთელი ძალით ჩაიხუტა.

—უფრო, კიდევ უფრო! — დაიკვნესა გოგომ და სხეულზე მჭიდროდ შემოეხალტა. ცოტა ხანს გაყურსულები იყვნენ. ერთმანეთის გულისცემა ესმოდათ.

—ვითომ ამ სახლს საათის წიკწიკი აკლია? — თავისთვის იკითხა გოგომ.

—შენი გული კი ჩემზე სწრაფია? — ჩასჩურჩულა ბიჭმა ყურში.

—და ეგ აუცილებლად რაღაცას უნდა ნიშნავდეს? — უმალ გაცვალეს ჩურჩული.

ბიჭს თვალზე ცრემლი მოადგა.

—აქამდე სად იყავი, სად?

—ძალიან დავაგვიანე? — გოგომ მკლავები შეუშვა და ახალ სიგარეტს მოუკიდა.

ბიჭმა არაფერი უპასუხა. ახლა ის ააცქერდა ბზარებს.

—გინდა შეგიყვარო? — მოესმა უცებ გოგოს ხმა. ბიჭმა თავი ასწია და გოგოს შეხედა.

—არა? — გადაეკითხა გოგო.

—რად გინდა?

გოგომ მხრები აიჩეჩა.

—ისე...

—გაგაბედინებს რო? — ამოთქვა ბიჭმა სწრაფად და თავი კვლავ ბალიშზე დაუვარდა.

—ვინ?

—ის.

—უკვე გამაბედინა-მეთქი, რომ გითხრა — დამიჯერებ?

ოთახში სიჩუმე ჩამოდგა.

—უცნაურია. — თითქოს ჭერს უთხრა გოგომ. — ასეთი არასდროს დამმართნია...

—ჯერ სადა ხარ... — ჩაეცინა ბიჭს. — ანდა როდის უნდა დაგმართნოდა?

—დედა, რა სირცხვილია! — გოგომ აჭარხლებულ ლოყებზე ხელისგულები აიფარა.

ბიჭი იდაყვებზე წამოიწია. მერე გოგოს წარბშეკრულმა შეხედა.

—რა მოხდა?

—ის ხომ გვხედავს...

—ვინ?

—ის...

—მადლობა უთხარი, საერთოდ რომ ვართ...

გოგო ბიჭს ზემოდან მოექცა.

—მაშინ მოდი კიდევ...

—მოდი... ოღონდ სხვანაირად.

—როგორ?

—როგორ და... ფიგურული სრიალის ყურება ხომ გიყვარს?

—მერე?

—თან მაგრად...

—კი... — არც დაფიქრებულა გოგო.

—ჰოდა, მაშინ ფიგურულად!

გოგო გულიანად აკისკისდა.

—ეგ როგორაა?

—ჯერ შუქი ჩააქრე...

ტელევიზორში უკვე ფიგურული სრიალის შედეგებს გადმოსცემდნენ:

_ **Бестемянова и Букин – 8.7 – 9.1 – 8.8 – 8.7 – 9.2 – 8.5 – 8. – 8.8 – 9.1... Наш репортаж окончен. Мы прощаемся с вами дорогие телезрители. До свидания. Всего хорошего**. — მოისმა კომენტატორის ხრინწიანი დამშვიდობება.

ეკრანზე ნაირფერი ლამპიონებით აციმციმებული ღამის ქალაქის ხედი გაიშალა. ცოტა ხანში ტელევიზორში ქალი ტელე-დიქტორი გამოჩნდა:

— ახლა კი თქვენ ნახავთ მხატვრულ ფილმს...

უცნაურ ხმებს ისროდა საწოლი ბნელში და სიყვარულის არომატებით სავსე სივრცეს ჭრიალა ფონად გასდევდა. ჭრიალებდა და ჭრიალებდა გაუთავებლად. ხან მონოტონურად, ხანაც პირიქით — გაშმაგებით და შლეგად.

„მთავარს თვალებით ვერ დაინახავ!... მთავარს თვალებით ვერ დაინახავ!“ — ... ეკრანზე მხოლოდ ფილმის გმირმა იწყო ძაგძაგი.

—რა ხდება? — მოისმა ბნელში გოგოს ფრთხილი ჩურჩული.

ბიჭმა ხმა არ გასცა.

—რა ხდება-მეთქი? — განმეორებით იკითხა გოგომ.

—ჰა-ჰა! — გაეცინა ბიჭს და უცებ ხმამაღალი, ისტერიული სიცილი აუვარდა.

—რა გაცინებს? — ისევ შფოთი გაუკრთა გოგოს ხმაში.

ბიჭმა გულიანი სიცილი განაგრძო.

—მითხარი! — გაისმა სიბნელეში გოგოს მუდარანარევი ხმა.

—ჰა-ჰა...

—მითხარი, გთხოვ...

—თვითმფრინავები გააკეთა... თვითმფრინავები. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად იწყო სიტყვების სროლა ბიჭმა და საწოლიც კიდევ უფრო გამალებით აჭრიალდა.

—რა თვითმფრინავები? — ვერაფერს მიხვდა გოგო ვნებიანი კვნესით.

—ქაღალდის თვითმფრინავები... ქაღალდის... ნაწერისგან... ჩვენზე ნაწერისგან...

—ვინ??

—იმან!.. იმან!

ოთახში მხოლოდ საწოლი ჭრიალებდა რიტმულად და: — „მთავარს თვალებით ვერ დაინახავ!“ — მოთქვამდა ტელევიზორი.

—მერე? — შიში უთრთოდა ხმაში გოგოს.

—მერე აივანზე გავარდა და გააფრინა... ოთხივე ფურცელი...

—როგორ?

—როგორ? სხვადასხვა მხარეს... ერთი აღმოსავლეთით, მეორე დასავლეთით, მესამე სამხრეთით, მეოთხე ჩრდილოეთით... სხვადასხვა მხარეს... ოთხივე...

ჭრიალებდა ლოგინი.

—თვითმფრინავებად?

ჭრიალებდა ლოგინი.

—თვითმფრინავებად... ქაღალდის თვითმფრინავებად... ფარფატებენ... ცაში ფარფატებენ... ნუთუ არ გესმის...

ჭრიალებდა ლოგინი.

—კი მაგრამ, ჩვენ? — აღელდა გოგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერების საღი სურნელი იდგა ოთახში.

–ვიქნებით სულ აქ, და ასე. – დამარცვლა ბიჭმა ქშენით და სიბნელეშიც შეეტყო, რომ მთელი სხეულით გაიღიმა.

„მთავარს თვალებით ვერ დაინახავ!" – არ დუმდებოდა ტელევიზორი.

–და ყოველ ღამით ჩვენი ოთახი ისე ბნელია, როგორც ომში უდროოდ დაღუპულთა მშრალი თვალები... – წაიმღერა ბიჭმა.

–როდემდე? – იკითხა გოგომ ისევ ჩურჩულით.

ჭრიალებდა ლოგინი.

–ბოლომდე. – არ დაფიქრებულა, მოკლე პასუხი მისცა ბიჭმა და გოგოს ტუჩებზე აკოცა.

ჭრიალებდა კვლავაც ლოგინი.

აუტანლად რიტმულად.

კუნაპეტ ბნელში.

უშუალოდ და ბოლომდე.

ჭრიალებდა სამუდამოდ და ჭრიალებდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიქელ ირემაძე

პირველი სიმფონია

მოთხრობა

I

შეხება

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი სასაცილო კაცი. სასაცილო კაცი მხოლოდ იმით იყო საინტერესო, რომ გარეგნულად ოდნავ ჰგავდა მაჰატმა განდის. ოღონდ განდი, თავისი გარეგნობის მიუხედავად, მნიშვნელოვანი კაცი იყო, აი, სასაცილო კაცს კი არაფერი ჰქონდა მნიშვნელოვანი, ამ მსგავსების გარდა.

თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, სასაცილო კაცი, დიდ ინდოელს კი არა, უფრო ჭიაყელას მოგაგონებდათ. გამხდარი იყო, დაჩიავებული, უძლური ხელ-ფეხი ჰქონდა. წვრილ კისერზე მრგვალი, მელოტი თავი ედგა, კეფაზე მეჩხერი ჭაღარით დაფარული. დანაოჭებულ სახეზე ცხვირი და ყურები როგორღაც უშნოდ გამოჩროდა. ყველა სიკეთესთან ერთად, სასაცილო კაცს წვრილი ჭაღარა ულვაშიც „ამშვენებდა", რაც მის ისედაც უხამსობამდე უშნო გარეგნობას, სასაცილოს კი არა, ლამის საზიზღარს ხდიდა.

ამ უცნაურ კაცს თანამდებობაც უცნაური ჰქონდა — მენაფტალინედ მუშაობდა ერთ სამოდელო სახლში. მისი მოვალეობა იყო ნაფტალინიანი პარკუჭები მიემაგრებინა შესანახად გადადებულ კაბებსა და კოსტუმებზე, მაგრამ რადგან ამ სამოდელო სახლში პრინციპულად არაფერს კერავდნენ შალის ქსოვილებისგან, და რადგან ამ სამოდელო სახლში ყველაფერი უცბად იყიდებოდა, ისე რომ არაფერი რჩებოდა შესანახად გადასადები, სასაცილო კაცის პროფესიაც არავის სჭირდებოდა, მისი საქმიანობის სფერო ამ სივრცეში არ არსებობდა.

ჰოდა, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, სასაცილო კაცსაც არ უნდა ეარსება, რადგან მისი არსებობა არავის არაფერში სჭირდებოდა. მაგრამ სასაცილო კაცი მაინც ცოცხლობდა, ჭამდა, სვამდა და, საერთოდ, არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ იყო. ერთი ეგაა, საქმე არაფერი ჰქონდა სამოდელო სახლში და ისიც უსაქმობისგან გამუდმებით მოდელებს შეჰყურებდა.

უყურა, უყურა სასაცილო კაცმა მოდელებს და ამ ყურებაში ყოვლად სამარცხვინო ავადმყოფობით დაავადდა — მოდელი შეუყვარდა. თანაც როგორი მოდელი: მთელი სამოდელო სახლის მშვენება და სახე, ულამაზესი გოგონა ეკზოტიკური სახელით ემა. საერთოდ, სიყვარულში, ალბათ, არაფერია სამარცხვინო და ავადმყოფური, ვისაც სურს, შეუძლია, ვინც მოუნდება ის შეიყვაროს, მაგრამ თვით ემა?!! ისე, სასაცილო კაცსაც შეიძლება გავუგოთ: რა ექნა აბა, თავისსავით მენაფტალინეს ვერაფრით ვერ შეიყვარებდა — ის ხომ ერთადერთი მენაფტალინე იყო მთელ ქვეყანაზე!

ჰოდა, სასაცილო კაცი მუდამ ფეხდაფეხ დაჰყვებოდა ემას (ცხადია, მხოლოდ სამოდელო სახლში, თორემ სხვაგან მას ვინ მიაკარებდა). ისედაც ენაბლუ იყო და ემას სიახლოვეს ხომ სულ ებმებოდა ენა და სწორად ერთი სიტყვის წარმოთქმასაც ვერ ახერხებდა. ამიტომ სულ გაჩუმდა, პირში წყალი ჩაიგუბა და ცდილობდა, ემას უმცირესი სურვილიც კი ყველაზე ადრე შეესრულებინა, ყველასთვის დაესწრო — ყავა მოედულებინა, ნამცხვრის საყიდლად გაცუნცულებულიყო, პლანი შეეკეთებინა. ყველას ფეხებში ედებოდა და „ცანცარა" შეარქვეს.

ემა ერთხანს გულმოწყალედ იტანდა სასაცილო კაცის მზრუნველობას. სამსახურ-

ში შესვლისას, სასაცილო კაცს თუ ვერ დაინახავდა, ზოგჯერ ღიმილით იკითხავდა კიდეც: „რატომ არსად ჩანს ჩემი ცანცარაო?“, მაგრამ გულის სიღრმეში სულ უფრო და უფრო იბოღმებოდა, ამ არარაობამ მისი შეყვარება რომ გაბედა. ვინმე სხვა რომ ყოფილიყო, კიდევ აიტანდა ქალი, თუნდაც, ყველაზე უარესი შემთხვევა რომ წარმოვიდგინოთ, ღამის დარაჯი დარჩო (ის კაცს შორეულად მაინც მოგაგონებს). ჰოდა, ითმინა, ითმინა ემამ და ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო: ერთ დღეს ყველა თანამშრომლის თანდასწრებით (ემას ხომ ქალებიც და კაცებიც ერთიანად თავს ეხვეოდნენ) გამწარებით უკივლა სასაცილო კაცს:

— აქ რას აკეთებ, თავიდან მომწყდი, ჩემს სიახლოვეს არ დაგინახო, შე ცანცარა ძონძო!

დაუჯერებელია, მაგრამ სასაცილო კაცს თავმოყვარეობის ნაფლეთები კიდევ ჰქონდა შერჩენილი. ამიტომ, ვიდრე სხვები გონს მოვიდოდნენ და კისერში ხელჩავლებულს გააწიალებდნენ, თვითონ გაიძურწა ოთახიდან.

ამის შემდეგ სასაცილო კაცი სამოდელო სახლის სარდაფში, ერთ-ერთ დერეფანში გადაბარგდა, სადაც კედელზე ემას დიდი ფერადი პლაკატი იყო გაკრული. სურათის პირდაპირ დაიდგა დაბალი სკამი და დილიდან საღამომდე თვალმოუშორებლად შეჰყურებდა ემას. მართალია, დერეფანი ისედაც ვიწრო იყო და სასაცილო კაცი უშნოდ იყო იქ გახიდული, მაგრამ აქ იშვიათად თუ გაივლიდა ხოლმე ვინმე და ისიც ბევრს არავის ედებოდა ფეხებში.

სურათზე ემას ყელსა და მკერდს მხოლოდ წითელი კაშნე უფარავდა. მთავარი კი მაინც მისი ულამაზესი შიშველი წელი და ზურგი იყო, რომელიც სარკეში ირეკლებოდა: ვიოლონჩელივით სრულყოფილი ფორმის, ლარნაკივით უზადოდ ჩამოქნილი.

უყურებდა სასაცილო კაცი ამ ზურგს, უყურებდა და თანდათან სულ უფრო ავად ხდებოდა. მასთან მიკარებაზე ოცნებობდა, მოხვევაზე, ჩახუტებაზე, მის სრულყოფილებაში ჩაძირვაზე, მთლიანად ამ სრულყოფილებაში გაქრობაზე. დროდადრო წამოდგებოდა ხოლმე, სკამს კედელთან მიდგამდა, თვითონ ზედ შედგებოდა და სურათს ლოყით და მკერდით ეკვროდა.

სამოდელო სახლის თანამშრომლებს ამ დერეფნით უფრო ხშირად რომ ვიარეთ, ალბათ, დროულად მიმართავდნენ ფსიქიატრს და, ვინ იცის, იქნებ იმ უბედურს შველებოდა კიდეც რამე, მაგრამ, როგორც ვთქვი, იმ დერეფანში იშვიათად თუ ვინმე გაივლიდა, სასაცილო კაციც ბევრს არავის ედებოდა ფეხებში, ამასობაში კი მისი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო სავალალო ხდებოდა. ის უკვე ღამითაც კი აღარ მიდიოდა შინ, აღარც ეძინა, აღარც ჭამდა, წყლის დასალევად და მოსაფსმელად თუ გალასლასდებოდა ტუალეტში დღეში ერთხელ ან ორჯერ. იჯდა ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში, რომელსაც დღედაღამ ერთადერთი უძალოდ მბჟუტავი ნათურა ანათებდა და გამუდმებით ემას შიშველ ზურგს შეჰყურებდა.

უყურა, უყურა სასაცილო კაცმა მშვენიერ ზურგს და თანდათან მართლა სახიფათოდ დაავადდა. თანამშრომლებმა მაშინღა შეამჩნიეს, რაღაც უბედურება სჭირსო, როცა სკამიდან ჩამოვარდნილი ნახეს, ზურგით კედელს მიჰყრდნობოდა და იჯდა ასე კისერგადავარდნილი თავისსავე ფსელში.

კარგი იქნებოდა, ადრე გაევლოთ, ის ხომ უკვე მესამე დღე ეგდო გაუნძრევლად ამ მდგომარეობაში და კვნესოდა. თუმცა, ვინ იცის, ადრეც რომ მიესწროთ, ეშველებოდა კი ასე სამარცხვინოდ და უაზროდ შეყვარებულ ადამიანს რამე?

შესაძლოა, არც ახლა მიექციათ ყურადღება, მაგრამ კვნესა სულ უფრო ძლიერდებოდა და თანდათან შემაწუხებელი გახდა. და რაკი სასაცილო კაცს, მართალია, სრულიად უსარგებლო, მაგრამ მაინც ადამიანი ეთქმოდა, იძულებულნი გახდნენ, მასაც ადამიანურად მოპყრობოდნენ: დიდ ოთახში გადაიყვანეს, ტახტზე წამოაწვინეს და სასწრაფო გამოიძახეს. ერთმა თანამშრომელმა კი მთლად მოიქაჩლა თავი — მეზობელ საავადმყოფოში გადაირბინა ნაცნობი ექიმის მოსაყვანად.

ამასობაში კი სასაცილო კაცის მდგომარეობა სულ უფრო საშიში ხდებოდა: ტახტზე დააწვინეს თუ არა, იგი კვნესიდან ყვირილზე გადავიდა. ამ უცნაურ არსებაში სასიყვარულო სნეულებამაც უცნაური ფორმა მიიღო: მას ნეკნები სტკიოდა. — მტკივა! - ყვიროდა და ფერდებზე იჭერდა ხელებს. — მტკივა! —

ყვიროდა ის და ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა.

ამ ხმამ ემამდეც ააღწია მეორე სართულზე და საშინლად აუშალა ქალს ნერვები. ემას უნდოდა, მაშინვე დაეტოვებინა იქაურობა და სადმე წასულიყო – ან შინ, ან რესტორანში; მაგრამ, საბედნიეროდ, მას ჰყავდა საყვარელი – ახალგაზრდობის ჟამს ნაკომპოზიტორალი, სხვა მხრივ კი სრულიად უმწიკვლო რეპუტაციის კაცი, ბიზნესმენი ანტონიო (ისე, ბედს რომ უფრო გაემართლებინა, ემასა და ანტონიოს, ალბათ, ნათლობის სახელები შერჩებოდათ – ქრისტინე და ელგუჯა იქნებოდნენ, ისხდებოდნენ სადმე სოფელში ბუხართან და ხუთ ცინგლიან ბავშვს გაზრდიდნენ). ჰოდა, იმ ანტონიომ ურჩია – ახლა რომ წახვიდე, ეს ამბავი აუცილებლად გახმაურდება პრესაში და იმიჯს შეგილახავსო. იმიჯი კი, მოგეხსენება, კარგა ძვირი ღირს, სულ ცოტა, ოთხი-ხუთი ათას დოლარში მაინც გადაგვაგდებსო.

ემამაც, სხვა რა გზა ჰქონდა, დაილაგა თავისი აწეწილი ნერვები, ძალა მოიკრიბა და მომაკვდავთან ჩავიდა, მაგრამ იქ, უიმედოდ შეყვარებული კაცის სიკვდილი კი არა, ნამდვილი საშინელება დახვდა: სასაცილო კაცის სხეული ჭიაყელასავით იკლაკნებოდა, თეთრხალათიანი მედპერსონალი ამაოდ ცდილობდა, შეეჩერებინა კრუნჩხვა. ხოლო ის, რაც ამის შემდეგ მოხდა, უკვე ან უდიდესი საოცრება იყო, ან უდიდესი საზიზღრობა, ან კიდევ ორივე ერთად (ოღონდ, არა აუცილებლად ამ თანამიმდევრობით): სასაცილო კაცს ნეკნების მსხვრევა დაეწყო.

თითქოს ვილაცის უხილავი ხელი მის ფერდებს მძიმე ეროს ურახუნებსო, სასაცილო კაცს ტკაცანით ემსხვრეოდა თითო-თითო ნეკნი, ამასთან, ყოველი ნეკნის ჩამსხვრევაზე სისხლის მოზრდილ კოშტს არწყევდა.

– ემა! – ყვიროდა სასაცილო კაცი, სისხლს სულ უფრო დიდი ძალით ასხამდა პირიდან და წითლად აყვავილებდა ექიმთა ხალათებს, კედლებს, სარკეებს, ტახტს, შხეფები მაღალ ჭერსაც კი სწვდებოდა. თანამშრომლებმა, ზოგმა კივილით, ზოგმა ბუზღუნით, თავს უშველეს და ოთახიდან გავარდნენ.

– ემა! – სულ უფრო ხმამაღლა ღრიალებდა სასაცილო კაცი.

– რამდენი ძალა ჰქონია ამ ნაგავს. – ბოღმით ფიქრობდა ანტონიო, რომელიც, ოფიცში დარჩენილიყო, მოშორებით იდგა ყარიან და სიგარეტს ეწეოდა. თუმცა, ხმამაღლა არაფერი უთქვამს, რადგან მეტისმეტად წესიერი ადამიანი იყო და უხამსობას ვერ იტანდა.

– რა იყო, დამპლებო, ვერ გაიცინეთ არა სასაცილო კაცის სიკვდილზე?! – გაიფიქრა ანტონიოს გვერდით მდგომმა დარჩომ, მაგრამ მასაც არაფერი უთქვამს – ის ხომ მხოლოდ დარაჯი იყო, და თანაც ღამის.

ემა თავის ოთახში იყო აბრუნებული, გულმკერდი რატომღაც მოეშიშვლებინა და ნერვების დასაწყნარებლად სახეზე მაკიაჟს იკეთებდა, როცა სასაცილო კაცმა მთელი ძალით ამოიღრიალა ქალის ბავშვობის სახელი (რომელიც, წესით, არათუ მას, საეჭვოა, სამოდელო სახლში საერთოდ ვინმეს სცოდნოდა):

– ქრისტინე! – ეს ხმა, მთელმა თუ არა, ნახევარმა უბანმა მაინც გაიგონა, ხოლო სამოდელო სახლის ძველი კედლები შეზანზარდა, მომაკვდავის მახლობლად ჭაღიდან ბროლის ბურთულები ჩამოცვივდა (ერთ-ერთი მათგანი ანტონიომ აიღო და რატომღაც გულის ჯიბეში შეინახა), ხოლო იმ ოთახის კედელი, სადაც ემა იჯდა, შუაზე გაიბზარა და ჭერიდან ბათქაში ჩამოცვივდა:

ემას წამიერად გაუელვა გულში შიშმა და, ალბათ, ოთახიდან გავარდებოდა კიდეც, მაგრამ სწორედ ამ დროს რაღაც ცივი და დამამშვიდებელი ტალღა ჩამოადნა შიშველ ზურგზე, მერე კანში შეაღწია, უწვრილესი ფორებით გაჟონა და მთლიანად ხერხემალში ჩაიღვარა, იქიდან კი ძალიან ნელა დაიძრა კეფისკენ. ახლა ემა საკუთარი ტვინის ყველა ძარღვს, ყველა კაპილარსა და ნერვს ხედავდა და გრძნობდა, როგორ ევსებოდა მთელი თავი მზესავით მბრწყინავი სინათლით, უცნაური ნათელი წყვდიადით.

ამასობაში მტვერი გაიფანტა, ემამ კედელში გაჩენილი ნაპრალიდან ფანჯარაზე გადაიტანა მზერა და დაინახა – მზე ჩადიოდა. რატომღაც, მისთვის სრულიად უცხო ნაღველმა შეუკუმშა გული და სწორედ მაშინ ამოუტივტივდა გონებაში იმდენად უჩვეულო ფრაზა, რომ სიტყვების შინაარსსაც კი ვერ მიხვდა: „წუთისოფლისგან კიდევ ერთი დღე მიითვალა მარადისობამ“.

შეიძლებოდა გვეფიქრა, ნერვული აშლილობისას ქალს სადღაც ამოკითხული სიბრძნის ნაფლეთი გაახსენდაო, მაგრამ ემას წიგნი საერთოდ არ ჰქონდა წაკითხული.

უცნაურობანი ამით არ დასრულებულა: გვიან ღამით, როცა ანტონიო, უფრო ჩვევის, ვიდრე წადილის გამო, ემას ბაყვებშუა მოთავსდა და თავის რიტმულ საქმეს შეუდგა, იგრძნო, რომ ქალი მკვდარივით იწვა. ანტონიო კი, როგორც ითქვა, უაღრესად წესიერი ადამიანი იყო, ყოველ შემთხვევაში, ნეკროფილობას ნამდვილად ვერავინ დასწამებდა. ამიტომ, ქალს ზრდილობიანად ჰკითხა — დღეს, ეტყობა, გუნებაზე ვერა ხარო? — და მისი სხეულიდან ჩამოსვლა დააპირა, როცა პასუხად წარმოუდგენელი რამ გაიგონა:

— ვარსკვლავები, გუჯა!

თავიდან, სიტყვების შინაარსზე მეტად, ანტონიო მიმართვის ფორმამ გააოცა — მისთვის უკვე ათი წელი მაინც იქნებოდა, არავის ეწოდებინა არც ელგუჯა და არც გუჯა, ემას ხომ — საერთოდ არასოდეს (იმასაც კი ვერ წარმოიდგენდა, ქალმა რომ მისი ნამდვილი სახელი იცოდა). და მან მექანიკურად იკითხა:

— რომელი ვარსკვლავები?

— ცა ვარსკვლავებით არის სავსე, — უპასუხა ემამ, — წამოდი, ვნახოთ.

მთელი თავისი ზრდილობისა და დელიკატურობის მოკრება დასჭირდა ანტონიოს, რათა პასუხად რაიმე უხამსობა არ წამოსცდენოდა. მიმოიხედა, ოთახში ფარდები იყო ჩამოშვებული და ცის ნაფლეთიც კი არსად მოჩანდა.

ემა უკვე საბაზანოში იყო შესული და დიდხანს, გულმოდგინედ იბანდა ტანს, თუმცა ამ ღამით ერთხელ უკვე იბანავა დაწოლამდე. მერე კი ასე შიშველი თავისი ორსართულიანი სახლის ბანზე ავიდა. ანტონიო უხალისოდ აჰყვა სახურავზე ქალს. ცა მართლაც ვარსკვლავებით იყო მოჭედილი: ასობით, ათასობით, ათიათასობით ვარსკვლავი და მათ შორის რძესავით ჩაღვრილი უშორესი ნისლეულები. ემა ხელებგაშლილი და თავგადაწეული აჰყურებდა ცას და, მოულოდნელად, მართლა გიჟივით ალაპარაკდა:

— გესმის, რა ტკბილი და მძლავრი ხმებია, რა უჩვეულოდ წმიდა ჰარმონია ჩაესმის ჩემს ყურს? სამყაროსათვის უცხოა სიჩუმე. მარადიული და ციურ სხეულთა მოძრაობისგან განუყრელია ხმების კონცერტი, თითოეული მოძრავი ვარსკვლავი თავისი სიჩქარის მიხედვით არხევს ეთერს. ყველაზე მეტად დაშორებულნი ერთობლივად გამოსცემენ ყველაზე მაღალ ბგერებს. ყველაზე დაბალი ბგერების წყარო ყველაზე ზანტად მოძრავი ვარსკვლავებია, რომლებიც უფრო ახლოს არიან ჩვენთან. ხოლო უძრავი მიწა მუნჯია. და რაკი სფერონი ღვთაებრივ კანონს ჰმორჩილებენ, მათ მიერ გამოცემული ბგერები უნაზეს აკორდად, უსათუთეს ვარიაციებად ერწყმიან ერთმანეთს. ეს ცათა აკორდია, ციური ჰარმონია ავსებს ჩემს სხეულს. აი, მომეყრდენი და მოისმინე.

ანტონიო მჩვეული იყო, უხმოდ დაჰყოლოდა ამ ქალის კაპრიზებს, ახლაც მორჩილად მიადო მკერდზე ყური და, თავისდა გასოცრად, ძალიან შორეულად, მაგრამ მაინც გაიგონა რაღაც მომაჯადოებელი და უცხო ბგერები, რაღაც უჩვეულო, მაგრამ თითქოს ოდესღაც მოსმენილი ჰარმონია.

ანტონიომ გველნაკბენივით მოაცილა ქალის მკერდს ყური. აჯობებს, შინ წავიდეო, ჩაილუღლუღა და სწრაფად დაეშვა კიბეზე. ემა სახურავზე დარჩა.

ანტონიოს არ დაუნახავს, თანდათან როგორ აიტანა ემა კანკალმა. ისევ რაღაც უაზრობას ლუღლუღებდა. ფეხზე დგომა გაუჭირდა, სურდა, დამჯდარიყო, მაგრამ წაიქცა. მოკუნტული იწვა, კბილს კბილზე აცემინებდა და პირიდან დუჟი მოსდიოდა.

მანქანაში რომ ივჯდა, ანტონიო მთელი გზა სულ იმ მუსიკას უტრიალებდა. სად შეეძლო მოესმინა? რომელიღაც სოფელი მთაში (ბაკურიანი? აბასთუმანი?.. ზამთარი? ზაფხული? უფრო ზაფხული... სტუდენტური ლაშქრობა? ფოლკლორული ექსპედიცია? ხურთისი? შენაქო? ხანი? იქნებ სულაც ქალაქთან ახლოს არის, ვთქვათ, კოჯორში ან კიკეთში?). საყვარელი გოგო ბინამდე მიაცილა (სახლი? კოტეჯი? კარავი?) და შინ ბრუნდება. სიყვარულით და ბედნიერებით ისე არის სავსე, რატომღაც მხოლოდ სიკვდილზე ფიქრობს და ძველი სასაფლაოსკენ მიდის. ცა კი ვარსკვლავებით ზუსტად ასევეა მოჭედილი, იქნებ, ამაზე მეტადაც. ის საფლავის ჩაშავებულ ქვებს შორის ჩაწვება ნამიან მაღალ ბალახში. სიცივისაგან ძაგძაგებს, მაგრამ არსად მიდის, გათენებამდე

შესაცქერის ზეცას. ხო, მაგრამ, საიდან შეიძლება გაეგონა იმ ჩუმ ღამეში მუსიკა? მაგნიტოფონზე ჰქონდა ჩაწერილი ვინმეს და ხმა სასაფლაომდე აღწევდა? უაზრობაა: ამ მუსიკას მაგნიტოფონზე რომელი გიჟი ჩაიწერდა და, მით უმეტეს, შუაღამისას ვინ დაუკრავდა? ან, თუ ასე ბედნიერი იყო, რატომ ფიქრობდა სიკვდილზე და სასაფლაოსკენ რას მიეხეტებოდა? ანდა ვინ იყო ის გოგო? ცდილობს, გაიხსენოს და მხოლოდ ემას სახეს ხედავს, რომელსაც ნაკვთები თანდათან ბავშვური უხდება. რა სისულელეა — ემა მაშინ დაბადებულიც არ იქნებოდა.

მუსიკა კი არ ასვენებდა, თანდათან ძლიერდებოდა, მელოდიურ ფრაზებად იშლებოდა, ინსტრუმენტებზე ნაწილდებოდა. საუბედუროდ, ანტონიოს ამ ინსტრუმენტების გამოცნობაც კი უჭირდა და საკუთარ თავსაც არ უმხელდა, რომ ეს ოდნავ სწყინდა კიდეც — ის ხომ ოდესღაც კომპოზიტორი იყო (სიმებიანების საქმე გარკვეულია — მეორე ვიოლინოები და ვიოლონჩელებია, მაგრამ სასულეები? ჰობოი, კლარნეტი და ვალტორნა... არა ვალტორნა არ არის, საყვირია, აი, ფლეიტაც შემოვიდა... არც ფლეიტაა. ეტყობა, ძალიან დიდი ორკესტრი უკრავს და ბგერები ისე ერწყმიან ერთმანეთს, დანაწევრება უჭირს). იქნებ, ბავშვობაში აქვს მოსმენილი ეს კონცერტი, ან კონსერვატორიაში გაიარა, როგორც სავარჯიშო. თუ ასეა, რომელი კომპოზიტორი შეიძლება იყოს? ვინმე ცნობილი ნაღდად არ არის... გერმანელია? იტალიელი? არავის რომ არ ჰგავს...

შინ მივიდა თუ არა, მაშინვე დახაზა ფურცელი, ვიოლინოს გასაღები დაუსვა და მუსიკის ჩაწერა სცადა, მაგრამ ამაოდ ჯახირობდა თითქმის მთელი საათი, ერთი მელოდიური ფრაზის დაწერაც კი ვერ მოახერხა.

— არა უშავს, — თქვა ბოლოს თავის დასამშვიდებლად, — ჯერ ერთი, ძველი მუსიკაა, თანაც სხვისი და, რაც მთავარია, აშკარად არ არის რეიტინგული.

ლოგინში ტრიალებდა და ამაოდ ცდილობდა დაძინებას. მუსიკა უკვე უსაწყისო და უნაპირო ჰარმონიად ქცეულიყო, ერთიან, ყოვლისწამლეკავ მდინარედ მოედინებოდა პირდაპირ თავისკენ, ჩანჩქერივით ეშვებოდა ტვინში და მერე, მთელი სხეულის გავლით, ისევ უსასრულობაში იკარგებოდა.

და ანტონიოს რატომღაც ბოლმით გაახსენდა, რომ ჯიბეში ჭაღიდან ჩამოვარდნილი ბროლის ბურთულა ედო. ფანჯარასთან იდგა, სიგარეტს ეწეოდა, ბურთულას ხელში ატრიალებდა და ცას აჰყურებდა.

— ასეთი ცა შეიძლება იყოს ბაკურიანში ან აბასთუმანში, — გაიფიქრა მან, — ასეთი ცა თბილისში არ შეიძლება იყოს... — და ოთახისკენ შებრუნდა, — ასეთი ცა არსად არ შეიძლება იყოს, ასეთი ცა საერთოდ არ უნდა იყოს.

იცოდა, ამაღამ ძილზე, შეეძლო, აღარ ეოცნება. ამიტომ, ჭიქა კონიაკით აივსო, სავარძელი ფანჯრისკენ ზურგშექცევით დადგა, ეჯდა, ნელა წრუპავდა სასმელს და კედელს შეჰყურებდა.

და მაინც, ანტონიო ზურგითაც გრძნობდა, რომ სწორედ ახლა, თითქოს მის ჯიბრზე, ევსებოდა და ევსებოდა ცა ვარსკვლავებით.

II

სიზმრები

მაგრად რომ დაბერდა, ანტონიომ, — ბანკირმა, პროდიუსერმა, მედიამაგნატმა და, საერთოდ, ყოველმხრივ წარმატებულმა ადამიანმა, — ნახა სიზმარი, რომელმაც იგი ოცდაათი წლის წინანდელი ამბისკენ მიაბრუნა. ამ ამბავს იგი იშვიათად იხსენებდა ხოლმე, უფრო სწორად, ცდილობდა, საერთოდ არ გაეხსენებინა.

მაშინ ანტონიო ორმოცდაათი წლის ხდებოდა. ის იღბლიან და წარმატებულ კაცად ითვლებოდა. ბანკირის კარიერის შემდეგ, ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა შოუ-ბიზნესში და ისიც არა მოგების იმედით, არამედ უფრო პატივმოყვარეობის გამო: მას ჰყავდა ძალიან ახალგაზრდა და ძალიან პრესტიჟული საყვარელი, ულამაზესი მოდელი ემა, რომელიც მის ხელში იქცა ამომავალ ვარსკვლავად და, უეჭველია, წინ გრანდიოზული წარმატებები ელოდა.

მაშინ იმავე სამოდელო სახლში მუშაობდა ერთი სრულიად უმნიშვნელო კაცი (ახლა ანტონიო ვერც მის სახელს, ვერც თანამდებობას ველარ იხსენებდა), რომელსაც ყველა „ცანცარას" ეძახდა. ჰოდა, აი უბედურება, „ცანცარას" ემა შეუყვარდა. უფრო სწორად, უბედურება ის იყო, რაც ამას მოჰყვა: ჩვენს დრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, როცა სიყვარულისგან თვით ყველაზე დამთხვეული ცანცარებიც კი არ კვდებიან, იმ კაცს ეყო ღორობა, სწორედ ამ მიზეზით მომკვდარიყო; თანაც ისე ულამაზოდ, ისე არაესთეტიკურად ამოანთხია სული (სისხლის „შადრევნებთან" ერთად), რომ ანტონიოს ამის გახსენებაზე ამდენი ხნის შემდეგაც კი გული ერეოდა.

ის კაცი საღამოს, მზის ჩასვლისას გარდაიცვალა. ანტონიომ კი მთელი ღამე თვალი ვერ მოხუჭა და გამთენიისას, როცა წარმოიდგინა, როგორ ეგდო მორგში უპატრონო სხეული, ისეთი სიბრალული იგრძნო, რომ მოუნდა სანთელი დაენთო „ცანცარასათვის". სახლში ხატებიც ჰქონდა ანტონიოს, შანდლებიც, საკმეველიც, ნაკურთხი სახარებაც... სანთელი კი არ აღმოაჩნდა, ეძება, მაგრამ ვერ იპოვნა. თავი დაიმშვიდა, დღისით ეკლესიაში შევალ და იქ დავანთებო, მაგრამ ის დღე ისე თარსად აეწყო...

გვიან გაიღვიძა და მაშინვე ემა მოიკითხა. ბინაზე ტელეფონს არავინ იღებდა, არც სამსახურში მისულიყო. ემას ზოგჯერ მთელი დღე ეძინა ხოლმე წამლით გათიშულს, ამიტომ საღამოსღა მიაკითხა სახლში და გოგო საშინელ დღეში დახვდა — თავისი სახლის ბანზე ეგდო გრძნობადაკარგული, კრიჭაშეკრული და სიცოცხლისა ისღა ეტყობოდა, რომ მთელი სხეული სუსტად, მაგრამ შეუჩერებლივ უცახცახებდა.

ანტონიო საავადმყოფოში გაჰყვა ემას და ვიდრე გოგო სარეანიმაციო განყოფილებაში ებრძოდა სიკვდილს, სამი დღე და ღამე იქიდან ფეხი არ მოუცვლია. თანაც, იმდენი მოახერხა, ეს ულამაზო და წამგებიანი ამბავი რეიტინგულ „ნიუსად" შემოაბრუნა: რამდენიმე პრესტიჟული ჟურნალისტი დაიქირავა და ისე მომგებიანად გაასაღა გამოუთქმელი სიყვარულის გამო მომკვდარი ხანდაზმული კაცისა და თანაგრძნობისგან ლოგინად ჩავარდნილი ულამაზესი გოგოს ამბავი, რომ ემას სურათი თითქმის ყველა წამყვანმა ჟურნალმა დაბეჭდა გარეკანზე და ქალი ჯერ საავადმყოფოდანაც არ იყო გამოწერილი, როცა ღვარად წამოვიდა ერთმანეთზე მომგებიანი ბიზნეს-წინადადებები და მალე თითქმის ყველა უბანში გაჩნდა ბილბორდები ემას ფოტოებით. ასე რომ, მოდელის რეიტინგს ადვილად ეშველა. საუბედუროდ, არაფერი ეშველა ქალს, ოღონ ამ ქვეყნისკენ ვერა და ვერ გამობრუნდა.

ემა წამალს ადრეც იკეთებდა, მაგრამ ახლა მთლად ხელიდან წასულ ნარკომანად იქცა. საერთოდაც, გიჟივით იქცეოდა: აიკვიატა, გინდა თუ არა, მალე მოვკვდებიო და უმიზეზო ისტერიული ტირილი დასჩემდა, დასამშვიდებლად კი სულ უფრო და უფრო დიდ დოზებს მოითხოვდა. ერთხელაც იმდენი გაიკეთა... მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის ემა, ფაქტობრივად, შეურაცხადი იყო, ანტონიოს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ქალს ყველაფერი გააზრებული ჰქონდა და მისი სიკვდილი, გაუფრთხილებლობის შედეგი კი არა, თვითმკვლელობა იყო.

ემას დაკრძალვის შემდეგ ანტონიომ თავიდან შვებაც კი იგრძნო, რადგან ამიერიდან დღედაღამ იმაზე აღარ უნდა ეჭყლიტა ტვინი, როგორმე ყველასთვის დაემალა ქალის სიგიჟე და თან, ვიღაც „ფნილოი" ნარკუშასავით, წამლის საშოვნად ბარიგებში ერბინა. მაგრამ სულ მალე ირგვლივ საშინელი მოწყენა ჩამოწვა, თითქოს ემამ მთელი ხალისი ერთიანად სამარეში გაიყოლაო.

ანტონიო გაათკეცებული ენერგიით მიუბრუნდა საქმეებს. წარმატება, როგორც ყოველთვის, ახლაც თან სდევდა. სამოდელო საქმისთვის სულ ახალგაზრდა გოგოც იპოვნა, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავდა ემას; მალე ემაზე უფრო პრესტიჟული საყვარელიც კი დაითრია, მაგრამ ხალისი არადა არ ბრუნდებოდა, საშინლად უღიმღამოდ, ბებრულად მიდიოდა ყველაფერი. (სწორედ იმ პერიოდში შეიცვალა ფსიქოანალიტიკოსი. ახალი ექიმი კი, შესანიშნავი რეკომენდაციების მიუხედავად, ერთობ შეზღუდული ადამიანი გამოდგა. ექიმი: „ესე იგი, ახალგაზრდა საყვარლის გამო გრძნობთ თავს დათრგუნულად?" ანტონიო: „არა, ეგ არ მითქვამს". ექიმი: „ერექცია როგორი გაქვთ?" ანტონიო: „ჩვეულებრივი, ნორმალური". ექიმი: „აბა რას უჩივით?" ანტონიო: „არანაირი სიხარული არა მაქვს?" ექიმი: „ვისა აქვს რო?!.") და ანტონიო მიხვდა, რომ უკვე ველარასოდეს დააღწევდა თავს განსვენებულს, თანაც არც მისი სილამაზის და არც პრესტიჟულობის გამო (ყველაფერმა ამან უკვე დაკარგა აზრი), უფრო მეტიც — არც იმ სამი წლის გამო, რომელიც მათ ერ-

თად გაატარეს; არამედ სწორედ იმ ბოლო წლინახევრის გამო, როცა ურთიერთობა თითქმის არც ჰქონიათ და როცა ქალი დღითიდღე სულ უფრო ძნელად გასაძლები ხდებოდა.

ასე რომ, ემას დასიზმრება სულაც არ გააოცებდა ანტონიოს და არც „ცანცარას" ნახვა იქნებოდა მაინცდამაინც უცნაური... მაგრამ ის დაუნთებელი სანთელი, რომელიც იმ დილის შემდეგ მართლა აღარასოდეს გახსენებია?!.

ისედაც, რაღაც წარმოუდგენლად დამქანცველი, გრძელზე უგრძესი სიზმარი იყო, რომელიც, მიუხედავად ამისა, ზუსტად დაახსომდა: ანტონიო მოკვდა და სასამართლოს წინაშე წარდგა. მსაჯულს კარგად ვერ ხედავდა, თვითონ კი, რატომღაც, ერთი ენაწაგდებული უტვინო და უსირცხვილო დიჯეი გოგონა იყო, რომელიც ენითაუწერელ სიბრიყვეს როშავდა:

— ლომი არის ორგვარი: აფრიკული და აზიატური. — ეუბნებოდა ის მოსამართლეს.

— მისმინე, გოგონი, ორში ერთი უნდა აირჩიო: ან აფრიკული და აზიური, ან აფრიკანული და აზიატური, ორივე ერთად არ გამოვა, — დაიბუხუნა მსაჯულმა.

— ორში ერთი? — ანტონიო-გოგო თავის დაძვრენას ენაზე მომდგარი ხუმრობით იმედოვნებს: „მე კი მეგონა, სამში ერთს ამარჩევინებდით", მაგრამ ამ დროს მსაჯული წინ გადმოიხარა და გოგომ გაარჩია, რომ მას ლომის სახე ჰქონდა. ხუმრობას ვეღარ ბედავს, მაგრამ მსაჯულს ეკეკლუცება: — იცით, მე საშინლად მეშინია ლომების, ვაიმე, ჩემს ირგვლივ სულ ლომები და ლომები არიან. რა მეშველება! — თვითონ კი ფიქრობს: „ტანი რომ ლომის ჰქონდეს და თავი კაცის, ეს იქნებოდა სფინქსი, ეგვიპტე. ამას კი აქვს ლომის თავი და კაცის ყველაფერი დანარჩენი. ალბათ ბაბილონურ განყოფილებაში მოვხვდი".

— როგორც ვხედავ, ქალად შენ არ ვარგიხარ!.. — ბრდღვინავს მსაჯული.

„მართალია, ქალად არ ვვარგივარ, — გულში მაშინვე ეთანხმება ანტონიო-გოგო და სირცხვილით არ იცის თვალები სად წაიღოს — რა უხერხულია!!.." მაგრამ ამ დროს ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში და ის თამამად სვამს კითხვას:

— კი მაგრამ, საერთოდ რატომ ვარ ქალი? — რატომღაც დარწმუნებულია, რომ მსაჯულმა პასუხი უნდა იცოდეს, უფრო მეტიც — ყველაფერი მისი მოწყობილია.

— იმიტომ, რომ კაცი არც არასოდეს ყოფილხარ, — ხარხარს იწყებს მსაჯული. აშკარად ახალნეტარხსენებულის, უფრო სწორად, ახალშესვენებულის დამცირება სურს. ანტონიოს გულში წყენის ტალღა გორდება, პატარა, სუსტი და ულონო. ცდილობს, წყენა გულშივე ჩაიკლას და ჩავარდნილი ხმით ამბობს:

— რატომ დამცინით, მე ხომ კეთილი ადამიანი ვიყავი?!

— რაო, რა ვიყავიო? — ფაფრიან სახეზე მკვდარ ნიღბად შეყინული ასოთხმოცკბილიანი ღიმილით ეკითხება მსაჯული.

— კეთილი ადამიანი, — კიდევ უფრო გაუბედავად ლუღლუღებს ანტონიო. მსაჯული მოულოდნელად ბრაზდება და ღრიალს იწყებს:

— რა სიკეთეზე მელაპარაკები, გოგო, ადამიანი საერთოდ არ ყოფილხარ. სრული არარაობა იყავი, თანაც საზიზღრად პატივმოყვარე. როგორ გგონია, ჩემთან რატომ მოხვდი? ამ ოთახში მხოლოდ სახელგანთქმული ბაბილონელი მეძავის შთამომავლებსა და მიმდევრებს ვასამართლებთ: პრესტიჟულ და ყველანაირ ბოზებს, იაფფასიან მსახიობებს, მომღერლებს, მწერლებს და სხვა მსგავს ნაყარნუყარს.

ანტონიო ხვდება, რომ თუ ახლა თავი არ დაიცვა, რაღაც საშინელებას მიუსვჯიან, წასულია მისი საქმე, დაიღუპა. ცდილობს, გაბედულება და ბრაზი მოიკრიბოს და რამდენადაც ახერხებს, გაწიწმატებით ეკითხება მსაჯულს:

— მითხარით, ვის რა დავუშავე?

მსაჯული უკვე მართლა ბრაზდება, უზარმაზარი ლომის თავი ზედ მის სახესთან მიაქვს და ისე ღრიალებს, რომ ანტონიოს მუხლი ეკვეთება და გრძნობას კარგავს.

გონს რომ მოდის, მსაჯული აღარსად ჩანს, თვითონ კი სადღაც ქვემოთ მიექანება და ფიქრობს, მაშასადამე ან პრესტიჟული ბოზი ვყოფილვარ, ან, იმედია, არც მაინცდამაინც იაფფასიანი ხელოვანი... რა სირცხვილია, რა თავისმოჭრა, რა მეშველება, სადღა უნდა გამოვყო თავი... მაგრამ მალე ეს წუხილი აზრს კარგავს, რადგან ვარდნას დასასრული არ უჩანს და, რაც ქვემოთ მიდის, უფრო და უფრო მეტად იპყრობს სხვა საწუხარი: იგი სულ

უფრო სრულ, სულ უფრო უკუნეთ წყვდიადში იძირება.

ვარდნა ძალიან, ძალიან დიდხანს გრძელდება. საუბედუროდ, წყვდიადში ორიენტირები არ არსებობს და ანტონიოს ვერ გაუგია, რამდენიმე საათია, რაც ქვემოთ ეშვება, რამდენიმე დღე თუ სულაც რამდენიმე საუკუნე. მხოლოდ ის იცის, რომ ეს ძალიან დიდხანს გრძელდება... მერე უკვე ველარც იმას ხვდება, რას ნიშნავს „დიდხანს", რადგან უკვე ყოველგვარი „ხანი" შთანთქა წყვდიადმა – დიდიც და მცირეც.

თურმე ანტონიოს აქამდე წარმოდგენა არ ჰქონია რა არის წყვდიადი. ან რატომ უნდა დაფიქრებულიყო ამაზე (თუკი სიბნელე შეგაწუხებს, ხელი გაწიე და სინათლე აანთე). თანდათან ხვდება, წყვდიადი, უბრალოდ, სიბნელე არ არის, ეს რაღაც სხვაა, თვით ყველაზე უსიამოვნო სიბნელეზეც ბევრად საშიში და უარესი. ის თითქოს უფორმო, უსხეულო და უსასრულო არსებაა, რომელიც მხოლოდ გარედან კი არ ეკვრის სხეულის თითოეულ მტკაველსა თუ გოჯს, არამედ, ყოველ ჩასუნთქვასთან ერთად, შიგნიდანაც ავსებს მას, ყოველი ფორიდან მოჟონავს ხორცსა და ძვლებში და თანდათანობით არღვევს სახისა და ტანის ფორმებს, საზღვრებს. ცდილობს, შენი შემადგენელი ნაწილები მიიტაცოს, თავის წიაღში შეათრიოს, არარად აქციოს.

სინათლე ენატრება ანტონიოს, ნებისმიერი შუქი... თუნდაც სულ პატარა, სულ ერთი ბეწო. ვთქვათ, გზას აცდენილი ციცინათელა მაინც შემოეხეტებოდეს საიდანმე, ან სიგარეტის ნამწვავი ეგდოს. მაშინ იქნებ გაეძლო კიდეც. შუქს წყალივით დაეწაფებოდა და მთელ ტანს გაუნაწილებდა, სინათლის ფენას, თუნდაც ძალიან თხელ, სულ ოდნავ მბჟუტავ ფენას დამცველ აბჯრად შემოიგარსავდა... უამისოდ კი ცუდად არის, ძალიან ცუდად. შიშით ხვდება: წყვდიადმა უკვე ძვლებში შეაღწია და ახლა ჯერ მთლიანად შთანთქავს ძვლებს და მერე ლოკოკინასმაგვარი უძვლო და ფორმადაკარგული მასის თქვლეფას შეუდგება.

ცუდად არის ანტონიო, ძალიან ცუდად. მას ახსენდება „ცანცარას" სუსტი ძვლებდამსხვრეული სხეული ტკივილისგან იატაკზე ჭიაყელასავით რომ იკლაკნებოდა და სისხლს არწყევდა. სიბრალულისგან ტირის ანტონიო, თავისი თავიც ეცოდება და „ცანცარაც", ახლა ისინი ერთნი არიან, თითქოს ერთ ყბადაჭრ სხეულად იქცნენ. ცრემლი მოუგორავს ანტონიოს ლოყაზე, ერთადერთი უძლური ცრემლი... და აი უცნაურობა, ცრემლს აშკარა შვება მოაქვს: მასში საიდანღაც სინათლის ნასახი ჩნდება. მართალია, სინათლე პატარაა, სულ ერთი წერტილია, ნემსის წვერის ხელა ან უფრო პატარა, მაგრამ წყვდიადი იმდენად ღრმაა, რომ ეს წერტილი დამაბრმავებლად კაშკაშებს. მერე ცრემლი ლოყაზე ჩამოგორდა და სახეს მოწყდა. ალბათ, ანტონიო ძალიან სწრაფად ეშვება ქვემოთ და ცრემლს გაასწრო, რადგან ხედავს, მანათობელმა ცრემლმა მის თავსზემოთ ასერა სიბნელე, მერე კი მოწყვეტილი ვარსკვლავის ტრაექტორია მოხაზა წყვდიადში და სადღაც შორს აკიაფდა... არა, ეს მანათობელი ცრემლი კი არა, შორს, ძალიან შორს დანთებული კოცონი ყოფილა, რომელიც დაჟინებით უხმობს თავისკენ.

მერე ანტონიო ხვდება, რომ უკვე დიდი ხანია ქვემოთ კი აღარ ეშვება, არამედ ცეცხლისკენ მიაბიჯებს. დიდხანს, დიდხანს მიდის, ალბათ, უსასრულოდ, მაგრამ ცეცხლს არც უახლოვდება და არც შორდება, პატარა მოციმციმე ალი მუდამ ერთი ზომის რჩება. მოულოდნელად იმასაც ხვდება, რომ ალის ეს პატარა ენა მის წინ ხელის გაწვდენაზეა და ანტონიოსთან ერთად მოძრაობს. თითქოს ვიღაცის უხილავ ხელს სანთელი ეჭიროს და რამდენ ნაბიჯსაც გადადგამს ანტონიო, ისიც იმავე სიჩქარით შორდებოდეს... ახლაღა მიხვდა, სანთელი ყოფილა... ეს ნამდვილად სანთელია და მის ქვემოთ ვიღაცის ხელსაც არჩევს.

ხელი გაარჩია თუ არა, მაშინვე ადამიანიც დაინახა – ეს ხომ ცანცარაა, ზუსტად ისეთივეა, როგორიც სიცოცხლეში იყო, მაგრამ ახლა რატომღაც ძალიან ლამაზია, დამაბრმავებლად ლამაზი – ასე რამ გაალამაზა? – ანტონიო ცდილობს, ცანცარას გაუგებარი იერცვალების მიზეზი ახსნას, წვალობს ანტონიო. ბუნდოვნად ხვდება: ასე ლამაზი იმიტომ ეჩვენება ცანცარა, რომ ის აქ, ამ არარაობაში, ამ არაფრის სამეფოში ერთადერთი არსებაა, მეტიც – ის ადამიანია, ხოლო ადამიანი, როგორც ოდესღაც თავის სადოქტორო დისერტაციაში დაწერა ანტონიომ, ყველაფერზე მშვენიერია, რაც არსებობს, ან რის წარმოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენაც შეიძლება... ამას რომ მიხვდა, ყოვლისწამლეკავმა შიშმა და სასოწარკვეთამ დაიმორჩილა ანტონიო, რადგან მაშინვე გაიაზრა: რაკი აქ, ამ სივრცეში ადამიანთა შორის ყველაზე უშნოც კი ასე გალამაზდა, მაშასადამე, თვითონ უკვე აღარ არის ადამიანი, მაშასადამე, არარამ უკვე შთანთქა მისი სახე და სხეული და ახლა იგი ან უკვე იქცა არაფრად, ან, უკეთეს შემთხვევაში, რაღაცის საზიზღარი ნაფლეთებია...

მაგრამ, ამ დროს ცანცარამ ხელი გაიშვირა მისკენ და სანთელი მიაწოდა. ახლა ანტონიო შვებით ხედავს, რომ, მარჯვენა ხელის მტევანი ჯერ კიდევ ჰქონია. მერე სანთლის ალმა წყვდიადს წაართვა და ისევ პატრონს დაუბრუნა ანტონიოს მაჯა, მკლავი, მარცხენა ხელი, ტანი, ფეხები... ახლა ანტონიო თითქოს გარედან ხედავს, როგორ უბრუნებს მას სინათლე ყელს, ცხვირს, ტუჩებს, თვალებს, მთელ სახეს, თმას. მაგრამ გულით გახარებას ვერც ასწრებს, რადგან ახალმა ალმოჩენამ გაუჩინა საფიქრალი: ანტონიომ საიდანღაც ზუსტად იცის: ეს სწორედ ის სანთელია, იმ დილით რომ ეძებდა, თურმე, ცანცარას წაუღია და როგორ იპოვნიდა. ახლა მთავარია,როგორმე მოასწროს და ვიდრე სანთელი ჩაიწვებოდეს, ისეთ ადგილამდე მივიდეს, სადაც ნაკლები სიბნელეა; იყოს თუნდაც ბინდი; თუნდაც ძალიან მაგარი ბინდი... ეგ კი არა, ერთი ვარსკვლავიც რომ ჩანდეს სადმე, მაინც არაუშავს.

— საით წავიდე? — ეკითხება ცანცარას მოუთმენლობისგან სუნთქვაშეკრული. — ჩქარა მითხარი, სანთელი იწვის, იქამდე მისვლა უნდა მივასწრო, მალე ჩაიწვება.

— სად იქამდე? — ეკითხება ცანცარა.

— აი, იქამდე... შენ თვითონაც ხომ იცი... მალე, სანთელი!

— ნუ გეშინია, არ ჩაიწვება, — ამშვიდებს ცანცარა, — აქ დრო არ არის. სადაც დრო არ არის, არც არაფერი იწვის.

— დრო არ არის? აბა რა არის? — უკვირს ანტონიოს.

და ამ დროს ცანცარა წარმოთქვამს სიტყვას, რომელიც რაღაცის გამო (ოღონდ, რატომ ჯერ თვითონაც არ იცის) ყველაზე მეტად ეჯავრება ანტონიოს, რომელიც თვით ლომის ღრიალზეც საშინელია, თვით არარაობაზეც უარესია:

— მარადისობა! ჩვენ მარადისობაში ვართ!

ანტონიო უძლურებისა და სასოწარკვეთისგან ტირის და თან წვალებით ცდილობს, გაიხსენოს, რამ შეაჯავრა ასე ძალიან მარადისობა. მაგრამ გული სულ უფრო მეტად უჩუყდება და ფიქრს ვერ ახერხებს, ტირის ანტონიო, გულამომჯდარი ტირის.

❧ ❧ ❧

ასე, გულამოსკვნით მტირალმა გაიღვიძა და კარგა ხანს ვერ გაჩერდა, ისე ქვითინებდა, მთელი სხეული უცახცახებდა. როდის-როდის დამშვიდდა, მაგრამ სიზმარს მაშინაც ვერ დააღწია თავი. მოხუცი კაცი გამოთაყვანებული სახით იჯდა საწოლზე და იმაზე იმტვრევდა თავს, როგორ აღმოჩნდა ის, მისი სანთელი ცანცარას ხელში. რაკი მღვიძარეც ტირის, ეტყობა, მართლა უსაშველოდ დაბერდა ანტონიო. სიკვდილს უნდა ნატრობდეს, მაგრამ, რად გინდა, ახლა სიკვდილსაც ველარ ჩაატანს გემოს, რადგან იქ, თურმე, მარადისობა ყოფილა. როგორმე უნდა მიხვდეს, რატომ სძულს ასე ეს საზიზღარი სიტყვა, რომელმაც დღეს სიზმარი გაუმწარა, ხოლო მანამდე — სიცოცხლე.

სქელი ფარდებით ჩაბნელებულ ოთახში წევს ანტონიო. გარეთ აგვისტოს მზე ავარვარებს ყველაფერს. ოთახში სიგარეტის ბოლით დამძიმებული ჰაერი და სულისშემხუთავი ბინდია. ფანჯარას მაინც არ აღებს ანტონიო, არც კონდიციონერს რთავს. საწოლიდან ადგომა არ უნდა, არც ჭამა — ლუკმა ყელში არ გადაუვა. ავად არის, ხველება ახრჩობს. ოფლად იღვრება და ცდილობს, გაიხსენოს — როდის გაიგონა... არა, როდის გაიგონა კი არა, როდის გაამწარა „მარადისობამ". ლამაზი სიტყვაა, მუსიკალური „მაა-რა..." (ახალგაზრდობაში უღიმღამო მუსიკოსობა გაუყუჩებელ კომპლექსად აქვს შესობილი ანტონიოს), ჰო, ჟღერადობის მხრივ მართლა არაუშავს...

თანდათან ახსენდება: პირველი კრიზისის შემდეგ რომ გამოიყვანა საავადმყოფოდან, ემას თავიდან არანაირი უცნაურობა არ ემჩნეოდა. სხეულში სისუსტესა და ფსიქიკაში ღრმა დეპრესიას ექიმები გადატანილი ფსიქიკურ-სომატური ტრამვის ბუნებრივ შედეგად თვლიდნენ. ასე რომ, როცა ორი კვირის შემდეგ ემამ სახატავი რვეული და ფანქრები მოითხ-

ოვა, ანტონიოს გაეხარდა და ქალს მთელი დასტა მაღალხარისხიანი ქაღალდი მიუტანა, აგრეთვე — შავი და ფერადი ფანქრები, სახატავი ნახშირი, აკვარელი და პასტელი. მეორე დღეს ემასთან არ მისულა, საქმეებმა შეიყოლა, თანაც, სიმართლე რომ ითქვას, ანტონიოს ნაავადმყოფარი ქალის ნახვა მაინცდამაინც არ ახარებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მცირე დრო გაეტარებინა მასთან (ოღონდ, იმაზე ნაკლები არა, რაც ღირსეული კაცი-საყვარლის უზადო იმიჯს შეეფერებოდა), არც მესამე დღეს გამოჩენილა. შუაღამისას კი... არა, უფრო განთიადისას, ქალმა დაურეკა და ქვითინით აცნობა, სახატავი ქაღალდი გამომელიაო. ანტონიო მაშინვე გავარდა ერთ ნაცნობ მხატვართან, ძლივს გააღვიძა იგი, ფურცლები გამოართვა. უძინარი და გაღიზიანებული მანქანაში თავ-ბედს იწყევლიდა — ეს რას ვაკეთებ, ვის რა ფეხებად უნდა, ან მე რაში მჭირდებაო, მაგრამ თავს ზევით ძალა არ ჰქონდა: ბოლოს და ბოლოს, ამ ასაკში ასეთი ახალგაზრდა და თანაც საკმაოდ პრესტიჟული საყვარელი ფუფუნებაა, რომელიც მსხვერპლს მოითხოვს. თუმცა, ანტონიო თანდათან იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ, პრესტიჟულობის გარდა ემასგან არანაირი ხეირი არ იყო.

ქალთან რომ მივიდა, ემა ქვითინისგან დაოსებული იდგა კედელსმიყრდნობილი, თვალები თავისით ეხუჭებოდა, მაგრამ, ცდილობდა, ძილს არ დანებებოდა, იდგა და უხმოდ ტიროდა, ლოყებზე უძლურების ან ანტონიოსთვის უცნობი რაღაც მწუხარების ცრემლები ჩამოსდიოდა. ქაღალდი რომ დაინახა, სიტყვისუთქმელად გაშალა იატაკზე და ხატვა დაიწყო. ტირილი არ შეუწყვეტია, ცრემლი ასველებდა ქაღალდს, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა, ხატავდა თავიდან ფეხებამდე ნახშირითა და პასტელით გათხუპნული, ერთიანად ამ დაუძლეველ მოთხოვნილებას მინებებული.

ანტონიომ ოთახში მიმოიხედა და ნახა: ქალს მის მიერ მოტანილი ქაღალდი — ასამდე დიდი ფურცელი — ორივე მხრიდან შეევსო ნახატებით, სხვადასხვაენოვანი წარწერებით, ფორმულებით და ათასგვარი ნაჯღაბნით. ქაღალდი რომ გამოლეოდა, კედლებზე ხატვაც ეცადა, მაგრამ რატომღაც არ მოსწონებოდა და თავი მიენებებინა. თავიდან ანტონიო მხოლოდ იმან გააოცა, რომ საგნებიდან ემას ძარწოდენ ხელები ეხატა: ათობით, ასობით, სხვადასხვაგვარი ხელის მტევანი მაჯამდე, სულ მცირედან დაწყებული უშველებელ ხელამდე, მთელ ფურცელზე რომ იყო გაშლილი და სხვა უფრო მცირე ნახატებით ისე დაფარული, ძლივს გაარჩევდი.

ანტონიომ უძილობისა და ხატვისგან ძალაგამოცლილ ქალს წამალი გაუკეთა და მის დაძინებას დაელოდა, მერე ახლობლებს საჩქაროდ მოაძებნინა და იქირავა მომვლელი ქალი, მძინარე ემა მას ჩააბარა, თვითონ კი დაახვია ოცამდე ფურცელი და ერთ ნაცნობ ფსიქიატრთან გავარდა, რომელიც, ევროპაში წარმატებული კარიერის შემდეგ, სულ ორი თვეა საქართველოში დაბრუნებულიყო.

— ერთი დიდი საზიზღრობა თვენახევრის წინ მოხდა, — აუხსნა ანტონიომ, — ერთი კიდევ ახლა. ერთი რომ — ის კაცი მოკვდა და მეორე, რომ — ეს ახლა ხატავს. არადა, რატომ უნდა ხატავდეს, როცა საერთოდ არ იცოდა ხატვა.

ექიმი, ჭკვიანი და ფსიქიატრის კვალობაზე უცნაურად ანემიური კაცი, დიდხანს უსმენდა ანტონიოს მონათხრობს, მერე კიდევ უფრო დიდხანს ათვალიერებდა ემას ნახატებს ნაღვლიანი თვალებით. მერე პიანინოსთან მივიდა და რამდენიმე მელოდია დაუკრა ცალი ხელით.

ანტონიოს მელოდია თითქოს ეცნო და უსიამოვნოდ შეეკუშა გული, მაგრამ იმაზე დფიქრების დრო არ ჰქონდა, საიდან ახსოვდა.

— მთავარი ის კი არ არის, რომ ხატავს, — თქვა ექიმმა, — ცუდი ის არის, რომ ამას ხატავს.

— რას, ხელებს? ხელების ხატვა ცუდია, ექიმო, საშიში?

— თავისთავად ხელების ხატვაში არაფერია საშიში, მაგრამ ისეთი უცნაური ხელებია... თანაც ეს ნოტები... მოკლედ, ყველაფერი ერთად ნამდვილი საშინელებაა — და ექიმმა რამდენიმე ბლანკი გამოწერა დამამშვიდებლების რეცეპტებით.

— ეს ყველაფერი ერთად უნდა დალიოს? — ავადმყოფი შეებრალა ანტონიოს.

— ეს ყველაფერი ერთად თქვენ უნდა დალიოთ, ავადმყოფს კი საგანგებოდ გამოვიკვლევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კი გაიღვიძებს, მაშინვე დამირეკეთ, — გულისხმიერებად დაიღვარა ექიმი.

ექიმი სავარძელში გადაწოლილიყო და ისევ ნახატებიან ფურცლებს დაჰყურებდა, დრო მიიზლაზნებოდა, ანტონიო კი რატომღაც დამბლადაცემულივით იჯდა და წასვლას ვერ ახერხებდა.

— აშკარად ძალიან ცუდად არის, — თქვა ბოლოს ექიმმა, — ამას დახედეთ და ნახშირით შესრულებულ ერთ მოზრდილ ჩანახატზე მიუთითა, რომელსაც ხელისმტევნებიანი ფურცლის თითქმის ნახევარი ეკავა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანტონიოს აქამდე არ შეუნიშნავს: დაბალი ბალახი, მოზრდილი რიყის ქვა და რამდენიმე მაღალი ყვავილი.

— ვერ ვხვდები, რით არის ეს ნახატი საინტერესო?

— ძალიან ლამაზია, — თქვა ექიმმა და აღარაფერი განუმარტავს.

ახლა რომ დახედა, ანტონიომ თვითონაც იგრძნო: ნახატიდან თითქმის ხილულ და ხელშესახებ ენერგეტიკულ ტალღებად მოედინებოდა მისკენ რაღაც უცნაური მშვენიერება, რომლის მსგავსი და შესადარი აქამდე არაფერი ენახა.

— ექიმო, ძალიან დავიღალე, მართლა ცუდადა ვარ.

— ვიცი, — თანაუგრძნო ექიმმა.

— გამოცანებით ლაპარაკს ჩემი ნერვები ველარ უძლებს... შეგიძლიათ, გასაგებად ამიხსნათ, რა სჭირს ემას?

— კვდება!

ემა, ცხადია, მაშინვე არ მომკვდარა.

— როგორც უკვე გითხარით, მეტისმეტად უცნაური ხელებია, — ესაუბრებოდა ექიმი თავის კაბინეტში ანტონიოს ოთხი დღის შემდეგ, — და დიდ ფურცლებზე უთავბოლოდ დახვავებულ შავ-თეთრსა და ფერად ხელებს დაჰყურებდა. აქ დაახლოებით ათას შვიდასამდე ხელის მტევანია და, მე მგონი, არც ერთი მათგანი არ მეორდება. ყოველ შემთხვევაში, ასისტენტებთან ერთად ბევრი ვეცადე, მაგრამ ორი ერთნაირი ნახატი ვერ აღმოვაჩინეთ. მერე ჩემი მეგობარი ხელოვნებათმცოდნეები და მხატვრები შევაწუხე და 157 ხელის პირველწყაროს მივაგენით. ეს არის უზუსტესი ასლები ყველა დროისა და კულტურის მხატვართა ნახატებიდან.

— ესე იგი, სადღაც აქვს ნასწავლი, — ანტონიოს ფიქრი დამწყვდეული ვირთხასავით აწყდება ხაფანგის კედლებს და ცდილობს, გამოსავალი იპოვნოს. — სამი წელია, რაც გავიცანი. ხატვა არ უცდია. შეიძლება, ხატვას ადრე ასწავლიდნენ და მე არ მითხრა. მე ხომ, საერთოდ, წარმოდგენა არა მაქვს, მოდელობამდე რას აკეთებდა, — და მცირე ხნის უიმედო პაუზის შემდეგ, — წარმოდგენა არა მაქვს, ვის შეიძლება ესწავლებინა ხატვა.

ექიმი კი ნაღვლიან მზერას არ აცილებს, თითქოს ავად ანტონიო იყოს.

— საქმე ის არის, რომ ამის სწავლა სრულიად შეუძლებელია. ერთი ახლობელი დამეხმარა და კრიმინალისტების ძალიან კარგი კომპიუტერული პროგრამით ემას სამი ასლი დედნებს შევადარეთ; ორი ლეონარდოს ესკიზია, ერთიც დიურერიდან არის. აღმოჩნდა, რომ სამივე ასლი ზეადამიანური სიზუსტით არის შესრულებული: მეორდება ყოველი შტრიხი, ყოველი ჩრდილი, ყოველი წერტილი. ასეთი სიზუსტის მიღწევა ადამიანის თვალისა და ხელისათვის გულმოდგინე გადახატვის დროსაც კი შეუძლებელია: სამ დღეს თითო ხელს მოანდომებდა და მაშინაც კი რაღაც განსხვავება აუცილებლად აღმოჩნდებოდა, აქ კი სრული სიზუსტეა, აბსოლუტური სიზუსტე. თანაც, როგორც თქვენ მითხარით, ემას არც ერთი ალბომი შინ არა აქვს და ყველა ეს ხელი, უკეთეს შემთხვევაში, მეხსიერებით არის დახატული, თუმცა, მე ესეც სრულიად გამორიცხული მგონია: ამ ქალმა აშკარად იცის რაღაც ისეთი, რაც ადამიანმა შეუძლებელია იცოდეს, — და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დააზუსტა, — რაც ადამიანმა არ უნდა იცოდეს.

— ესე იგი, რაშია საქმე? — დაიბნა ანტონიო, — ოჰ, ცანცარა, ეს რა ღლეში ჩამაგდე, შე დამპალო...

ოღონდ, არ იფიქროთ, თითქოს ანტონიო დანებებას აპირებდეს. ბუნებით ენერგიული ჩვეული ხერხებით ცდილობს გამოსავლის პოვნას. თავისი ადმინისტრატორი (შეთავსებით „პრარაბი") დაიბარა.

— გაიგეთ, სად დამარხეს ცანცარა, — ბრძანება გასცა მან, — უპატრონო მკვდრებში იქნება, მიწას ხეირიანად არც კი მიაყრიდნენ.

დარაჯ დარჩოს ჰკითხეთ, კეთილი კაცია, იმას ეცოდინება. ნორმალური საფლავი გაუკეთეთ, კარგი, წესიერი ქვა დაადეთ, ზედ თავისი ჯვრით. გვარი, სახელი, თარიღები — ყველაფერი წესრიგში იყოს. ადამიანივით დაიმარხოს, გესმით?

და აქ, დღეში სამჯერ მუჭით ნაყლაპი ტრანკვილიზატორების მიუხედავად, ანტონიოს, ცხოვრებაში პირველად, მაგრად ღალატობს ნერვები — იგი ფეხზე დგება და ხელქვეითს უყვირის:

— საფლავი მაინც აღირსეთ. ადამიანი მოკვდა, ძაღლი ხომ არ იყო!

ანტონიოს იმედი ჰქონდა, რომ „ცანცარას" გვამის ნაგვიანევ გაპატიოსნებასა და ემას ავადმყოფობას შორის პირდაპირი კავშირი აღმოჩნდებოდა და, თავიდან, თითქოს უმართლდებოდა კიდეც ეს იმედი. საფლავის კეთების საქმე წინ მიიწევდა, ემამ კი ხატვის ტემპს უკლო და თითქოს ერთგვარად დამშვიდდა კიდეც.

— ახლა, ალბათ, ხელის მტევნებს მკლავებს მიამატებს, მერე — თავებს და ტორსებს, ვიდრე, ბოლოს, მთელი ადამიანების ხატვაზე გადავიდოდეს, — ვარაუდობდა ექიმი, — ყოველ შემთხვევაში, საქმე ასე არ დასრულდება, რაღაც აუცილებლად მოხდება და ვერ წარმოიდგენთ, ისე მაინტერესებს, როგორ განვითარდება ყველაფერი. — ცნობისმოყვარეობას ვერ ფარავდა იგი.

❀ ❀ ❀

„რაღაც", მართლაც, სულ მალე მოხდა, მაგრამ იმის მსგავსი არაფერი, რასაც ექიმი ვარაუდობდა. ემას ნაწილ-ნაწილ არ დაუწყია ადამიანის სხეულების ხატვა — მას უმძიმესი შეტევა დაემართა, ანტონიო კი პირველად შეეხო მარადისობას და დაასკვნა, რომ ეს შეხება იყო ყველაზე საშინელი, ამაზრზენი და საზიზღარი, რის წარმოდგენაც შეიძლებოდა.

ცანცარას საფლავი უკვე თითქმის მომთავრებული იყო, როდესაც ემას, ერთი შეხედვით, სავსებით ჩვეულებრივი გულისრევა დაეწყო, როგორიც თითქმის ყოველდღიურად უმეორდებოდა საავადმყოფოდან გამოყვანის შემდეგ. ორი დღე იყო, თითქმის არაფერი ეჭამა და პირიდან მხოლოდ მწარე წყალი ამოსდიოდა. ღებინება რომ არ შეუჩერდა, მომვლელმა ანტონიოს დაურეკა. ის 15 წუთში მოვარდა რეანიმობილთან ერთად და ემა საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროს ქალი მიმართვაზე უკვე აღარ რეაგირებდა და მთელ სხეულს უგრეხდა კრუნჩხვა.

ცოტა ხნის შემდეგ მან უკვე სისხლის ღებინება დაიწყო. საგანგებოდ მოყვანილი მკურნალი ექიმი (უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი) და საავადმყოფოს მორიგე ექიმი ამაოდ ცდილობდნენ, რამეში გარკვეულიყვნენ — ვერაფრით დაადგინეს, რა სათავიდან მოედინებოდა საყლაპავი მილით თითქმის უწყვეტ ნაკადად სისხლი; მის შეჩერებაზე ან კრუნჩხვის თუნდაც ოდნავ შესუსტებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ორსაათნახევრის შემდეგ მკურნალმა ექიმმა (უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტმა), უფრო საკუთარი უსუსურობის, ვიდრე ავადმყოფისადმი თანაგრძნობის გამო, საბოლოოდ დაკარგა თვითკონტროლი. ის სარეანიმაციოს კუთხეში სკამის კიდეზე იჯდა, რიტმულად მოძრაობდა წინ და უკან და თავისთვის ბუტბუტებდა:

— მალე სისხლისგან დაიცლება და მოკვდება! მალე სისხლისგან დაიცლება და მოკვდება!

ემა კი ანთხევდა და ანთხევდა სისხლს. ყველაზე საოცარი ის იყო, საიდან აღმოჩნდა ამდენი სისხლი და გამძლეობა ამ გაწლობილ, უსუსურ სხეულში. ცელოფნის ხალათწინსაფრით ტანშეფუთული ანტონიო კი მის საწოლს არ მოსცილებია. მას შემდეგ, რაც ყველამ ხელი ჩაიქნია და ემა თავის უცნაურ სენს შეატოვეს, ანტონიოს მუხლებზე ჰყავდა გადაწვენილი მისი მოსხმარტალე, სისხლისმნთხეველი სხეული და ეალერსებოდა გაძვალტყავებულ ზურგზე, რომლის ოდესღაც მშვენიერმა ფორმამაც შეშალა ცანცარა. „კიდევ ცოტაც და მეც ცანცარასავით ღრიალს დავიწყებ", ფიქრობდა ანტონიო, რადგან სულ უფრო მეტად უჭირდა სასოწარკვეთის ატანა, რომელიც თანდათან სავსებით რეალურ, ფიზიკურად საგრძნობტკივილად იქცა და ემას სხეულის ყოველ დაკრუნჩხვასთან ერთად უფრო და უფრო ძლიერად ურაკუნებდა ნეკნებზე ურისავით. მაგრამ იგი არ ყვიროდა, რადგან დარწმუნებული იყო: „თუ თავს ვერ მოვერიე და პანიკას ავყევი, სისხლის რწყევის ეს ყველა ნიშნით გადამდები ავადმყოფობა მეც მომერ-

ევა, იატაკზე ჭიაყელასავით დავიწყებ კლაკვნას და ცანცარასავით დავიბრიდები. არადა რატომ, როცა მე ცანცარა არა ვარ?!". თუკი რამ ჰგვრიდა შიშსა და ზიზღს ანტონიოს, ეს იყო ცანცარასმაგვარი სიკვდილის პერსპექტივა.

დილით ემას კრუნჩხვა და სისხლდენა თანდათან შეუნელდა, მერე სულ შეწყდა. ავადმყოფი მკვდარივით იდო და მხოლოდ აპარატურა აფიქსირებდა სიცოცხლის სუსტ ნიშნებს. კომაში მყოფი ქალი მაშინვე შეაერთეს სასუნთქ აპარატთან და სისხლის გადასხმაც დაუყოვნებლივ დაიწყეს, თუმცა მკურნალი ექიმის აზრით, გადარჩენის შანსი თითქმის არ არსებობდა; თითქმის კი არა, საერთოდ არ არსებობდა; არათუ შანსი, შანსის მეასედიც არ არსებობდა, არც მეათასედი. ოღონდ, მისი ვარაუდის საპირისპიროდ, ამ უკვე ფაქტობრივად მკვდარ სხეულში ძალიან ნელა, მაგრამ შეუჩერებლად ბრუნდებოდა სიცოცხლე.

ემას კრუნჩხვა რომ შეუწყდა, ანტონიო ფეხზე წამოდგა და, როდესაც ექთნები ცელოფნებს ხდიდნენ, ძლიერი მთქნარება დაეწყო. ვიდრე ქალს აპარატთან აერთებდნენ და ვენაში საწვეთურს უკეთებდნენ, იგი საწოლის გვერდით იდგა, უაზროდ შესცქეროდა კედელს და მთქნარებას უმატებდა. მერე კი თავისი ძვირფასი, სისხლით დათხვრას გადარჩენილი შარვალ-კოსტუმით მთელი ღამის დაბინძურებულ, ჯერ მხოლოდ აქა-იქ მოწმენდილ იატაკზე დაწვა და მკვდარივით დაიძინა. არ გაუგია, სანიტრებმა მისი სხეული ემას მახლობლად საწოლზე როგორ მოათავსეს.

ორი დღის შემდეგ, როცა მან გაიღვიძა, ემა ისევ კომაში იყო. ანტონიო სიტყვისუთქმელად გაემართა თავის ოფისში და უკანასკნელი სამი დღის ამბები გაიგო. საქმე, როგორც მთელი ბოლო თვეების მანძილზე, ახლაც ბრწყინვალედ მიდიოდა. ანტონიომ ქვეყნის ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენთა ხუთეულს მიუკაკუნა, ბიზნესის ზრდის ტემპით კი იგი სულაც პირველ ადგილზე გავიდა. მაგრამ ამ სასიხარულო ამბებს არც უწინდელი აზარტი ახლდა და არც სიხარული. ანტონიოს ბიზნესი იმარჯვებდა, მთელ მის სხეულს კი ძრწოლა აძაგძაგებდა: „მე არავითარ შემთხვევაში ცანცარასავით არ უნდა მოვკვდე! მე არავითარ შემთხვევაში არ მოვკვდები ცანცარასავით!".

❀ ❀ ❀

ემა მთელი ერთი კვირა იყო კომაში. მერე კიდევ ათი დღე, უძრავად იწვა და ჭერს შეჰყურებდა. სამაგიეროდ, პირველივე სიტყვები, რომლებიც მან თქვა, უცნაური იყო, ხოლო ანტონიოსთვის — საშიში და საზარელიც. ეს მაშინ მოხდა, როცა ქალს ყველა კლინიკური ფუნქცია ნორმაში ჩაუდგა და იგი სახლში გადაიყვანეს. საწოლზე მოკუნტული ემა ოთახში მიმობნეულ ნახატებს უყურებდა, რომლებიც ფსიქიატრის დაჟინებული მოთხოვნით მოსამსახურეს ხელუხლებლად დაეტოვებინა.

— მარადისობა წვეთწვეთად შემოდის სხეულში, — თქვა მან, — საშინელი ტკივილია.

— ეს რას ნიშნავს? — ჩაეკითხა ანტონიო, — გეხვეწები, ამიხსენი, ეს რას ნიშნავს.

ემას არაფერი უპასუხია, მაშინვე ჩაეძინა. ალბათ, თვითონაც არ იცოდა, ეს რას ნიშნავდა. ამაოდ იმშვიდებდა თავს ანტონიო, ალბათ, სხეულში მარადისობა წვეთწვეთად მაშინ შედიოდა, როდესაც სისხლს უსხამდნენო. მალე იგი ურყევ დასკვნამდე მივიდა: „კრიზისის დროს ადამიანში მარადისობას ეხსნება გზა და ეს გადამდებია. ჯერ ცანცარა მოკლა, ახლა ემას კლავს. უკვე ჩემი ტანისკენაც მოიწევს და, თუ შემოვუშვი, მეც მომკლავს — ძაღლივით მოვკვდები... არა, ძაღლივით სიკვდილს ვინ მაღირსებს, ცანცარასავით ამომძვრება სული. ემას კიდევ ერთ კრიზისს რომ შევესწრო, ჩემი საქმე წასულია, აყროლებულ მძორად ვიქცევი".

❀ ❀ ❀

მარადისობის შემდგომი შეტევის მოლოდინში ანტონიოს მცირე უცნაურობა დასჩემდა — ემასთან ყოველ მისვლაზე (ხოლო იგი, სულ მცირე, დღეში ორჯერ მაინც შეუვლიდა ხოლმე ავადმყოფს) თითო სახატავი ნივთი მაინც მიჰქონდა — ქაღალდი, ფანქრები, ხის ჩარჩოზე გადაჭიმული დაგრუნტული ან დაუგრუნტავი ტილო, მუყაო, ფერადი ცარცები, გუაში, აკვარელი, ზეთის საღებავები, ფუნჯები. ანტონიო თითქოს ვერც კი ამჩნევდა, რომ ბოლო კრიზისის შემდეგ ემას ერთხელაც არ გამოუხატავს, თუნდაც, ოდნავი დაინტერესება ხატვით; გაძვალტყავებული და სახეგაქვავებული გულგრილ მზერასაც კი არ გააყოლებდა ხოლმე კაცს, როცა მას მთელი ეს, ალბათ, სიყვარუ-

ლით და იმედით შეძენილი საქონელი ოთახის შორ კუთხეში მიჰქონდა და აწყობდა.

უსიტყვო ჭიდილი თითქმის ხუთ კვირას გაგრძელდა. ბოლოს ანტონიოს მოთმინებამ უმტყუნა და ჰკითხა:

— რატომ აღარაფერს ხატავ?

— არ მინდა, — ზიზღით უთხრა ემამ, — უკვე ყველაფრის დახატვა შემიძლია.

სწორედ ამის მსგავს პასუხს ელოდა ანტონიო, ამიტომაც არ სვამდა კითხვას მთელი იმ უსასრულოდ გაჭიმული ხუთი კვირის მანძილზე, მაგრამ როცა პასუხი მიიღო, კარგად მაინც ვერაფერს მიხვდა.

— რა ყველაფრის, — ჩაეკითხა იგი, — რას ნიშნავს ყველაფრის?

— ყველაფრის, სულ ყველაფრის, — აუხსნა ემამ, — ახლა შემიძლია ორივე ხელითაც ვხატო. — მერე კი დააზუსტა — შემიძლია, ყველაფერი დავხატო, შემიძლია, ყველაფერი დავწერო, შემიძლია, ყველაფერი დავუკრა...

სახეზე შეყინული მკვდარი ნიღაბი, ამ ძალიან ლამაზ ქალს უსიამოვნო, ლამის ამაზრზენ გარეგნობას რომ აძლევდა, შიშის ტალღამ დაუნგრია და სატირლად დამანჭულმა სახემ ადამიანური იერი მიიღო.

— მალე ყველაფერი მეცოდინება!

მთელ სხეულზე კანკალის ტალღამ გადაუარა, თვალები დახუჭა და თავის მომძინარება სცადა, თუმცა, ეტყობოდა, მთელი ძალით ებრძოდა ქვითინს.

ანტონიო ტახტზე ჩამოჯდა ქალის ფერხთით. იგი დაძაბულად ცდილობდა. წარმოედგინა, როგორ კლავენ უპატრონო ძაღლს, როგორ მიათრევენ აპარატთან ყელში მარწუხწაჭერილს, მაღალი ძაბვის დარტყმა, ძაღლმა ჩაისვარა, მაგრამ ფეხზე წამოდგომას ცდილობს, კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა, კრუნჩხვა და კანკალი...

— ძაღლივით თუ მოვკვდი, კიდევ არა უშავს, — ფიქრობს ანტონიო, — ძალიან ძნელია, მაგრამ არა უშავს, როგორმე გავუძლებ, მთავარია, ცანცარასავით არ მოვკვდე. ემა კი ნაღდად ცანცარასავით მოკვდება, სისხლის რწყევით და ძვლების მტვრევით, იგივე ავადმყოფობა სჭირს, რა საზიზღრობაა...

და თავის გადარჩენის ინსტინქტი უბიძგებს სადაც გაექცეს ამ საზიზღრობას, რაღაც თავშესაფარი მოძებნოს, რაღაც ხვრელი... თუნდაც თვითმკვლელობა... ან სულაც მკვლელობა... ცანცარას მოკვლა, ალბათ, უშველდა საქმეს, მაგრამ, ვი რომ, ისევ ... ბიბლიოთეკა

❦ ❦ ❦

უკვე რამდენიმე დღეა, სავარძელში ზის ანტონიო. არაფერი უჭამია. ცხოვრება, რომელსაც დიდი ხანია (იქნებ, ცანცარას სიკვდილის დღიდან?) ველარ ატანდა გემოს, ახლა ისე გახმა და გაქვავდა, ყელში გასჩხერია ბურთივით და საყლაპავში აღარაფერი გადასდის. საწოლშიც აღარ წვება. იცის, სიკვდილი ახლოს არის და თუმცა შიშის თავიც აღარა აქვს, როგორღაც უფრთხის, არ უნდა მაინც. მესამე დღეა, სავარძელში ზის ანტონიო. კონიაკს წრუპავს, ძალა მთლად რომ არ დაკარგოს. სიამოვნებს სასმელი — ამოწურული სიცოცხლის სითბო შეაქვს ორგანიზმში, ამოწურულ ცხოვრებაზე დარდის გარეშე. ძილ-ღვიძილშია ანტონიო, მესამე დღეა, ძილ-ღვიძილშია. ერთი ბოთლი უკვე გამოცალა, ახლა მეორეს ამთავრებს. ეს სამი დღე სამ საუკუნესავით გაიწელა. თავიდან იცოდა, როდის დღე იყო და როდის ღამე, მერე თანდათან დღეები დამოკლდა და, ბოლოს, მთლიანად გაქრა: ახლა ანტონიოს უკვე მხოლოდ ღამით ეღვიძება და ფანჯარასთან მისვლა არც სჭირდება, ისედაც იცის — ღამე უვარსკვლავოა და ცარიელი. და ამ უკუნეთ სიცარიელეს სიზმრის სხივიც კი არ ანათებს (ამოწვერილ ან ჩასვენებულ მზესავით თუ არა, თუნდაც ნათურასავით ან ნავთის ლამპასავით მაინც). ველარ იღვიძებს ანტონიო, მაგრამ ძილითაც ნახევრად სძინავს, მხოლოდ ნახევრად. ძილისკენ ამ ნახევარგზაზე კი მარტოოდენ წყვდიადია და სიზმრამდე ვერ მიუღწევია.

ბოლოს, ანტონიოს ჩაეძინა და ახლა უკვე სულ ბოლო სიზმარი ნახა.

ისევ სასამართლოში აღმოჩნდა, ოღონდ სულ სხვა ნაგებობაში. ეს, ალბათ, მუსიკალური განყოფილებაა, სადაც უნიჭო და უმაქნის კომპოზიტორებს ასამართლებენ. ანტონიოს სურს, დაიფიცოს — ვტყუოდი, გულში ხანდახან კომპოზიტორობას რომ ვიბრალებდი, სინამდვილეში ხელოვანი არასოდეს ვყოფილვარო, მაგრამ არ იცის, ვის შესჩივლოს.

უზარმაზარი დარბაზია თავისი სცენით, საორკესტრო ორმოთი, პარტერით, ლოჟებითა და იარუსებით. და ყველაფერი — სცენაც,

ორმოც, პარტერიც, ლოჟებიცა და ორივე იარუსიც — ინსტრუმენტებიანი მუსიკოსებით არის გატენილი. უზარმაზარი ორკესტრია, 12 მარტო როიალი დათვალა. ნეტავ, რომელმა გენიოსმა შეძლო ამხელა ორკესტრისთვის პარტიტურის შექმნა.

მსაჯული ჯერ არსად ჩანს, ალბათ, სადღაც შეაგვიანდა.

მუსიკოსებმა ინსტრუმენტები ააწყვეს და დარბაზში საიდანღაც ნაცნობი მელოდიის აკორდები გადმოიღვარა. ოჰო! ეს ხომ ანტონიოს მუსიკაა: პირველი, დაუმთავრებელი სიმფონია. არა, ერთი „დაუმთავრებელი" სიმფონია მუსიკის ისტორიაში უკვე არსებობს, ამას რაღაც სხვა სახელი უნდა შეურჩიოს. რა მშვენიერი მუსიკაა, რა დიდებული. თანაც, ნამდვილად ანტონიოს შექმნილია. სწორედ ის არის, ცანცარას სიკვდილის შემდეგ მთელი ღამე რომ წერდა. აქამდე რატომღაც ახსოვდა, რომ ვერაფერი დაწერა. თურმე, დაუწერია, მთელი სიმფონია დაუწერია. ყველაზე დიდებული, ყველაზე გენიალური სიმფონია შეუქმნია. ის ხომ გენიოსია. უბრალოდ, ატყუებდნენ. მსაჯული მოისყიდეს, მთელი თავიანთი დამპლობა ანტონიოსთვის რომ შეეტენათ და ვიღაც ბოზივით გაესამართლებინათ. მე ხომ გენიალური ხელოვანი ვარ! მე გენიოსი ვარ! აბა, თუ მართლა მაგარია, ახლა რატომღა იმალება ის ლომისთავიანი ახვარი?! მოვიდეს ერთი და ვნახოთ, ვინ გამოჩნდება ჩვენ ორში პრესტიჟული ბოზი!!

სწორედ ამ დროს ანტონიომ რაღაც ძალზე სახიფათო შენიშნა: ორკესტრს ცანცარა დირიჟორობს: ავანსცენაზე აღმართულ სადირიჟორო პოსტამენტზე შემდგარი, ალბათ, ფრაკის გამო საოცრად გამაღლებული, ერთიანად მუსიკალურ სილამაზედ ქცეული ცანცარა. ამ დამაბრმავებელი დირიჟორის გვერდით ანტონიოს ვინღა შეხედავს, ვინ დაუჯერებს, რომ მუსიკა მისი დაწერილია. ყველაფერს მიხვდა: სიმფონია ცანცარამ მოიპარა. ჯერ სანთელი მოიპარა, მერე სიმფონია. სანთლის ქურდი სიმფონიას არ წაიღებდა?! არაფერია, ახლა ანტონიო სცენაზე ავა და მთელ ამ ნაძირალათა ბანდას ყალთაბანდობაში ამხელს.

იგი გულამოვარდნილი არბის ავანსცენაზე, სადირიჟორე პოსტამენტზე მდგომ ცანცარას ხელისკვრით აგდებს ძირს და თვითონ იკავებს მის ადგილს.

— მისმინეთ, ეს სიმფონია ამის დაწერილი არ გეგონოთ, ჩემი გაყიდულია! მე გაყიდე! — ყვირის იგი.

— ვიცი! — პასუხობს მსაჯული ოცდათორმეტკბილიანი დამაბრმავებელი ღიმილით, — პირველი „გაყიდული" სიმფონიაც სწორედ მაგის გამო ჰქვია. მინდა გახაროთ, რომ თქვენ მეორე, „ჩანასახოვანი" სიმფონიის ავტორობაც მოგეწერებათ, თუმცა, ჩემი აზრით, — დაუმსახურებლად.

თურმე, ანტონიოს შეშლია: პოსტამენტიდან ცანცარა კი არა, მსაჯული ჩამოუგდია, რომელსაც ახლა ლომისფაფრიანი კომპოზიტორის გარეგნობა აქვს.

— წამომცდა, სხვა რამის თქმას ვაპირებდი, — ლუღლუღებს შეცბუნებული ანტონიო, მაგრამ მსაჯული ყურს არ უგდებს.

— აი, ხედავთ, რა კარგად დამთავრდა ყველაფერი, — ისევ უღიმის იგი.

„ესე იგი, ყველაფერი უკვე დამთავრებულა", — ცუდად ენიშნა ანტონიოს.

— თქვენ კი ნერვიულობდით, რატომღაც გეგონათ, რომ არ დაგიჯერებდით. ვერ გამიგია, რამ შეგაეჭვათ? თქვენ ხომ ცნობილი გამყიდველი ხართ.

ანტონიო დაბნეული შესცქერის მსაჯულს.

— მართლა, — კითხულობს იგი, — კიდევ რა გავყიდე?

— ქრის...

და ანტონიო იმ წამსვე ხვდება, რას აბრალებენ:

— ტყუილია, ღრიალებს იგი, — ქრისტინე მე არ გამიყიდია.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, — იღიმება მსაჯული. მაგ დამსახურებას როგორ დაგიკარგავთ?!

სიმწრისგან ანტონიომ სიფრთხილეც დაკარგა და შიშიც და მსაჯულს გაავებით მიმართა:

— მისმინე, შენ მხოლოდ ჩემი დაცინვა შეგიძლია, იმიტომ, რომ სერიოზული სათქმელი არაფერი გაქვს. თუ მარტო დაცინვა შეგიძლია, მაშასადამე, არავის გასამართლების უფლება არ გაქვს, რადგან, ყველა კანონით, მოსამართლე მხოლოდ სერიოზული შეიძლება იყოს. ასე ხუმრობა-ხუმრობით ვერ გამასამართლებ, სერიოზული ლაპარაკი კიდევ, შენ არ შეგიძლია.

— რას ბრძანებთ, ვინ გითხრათ, რომ სერიოზული ლაპარაკი არ შემიძლია? — გაიოცა მსაჯულმა, — სერიოზულად საუბარიც შემიძლია და სერიოზული მტკიცებულებების მოყვანაც.

და მან ზემოთ, შუა დარბაზისკენ მიმართა მზერა. იქ კი ამ დროს სივრცე ერთ უზარმაზარ სტერეოსკოპულ ეკრანად იქცა, რომელზეც ანტონიოსა და ემას უზარმაზარი სამგანზომილებიანი ფიგურები გამოჩნდა. ემას სახლში არიან. ემა ტახტზე წევს გათიშული. ანტონიო უახლოვდება და ტახტზე ჯდება. ქალის თავს აწევს და მუხლებზე დაიდებს.

— მისმინე, ქრისტო, წამალი უჯრაში დაგიტოვე. ჩემს ჩამოსვლამდე გეყოფა.

ანტონიო თმებზე ეფერება და სახეში ჩაჰყურებს ქრისტინეს. იმას არაფერი ეტყობა, როგორც ჩანს, სძინავს და მისი სიტყვები ვერ გაიგო.

— რამდენი დღის მარაგი დაუტოვეთ? — ეკითხება მსაჯული.

— ათი.

— ადრე რამდენს უტოვებდით ხოლმე?

— თითო დღისას.

— ახლა რა მოხდა?

— ევროპაში მივდიოდი და ერთ კვირაზე ადრე ვერ ჩამოვიდოდი. სამი დღეც სამარქაფოდ ავიღე, ხომ იცით, რა არ ხდება ხოლმე.

— ვიცი, ვიცი, — გესლიანად იღიმება მსაჯული, — ზოგჯერ ისიც კი ხდება ხოლმე, რომ ნარკომანს მთელი კვირის მარაგი არ კლავს და ათდღიანი დოზა არის აუცილებელი... მჯერა, რომ მსგავს არაფერზე მაშინ საერთოდ არ ფიქრობდით, — ზუსტად გამოიცნო მან ანტონიოს გარდაუვალი აღშფოთების მიმართულება, — ყველაზე უცნაური ის არის, რომ თქვენ, თავისებურად, სავსებით გულწრფელი ხართ. მაგრამ, მომვლელ ქალს მაინც რატომ არაფერი უთხარით?

— იმან ნარკოტიკების შესახებ საერთოდ არაფერი იცოდა. ემა მხოლოდ მძიმე ფსიქიკური ავადმყოფი ეგონა. ემას რეპუტაციას ვუფრთხილდებოდი.

— მის სიცოცხლეზე უფრო მეტად? ნუთუ, იმის თეორიული შანსი მაინც არ დაგიშვიათ, რომ შეეძლო, მთელი მარაგი ერთ ჯერზე გაეკეთებინა?

— არა, ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. ვხვდები, რომ რაღაც დაუჯერებელს ვამბობ, მერე მე თვითონ წლობით ვიმტვრევდი თავს და ვერაფრით ვერ ავხსენი, როგორ მოხდა, რომ მაგ შესაძლებლობაზე არ მიფიქრია. თანაც, დიდი დროა გასული, ბევრი რამ დამავიწყდა.

— იქნებ, ის მაინც გახსოვთ, ევროპაში რა საქმე გქონდათ?

— ვერ ვიხსენებ, რატომღაც ეგ საერთოდ აღარ მახსოვს. — ამბობს ანტონიო.

— იმიტომ ხომ არა, რომ რაღაც არარსებული საქმე გამოიგონეთ, რათა ქალის უპატრონოდ დატოვება თქვენი თავის წინაშე მაინც გაგემართლებინათ, ხოლო ნამდვილი მიზეზი იყო იმედი: როცა დავბრუნდები, ქრისტინე ცოცხალი აღარ დამხვდებაო?

— არა, მაგიტომ არა, — სინდისის დამშვიდებას ცდილობს ანტონიო, — ალბათ, იმიტომ დამავიწყდა, რომ ქრისტინეს ამბავი მეორე დღესვე შემატყობინეს და მაშინვე უკან გამოვბრუნდი, ისე რომ, ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი. თანაც, მაშინ ძლიერი ემოციური შოკი განვიცადე.

— დიახ, თქვენ ტრანკვილიზატორების ოთხმაგი დოზა მიიღეთ, ძილში კი განუწყვეტლივ ტიროდით.

— აი, ხომ ხედავთ!

— ეს მაშინ მოხდა, როცა ემას სახლიდან წამოხვედით, ბევრად ადრე, ვიდრე მისი დაღუპვის ამბავს შეიტყობდით. რა გატირებდათ?

— მაშინ დამაწყნარებლებს გამუდმებით ვსვამდი, — ამბობს ანტონიო, — ხან მეტს, ხან ნაკლებს, ახლა რა მახსოვს, როდის რამდენი დავლიე. დამაწყნარებლებს კი იმიტომ ვსვამდი, რომ ნერვები მქონდა უკიდურესად ცუდ დღეში. საიდან უნდა ვიცოდე, რამდენი ღამე მაქვს ტირილში გატარებული და რამდენი სიცილში? ასე რომ, ტირილი და ტრანკვილიზატორები არაფერს არ ამტკიცებს. სასამართლოს ვთხოვ, სხვა ფაქტს მიაქციოს ყურადღება: მე ჩამოსვლისთანავე ვალიარე, ჯერ გამოძიებისა და შემდეგ პრესის წინაშე, რომ ნარკოტიკებით ვამარაგებდი ემას და სასიკვდილო დოზაც მე დავუტოვე. მაშინ ვფიქრობდი, რომ ამგვარ აღიარებას, გამორიცხული არ არის, პატიმრობა მოჰყოლოდა, და იქნებ — საკმაოდ ხანგრძლივიც. იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რამ-

ლენად დიდი იყო კარიერის საბოლოო დალუპვის შანსი.

— რას ბრძანებთ, ერთი ხელიდან წასული ნარკომანის გულისთვის თქვენებრ პატივსაცემ კაცს ვინ გაწირავდა. მგონი, ამ ამბის შემდეგ თქვენმა რეიტინგმა აიწია კიდეც, არა?

— დიახ, მაგრამ ამას ვერავინ წარმოიდგენდა.

— ყველაფერი თქვენი დამსახურებაა, თქვენ ბრწყინვალედ იმართლეთ თავი.

— უბრალოდ, ჩვენი ურთიერთობის ამბავი გულწრფელად მოვყევი.

— მეც გულწრფელად გეტყვით: ბრწყინვალე პიარ-აქცია იყო. რა თქვით, ჩემი რეიტინგი რამდენი პუნქტით გაიზარდაო?

— არაფერი მითქვამს. მგონი, 25-ით ან 26-ით.

— რას ამბობთ, მეტით, — იღიმება მსაჯული.

— მაშინ, 27-ით ან 28-ით.

— რატომ არ გინდათ ზუსტი თანხა გაიხსენოთ? რიცხვი 30 რაღაცით ხომ არ გაშინებთ? — და მსაჯული შინაურულად ეკითხება ანტონიოს — როგორ ფიქრობთ, ცოტა იაფად ხომ არ გაყიდეთ?

— რას მაბრალებთ? — სურს, იღრიალოს ანტონიომ, მაგრამ ამ დროს მის ყურადღებას ისევ სამგანზომილებიანი ეკრანი იქცევს. იქ ემასთან განშორების სულ ბოლო სცენა მიდის: ანტონიო წამლით გათიშული ქალისკენ იხრება და უსაზღვრო სიყვარულით უკოცნის უსიცოცხლო თვალებს. აი იგი ოთახიდან გავიდა და კარს გასაღებით კეტავს. ახლა ეკრანზე მანქანისკენ მიმავალი ანტონიო გამოჩნდება. მაგრამ არა: იქ ისევ ემა ჩანს ოთახიდან ანტონიოს გასვლის შემდეგ. ეს კადრები არ უნახავს ანტონიოს. ეკრანზე ემას სახეა ახლო პლანით. თვალებს არ ახელს. სახე სიმწრისა და სასოწარკვეთისგან ემანჭება. ტირის ემა, უხმოდ ტირის. ცრემლი ღვარად სდის, სულის მოთქმა უჭირს.

— როგორ ფიქრობთ, რატომ ტირის? — რისხვით და ზიზღით ეკითხება მსაჯული.

ეკრანზე ემა სახეს სიმწრით შეკუმშული მუშტებით იფარავს და ტახტზე იკუნტება.

— არ ვიცი, საქმე ის არის, რომ ამაზე დანამდვილებით რამის თქმა შეუძლებელია. ეს ქალი, თქვენი სიტყვების არ იყოს, ნამდვილად ხელიდან წასული ნარკომანი იყო. ამ დროს ის კაიფშია, ერთი საათით ადრე წამალი ჩემი ხელით გავუკეთე. გათიშულია, კაცმა არ იცის, რა ატირებს.

მაგრამ მსაჯულმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, ჯალათის ფუნქციებიც შეითავსოს და რაც შეიძლება მეტი ტკივილი მიაყენოს ანტონიოს:

— აი, მე კი, მწერალი რომ ვიყო, ვიტყოდი: „ასე იტირებდა გაყიდული სააღდგომო კრავი, თუკი გაიაზრებდა, რომ დასაკლავად გაიმეტეს“. მაგრამ ხელოვანი არ ვარ და აუცილებელია, იურიდიული ტერმინებით ვილაპარაკო. იურისპრუდენციაში კი თქვენი დანაშაულისთვის კვალიფიკაცია არ არსებობს, იმდენად შენიღბულია და არაადამიანური.

— თქვენ გგონიათ, ვერ ვხვდები, მაინცდამაინც სააღდგომო ბატკანი რატომ ახსენეთ? — ეკითხება ანტონიო, — ვიცი, საითაც უმიზნებთ, მაგრამ ამას ძალიან უნიჭოდ აკეთებთ. თანაც ბატკანი ბატკანია და, სააღდგომოა თუ საქელეხო, ერთი უჭკუო ცხოველია: წარმოდგენა არა აქვს, დაკვლა რა არის და ტირილით ხომ საერთოდ არ ტირის.

— ასე რატომ გემწარათ სააღდგომო კრავის ხსენება? — ჩააშტერდა მსაჯული, — ემას ნახატი ხომ არ გაგახსენდათ, რომელიც ისე გიყვარდათ, რომ თავითი გეკიდათ და დაძინებამდე ყოველთვის მას შეჰყურებდით. მერე რატომღა შეიძულეთ ეს საცოდავი ცხოველი? თქვენი საყვარელი სურათი სარდაფში რატომ გადამალეთ, ნესტში დასალპობად როგორ გაიმეტეთ? შენიშნეთ, რომ თვალებიდან სისხლი მოწვეთავდა არა? დიახ, ნახატი სისხლის ცრემლებით ტიროდა. იმის ხომ არ შეგეშინდათ, ვაითუ, ტირილი ქალის სიცოცხლეშივე დაიწყოო? — მსაჯული უცებ ბრაზდება და გველურად მშვიდი ტონიდან ყვირილზე გადადის, — იცანით, ვისი თვალები იყო?

— ვიცანი, — ჩავარდნილი ხმით ამბობს ანტონიო, — მაგრამ როცა ვიცანი, ამას მაშინაც ვერ წარმოვიდგენდი, — ლამის იტიროს, — ამის შესაძლებლობა ერთი წამითაც არ დამიშვია, გულშიც არ გამივლია. ალბათ, იმიტომ, რომ სრულიად უბრყვილო გული მაქვს: ძალიან გულუბრყვილო ვარ.

— ეგეც ვიცი, — გესლიანად იღიმება მსაჯული, უზარმაზარ ეკრანზე კი ახლა უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანით აეროპორტისკენ მიმავალი ანტონიო ჩნდება და ის სატელეფონო დიალოგი ისმის, რომელიც მან წარმოსახვაში ათჯერ მაინც გამართა ფსიქოანალიტიკოსთან. მთელი საღამო ანტონიოს გადაწყვეტილი ჰქონდა, აუცილებლად დაერეკა ექიმისთვის, მაგრამ რაღაცამ შეუშალა ხელი, რატომღაც არ დაურეკა. საუბედუროდ, ახლა ველარაფრით გაუხსენებია, სახელდობრ რა მოხდა. მსაჯული კი მისი მეხსიერების სისუსტეს იყენებს და ეკრანიდან ქუხს დიალოგი:

— ემას გადარჩენის თეორიული შესაძლებლობა მაინც არსებობს, ექიმო?

— არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს! კრიზისი აუცილებლად განმეორდება.

— ნუთუ, ერთი შანსიც აღარ დარჩა ან შანსის მეათედი?

— არა, ნელა და წამებით მოკვდება და ყველას სიცოცხლეს გაგიმწარებთ. კრიზისი განმეორდება.

— არც შანსის მეასედი ან მეათასედი?

— არც მემილიონედი, არც მემილიარდედი... საერთოდ არანაირი! კრიზისი განმეორდება.

— ნუთუ, სრულიად გაუმართლებელი, გიჟური იმედიც არ უნდა მქონდეს?

— რის იმედი, ეგ ქალი უკვე მკვდარია და თავის ირგვლივ ყველას კლავს. კრიზისი აუცილებლად განმეორდება.

— მაინც, რატომ არ დაურეკეთ ექიმს? — ვერაგი თავაზიანობით უსვამს კითხვას მსაჯული, — იქნებ იმიტომ, რომ გეშინოდათ, გაგეგოთ, გადარჩენის იმედი არ გადაწურულაო?

— რას ამბობთ! ვინ გგონივართ?! — სურს, იღრიალოს ანტონიომ, მაგრამ ხახა გამშრალი აქვს და პირიდან გაუგებარი ხავილი ამოსდის, — მაგ საზიზღრობას მე როგორ მტენით?! ის ქალი მე არ გამიყიდია. მე საერთოდ არაფერ შუაში ვარ. ის კაცი მე არ ვიყავი, სხვა იყო, სხვა სახელი ერქვა. ეგ ამბავი ჩემს დროს არც მომხდარა. ძველი ამბავია. სხვა გაყიდეს, სხვა მოკლეს. ამან თვითონ მოიკლა თავი. თვითონ არის ყველაფერში დამნაშავე. თავიც დაიღუპა და მეც დამღუპა.

— მართალია, სხვა დროს მოხდა, — ალერსიანად ეთანხმება ერთი თვალებნაღვლიანი ძველი ნაცნობი, მაგრამ მას შემდეგ სულ მეორდება და მეორდება, ეს კაცთა მოდგმის მარადიული ხვედრია. თანაც, მგონი, უკვე გაგაფრთხილეს, რომ აქ დროს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენ ხომ მარადისობაში ვართ.

— ძალიან დავიღალე, ექიმო, ძალიან ცუდად ვარ, — იცნო ანტონიომ ფსიქოანალიტიკოსი, — თქვენ მაინც რატომ შეგაწუხეს? მოწმედ გამოგიძახეს ჩემს პროცესზე?

— არა. აქ შეთავსებით მსაჯულთა კოლეგიის მდივნად ვმუშაობ. კარგად ვხედავ, რა დღეშიც ხარ, მართლა ძალიან მეცოდები.

— თუ ასეა, ჩამიწყეთ საქმე, დროზე მომისაჯონ რამე, რაც უნდათ, ის მომისაჯონ, ოღონდ აქედან გამიშვან. აქ ყოფნა აღარ მინდა.

— სად? ამ დარბაზში?

— არა, საერთოდ, თქვენთან, მარადისობაში.

ანტონიოს, ვიღაცის თანაგრძნობა რომ დაინახა, გული აუჩუყდა:

— დამეშავებინა მაინც რამე, — ჩივის იგი, — ის ქალი გაგიჟებით მიყვარდა, სიცოცხლეს მერჩია. მთელი წელიწადნახევარი ვაცოცხლე, ბავშვივით ვუვლიდი.

— ვიცი, ვიცი, შენ ერთი საცოდავი კაცი ხარ, — გულწრფელი სიბრალულით ეუბნება ექიმი, — ერთი საწყალი ჯალათი...

ანტონიომ ექიმის ღალატს ველარ გაუძლო და სიმწრისგან ისე იყმუვლა, რომ დარბაზის კედლები შეზანზარდა და იარუსებიდან მუსიკოსები ტყაპატყუპით ჩამოცვივდნენ.

— ტყუილია, მე არ მომიკლავს!

მთელი მრისხანება ამ ყმუილში ჩაღვარა და გულგატეხილმა უკვე სავსებით მშვიდად თქვა:

— მართლა არ მომიკლავს, მაგრამ ვიცი, რომ სულ ტყუილად ვიჭაჭები, სულ ერთია, მაინც არავინ დამიჯერებს. აქ სულ მარტო ვარ. მაინც მე დავისჯები.

— როგორ თუ არავინ დაგიჯერებს, მე მჯერა შენი. — ორკესტრის ზანზალაკების წკრიალს ვიღაცის უსაყვარლესი ხმა შეერია.

ანტონიომ გველნაკბენივით გაიხედა ხმისკენ და ისეთი საშინელება დაინახა, რასაც თვით ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი არ ელოდა: მსაჯულს ემას გარეგნობა მიუღია და ახლა ფარისევლური ალერსით ელაპარაკება ანტონიოს, რათა მერე ექიმივით მოატყუოს და მოულოდნელი დარტყმით დააკარგინოს წონასწორობა, ძირს დასცეს, გაანადგუროს. სიცოცხლე ხომ გაუმწარეს, ახლა სიკვდილს უმწარებენ.

— ოჰ, თქვე ნაძირალავ! — ხრიალებს ანტონიო, ემას შესცქერის და სცენაზე ეცემა. ორკესტრი კი უკვე მისი გენიალური სიმფონიის ფინალს უკრავს.

— როგორ არა გრცხვენიათ? რა გინდათ ამ გატანჯული ადამიანისგან? ვერ ხედავთ, რა დღეში ჩააგდეთ?

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე: ემა მსაჯული არ ყოფილა. ემა ემაა და მსაჯული — მსაჯული.

— თავი დაანებე მაგ მძორს, — მაგის გადარჩენის ერთი შანსიც არ არსებობს, არც შანსის მეათედი.

— ვიცი, — ამბობს ემა, ავანსცენაზე გამოდის და ანტონიოს უახლოვდება.

— მეასედი შანსი, მეათასედი შანსიც არ არსებობს.

ემამ ანტონიოს უძრავი სხეულის გვერდით ჩაიმუხლა, მისი თავი მუხლებზე დაიდო და თქვა:

— ვიცი, რომ არ არსებობს: არც მემილიონედი, არც მემილიარდედი.

— უაზროდ ნუ ჯიუტობ, — ბრაზობს მსაჯული — შანსი კი არა, კანონით იმედიც არ გეკუთვნის.

— აი, ეგ კი ტყუილია, — ისეთივე გაავებით ყვირის ემა, როგორითაც ერთადერთხელ უკივლა ცანცარას, თავიდან მომწყდიო, — როდის იყო იმედი თქვენს საგანმგებლოში შემოდიოდა? აქ რაც იმედია, მთლიანად ჩემია და თქვენ ერთ მისხალს, მისხლის ერთ მემილიარდესაც არ დაგითმობთ! ნუ გეშინია, გუჯა, მე და მენ შანსი აღარ გვაქვს, თორემ იმედი იმედში გვაქვს, მთელი ამათი მარადისობა გაგვწვდება, მთელი ამათი უსასრულობა...

და მან უსაზღვრო სიყვარულით დაუკოცნა გუჯას უსიცოცხლო თვალები.

ამ დროს გუჯას საბოლოოდ დაუბრუნდა მზერა, მან ვარსკვლავებით გაჭედილი ცა დაინახა და ახალთვალახელილმა გარკვევით გაარჩია, რომ სინამდვილეში ეს არ იყო, უბრალოდ, ვარსკვლავები, მეტიც, მალე იმასაც მიხვდა, რომ ეს საერთოდ არ იყო ვარსკვლავები, რადგან ვარსკვლავები შორია და გუჯასთვის სრულიად უცხო, ეს კი რაღაც ძალიან ახლობელია, კიდითკიდემდე და ყოველ მანათობელ წერტილამდე ნაცნობი.

— რაღაც ძალიან ნაცნობია, მაგრამ ვერ ვხვდები, რა არის, — თქვა მან.

— უკვე მიხვდი, სწორედ ის არის, — ესმის ემას ხმა, ოღონდ ქალს ვეღარსად ხედავს. აქ თურმე ყველაფერი ქრება, მხოლოდ ვარსკვლავთა რიცხვი მატულობს... მაშასადამე, ახლა ეს ხმაც გაქრება... აი, თვით გუჯაც იწყებს გაქრობას, უკვე თითქმის გამქრალია. და იგი ჩქარობს, გაიგოს რაღაც მთავარი, რაღაც ყველაფერზე მნიშვნელოვანი:

— რა ის?

— აბსოლუტური იმედი, ანუ შენი პირველი „უსასრულო“ სიმფონია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზვიად კვარაცხელია

„ულმობელ დროში მოსული ბალღი"

ზვიად კვარაცხელიას ეს „ნაადრევი" დებიუტი ჟურნალ „მნათობის" ფურცლებზე, ალბათ მისმა ასაკმაც განაპირობა. ის ჯერ მხოლოდ ცხრამეტი წლისაა, როგორც თვითონვე უწოდებს თავს, „ულმობელ დროში მოსული ბალღია", მწერალი კი გზაში იზრდება, რაც უფრო ღრმად შედის ის თავისი პროფესიის სახიფათოდ იდუმალ სივრცეებში, მით უფრო ნათლად იკვეთება მისი მწერლური მრწამსი და პოზიცია, რის გარეშეც საერთოდ არ არსებობს მწერლობა. სხვათაშორის, მწერლის მიერ განვლილი გზა განსაზღვრავს მწერლური პოტენციის მარაგსაც და სიძლიერესაც. მაგრამ როცა ცხრამეტი წლის ბიჭი ასე საღად ფიქრობს, ასე მძაფრად გრძნობს და ასე მტკივნეულად განიცდის საკუთარი ქვეყნის, მშობლიური ხალხის ბედსა თუ უბედობას, რასაკვირველია, აუცილებლად მიიპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს ხომ, უპირველეს ყოვლისა, მწერლობის და, ამ შემთხვევაში, კერძოდ ჩვენი ეროვნული მწერლობის სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს, ადასტურებს, ამ მწერლობის ბებერ ფესვებს კვლავაც რომ შეუძლიათ ახალი სიცოცხლის აღმოცენება, გამოტანა ახალი ყლორტისა, რომელიც მთლიანად იწოვს მის გაჩენამდე განვლილი თუ ჩავლილი ცხოვრების ავან-ჩავანს, ტყეულსა და მართალს, სატირალსაც და სასაცილოსაც და, რაც მთავარია, ახლა უკვე მისი მეშვეობით, მისი შეუპოვრობისა და სიჯიუტის წყალობით გრძელდება ჩვენი სამშობლოს უბოლოო თავგადასავალი... პატრიოტიზმი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მართლაც სისხლხორციელად აუცილებელია მწერლობისთვის. ამ მარად მფეთქავი, მარად ფხიზელი ნერვის გარეშე, ნებისმიერი ტექსტი, პოეტურიც და პროზაულიც, შეიძლება, გარეგნულ მომხიბვლელობას არ კარგავს, მაგრამ აშკარად კარგავს შინაგან მუხტსა და დაძაბულობას. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, აღარ ძალუძს ძველებურად ჩვენი აღელვება. აი, სწორედ ამ პატრიოტული, გნებავთ, ეროვნული ნერვის სიმძაფრით გამოირჩევა ზვიად კვარაცხელიას ნაწერი, ვითომ ნოვატორულ, ვითომ მოდერნისტულ, ვითომ თამამ და თავისუფალ, ნამდვილად კი, ათასჯერ გადაღეჭილ, გაცვეთილ, დაშრეტილ და ყველა „სიკეთესთან" ერთად, თითიდან გამოწოვილ პრობლემებით გაძიძგულ წიგნების ზღვაში. რასაკვირველია, დღეს ძნელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება, რა სახეს მიიღებს ხვალ და ზეგ ზვიად კვარაცხელიას შემოქმედება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე მხოლოდ იმის იმედს განუმტკიცებს ყველა ჩვენგანს, არასოდეს რომ არ დაძაბუნდება ქართული სიტყვა, იგივე ქართული სული, ქართული ცნობიერება...

არსებობს დუტუ მეგრელის ერთი პატარა ლექსი, ჩემი აზრით, ლირიკული შედევრი, რომელიც ყოველი წაკითხვის შემდეგ, კიდევ უფრო მეტად გხიბლავს და გაოცებს გარეგნული სისადავითა და შინაგანი დრამატიზმით:

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას,
მირჩევნია აქ სიკვდილი...

ეს ლექსად დაწერილი ფიცი, თუ ფიცად გარდაქმნილი ლექსი, ყველა ქართველი ბავშვის სულზე უნდა იყოს თავიდანვე დასვირინგებული, თუკი გვინდა, ღირსეულ ადამიანებად აღიზარდონ ისინი.

ოთარ ჭილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოველები

მრწამსი ქართული

მრწამს ერთი მიწა, მიწა ყოვლისაგან პყრობილი, მტრისგან ქელილი, გადაბელილი ჟამის სისწორისგან და უსასრულ ნებელობას ზვარაკად მიტანილი.

და ერთი სამკვიდრო ჩემი – საქართველო, ცხებული ღვთისგან და წილხვდომილი მარიამისა ქალწულისა მის ღვთის სძლისა, განათებული ღვთის სიბრძნით უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ერთარსი და სახე ჭეშმარიტი, რომლისგანაც ყოველი ქართული შეიქმნა.

რომელი ჩვენთვის, ქართველისა და ჩუენის ბედნიერ მყოფადისთვის ჩამოხდა და განიძარცვა ღვთიური ტოგა, იქმნა სამკვიდროდ ორ ზღვას და ორ მთას შუა გადაჭიმულად.

და ჯუარს ეცვა მრავლისა უძღომელი და პატივსახელისმოყვარე რქოვანი მხეცისგან ვნებული, გადაშენებული და მრავალი ქეძაფისრით დაკორტნილი, სისხლდადენილი, გაუდაბურებული, ღონემიხდილი. და დაეფლა.

და *აღსდგება* საქართველო მკვდრეთით დღესა მას მეორედ მოსვლისა.

და *ამაღლდება* ყოვლის უწინარესად და ყოვლის უდიდეს სიმაღლეზე და ღვთისმშობლის მადლით იქნება ცხებული.

და კუალად ექნება მკვიდრთა მისთა ცხრა ნეტარება და სულიწმიდისაგან მოფენილი დაუსრულებელი სუფევა.

და სული წმიდა, სული მამისაგან გამოსული და თაყვანცემული, მადლს მოიღებს ერთი მიწის, ყოვლისგან პყრობილის, მტრისგან ქელილისა და ჟამის სისწორით გადაბელილ სამკვიდროზე. ამინ.

მამაო ჩვენო ქართული

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ჩემ თავთა ზედა, მე შენს დიდებას, დიადემას ახლო რომ ვხედავ, შეგთხოვ, გვიწყალო, შეისმინო ტკივილი ჩვენდა – გაითავისო გული ჩვენი, ჩაკლული სევდა. რა მტრები ჰყავდა საქართველოს, ხედავდი ხედად?.. ყელთ ისარი კრეს სამშობლოის ღულუნა ქედანს. თამარის დროდან დაგვედევნა ის ბზარი ბედად და დღესაც ბზარი იქითური მოგვყვება რეტად... მერედ მაჰმადნი შემოგვენთნენ უწმინდვრად, ცეტად... შემოგვიხოცეს, ქალწულები წაასხეს, ცვედანს, იმ სპარს შაჰ-აბებს მიუგზავნეს ღამეულ ფეთად... ჰოდა ერეკლემ, მეფემ ჩვენმან, პატარა კახმა, დიდი რომც იყვეს, ვეღარ გვშველის იმისი ცა-ხმა, მიწაგაგვსწორა საჭურისმა, ბოროტმა შახმა, ჩვენი დიდება კვლა მოხუცდა, კუნძივით დახმა; მერე რუსეთი, ჩექმიანი მოვიდა რიხით. რა ქნა? – შებღვირა კულტურას და ქართველის აღქმას: დაგვიმორჩილა ხიშტმა, ჩექმამ, სალდათის ლახტმა, დათვი მოგივათ?! – ბაბა ხარო, უძახეთ, დათქვა. იმის მერიად, აღარ დარჩა, მამაო ჩვენო, აღარც სიგლახე, აღარც ცოდვა, არც ისტერია, რომ საქართველოს თავთა ზედ არ გადურბენია, და რამდენსაც კი ერი ჩვენი გადარჩენია, ორი იმდენი სისხლი სხვისთვის დაგვიდენია... გზა გრძელდებოდა, შენ უფალო, იყავი, ხედავ, დათვად ნათლულმა, შემოსულმა პირველმა გედამ, გადაგვიფრაზა ფიცი „დედა“ გინება „დედად“, სიწმიდისაკენ ყველა კარი გადაგვიკეტა...

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ჩემ თავსა ზედა დიდი ბოდიში, უკაცრავად, ამას რომ ხედავ

ათი მცნება ქართული

1. მე ვარ ქართველი, მაშასადამე, არა ვარ უცხო.
2. არა ვარ უცხო, მაშასადამე, არცრას ვსდევ უცხო ზნეთა.
3. არრას ვსდევ, მაშასადამე, მაქვს ჩემი.
4. მაქვს ჩემი, მაშასადამე, მაქვს ქართული განძი და სიწმინდე.
5. მაქვს ქართული ზნე, მაშასადამე, ვწერ, ვხატავ და ვმღერი ქართულად.
6. ვწერ, ვხატავ, ვმღერი ჩემად, ქართულად, მაშასადამე, მაქვს საწერელი, ფუნჯი, ჩოხა ქართული.
7. მაქვს საწერელი, ფუნჯი და ჩოხა, მაშასადამე, მკერდი ქართული, მკლავი ქართული, გული ქართული.
8. მაქვს მკერდი, მკლავი, გული ქართული, მაშასადამე, სისხლიც მღვიძარი.
9. და თუ მღვიძარი გაქვს შენ გონებაც, დაიმახსოვრე ეს შეგონება:
10. იყავ ქართველი!

სიყვარული

ეხლა თორმეტი საათია და ღმერთთან დასამალი არაფერია – მე არ ვლოცულობ. ხატი უპირჯვროდ ჰკიდია კედელზე, ღამე თუხთუხებს და ვნება ნაწილაკებადაა დაშლილი. სიტყვები, – რა მალე ჰკარგავენ ისინი აზრს, სიტყვები ვეღარ ამბობენ სათქმელს. მე ფეხმოღრეცილი ვზივარ ფანჯარასთან, სიბნელეს გავცქერი და ვერაფერი დამიწერია. მაგიდას სქლად ეღვენთება სანთლის შუქი, წიგნების, რვეულების, დახეული ფურცლების გროვას ჩრდილი დაუყენებია იატაკზე, შემოდგომის ფოთლებივით განაირფერებულა ქაღალდში შემალული ჩემი ჩუმი ფიქრები, ყველას რომ დავუმალე, დავწერე და ცეცხლს მივეცი, არავის რომ არ შეძლებოდა მათი წაკითხვა, გრძნობათა გროვისაგან სიყვარულის დახარისხება.

ოცნება, რომელიც სიცოცხლეში ჩემში და ადგილს დაეძებს, უკვე მომყირჭებია. მომაბეზრებელია მისი უსაგნო ფართიფურთი, გრძნობის გამოღვიძებისაკენ გაწალდული, ფაქიზი უმწეობა და ღვთის წინაშე ადამიანის უსუსურობა. თითქო ერთხელ და სამუდამოდ გიმტკიცებს, რომ შენ პატარა ხარ ამ ავთვისებიან კოსმოსში, ისღა დაგრჩენია, ერთიანად მოყუჩდე და იოცნებო, იოცნებო დაუსრულებლად, ოცნებად გადაიქცე, ოცნების გზადაშარეებზე ატარო ჭაბუკი გონება, ვიდრე მოულოდნელად (და ეს ოცნების ფინიშია), სახელდახელოდ, თითქმის გაურჯელად წინ არ დაგახვედრებს დიდხანს, ზოგჯერ უიმედოდაც ნაოცნებარს. დაგახვედრებს და დაგაჯახებს, გაშლილ სილას გაგილაწუნებს ღინღლიან ლოყაზე და სიყვარულის ისრით დაგკოდავს. ერთხანს გაურკვევლობაში ხარ, ნუთუ ეს არ იყო ოცნება, ამჟამად, აქ, ჩემს თვალწინ მოარული, ცხადი და ხელშესახებიო, კვირობ. სინამდვილეში, ეს იმ გზის დასაწყისია, დასრულებული რომ გეგონა. რა გაეწყობა, თავიდან წაუტირებ ერთიორს, ქვასაც სიპს წაიშენ თავში, მერე საგზალს გაიმზადებ (როგორც ზღაპარში იციან – ცხელ-ცხელ შოთის პურებს და კაი კამეჩის ყველს), ჩაიცვამ რკინის ქალამნებს, ქართულ ქუდს დაიხურავ და ბედისწერის გზას გაუდგები ნაბიჯ-ნაბიჯ, სვენებ-სვენებით, თავგადასავლის მაძიებელი სიყვარულის მოწადინე; რამდენსაც წინ მიდიხარ, იმდენი უკან მოკლდება სამშობლო თვალსაწიერი, გაშლილ მდელოებს მთის ზორბა მხრები ენაცვლებიან, მთებს – ისევ მდელოები, და როცა უკვე ნაყოფიერ მიწაზე გაივაკებ, უცნობი სულიერები და ხმაჩახლეჩილი მონატრება შეგრჩება ხელში.

მონატრება, რომელიც სათუთად იღვრება შენში, ცრემლს გგვრის.

აქვითინებული ზურგით მიეყრდნობი მუხა იქნება თუ რა ხემცენარე იქნება იქვე, ახლოს მდგარი, იმას, მინდვრის სუფრასავით გადმოშლი გულს და საყვედურებში ჩაიძირები. რატომ მაინცდამაინც შენ, მაინცდამაინც ასე და მაინცდამაინც ახლა. თან ვერ გაგირკვევია, მიწის სიყვარული გკლავს თუ ქალის სიყვარული, ქალის მონატრებას მიყავხარ თუ ქალის მონატრება გაბრუნებს. თუ ქალი მიწის შვილია, რატომ არის ასეთი მაღალი, ოცნებაც რომ ვერ გაგიბედავს, დამდგარხარ გულშემოყრილი და ხეებს შესტირი. მენატრებაო, მომენატრაო, თავი მომანატრაო... სიყვარული სხვა რა გგონია, გონებით უცებო, თუ არა მონატრება. მონატრება აცხოველებს სიყვარულს. ყოველწამს, ყოველწუთს, ყოველდღე დანახული საშინლად მომაბეზრებელი ხდება **ყველაფერი** და ყველი გასდის, მონატრებული კი, დიდიხნის მონატრებული – ცოცხალია, ნაოცნებარი, მრავალჯერ ნაგრძნობი არამიწიერად, რომ გენატრება, უკვე გიყვარს, რომ გიყვარს, დაეძებ. ძებნაც მონატრებისკენ სავალი სიმაღლეა. სულ ზევით გექაჩება, თითქო ვიღაც ჩამოგძახის, გიწვევს, თითქო ჩამოგყვირის ვიღაცა, აქა ვარ, აქ მოდი, გელოდებიო. მოლოდინია მონატრება, ლოდინის ლოდზე გაუთავებლად ჯდომა, „აი ახლა მოვა, აი ახლა არ მოვა“-ს იმედით, რწმენით, სითბოთი.

სითბო, რომელიც ცივად და ნაზი მელოდიით შემოდის ჩემში, სიყვარულია. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა! მას ხელები არა აქვს, ფეხებიც არა აქვს. არა აქვს ტანი. აქვს მხოლოდ ხმა, ნაზი ხმა. მე ვხედავ მას. ის დგას ფარდასთან და ირხევა ფარდის მოძრაობისდა შესაბამისად ქარში. **შენ**: „რამე მითხარი, მითხარი რამე ისეთი, რაც გამათბობს, გამახურებს, გრძნობას გამიცხელებს და მეც გეტყვი რამეს.“ **მე**: „რა გითხრა?“ **შენ**: „მითხარი, თუ როგორ დავრბოდით მე და შენ ჰიმალაებზე შუა ზამთარში, უზარმაზარ თოვლსა და ბარდნაში ორნი, გახეული ჯინსებითა და თასმაწაწყვეტილი კედებით მარტოდმარტონი, უპატრონოები, განდევნილები, ცილდაწამებულები ჩვენი „ბედნიერი“ სამშობლოსაგან, დაკარგული თაობის შვილები; მითხარი, როგორ ამიყვანე ჰიმალაების ყველაზე მაღალ ბორცვზე, დედამიწის სახურავზე და მითხარი: „ჩემო ბედნიერო, დღეს ჩვენ მთელი დამპალი დედამიწა ქვეშიდან შემოგვცქერის. ისინი პატარები არიან ჩვენს წინაშე, პაწაწკინტელები და არა აქვთ სურვილი, ჩვენოდენა გაიზარდონ. მათ აქვთ წყურვილი შეიძინონ ბევრი და მრავალი, ჩაიცვან ბევრი და მრავალფეროვანი, დასცინონ ბევრთ და მრავალთ. არადა თვითონ არიან დასაცინები და სასაცილონი. შეხედე, რა ციცქნები არიან და გირჩასავით გაბუსხულები ჩვენი სულის სათბურიდან. შეხედე, ქვებს გვესვრიან, გვიყვირიან, მოგვბღავიან, ჩხავიან კატის ახალდაყრილი ბრმა კნუტებივით. თვალში ვერ იხედებიან, რადგან მათ მხედველობას აშკარაობა და სინათლე აკლია და დოლარის უშველებელი კუპიურა აწებია ზედ... დიახ, დღეს ჩვენ მთელი დედამიწა ქვეშიდან შემოგვცქერის, უფლებააყრილი და დამცირებული დედამიწა.“ მითხარი და თმები გამიშალე, სახეზე ჩამომიცურე ორივე ხელი და მაკოცე. მე უკან დაგიბრუნე კოცნა კოცნითვე, შენ თვალები დახუჭე, თხელი პერანგი შემხსენი და ჩემს შემცივნებულ ძუძუებში დამალე თავი. „მათ სიყვარული არ იციან. მათთვის სიყვარული ლოგინში წოლაა, ღრეობა, გახდა და ფეხებსშუა ჯოხის გატარება. მათთვის სიყვარული უწმინდურებაა და ჩარჩო. ისინი სიყვარულს ჩარჩოში სვამენ და საწოლ ოთახში კიდებენ დაღამებისთვის“. მითხარი, მითხარი ეს ყოველივე... მითხარი, თუ როგორ გვიპოვნეს ბუდისტმა ბერებმა თოვლში გაყინულები, შიშვლები, უმანკოები, სიყვარულის მონადირეები და სიყვარულისგან მონადირებულები. როგორ მოვიდა ჰიმალაებზე წვიმა და როგორ ჩამოგვბანა სხეულიდან ქათქათა თოვლი.

წვიმა, რომელიც დაბადებიდან ჩემშია, აღარ მიდის ჩემგან. „მე ყოველთვის შენში ვიქნები. შეგაწუხებ, შეგაშფოთებ, შეგაფორიაქებ, შეგაჯანჯღარებ და შეგალამაზებ. იცი შენ, მე ვინა ვარ? არა? იცი, იცი, როგორ არ იცი, ოღონდ არ გინდა თქვა, გაიხსენო არ გინდა, დარდის თავიდან გაღვიძების გეშინია, წარსულში დატოვებული შენი ლაღი, ნამდვილი, შეულამაზებელი, ცოცხალი სახის გეშინია და ნიღბით დადიხარ. ჭკვიანი, სერიოზული, უშეცდომო, პეწიანი ადამიანის ნიღბით, არაფერი გეშლება, ნერვი არ გიტოკდება თვით ყველაზე დიდ საშინელებაზეც კი... მუდამ ღიმილით გაქვს სახე წაჭერილი. გინდა არაფერი შეგნიშნონ სახეზე სხვანაირი, შენებური, განსხვავებული. გინდა იმათ გავდე – ყველას, მასას გავდე, საზოგადოების შესაფერი ქუდი გეხუროს. რა მნიშვნელობა აქვს, გიხდება თუ არა, მთავარია, გახურავს, შენც იმავე მოდის მიმდევარი ხარ, მოდერნისტს, გიჟს, უცნაურს, გარეკილს არ გეძახიან. მეტი რა გინდა! ითვლები ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქედ, გაქვს პურის ფული, ოჯახი, ყოველ კვირა დილით მიდიხარ წირვაზე, ლოცულობ, კითხულობ ლოცვანს, ეზიარები, როგორც, ჩვეულებრივ, ხალხი ეზიარება, სჭამ სეფისკვერს მშიერ კუჭზე. ცხოვრობ ცხოვრების რიტმსაყოლილად, და არ გინდა გაიხსენო ის, წარსული, დავიწყებული, განუმეორებელი... მაინც ვერ მიხვდი, ხომ, ვინა ვარ? მიხვდი, მიხვდი, თქმა არ გინდა, თქმის გეშინია, თქმის გერიდება, გრცხვენია ამოდენა ხალხში ბავშვურ აცუნდრუკებაზე ლაპარაკი, დაგიმალავს ძველი გრძნობა, გადაგიფარებია დავიწყების ფარდა და არ იხსენებ. არ იხსენებ და იტანჯები. ტანჯვა ეშმაკისეულია, ლამაზო, მოიცილე ეგ ჭირი გულიდან, არ აცალო უფრო ღრმად ფესვის მოკიდება ამ ავადმყოფობას, თორემ გაღიზიანებული მერე უფრო სახიფათოა, უფრო საშიშია. პირველი სიყვარული იშვიათად იკურნება, ავადობა ან სენი თუ არ დაგიტოვა გულს შიგნით, გულს გარეთ გულადობა თუ არა დაგისახეჩრა ცოტა ლიც ჩვილად თუ არ გადინა სისხლი ლოყებზე, სევდა თუ არ მიგანათა გაუნათ შიგანში, ერთხელ თუ არ დაგტოვა მარტოობის ამარა“.

მარტოობა, რომელიც ოცნებასთან, მონატრებასთან, სითბოსთან და წვიმასთან ერთად შემომეჩვია, გულისწუხილს მიმძაფრებს, მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ მინდოდა შენი ნახვა, შენს თვალებში ჩახედვა და მერე... გაქცევა ამ ენითა და ცოდვით მოთხვრილი დედამიწიდან. გესმის? გესმის?! ჩვენ მარტო დავრჩით პლანეტაზე გაუხრწნელები, და ჩვენც გაგვხრწნიან, გაგვჭორავენ, გაგვჯორავენ ენით. ჩვენც ჯვარს გვაცვამენ, სირცხვილს გვასმევენ, ენით გვათქვლეფინებენ ძუკნა ძაღლების მიწიერ სალაფავს; ჩვენი სიყვარულიც გაიყიდება, ჩვენი გრძნობები სხვის უწმინდურ გრძნობებზე გადაიცვლება და ჩვენ დაგვივიწყებენ. ჩვენც დაგვავიწყდება ერთმანეთი და ღამით, მარტოობისას, სიბნელეშიც არ გაგვახსენდება, არ ვიამაყებთ, არ შევწუხდებით ჩვენით, ჩვენი დაჩეხილი სიტყვებით, ჩვენი მიტოვებული სიყვარულით...

ეხლა ღამეა და ღმერთთან დასამალი არაფერია – მე არ ვლოცულობ. ხატი უპირჯვროდ ჰკიდია კედელზე, ღამე თუხთუხებს და ვნება ნაწილაკებადაა დაშლილი. მე ფეხმოღრეცილი ვზივარ ფანჯარასთან და უკუნეთს გავცქერი.

მეგობირი

ეპისტოლე წამებულთა მიმართ

ეძღვნებათ ჯალათებს

1 ჭაობისფერი,
2 მუქილურჯი უფრო,
3 ყომრალი სინათლეა გარშემო.
4 მრუმედ მოუკეტავთ ციხის კარები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 რუხი ბოქლომი სამგზისაა გისოსებს შემოტარებული.

6 ნაცრისფრივ მოჩანან ნარებზე შემოსკუპებული პატიმრები, სძინავთ.

7 ლიბრი ნესტით მოცული საკანი ღამის სიმშვიდეშია ჩაფლული.

8 მიწისფერი მოსდებია კედლით კედლებს, საგნებს უსახელობის სევდა აწუხებთ...

9 ჭყეტელა შუქით მოციგლიგე ნათურის ნათელით იოლსახილველია ქაღალდი მაგიდის შუაზე.

10 თეთრია ქაღალდი, ქათქათებს, ჯერ არც დატყობია თევზიფეხურად გაელებული ველური სტრიქონები,

11 მელნისფრად რომ მიეკიბება სათქმელი სათქმელს, აზრი აზრს, კალმით დაიფრქვევა შემოქმედებითი შემოქნევა.

12 მეწამული განწყობა, სიტყვების იშვიათი სიმწვავე მჭირდება იმის გადმოსაცემად, რასაც აქამდე ვინახავ-და-ვეველები, რადგან

13 ხავსისფერი სუდარა გადავაფარე მოგონებებს და მათი სულიდან გამხელა, გამოტანა კიდევ ერთ ტკივილად მიღირს,

14 შავი სევდის ახალ წამონთებად, გულში კაეშანს რომ გამიძლიერებს უფრო, ძველ ნივთმტკიცებებს გამიმძაფრებს, დამაახლოვებს დაფარულთან.

15 ფერფლისფერიც ამად დავისაჭიროვე იმ მოვლენათა ფონად, საგებ მასალად, რათა მკითხველისთვის მეტად ხელშესახები გახდეს ყოფის დანაცრებულობა,

16 კაშკაშა ბოროტება, ბედითად გათელილი სიკეთე, სილამაზე და სათნოება; რათა ცხადად წარმოვაჩინო გზაჯვარედინზე, უფსკრულთან მყოფის სულისმიერი განცდა,

17 ათასფერი სურვილებით იმედაღძრული. ეგეც ჯერ იყოს, ყველა ქცევას, ყოველ ამბავს თავისი მეისტორიე სჭირდება, თხრობის ყალიბში ჩამსხმელჩამწრიტავი – გამოსაქანდაკებლად.

18 მოჟამისფრო უშუალობა უნდა ჰქონდეს მწერალს, ნათელი თვალი, ჭეშმარიტის მოძებარი დროთი ნახნავ კვალში ჩასახედად, ცნობასა და ცნობიერებაში მოსაყვანად, გაგებისათვის.

19 წითელი კალამი – თითებსშუა გაჩრილი, მარჯვე გამრჯეთ ნაჯერი, ვაი თუ რამე დამრჩეს თვალყურის მიღმა, დაუდევარი, იდუმალ კბოდედ დამალული სიჩუმეში, გაუხაზავიო.

20 სინგურისფრით შეჰქონდეს მახსოვრობაში ფაქტები, შიში არ იცოდეს და დარიდება არავისგან, არავისი. იცოდეს სიწრფელე სიტყვისა, ჯვრით მოტანილი უბატონო თავისუფლება, იცოდეს – ტკივილი...

21 ხასხასადმწვანე გაზაფხულ დილით ჯერაც ქალწული დედაჩემი ფერადნაჭრებიან ჩანთას მოატარებდა შარაგზაზე. სილამაზე იმ ასაკში სხივოსნდება განსაკუთრებით – დედაჩემსაც დღითიდღე ემატებოდა ეშხი და თლილნაკვთოვანება.

22 ლაჟვარდისფერ ცისქვეშ მოარხევდა კაბის კუნჭულში ჩამალულ ტანს, თვალს იპყრობდა, ფარულ მზერას ირეკლავდა. წარმოიდგინე, რაოდენ წყალობაა ცქერით მძულვარებაზე დაგეშილი არსებების თუნდაც წამისური ყურადღება,

23 ჟღალი თვალებიდან რომ მოგახლის ზოგი დამცინავად, ზოგი – შურით, ზოგი – ძლიერი წაბაძვით, ზიზღითაც – ზოგი. ვიღაცაში ენება ატოკდება, ვიღაცას გამოეღება გულში უიმედოდ მიხურული დიქტის კარები.

24 ფოსფორისფერი მზერანი გადმოიშლებიან, სურვილებს, განცდაშთაბეჭდილებებს გადმოიტანენ: „უეჭველია, მოიტაცებენ მაგას!“, „მსუბუქი ყოფაქცევისაა, ეტყობა“, „შენ მასწავლე, ქალო, ეიმ ბიჭის

საცოლეა, დაბადებიდან მასზე დანიშნული, რაებს მიედმოედები ხოლმე“...

25 სპეტაკი ელფერითაა დედაჩემი აჯანყებული, ნაბიჯს უჩქარებს, სკოლისაკენ ეპირება. კარებთან, შემოსასვლელში შეეჩეხება მჭლეგამოხედვიანი ცნობისმოყვარებანი, დატოვებს მორიდებულ გამარჯობების ასხმულას თბილი გაღიმებითურთ, თვალში ყალბის დამთრგუნველი სიწრფელის ჭიატი გამოუკრთება.

26 ცივი ცისფერით გადუღებავთ მსტოვრად ატუზული კედლები, უთარგმნელ სევდასთან ერთად სიხარულსაც ასხივებენ, თუ კარგად დააკვირდები. იატაკს თეთრ ლაქად აჩნია ხელუკუღმა მიყრილი ფუნჯსაღებავების ნაკვალევი. დედაჩემი არ ემდურის სიფრთხილეს,

27 შვიდფერ მოკირწყლულ იატაკს ფეხაკრეფით გაერიდება და კარს შეაღებს უწყინარი ცეცებით. „არ გიხდებათ, მშვენიერო ასულო, პაემანზე დაგვიანება“, სადღაც ნასმენი ხმაა, არ ჰგავს დაჩვეულ მისალმებას, რჩეული სხვანაირობით გეცემა სასმენელში...

28 მრეშად გაიოცაო, იტყვიან ამ დროს ფსიქოლოგიაში ხარისხდაცული ქალბატონები საგანგებოდ საჯარო ლექციების საკვანძო ნაწილში, როცა ჯგუფურ დავალებას გასცემენ სტუდენტ ახალგაზრდობის სულის გამოცდისათვის და ეცდებიან, ცხადლივ წარმოაჩინონ პირისახეზე ასახული ცვალებადობა.

29 ნარინჯისფერ ქაღალდზე ის უცებისი სიმპტომები ჩამოიწერება, რომელიც რაიმე კონკრეტულ ფაქტსა თუ ამბავზე რეაგირების შედეგადაა გამოვლენილი, გაოცებასაც მალევე დაეძებნება მიზეზი, ხარისხი, გავრცობა სივრცეში... მრეში ოცებით სახედაბეჭდილი დედაჩემი კი კუთხეში მიყუჟულა,

30 ბაც ფენილობას შეკეცა ატყვევებს სარკმლის ფანჯარაზე აფარებული ფარდა. „ბალიშებიც „მიცვალებულნიც ბრუნდებიან ხოლმე, ზოგჯერ, საიქიოდან, ნანატრ წადილის გასასრულებლად“. დედაჩემის გონებას წამით მოგონება გადმოეჭდობა: უმცროსკლასელობისას გამხელილი სიყვარული ცრემლის თანხლებით, პირადი გრძნობების გამოქვეყნება,

31 მოვარდისფრო უშუალობა და სირცხვილისგან წითლად აკეპილი ლოყები, მეორე დღისთვის საეგებიოდ გადადებული პასუხი „მოვიფიქრებ“, შემდეგ ცივად ნათქვამი „მეგონა, შენ იყავი ჩემი გულის აკვანება, მაგრამ... აღარ მყვარებიხარ თურმე, მეცოდებოდი უბრალოდ, მებრალებოდი და მორჩა...“

32 ქუფრი გაუხდა ბიჭს სახე, სურვილები დაენაცრა, თვალები წამოეხუჭა ტკივილისგან, ბუნებითი მხურვალება ჩაენაცვლა... ცოტა ხანში ხალხად დაირხევა ხმა, თომა თარიმანის უგზოუკვლოდ დაკარგვის მიზეზი თათიას უკადრისად გაცრილი მეტყველება და სიცივე იყო უწესრიგო გრძნობების წილო.

33 მტრედისფერი გათენება მთაში ქალების გულისშემძვრელ კივილს და მამითურ ოხვრას მოიყოლიებს. გლოვას არ უხდება განაზება – ხმაურით ჩაივლის ის დღეები და დედაჩემს მას მერე (ხშირად) გაკვირვების შეგრძნება შეემეტოქება არსებაში უდაო მტკიცებითურთ, რომ წლები მხოლოდ რყვნიან,

34 სიმყრალისფრად მოსავენ და ცოდვას ასათაურებენ სიყვარულში, მიწიერს აქცევენ უზენაესად... დედაჩემს გაუწყდება მოგონების ძაფი, წინ მკვდრეთით აღმდგარი უარყოფილობა უდგას და სულში საკუთარ სიტყვებს აჩეჩებს: „მოგენატრებოდით ამხანობაში, მშვენი-

ერო ასულო“, გარეგნობა ისეთივე აქვს შერჩენილი, ოდნავ ხმა დაბოხებია,

35 ვეჟანა მკლავზე, მარცხენა მტევნის აყოლებით, მაისურიდან მკაფიოდ ხატული სვირინგი მოუჩანს. „მეც მონატრებამ მომიყვანა აქ, შენთან, არ მეგონა, ოდესმე თუ დავბრუნდებოდი“, შუბლზე თმა ჩამოეშლება, ყელზე წვეთები აკრიალდება – ოფლისა, ალბათ, – სათქმელში გაიღვეფება, სიტყვას ისამხრევებს, „სამუდამოდ მეგონა დაგივიწყე!“

36 ძრწოლისფერი შემოევლება დედაჩემს, გააჟრჟოლებს: „კი მაგრამ,.. შენ ხომ...“ „მეც ხომ ასე მეგონა, წავედი და აღარასოდეს მოვიხედავდი აქეთკენ, სიბინძურისკენ, სნეულებაში, ღვარძლმოსილებაში რაც მივატოვე,.. მაგრამ შენ არ იცი სინათლის მონატრება...“ მოხაზულია ვითარების გარემოება, მოქმედებას ელტვის ადამიანში დაუძლეველი ადამიანური.

37 ქათქათა სამოსელი გადააცვა მზემ პერსონაჟებს, ტუჩის ნაკეცში მადლი ჩაუღვენთა, გარდასახა ზეცად ასაფრენი ფრთები. მაინც მწუხარებს დედაჩემი: „შემოგვისწრებენ, ცბიერნ გაფაციცებული მაცილები არიან გარშემო“ „აქ ყველა ჩვენ ვართ“, თომა მშვიდადაა, ქაქანახირის არ ეშინია, ქლესა სახეთა შემოფეთებისა, გული გალავნად აღუმართია.

38 წაბლისფერები აირევა, თმაში მიცურავენ თითები, ბაგეს ბაგე გადაეხლება, თვალები დაასურათებენ ერთმანეთს. ხმები... ხმებით... ხმებო... ხმებს ვაქუჩებ, ბგერების ტყეში მივიქცევი, გამენდე, მითხარი რამე, დაკარგულ სიწმინდეზე მომიყევი – და-მე-ლა-პა-რა-კე! შენს ენას მინდა ყური შევაჩვიო, რა შორს ყოფილხარ, მიღმეთს ნაპირას. შენ – იქით,

39 მურა კენჭებით მოპნეულ ქვიშაზე, მე – აქედან, ვდგევართ და ვეძახით, ვეძახით და მხოლოდ სილუეტი იკვეთება, უჩინარი დანაშრეები მოჩანან, ხმები არ ისმის, სიშორეში ჩაკარგულა... შენი ხმა დამაკლდა, უშენოდ არ შედგება ჩემში ადამიანი, ათასიც რომ მოიყაროს, უშენოდ არაფრად ღირს ის ათასი ხმა.

40 ღიადმწვანე მდელობექობზე ვძოვოთ მერე, მო-ვი-ბალახოთ მონატრებული სიყვარული მე და შენ, უბერებელი ემოციებით დაზღარბულმა სათნო სინათლეებმა, თუ ხმით შევიტკბეთ და შევიყვარეთ ერთმანეთი, გავერთსულიერდით, უკუვაგდეთ სხვა თვალი, გონების საარყე ქვაბში ნადუღი ეჭვი და გულსგარეობა; მაშინ ვიტყვი: თქვენის ნებართვით, ბატონებო, შიგანს ცოდვებისგან ვისუფთავებ...

41 „ოქროცურვილი... მარცხნიდან მეორე, ეის პინცეტი მომაწოდე, გენაცვალე, ხოა სტერილიზებული?.. ფრთხილად, ფრთხილად, არ იჩქარო... ჰმ, გულმავიწყობას რა ვუთხრა, მისაღების მაგიდაზე სათვალე დამრჩა, გაიქეცი და მომირბენინე, უმისოდ ვერ დავიწყებ ოპერაციას...“ ქალბატონი ნათელა, რომელსაც, თავის ბნელ პროფესიასთან შედარებით, ცისმრად ცისკროვანი სახელი დაანათლა მშობელმა და

42 ცოდვისფერმა ყოფიერებამ, ოცდაათ წელზე მეტია ერთგულად ემსახურება თავის საქმეს – თითქმის ყოველდღე თითო მასავით ქალბატონს ისტუმრებს ვალმოხდილი: მათივ თანხმობით, საშოში უკლავს ნაყოფს და სხეულს ბალასტისგან უთავისუფლებს; ყოველდღე სათანადოდ ავსებს მასზედ მომაგრებულ საორგანიზაციო ჟურნალს, სადაც ბიოეთიკურ ენაზე გაყალბებულ საბუთთა გარდა, რიგი საჭირო კონფიდენციალურობანიც იწერება.

43 სნეულებისფრად დაწინწკლული ღიმილმა ჩამოართვა შემოსასვლელში ხელი დედაჩემს, გამოეცნაურა და ყოველგვარი წინამძღვრების („როგორ გიკითხოთ?“ „თქვენსკენ რა ხდება?“ „ყავას ხომ არ მიირთმევდით?“) გარეშე, მქისედ, კითხვით, დამძიმებული ორწერტილითა და ძახილისნიშნით მოპირკეთებული გამოუკრა შეკითხვა: „თქვენ, ალბათ, აბორტის თაობაზე?!“ დედაჩემი დათანხმდა, რადგან უკვე აღარც შერჩენოდა მეტი წინააღმდეგობის სურვილი,

44 ში'შისფერობის შემცველი სიტყვაც – აბორტი – მძიმე ნერწყვივით გადასცდა ყელში და დუმილს მისცა თავი... იმ დღის მერე ისევ დაიკარგა თომა, იმედიც, მისი მეორედ მოსვლისა, მაშინ ჩაიმუმლა, როცა დედაჩემის მამამ, კოლექტიური ყოფაწყობილების ერთმა ნიშნეულმა წარმომადგენელმა, კარადის საიდუმლო სამალავიდან გამოაძვრინა ორლულიანი ნაპარავი თოფი, გატენა და გზისკენ უტია...

45 მოლოდინისფერი მტკნარობა ჩამოწვა გარშემო. ვიმეორებ: გლოვას არ უხდება განაზება – გლოვას გოდებად ქალების გულისშემძვრელი კივილი, მამათ ვაება და ო(ხვ)რანბუბუნი აქცევს. შინ მობრუნებულმა ბაბუაჩემმა, თოფის საგულდაგულოდ დაფლვის შემდეგ, ბებიას ცნობისმოყვარე გამოხედვის პასუხად, ცოდვილს ცოდვა არ შერჩება, მოეკითხებაო, დაიტრაბახასავით თავისთვის. ბებიაჩემმა – ვაი შვილმკვდარის ბეჩა დედისაო – წაუმღერწკავწკავა ერთიორი, განაზებით...

46 ოხრაფერმა ჩამოაბნელა დედამიწა. ამაღამაც არ დაიძინებს მისი უდიდებულესობა შური – მუდამ-დღე სხვის კეთილზე ბოროტად ზრზინებული, კუნაპეტ მწუხრშიც აღარ მოეშვება, მსხვერპლს დაყურსავს, დაძებნის, საკბილოს ძიძგნით-დაკბილვას მიეტანება. გაბუტულ-ული შეხედულების თანახმად, მური უჯრედის ჩასახვისთანავე ჩასახლდება ქალის საშოში და ნაყოფის განვითარებასთან ერთად იძენს მასზე გადმოსაკუთრებულ (თავის წილ) უფლებამოვალეობებს, ბრძოლაწყობისათვის ძალით ძლიერდება.

47 შესაფერი იმედოვნებად გამოჰყვება იმთავითვე – მსხვერპლზე მოქმედების უნარი. შემდეგ თანდათან იფეთქებს დახშული შებოჭილობა და ჩვილის კვნესა გამოიღვრება გარეთ: „დედი, ყურთბალიში მომე!“ ჩემს პირველ დაკაკუნებაზე არ გამეპასუხა დედაჩემი, ეტყობა მოეჩვენა, მომეყურაო ანდა ყოველივე თანსდეულ ფორიაქობას მიაწერა, განსაკუთრებით რომ დაუკარგა მოსვენება იმ დღის მერე – თომასთან მარტოდ დარჩენას ვგულისხმობ – ერთიერთზე, პირისპირ,

48 ლურჯწითელი, ცბიერნ გაბაცებულ თვალთაგან თანდასწრებით. კაკუნი გამეორდება. დედაჩემი გაფაციცდება ამჯერად უკვე, მაგრამ აქვე, სახელდახელოდ, კითხვის ხმამაღლა გამხელისა მოერიდება, ჩემად ჩაიჩოქებს, ჩურჩულით მეტყვის, „რომელი ხარ?!“ და კარის ჭიპ ჭუჭრუტანაში გამოიხედება. მხედავს მგონი, შეიძლება მიყურებს კიდეც და გული სიხარულით ევსება. ერთი სული აქვს იქნებ, როდის გაირღვევა ჩვენს შუა აწოწილი კარები.

49 სწორფერი შევიქნებით დედაშვილი ერთმანეთისთვის, მე მისით ამქვეყნიურ წყაროს მოვიმწდევებ, ის – ჩემში დაკარგულ სატრფოს მონახავს და მის უმცროს მეორედ გამზრდის კალთაში. მანამ კი, ყოველ დილით, მშიერი და დედის ნახვას მოწყურებული მივადგები განგებისგან უგანგებოდ ჩარაზულ

კარებს და სანამ ფეხისწვერებზე მოვექცეოდე ზარის დასარეკად, მოუსვენრად დავკაკუნდები. „ახლ-ლა-ვეეეე“, სად წავა, რომ არ მიცნობს, დედაჩემი.

50 თიხისფერ თითუნებს მივიტან ჭუჭრუტანასთან და ჭიტას გავუკეთებ. გაელიმება ცხადია, სითბოფერილი გაბადრვა მოუხდება, მისი უჩემობა შეაწუხებს. დარდის გასართობად ზიზილო საჩუქრებს გადმოიღებს კარადიდან. „მოგწონს? ციო დეიდამ მოგიტანა გუშინ, ეს ჩემგანო შენს პატარას, დავითვალე – სულ სამოცი და ოთხი ფერადი კუბიკია, დააწყობ კუბიკებს ერთიერთზე და დიიიდი სახლი გამოვა, უზარმაზარი, ნათელი ოთახებით, თბილი და უბრალო...

51 ნაირფერი ფარდები, ხალიჩები, სათამაშოები...“ „ვეფხულმცხენჟირება ხომ იქნება?“ „რა თქმა უნდა, ჩემო პატარა მარგალიტო, ლომი იქნება, დაფაფრული თავიდან ბოლომდე და კეთილი, ვეფხვიც, ცხენიც იქნება, ქორბუდა ირემი და გრძელკისერა ჟირაფიც თავის პატარებთან ერთად...“ „ციო დეიდაც ხომ მოვა?“ „მოვა, აბა რას იზამს ციო დეიდა, მას ხომ ისე უყვარხარ, გიჟდება შენზე, ა-ბო-დებს თურმე ძილში, ღამღამობით“.

52 გიშრისფერი წამწამები სევდით დაუმძიმდება დედაჩემს, თუ, ბოლოს და ბოლოს, არ მომასვენებს სანიადაგდღეო ცნობისწადილი და ბოლო სიტყვას მაშვრალ მენავესავით შევაცურებ ყურეში, სურვილით „ვინიცობაა“: „მამა იქნება?“ „უმამოდ შვილის გაზრდა არ იქნება, შვილო“, საძინებელში ფეხისწვერებზე ბიწკით შემოიცეცება დედაჩემის დედა (ბებიად მეკუთვნის), „ცოტათი წაგეხმარებოდით ჩვენც, მაგრამ აკი ხედავ, ვირზე შეჯდა მამაშენი, აღარ შინდა ვიღაცის ნაბიჭვარი შვილიშვილი,

53 ოქროსფერ კულულებიანი ამირან დარეჯანისძეც დაიბადოს, თუ გინდაო, გადაჭრით უარზე ვარ, ბოლოს და ბოლოს, ერთი ბლისპი, ბოროტი და უნდობარი კაცია, ხალხში სახელის გატეხვას არ შეგვარჩენს, მტერ მამასისხლად მოგვეკიდება – უნდა მოიშორო ბალღი!“ იმ ღამით არ გამეპასუხა დედაჩემი, დიდხანს ვაბრახუნე, ზარიც გვარიანდრო ვრეკე, ვიძახე, ხვეწნაც გავურიე ხმობაში, მაგრამ შენც არ მომიკვდე...

54 მურუჟლად მოიხუნა მარტოობა და მთელი ღამე არ უძინია. დილაზე ხმაურმა გამაღვიძა, კრთომამ დამიარა თხემით ტერფამდე – დამდგარიყო ბუხართან ბაბუაჩემი (უკანაფონზე ცეცხლი ფანდად კიზინებდა), ყვიროდა, იფურთხებოდა, პირიდან დუჟი სდიოდა, კაცი გასკდომაზე იყო ჩემს გამო. რა გახდა ერთი ნასესხები სიცოცხლე, ჯერარშობილიც რომ გზაჯვარედინზე გაყავხარ – სიკვდილისა და სიცოცხლის, ბოროტის და კეთილისა, სიყვარულის და სიძულვილის, იმედისა და სასოწარკვეთის მებოძირზე.

55 ცეცხლისფერ ფონზე არეკლილიყო სულის მრისხანება, ბოღმით დაკბენილი ნაოჭები. ბებიას საკუთარ ტყავზე ჰყავდა ბაბუაჩემი დაცდილი, ამიტომ შეპასუხება არც გაუბედავს, სადღაც კუთხეში მილეულა და ცრემლს იხარისხებს – ესო და, სვემწარ ქალისთვინო, ისაო და, შვილმკვდარ დედისთვინო, ახლა კიდევ – ჩემზედ ჩამოსდინდება თავანკარა კურცხალი. საშოთ ჩასაფრებული გავიტრუნები. ჯანდარაში გატარებული დედაჩემი საწოლს მოაშურებს, თავქვე ბალიშს დაიმარტოხელებს, მკერდით სარკმელს მიეფიცხება. მზის დანახვა უნდა.

56 ნათელი მკრთალად გამოკრთება, ოდნავ ნაშუქი მახასიათებლით გაიციაგებს ზეცაზე და ისევ სქელ ღრუბლებში ჩაიკარგება. „ამეღამ ითოვებს, შვილო, გზები ჩაიხერგება, გაძნელდება მიმოსვლა, მთაში ცივი ზამთარი იცის, სუსხი ქარაფინდა, ნუ დაგვიანდები...“ საგზალს გაუმზადებს და ხურჯინში გამოუკრავს. „ეს ჩაგაცილებს ვაკემდე“, მეზობლის ბიჭია, ერთი პირტიტველა, ცინგლიანი ვაჟუნა, ხევხუევებში ნაცადი თუხარიკი ჰყავს, შემოისვამს დედაჩემს და დაღმართში დაქანდებიან. თვალსაწიერზე მალე წაიშლება მათი ნასახი.

57 წკურუმი მოუსწრებთ გზაში. ბიჭი ნაბადს გააწყობს, დაათბუნებს, განძარცულ ხისქვე მიწვებიან. დედას არ დაეძინება. სუსხი ჩაუსახლდება. მოუსვენრობა, კარგაჟამს იწრიალებს, გაწამდება მთოვარე ცისკენ ყურებით (ჯერ სადაა გარიჟრაჟი). ერთხანს ჩაეძინება, მერე მშიერი მგლის ყმუილი გამოაფხიზლებს, ქარაფზე რომ შემომდგარა და მოთქვამს პირმოხეული. **მეკუბოვენი დგებიან ფეხზე / და მუჭისხელას გიხრიან თავებს, / შოლტითვალება წარბების გრეხზე / სიკვდილისას ჭვრეტ ზეპურ ნაწნავებს.** წყვდიადში მხრჩოლავი მიწრიელი აეკვიატება,

58 ლეგა ლექსებად მოიყრებიან გაბნეული სიტყვები. ბიძგი ნდომებია თურმე, ბეწო ხელისკვრა და კნინი, ბიძგისური მუჯლუგუნი... არადა, ნამდვილი სალბუნია სულისა: **მეკუბოვენი დგებიან ცულით / (მათ იწროობას გულისას ვუცქერ, / მოვა სიკვდილი და საწყაული / თვისით მიუწყავს ბრძენსაც და უცებს.** ხედავთ, უკიდურესი პროზაულობიდან ლირიკულ ნოტზე როგორ წამში გადმოეწყო ყოფითი სიმფონია, ოღონდ ეგაა, პესიმიზმი ახლავს, თვითონ თემატიკაა სევდის კაეშან რეული – ლაღ და უდარდელ მისამღერს გამორიცხავს.

59 სხვაფრივ მშვენიერია, ბოლოს – ბა, ხრწნად წუთისოფელზე ჩაგაფიქრებს. უწინამც ხომ: იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, ბერდებოდნენ, კვდებოდნენ, როგორც ეხლა: იბადებიან, იზრდებიან, ბერდებიან, კვდებიან და ღმერთმა ქნას რომ, დღეისდღის მერეც: იბარტყონ, იზარდონ, მოხუცდნენ, ჩაკვდნენ, ჩაბარდნენ პატრონს ცხოვრების ეფემერულობაზე გლოვაგოდებულნი თავიანთი ბედისწერით კვალად, სიცოცხლის სახელით, ცრემლად მდინარე სამგლოვიარო რაფსოდიით: **მესაფლავენი ბარვენ სამარეს, / ყვავი ყრანტალებს ბექობზე თხემის, / ჭირისუფლებმა ყველა წალალეს – / მე, შენ, ის, მათი, შენი და ჩემი...**

60 სიმწრისფერი ციეიოფლი წაეცხობა დედაჩემს მღელვარებისგან, წურწურით ჩამოჰყვება ყვრიმალზე, სუნთქვას შეუგუბებს, ოდნავ გაცრის მკერდთან. „გაიხადე, შვილო“, ნათელა ქალბატონი ბამბას და სპირტიან სინჯარას შემოდგამს ლანგრით. გეგონოს! სულაც არ უცახცახებს თითები – ეს არც ბოლო გახლავთ მისთვის დ არც პირველი – რიგითი პაციენტია, სხვის ნებაზე მიტოვებული ქალი, დაულაგებელი ცხოვრებითა და უიღბლო ჰოროსკოპით. „თუ გნებავთ, დაგეხმარებით გახდაში, რაღაცა მორიდებისა გეტყობათ...“ ხმას მოაშველებს მარტოდარჩენილებს კარებთან ატუზული ექთანი,

61 სოსან ხალათში ღილს ჩაიბნევს, წელში ტლანქად გაიზმორება. „არა მე თვითონ“, დედაჩემი იუარებს, ახლაღა მოერევა ცრემლი, ლოყაზე მდულარება აკიაფდება. გლოვას არ უხდება განაზება – ხელებში თავჩარგული ქვითინებს დედაჩემი,

ზლუქუნი არ ჰქვია, ქვითინი უკეთ გამოითქმის, უფრო ქალურია ქვითინი, თავისებურად იტევს იმ დარბაისლურობასაც, ქალებს რომ მიაწერდნენ ძველი დროიდან და მთავარ სათაყვანო ტოტემად მიისაკუთრებდა პირველყოფილი თემური წყობილება; ქალები ასე ქვითინებდნენ ქვის ხანაშიც, მზის ჩასვლისას, თითქო მღერიანო,

62 ნისლისფერს ალივერებდნენ მზერაში და ბედის საცნაურყოფას ესწრაფოდნენ. მზე ზღვაში ჩაიწვერებოდა. ჰორიზონტა ტალღები ლურჯ ძაძაფლასს გადააფარებდნენ, ცაზე აირეკლებოდა ნამგალა მთვარე. „თუთა ახალი, ღორონთ სი გუმაახალი“, სოფლის საჯაროზე მობოჭავდნენ ოქროს სამკაულებს, უხუცესი ბუტბუტით შეილოცებოდა, ქალები საჩვენებელ თითს ცისკენ შემართავდნენ (გულში დაივლიდა მთელი მითოლოგია), სურვილს ჩაუთქვამდნენ. ძველებს ღმრთისა სწამდათ. ახალ დროში ღვთისმოშიშობაც დაკარგულიყო. სპირტნაპკური ბამბა და სტერილურად სუფთა ინსტრუმენტები ეწყო სამსხვერპლო ლანგარზე, გარშემო – ჯალათად ლიცენზირებული მედდები –

63 თალხი უტეხობა ებადრათ სახეზე, ვალად ნაკისრი პროფესიული ვალდებულების წინ. „დაგეხმარებით... გახდაში“, თხოვნით თავაზი მეორდება. „მე თვითონ“, უარზეა დედაჩემი, ქვითინს დათქვეებს (ღაწვებს ფილაქანფენილი ცრიატი ცრემლი შეაშრება), ჩაცხრება ტრაგიკული ქორო, ყელშიც როგორღაც გადაგვცდება შიშისფერობის შემცველი სიტყვა – აბორტი. „ახლა ხომ უკეთ...“, ქალბატონი ნათელაა, ხმა გაყიდის მარტო, სხვა თუ არაფერი სულის საფიხვნო სანაგვიდან, ბოხი ტონაცია და ვიწრო მენჯით გამოხოხებულის წლოკა სიფათი ფერთა აბზაცით აყოილებულ ცხოვრების ჭადრაკში.

64 ზაფრანაიისფერ საწერკალამს მიაწვდის მარჯვენა ხელში (ქაღალდები ავისმოწმედ გადმოეწყობიან), საულვაშეზე ნეკდაბჯენილი მითითებაში გადაიჭრება (ნეტა როდის იყო პირველი, დიდი დრო გავიდა მას მერე ალბათ – მთელი საუკუნე – გოჭივით დაკლული და სისხლიანი საცეცებით გამოფხეკილი უნაყოფობა რომ ჩაჩურთა დავიწყებაში და პირველი ცოდვაც სულში ჩაიმარხა): „აი იქ მოაწერეთ, ქალიშვილო, ცარიელ გრაფაში; კიდო ემანდ, ჩემს გასწვრივ, გამოკვეთილად; და ეგერაც, სუ სულ ბოლოში...“ ჯალათები პირისორთქლით დააზღვევენ ბეჭდის ვარგისიანობას და დამოწმდება მარტვილობა ესევითარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟაკ პორტელი

ნაგერალი ყაყაჩო

მოთხრობა

ბატნადან ხენშელამდე არც ისე დიდი გზაა, დიდი-დიდი ასი კილომეტრი იყოს, მეტი არა! — მაგრამ მე ვერაფრით ვერ ვახერხებ ჩავატიო ეს გზა თავის ბუნებრივ განზომილებაში, აბეზარი მოგონებები მეჩხირებიან წამდაუწუმ თვალში და მაეჭვებენ ჩემივე ურწმუნოებაში (რაც უკვე მეტისმეტია!) ყოველივე იმის მიმართ, რის დავიწყებასაც მაიძულებს ხვედრი.

არადა, განცდა ისეთი მაქვს, რომ წარსულის არავითარი ტვირთი არ მაწევს თითქოს მხრებზე. აღარაფერი აღარა მაქვს აქ დასაცავი და, ესე იგი, არც დასამარცხებელი მყავს ვინმე. მე მოვედი აქ, როგორც კეთილგანწყობილი უცხოელი და მინდა ვნახო, თუ როგორ ცხოვრობენ „ისინი" უჩვენოდ. წმიდა წყლის ცნობისმოყვარეობაა ეს, თუ ცნობისწადილი, ჩემი მხრივ და მეტი არაფერი. არავითარი სიძულვილი, არც სინანულის რაიმე ნატამალი, არც ანგარიშსწორების რაიმე გულისგულში ჩამარხული ნატვრა, თუ სურვილი... რა ანგარიში, რისი ანგარიში — ტურისტი ვარ, ერთ კვირაში ჩემს მწვანე, ისპანახისფერ ნორმანდიას დავუბრუნდები, ჩემს მსუქან ძროხებს და ჩემს ლეგა ცას.

კაცმა რომ თქვას, არც არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენს ჩემთვის ეს გზა — ბატნადან ხენშელამდე. ახალგაზრდობაში ბატნას გავლით არასოდეს არ დავდიოდი ხენშელაში. ალჟირ-კონსტანტინის შემადგენლობას ულედ რაჰმუნამდე მივყვებოდი და მერე საათობით ველოდებოდი ზოგჯერ, როდის ჩამოივლიდა ხენშელასაკენ კუს ნაბიჯით მიმავალი მატარებელი. სადგურის ბუფეტში შევდიოდი დაბარებულივით და ყოველ შესვლაზე ატრიის კარაქიან შეჭამადს მივირთმევდი. რამხელა სიამოვნებაა ხენშელას მატარებლის მოლოდინში ატრიის შეჭამადს რო შეექცევი?! მე, ალბათ, ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც ეს იცის.

მაგონდება ერთი ფელახი, დაახლოებით ჩემი ხნისა, ერთხელ ჩემი წამხედურობით რო შეუკვეთა ატრია. შიმშილისაგან გული მისდიოდა უეჭველად, თორემ ასეთი ფუფუნების უფლებას ვერ მისცემდა თავის თავს. თვალის წამში შეთქვლიფა ყველაფერი, მერე კი კაი ხანს ბეჯითად იფხანა თავი და ცალფეხა მაგიდის მარმარილოს ზედაპირზე რაღაცა დაასრისა უჩუმრად ფრჩხილით. ელდა მეცა, დავიღრიჯე და უნებლიეთ გავწიე ჩემი თეფში გვერდზე. გამიღიმა ცოტა არ იყოს დარცხვენილმა, მაგრამ აშკარა იყო, რომ დიდად არ შეწუხებულა მაინც იმით, რომ მე ყველაფერი დავინახე. ხენშელას მატარებელს ველოდებოდით ორივე, ღარიბები ვიყავით, მარტოსულები, ატრიის შეჭამადის სიყვარული გვაერთიანებდა. მეც ვაჟკაცურად გავუმკლავდი ბოლოს ჩემს ულუფას.

ულედ რაჰმუნის სადგური დიდი ქების ღირსია უეჭველად, მაგრამ იმხანად სამგზავრო ბილეთის ფასი იქ არავითარ თავის შექცევას არ ითვალისწინებდა. ეს ერთი იმ ადგილთაგანი იყო, სადაც ბუნებრივად გებადება კაცს კითხვა, თუ რითი ცხოვრობს ის ხალხი, ვინც იქ ცხოვრობს, რა შესცოდეს ასეთი მათი წინაპრების შთამომავლებმა, რომ ამ ქვეყნის დასალიერში გადაკარგული უნაყოფო მიწის გარდა არა ერგოთ რა წილად და სამკვიდროდ? დავხეტიალობდი ამ შუკებში, გაფაციცებული დავეძებდი ყოფაცხოვრების რაიმე ნიშანწყალს, ვაკვირდებოდი, როგორც იშვიათ ზოოლოგიურ მოვლენას, თუ როგორ აშველებდა ახალი ფუნის, ჯერ

კიდევ ორთქლი რომ ასდიოდა, ორგვლივ მოჩხუბარ ბეღურებს სახედარი თავისი კუდით და როგორ ენარცხებოდნენ ისინი რკინა-კავეულის ფარდულის ფანჯარასთან, სადაც მე ოცნებით ხან მჭედლად წარმოვიდგენდი ხოლმე თავს, ხან დურგლად და ხანაც ქვისმთლელად.

ჩავცუცქდებოდი ხოლმე ხანდახან კედლის ძირში, დუნდულებით ლამის მიწას ვეხებოდი, იდაყვებს მუხლებზე დავიწყობდი და ხელებს ჩავკიდებდი ისე, როგორც ჩემი წარმოდგენით, ფიქრს მიცემული ფელახები შვრებოდნენ ამას. შორიდან რას აღარ მივაპყრობდი ხოლმე მზერას და დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი მერე იმას, რომ რასაც დავინახავდი, ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ აღმებეჭდა მეხსიერებაში. უფრო ხშირად ეს იყო რომელიმე შემაღლებულ ადგილზე დანახული ლოდი, რომლის რაღაცისთვის, ან ვიღაცისთვის მიმსგავსებასაც ვლამობდი და ვცდილობდი, რაიმე სახელი დამერქმია მერე იმ რაღაცისთვის, თუ ვიღაცისთვის. ჩემივე ფანტაზიით ვნათლავდი ხან „ლომის თავად“, ხან „ცხენის ძუად“, ხან „სიმონის ცხვირად“ (სიმონი ჩემი ერთი ბიძაშვილი გოგო იყო დედის მხრიდან, ვისაც მე მხოლოდ უარყოფით გრძნობებს ვუღვიძებდი). სიტყვას დიდი ძალა აქვს: დაერქმეოდა თუ არა რომელიმე ქვას თავისი სახელი, მაშინვე გამოეყოფოდა თავის გარეირგვლივს და რჩეული, ჯადოსნური საგნების სამყაროში გადაინაცვლებდა, რაღაცის სიმბოლოდ იქცეოდა ხოლმე. მთელი ალჟირი, აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ჩრდილოეთიდან სამხრეთით, სულ ასეთი თეთრ-თეთრი ქვებით არის მოფენილი, რომელთა მეშვეობითაც, მარტო ჩემთვის ცნობილი გზებითა და კვლებით, ვინ იცის, ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი უკლებლივ ყველა მოჩვენების მოძიებაც კი იყოს იქნებ შესაძლებელი.

❀ ❀ ❀

თავისი დანჯღრეული ლადა 1300-ის საჭეს ჩაფრენილი მაჰმად სალახი მოჰიკანის სიფხიზლით ადევნებს თვალს გზას. არადა, მოძრაობა ამ გზაზე, ბატნადან ხენშელამდე, იშვიათზე იშვიათია და ხამუშ-ხამუში. შენიშვნას ვაძლევ. თვითონაც მშვენივრად იცის ყველაფერი, მაგრამ ასე ნელა თუ დადის იმიტომ, რომ ღრანტეებსა და ღრეჩოებს ერიდება. მისი ეს სიფრთხილე ძალიან მალე ხდება ჩემთვისაც გასაგები. მივზოზინობთ ასე, მივიზლაზნებით და მივიკლაკნებით, მაგრამ გაიხედავ და მანქანა უცებ თუშფალანგივით ერთთავად დაჭმულ-დახვრეტილ ზედაპირს მიადგება მაინც გზისას... მაჰმად სალახი ამუხრუჭებს, აზიგზაგებს, ნემსის ყუნწში ძვრება, მანქანა ბღუის, თუხთუხებს, ზანზარებს, ჩვენ, კარის სახელურებს მოჭიდებულნი, ხან ვეხუტებით ერთიმეორეს კაი შეყვარებულებივით, ხან გავეყრებით, გაჩნია, საიდან საით შეახტუნებს და შეაკანკალებს მანქანას გზა.

„მუნი, მოიტა ბოთლი!“

ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას თავმოხდილს შეაშველებს უმალვე ცოლი, მაჰმად სალახი გადაყლურწავს, რასაც ერთი სულის მოთქმით შეიძლებს, უსიტყვოდ აბრუნებს უკან ბოთლს და მერე ცალი ხელით იწმენდს ტუჩებს ფაციფუცით.

კომუნალური სამსახურის ნაკლულევანებანი გზატკეცილების ექპლუატაციის საქმეში თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის წარმოშობას უწყობს ხელს და პროტესტის გაუნელებელ განცდას იწვევს. იმდენი ხანი დასჭირდა ამ მანქანის ყიდვის ნებართვა რომ მიეღო და იმდენი ხარჯი და ნერვების შლა უნდოდა მის შენახვას, რომ ყოველი შეჯანჯღარება ძალაუნებურად ოპოზიციისაკენ უბიძგებს ხოლმე — „აბა, რა იქნება ამათ ხელში! ქვეყანას პატრონი არა ჰყავს, არავინ არაფერს არ გეგმავს, არავინ არაფერი არ იცის!“. ეს დაბოღმილი, ორლესული მახვილივით მჭრელი სიტყვები ისე ძალიან ჰგავს იმას, რისი გაგონებაც ნებისმიერ დროს შეიძლება კომერციულ კაფეშიც, რომ ცოტა არ იყოს, მაცბუნებს კიდეც. ვეწინააღმდეგები ზრდილობის გულისთვის:

„არც ისეა საქმე, იმ მონაკვეთს, მაგალითად, აგერ ახლა რომ გამოვიარეთ, არაფერი არ ჰქონდა დასაწუნი“.

გამოწვევასავით გამომდის. აღმოსავლურ ანეგდოტებს, რომელთაც მე ჯერ კიდევ ჩემს ახალგაზრდობაში გავუფცქვენი გემო, ბოლო აღარ უჩანს — მაჰმად სალახი ადგილობრივი ადმინისტრაციის ბობოლების მიერ

„საღი აზრის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე“ მესაუბრება. მუნი, მისი ცოლი, ჩაპუტკუნებული ბერბერის ქალი, თეთრი, გონებამახვილი და გაუთავებლად მოლაპარაკე, ისიც, ხშირ-ხშირად უსწორებს და ამატებს ფერებს იქ, სადაც ეჩვენება, რომ მისი ქმარი, რომელიც პასტელით ნამდვილად არ მუშაობს ამ დროს, რაღაცას ისე არ ამბობს, როგორც საჭიროა. თავიდან ცოტა არ იყოს მრცხვენია კიდეც, მაგრამ მერე და მერე მიტკბება ეს მოულოდნელი გულწრფელობა, რაც მე აზრადაც კი არ მომივიდოდა, რომ მომეთხოვა ჩემი მასპინძლებისაგან. მატკბობს ჩემი მასპინძლების გულახდილი საუბარი თავიანთ ყოველდღიურობაზე, უკმაყოფილების ახალ მიზეზებზე, უსამართლობებზე, რასაც ისინი განიცდიან... მატკბობს მათ მიერ დახატული სურათი ამ საზოგადოებისა, რომელსაც პრობლემები ნამდვილად არ აკლია, მათი ცხოვრება... არც კი ვიცი, რა ვთქვა. იმ ოცმა წელიწადმა, რაც აქ არა ვყოფილვარ, ევროპელ „ბარბაროსად“ მაქცია, ენობრივი რეფლექსები დამიჩლუნგა. წესით მეცინა უნდა, ავყოლოდი, მივსადაგებოდი სიტყვებს, გამემეორებინა და ჩავწვდომოდი მათ ჭეშმარიტ შინაარსს. სხვა თუ არაფერი, ნამეტანი სერიოზულობით მაინც არ უნდა მოვკიდებოდი ყველაფერს, რაც იქ ითქმებოდა. მე კი ხმას არ ვიღებდი. არაბების სტუმართმოყვარეობა ყოველთვის აღემატება მონელების უნარს. შენ მანქანაში მჯდომი ოტებულისათვის იმისი განცხადება, რომ ყველაფერი ძალიან ცუდადაა, გარკვეული აზრით, ხო იმასაც ნიშნავს, რომ გული გწყდება მის წასვლაზე? ვერასოდეს ვერაფრით ვერ მოერევი ნუგბარ-ნუგბარი, დათაფლული ნამცხვრების იმ გორას, არაბი მასპინძელი რომ დაგიდებს წინ ნასადილევს... ვერც ამ უცნაურ სულგრძელობას გაუგებ ვერასოდეს თავსა და ბოლოს.

❀ ❀ ❀

სულ სამი დღის ჩასული ვიყავი ალჟირში, ალჟირის მთავრობის მიწვევით ბატნას უნივერსიტეტში სემინარს უნდა გავძღოლოდი. კონსტანტინის აინ ელ ბეის აეროპორტში მაჰმად სალახი დამხვდა თავის დირექტორთან ერთად. დირექტორს ნურადინი ერქვა, იმდენადვე დახვეწილი და ნატიფი გარეგნობა ჰქონდა, რამდენადაც თავდავიწყებული მოლაპარაკე გახლდათ. რაც [illegible] ლა ანგელოზის სახიანი და [illegible] მამაკაცი, ლაპარაკში ისიც გამორჩეულად ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ურევდა. ვერაფერს ამის მსგავსს ვერ შესწამებდა კაცი მაჰმად სალახს, იგი ერთთავად გულწრფელ და გულმხურვალე პატივისცემას ასხივებდა და აფრქვევდა, ნურადინის ცოტა არ იყოს მოზომილი და ყასიდი თავაზიანობისაგან განსხვავებით. არადა, დამოკიდებულება, რასაც ისინი ჩემდამი ამჟღავნებდნენ, მე ორივესი ზედმიწევნით ზუსტი და გულწრფელი მეჩვენა იმთავითვე. ნურადინისათვის, ვინც „შუაგული მოვლენების“ დროს იყო მოვლენილი ამქვეყნად და ვისაც თავისი თვალით არ ენახა „უწინდელი“ ალჟირი, მე, ალბათ, უწინარეს ყოვლისა, ის მტერი ვიყავი, ვისი, შურისმგებელი ხელით დახატული, შიშისმგვრელი ხატიც ახალგაზრდა რესპუბლიკის ისტორიის სახელმძღვანელოების ფურცლებიდან სცემდა თავზარს ბავშვობიდანვე. წაგებულებს, რაოდენ ამაღლებულნიც არ უნდა იყვნენ ისინი წარსულში, ამგვარი წიგნები სისასტიკის, ბოროტმოქმედების, ეშმაკობისა და ცბიერების გარდა სხვა არჩევანს არასოდეს არ უტოვებენ. მათი მარცხი მათივე უზნეობით აიხსნება მხოლოდდამხოლოდ. ალახმა გადმოხედა თავისიანებს, დამარცხებულებს კი თავში ქვა უხლიათ!

თავიდანვე შევამჩნიე ნურადინს, რომ მიკიბულ-მოკიბულად მელაპარაკებოდა რაღაცას, მაგრამ მაშინვე ვიცოდი უკვე მეც, და უეჭველად — იმანაც, რომ დიდხანს ასე ვერ გასტანდა.

ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, რომ ორივემ იმთავითვე ვიცოდით ეს. მაჰმად სალახი კი, რომელსაც უეჭველად თავისი თვალით უნდა ენახა მთელი ის უგუნურება და საშინელება, რაც ამ ჩვენმა „ბინძურმა ომმა“ დაათენა, სხვა ცომისაგან მოზელილი ჩანდა და იდეოლოგიურ-რელიგიურ მალემრწმენობას, ალბათ, ახირებულად ველარ იგუებდა. მის მიმართ იმთავითვე, ინსტინქტურად, განვეწყვე იმ გრძნობით, რა გრძნობასაც აღმიძრავენ ხოლმე მიუდგომელი ადამიანები, რომელთაც ვერანაირი პარტიზანული მგზნებარებით ვერ აუხვევ თვალს..

საბაჟო და საპოლიციო შემოწმება გავიარე და ბატნასაკენ ავიღეთ გეზი, სადაც გვიან ღამით უნდა ჩავსულიყავით. წინა საკარძელში მოკალათებული, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, სალამ-ქალამსა და აქეთურ-იქითურს ვეპასუხებოდი ჩემი მასპინძლებისას და თან კონსტანტინის მოკლე-მოკლე გადასარბენებზე გადმოკიდულ პეიზაჟებს ვათვალიერებდი გაფაციცებით. ბინდბუნდში მაინცდამაინც კარგად არა ჩანდა უკვე, მაგრამ მე მაინც გავარჩიე სასტუმრო სირტა, ლამორისიერის მოედანი, ლიაგრის პროსპექტის პაწია მონაკვეთი, სიდი რაშედის ხიდი და სიდი მაბრუკის გზატკეცილი. გზაგასაყარზე ხრუბის მიმართულებით გადავუხვიეთ ბატნასაკენ. უკვე ღამე იყო და ციოდა. ყელში ცოტაოდენ წვას ვგრძნობდი.

კარგად აღარ მახსოვს ახლა, რაზე ვლაპარაკობდით, სამხრეთისაკენ რომ დავეშვით... უნივერსიტეტზე, ალბათ, კურსების განრიგზე და ცხრილზე, რასაც მეც დიდ ყურადღებას ვაქცევდი, რადგან საფრანგეთთან თანამშრომლობის ციდან მოვლენილი მანანა იმ ქვეყანაში, რომელსაც ის ჯერ კიდევ ჰაერივით სჭირდება, მით უფრო მწირი ხდება ყოველთვის, რაც უფრო დაშორებულია დიდ რეგიონულ მეტროპოლიებს. ისევ და ისევ ის ყველაფრის მაცენტრალიზებელი დემონი! ორეს ჩრდილოეთ განაკიდზე, დაახლოებით ბატნადან ხენშელასაკენ მიმავალი გზის გაყოლებაზე, ჩვენი რამდენიმე თანამშრომელი მუშაობდა საშუალო სასწავლებელში, მაგრამ უმაღლესი თითქმის სულ უპატრონოდ იყო მიტოვებული.

უცნაური იყო ეს, რადგან საუნივერსიტეტო განათლების ეროვნული რუკა იმ ხანად, თუ მეხსიერება არა მღალატობს, სწორედ ბატნაში შედგა და ფრანგული ენისა და ლიტერატურის ექსკლუზიურ სწავლებას სულ მცირე სამ ვილაიეთში ითვალისწინებდა. ეს ამბავი მე, კაცმა რომ თქვას, დიდად არ მაღელვებდა, მაგრამ იძულებული ვიყავი, მუცლის გვრემას გავმკლავებოდი და დრო და დრო შესაბამისი შეკითხვები დამესვა მაინც ზრდილობის გულისათვის. ფიქრით კი სულ სხვაგან ვიყავი ამ დროს — „რა მინდა აქ-მეთქი, ვფიქრობდი, რა ბუზმა მიკბინა, ამ გაუკაცრიელებულ სივრცეში რომ ამოვყავი თავი, როგორც მახეში-მეთქი. რა შუაში ვიყავი, ან რა კიდეში, ვის დავკარგოდი? თავის მოკატუნება სულმოკლეობაზე მეტყველებს და მეტზე არაფერზე. ქვეყანა დავკარგე და განათუ ეს არ იყო საკმარისი საიმისოდ, რომ ანგარიში გამექვითა ისტორიასთან?

საფრანგეთში თუ ხარ ნამყოფი-მეთქი — ნურადინს ვკითხე, სიჩუმე რომ შემევსო რაიმეთი. გილიოტინის მახვილივით მომიჭრა მყისვე პასუხი: არა! ჩემი ფეხი არა ყოფილა არასოდეს იქ და არც იქნებაო. ჯერ-ჯერობით ყოველ შემთხვევაშიო — დასძინა მერე. უცხოეთში ერთადერთხელ იყო ნამყოფი ორი წლით და ისიც ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს გასაგებიც იყო — ნურადინი ანგლიცისტი გახლდათ. საფრანგეთის გაგონებაც კი არ უნდოდა, იმისი წარმოდგენაც კი ზარავდა, თუ როგორ დახვდებოდნენ ორლის აეროპორტში სახელმწიფო უშიშროების წარმომადგენლები — პირწავარდნილი რასისტები, ყველა. უამრავი ანეგდოტის მოყოლა შეეძლო იმის თაობაზე, თუ როგორ ეპყრობოდა მის თანამემამულეებს საფრანგეთის პოლიცია, მაჰმად სალახს ეტყობოდა, რომ ცოტა არ იყოს უხერხულად გრძნობდა თავს — მისი ახალგაზრდა კოლეგა უკანმოუხედავად თელავდა ფეხქვეშ სტუმართმოყვარეობის უზენაეს წესსა და კანონს. ნურადინზე უფრო ფაქიზი და დახვეწილი იყო ვითომ? მე ხმას არ ვიღებდი. არა იმიტომ, რომ მინდოდა უფრო თვალსაჩინო გამეხადა ეს უკმეხობა — უბრალოდ არ ვიცოდი, უნდა დამეცვა, თუ კიდევ უფრო მეტად დამედანაშაულებინა ჩვენი უშიშროება. უშიშროების კისერზე, ვინ იცის, რამდენი ცოდვა ეკიდა კიდევ, ბრალდება, ალბათ, ამით არ ამოიწურებოდა და ნურადინს ყოველივე ამის ღია სამსჯავროზე გამოტანა ეწადა ჩემი თანდასწრებით. ვხედავდი, რო შიშველ გადარეულთან მქონდა საქმე, ვინც არცთუ მთლად დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და თვითკონტროლის უნარიც ცოტა არ იყოს დაქვეითებოდა, მაგრამ ერთი ფრიად და ფრიად დასაფასებელი ნაკლიც ჰქონდა ამავე დროს — იგი გულწრფელი გახლდათ. მე ამ გაუვალ ტყეში ოცი წლით უფრო ადრე ვიყავი გამოთლილ-გამოჩორკნილი.

ცხადია, სულ იოლად შეეძლო თავაზიანი და არაფრისმთქმელი უწყინარი სიტყვებით შეენიღბა თავისი გულის ნადები, მაგრამ ეს რო არა ჰქნა და ყველაფერი თავიდანვე გაამჟღავნა, თავისებურად იმაზე მეტყველებდა უეჭველად, რომ პატივს მცემდა მაინც, ასე თუ ისე. ბოლოს და ბოლოს ორასი კილომეტრი გამოიარა ამ კაცმა, ძილი დაიკლო, მე რომ დამხვედროდა და მის ამ სიმბოლურ შემოტევას შეუძლებელი იყო, რომ რაღაცა სრულიად განსაკუთრებული დატვირთვაც არა ჰქონოდა. ღირსების საკითხი იყო ეს. მე ის ღირსეული მსმენელი აღმოვჩნდი, ვისთან ერთადაც მას ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა ეწადა. ჩემს აქ ჩამოსვლას უკვე რაღაცა აზრი ეძლეოდა. მრგვალ მაგიდასთან მთავაზობდნენ ადგილს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მე ისევ ჩემს ქვეყანაში ვიყავი მიბრუნებული.

მოკლედ, ჩემი ვარაუდით — ვცდებოდი, თუ არა, ამას არა აქვს ახლა მნიშვნელობა — ნურადინი ჩემდამი კეთილგანწყობილებას ამჟღავნებდა ქვეშეცნეულად და ამიტომ თავისი ამ გამოწვევით, ნებისად თუ უნებლიეთ, თავისებურად პატივს მდებდა, სიტყვიერი უკმეხობა დადებითი მუხტის მატარებელი იყო. უარი თავის საკუთარ განზომილებაში უფროა თვალსაჩინო და მით უფრო სწორად აღიქმება, რაც უფრო ხისტია, უგრძნობელი და შეუქცევადი. თანხმობა, პირიქით, გამოხატვას მოითხოვს. ნურადინი ასაკსა და გამოცდილებას ჯერ არ ჰყავდა საკმარისად გამოჯეგილი და ესე იგი, არც გამოთაყვანებული, ამიტომ გადამიშალა ასე მოურიდებლად გული, რაც ყოვლად აუცილებელი იყო საიმისოდ, რომ თავი დაგვეღწია იმ შეკრული, ასეპტიკური წრისაგან, სადაც სულ იოლად შეიძლებოდა ჩავკეტილიყავით.

შეფასება მეტისმეტად შემწყნარებლურია საიმისოდ, რომ პატიოსნური იყოს? შეიძლება. მე არ უარვყოფ, რომ ზოგიერთი ასპექტი ჩემი მსჯელობისა ტაქტიკურია, მაგრამ მე ვიცი აგრეთვე, რომ ყოველთვის ერთგული თაყვანისმცემელი ვიყავი შემწყნარებლობის კულტისა. ერთი მკვახე შეძახილიდან მეორემდე, მე თანდათანობით ვითვისებდი შემწყნარებლობას, ვეგუებოდი სხვებს, ხშირად ისე ძვირი მიჯდებოდა ეს შეგუება, რომ ვერავითარ სარგებელს ვერ ვნახულობდი აქედან, მაგრამ ამ გზით იმ ერთგვარად არისტოკრატიულ ყოფასაც ვუფცქვნიდი გემოს, რომელიც საშუალებას მაძლევდა შედარებით უმტკივნეულოდ გავმკლავებოდი ბედის თითქმის ყველა უკულმართობას. სინამდვილე არ არსებობს. სინამდვილეს აშენება უნდა. რეალიზმი ამ ქვეყნად ცხოვრება კი არ არის, არამედ ისე ცხოვრება, როგორც ეს შენ წარმოგიდგენია. აი, ეს არის, რასაც მე ვიქმ იმთავითვე და რასაც ახლაც ვაკეთებ, ვიგონებ რა იმ საზოგადოებისა და იმ ადამიანების ამბავს, რომელთაც არასოდეს არსად არ უარსებიათ და, თუ არსებობენ, არსებობენ მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ფიქრსა და ოცნებაში.

ჩემი ბავშვობა ერთი მოსაწყენი და, მოსაწყენზე უფრო, სულელური, საშინელებამდე სულელური ამბავია. მაგრამ არის ხენშელა, ჩემი ციტადელი, ერთადერთი ადგილი დედამიწის ზურგზე, სადაც მე, მისი ერთი ბორცვის განაკიდზე წამომართული ეკლესიის შემყურე, მისი მერიის საათის გუგუნის მოყურიადე, მის მზით გასხივოსნებულ ქუჩებში მოხეტიალე, ყოველთვის შინ ვგრძნობდი თავს. მე პატარა ბლანი ვიყავი, ლუი ბლანის ნაბოლარა შვილიშვილი, საყოველთაო სიმპატიის უზარმაზარი კაპიტალის მემკვიდრე, როგორც ჩანს, რადგან ჩემიანები, უკვე სამი თაობის სიცოცხლე იყო, რაც აქ იბადებოდნენ, ცხოვრობდნენ და კვდებოდნენ, აქ, ამ მსუბუქი ცის ქვეშ, კონსტანტინის პლატოს ამ მერიდიანულ საზღვარზე, ორეს ფერხთით, უდაბნოს მისადგომთან.

❀ ❀ ❀

და აი, მე მუნისა და მაჰმად სალახის უკან ვზივარ ავტომობილში, რომელსაც ხენშელასაკენ მივყავარ. მარჯვნივ, სგაგის ტყის ნაპირი და ორე მოსჩანს, მარცხნივ — ჩრდილოეთისაკენ აღმავალი ზეგანი. გზად ტიმგადში შევიარეთ ცოტა ხნით. ორივ მხრივ მედიდურად აღმართულ კოლონადებს შორის გამავალი ფართო ქვაფენილი შარა, ვრცელი ფორუმი, ბაზილიკა, თეატრი, კაპიტოლიუმი, ტრაჟანის ტრიუმფის თაღი, ბიზანტიური კოშკი, დონატისტების საკათედრო ტაძარი,

ჩრდილოური, აღმოსავლური, სამხრეთული, დასავლური სამკურნალო წყლების დიდი აბანოები, ყველა ეს დაკარიელებული და გაუდაბურებული ძეგლი აღტაცების ნაცვლად სასოწარკვეთას იწვევს. ამდენი ძალისხმევა, ამდენი სიყვარული, ამდენი ნიჭი, სიცოცხლისა და შენების ასეთი დაუოკებელი წყურვილი და... რა ბოლოს? მეგზურის გარეშე გადაადგილების შეუძლებლობა, ნანგრევებში მოთამაშე ბავშვები, ქვასა და ქვას შორის ნიავის შრიალი... რა „ისტორიული შინაარსია" ასეთი, ამდენი მშენებელი რომ დაანარცხა ერთბაშად ძირს? ეს ქარიანი და მტვრიანი ქვეყანა განათუ ალიზით შელესილი მიწურებისა და მომთაბარეთა, გორაკებს მოფარებული, კარვების მეტს ვერაფერს ვერ ჰგუობს და ერთხელ და სამუდამოდ არის განწირული სახედრის, ან აქლემის ნაბიჯივით ნელი და ხანგრძლივი განვითარებისათვის? ზღვის კენჭივით სიპ ქვაზე ჩამომჯდარი ვცდილობ, რაიმე გავარკვიო სქელტანიანი ტურისტული გზამკვლევის ფურცლებზე. ქვათა ნაშალს ახლა სიტყვათა ნაშალი ემატება. პაწაწკინტელა პარაგრაფი ძუნწად მიუთითებს ერთი იავარქმნილი ევროპული სოფლის ადგილმდებარეობას, რომელსაც მისივე ცოდვამ უწია. სიდუხჭირე ესთეტიზმისა! აქ სხვა არაფერია, თუ არა დანაშრევები ერთიმეორის მიყოლებით გამქრალი ცივილიზაციებისა. ჩრდილოელი კაციც, „რუმი", ერთი იმათგანია, ვინც თავისებურად დაეუფლა აქაურობას. ის უკვე აღარ არის აქ. დასცადა აქაურმა ჰავამ, გარიყა იმ მიწამ, რომელიც ცხოვრების თავის საკუთარ რიტმს ჰგუობს მხოლოდ. ველური სილამაზე უარჰყოფს სხვათაგან მოტანილ ქვასა და რკინას. აქ რომ გადარჩე, ამ მიწას უნდა შეერიო. შაუიამ ეს იცის. ის და მისი თვისტომნი დასაბამიდან აქ არიან ერთად და განუყრელად.

ტიმგადი მალევე დავტოვეთ, უკან არ მიმიხედავს. მაჰმად სალახი იძულებული შეიქმნა, ბორბალი გამოეცვალა და, როგორც სჩვეოდა ისე, მაგარ-მაგარ ლოცვა-კურთხევას უთვლიდა გზის მესვეურთ. მივეხმარე, როგორც შევძელი. მერე ხელები გადავიბანეთ ყინულივით ცივ წყალში შადრევანზე. გზა გავაგრძელეთ, მაგრამ კიდევ ერთი თავსატეხი მოგვემატა — არაფრით არ გვინდოდა, რომ ისევ ამ მდგომარეობაში ჩავცვენილიყავით.

ტემგადიდან რომ გამოვედით, დაახლოებით ჩვენს მოპირდაპირე მხარეს, მაჰმად სალახმა ერთი მზით გასხივოსნებული გორაკისაკენ გაიშვირა ხელი და მის თავზე პატარა სავენახე კორომი დამანახა — ელ მადერი! მისი სოფელი! მშვიდად, სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ ბედი არავითარ შემთხვევაში არ უმუხთლებს, მეუბნება, რომ სწორედ იქ, იმ ადგილას ააშენებს თავის სახლს. ძირითადად თავისი საკუთარი ხელით ააშენებს. სახლი არ იქნება მაინცა და მაინც დიდი, მაგრამ იმხელა იქნება, რომ მასა და მის ოჯახს ეყოს. კაბინეტი ექნება თავისთვის, ბავშვებს ყველას ცალ-ცალკე ოთახები ექნებათ, თანამედროვე სამზარეულო ექნება მუნის და იქვე, სახლის შორიახლოს ექნებათ აგრეთვე პატარა ბოსტანი. ელ მადერი ერთი ციცქნაა, მაგრამ ის მარტო იქ იგრძნობს, რომ შინ არის. არაფერი არ უნდა ამის მეტი ქვეყანაზე. ის იქ არის დაბადებული, იქ არის დაბადებული მისი მამაცა და პაპაც... ვუსმენ და მეღიმება. მომიტრიალდება უცებ და დამაშტერდება ერთი დაშტერება. ჩვენ ვკარგავთ ელ მადერს, ჩვენ ვპოულობთ ელ მადერს, მერე ისევ ვკარგავთ საბოლოოდ ელ მადერს. აღარავინ აღარ ვიღებთ ხმას.

❀ ❀ ❀

ერთობ მრისხანე იერი კი ჰქონდა ხენშელას იმ პატარა მატარებელს, მაგრამ თვალს ატყუებდა ამით და მეტი არაფერი. ულედ რაჰმუნის სადგურიდან რომ დაიძვრებოდა, იფიქრებდით, ამას რა დაუდგება წინო, მაგრამ პირველივე აღმართიდან რო მორთავდა ღრჭიალსა და ვაი უშველებელს, სულ ასე ქოშინ-ქოშინით მიუყვებოდა მერე თავის გზას იმგვარი ტაატით, რომ სადაც ლამაზ ყვავილებს დაინახავდი, თავისუფლად შეგეძლო, ჩამხტარიყავი, მოგეკრიფა და მერე ყვავილებიანად წამოსწეოდი ისევ უკან. არასოდეს არ გიღალატებდა და არ გაგასწრებდა. ანაზდად რომელიმე დაღმართი თუ აიძულებდა უცებ რამდენიმე კილომეტრი ჭენებით გაევლო, მაშინვე საყვირს ჩართავდა, შეახტებოდი ბოლო ვაგონის ღია ბაქანს და მშ-

ვიდად გააგრძელებდი გზას ხენშელასაკენ. კიბეებზე ჩამოკიდება, საფეხურებზე ჩამოჯდომა, ვაგონიდან ვაგონში სახურავიდან ჩახტომა და გადასვლა-გადმოსვლა, როგორც ვესტერნებშია, საავარიო მუხრუჭებით თამაში, ყველაფერი ეს დაშვებული თუ არა, შეწყნარებული მაინც იყო და „მოდიოდა", როგორც იტყვიან. კონტროლიორს, კაცურ კაცს, თავისი საქმეც თავზე საყრელი ჰქონდა და — ქვეყანას გავასწორებო — ამისათვის თავს არ იცხელებდა.

ბოლითა და ქვანახშირის მტვერით გაწებილ, ქარისაგან თმაგაწეწილ თავს, ბოლოს წინა — ბაგჰაის — სადგურს რომ გავცდებოდი, სამხრეთისაკენ მივიბრუნებდი ხოლმე, ხენშელასაკენ, და მეჩვენებოდა, რომ მატარებელიც ზუსტად იმას განიცდიდა, რასაც მე, რადგან ჩემი გულისცემის რიტმს იყო აყოლილი. გადასახვევი ჯერ კიდევ არა სჩანდა, მაგრამ პატარა ბლანი მოდისო — მატარებელი უკვე ამცნობდა ამას ცასა და ქვეყანას თავისი გამალებული დაგა-დუგით. გულის-გულში ყველას გვაქვს ჩამარხული ამ ჩვენი პლანეტის ერთი პაწია კუნჭული. ჩემი ასეთი კუნჭული იყო ხენშელა.

თავისთავად ხენშელა კი არ იყო მართლა იმ უსაზღვრო სინაზის წყაროს თვალი, რაც მე დედამიწის ამ უცნობ, თითქმის ირეალურ ნაწილთან მაკავშირებდა, რომელიც არც ნაყოფიერებით, არც ჰავის სიმსუბუქით, არც ქალაქური ყოფის სიდიადით, არაფრით არ იპყრობდა გეოგრაფოსებისა და ტურისტების ყურადღებას. იმ იდუმალებით მოცული პოლუსისაკენ რომ გამეკვლია გზა, მე ჯერ ულედ რაჰმუნის მატარებლიდან უნდა ჩამოვმხტარიყავი, ლუი ბლანის, პაპაჩემის, კაბრიოლეტით ბატნასაკენ მიმავალ გზაზე ედგარ კინეს კაისი უნდა მომეტოვებინა უკან, მერე ამ გზის ერთი პატარა მონაკვეთი კიდევ უნდა გამევლო, ვიდრე თვალუწვდენელ უდაბნოში, დამშრალი ნაკადულების კალაპოტებს შორის ერთობ მიახლოებითად გაკლაკნილი, რემილას თაბუნის ბოლო სადგომს ჩახუტებული ბილიკებისაკენ გადავუხვევდი მარჯვნივ, შაუიაების ვრცელ სამფლობელოებს რომ სერავდა გარდიგარდმო. დედამიწის ჭიპი, ჩემთვის რო გეკითხათ, სწორედ აქ იყო, აქ, სადაც ლუი ბლანი სამოცი წლის განმავლობაში მეწისქვილეობდა, ორმოცდაათი კილომეტრის რადიუსით უკლებლივ ყველა ფელახის უეჭველი და უღრმესი პატივისცემით გარემოსილი. აქ ცხოვრობდა ის მათი ასკეტური ცხოვრებით და მათთან ერთად, დარსა თუ ავდარში, გახელებით იბრძოდა, რათა ამ მიწისათვის გამოეტაცა საწყალი სამხრეთელი კაცის ყველა დიდი სასოება და სიმდიდრე — პური.

ამ ოცდაათიოდე კილომეტრზე მგზავრობას აღტაცებაში მოვყავდი. ოთხი საათი უნდოდა ამ მანძილის გავლას, რადგან დროდადრო გაჩერება იყო საჭირო იმისათვის, რომ დაგვესვენებინა, დაგვერწყულებინა და საბალახოდ მიგვეშვა ჩვენი ულამაზესი, ყავისფერი, თეთრფლოქვებიანი ცხენი. მისი გამუდმებით მბზინავი ფაფარი თავისთავად მეტყველებდა უკვე იმაზე, რომ ლუი ბლანის გაუნელებელი ყურადღებისა და ზრუნვის საგანი გახლდათ. რა, რა და ცხენის სიყვარული და მოვლა პაპაჩემს არავისგან არ ესწავლებოდა! ბავშვობიდანვე იყო მიჩვეული ამას თავის მამისეულ პაწაწკინტელა ფერმაში სავუაში, ალბენში, საიდანაც 1880 წელს სიღარიბეს გამოექცნენ. მე როგორც მახსოვს, ბლანები სამნი იყვნენ, ძმები — ჟანი, ლუი და ფრანსუა — მთაში გაზრდილი, ტანადი ვაჟკაცები. ოჯახურ აგიოგრაფიას თუ დავუჯერებთ, ექვსცხენიანი დილიჟანსის ადგილზე გაქვავება შეეძლოთ, სამივე ერთად თუ მოეჭიდებოდა მის უკანა ხიდურს, მე, კი მოვესწარი, მაგრამ მთლად კარგად არც კი მახსოვს ის ლეგენდად ქცეული კაცი, რომელიც პაპა იყო ჩემი, რადგან მისი მერვე ქალიშვილის ნაბოლარა ვაჟი ვიყავი და მე რო გავჩნდი, ის უკვე ემზადებოდა იმ ქვეყანას წასასვლელად. 1942 წელს გარდაიცვალა ხენშელაში ოთხმოცდაოთხი წლისა, მე მაშინ შვიდი წლისა ვიყავი, მეტის არა. ახლა, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, მე წინაუკმოდ განვიცდი იმ ტკივილს, რაც შეიძლებოდა განეცადა ჩემი ხნის ბიჭს მაშინ, იმისი უნარი რომ ჰქონოდა, რომ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშნავს, როცა სიმბოლო ქრება. მისი ათი შვილიდან მხოლოდ ორი თუ სამი დაესწრო მის დაკრძალვას. 42-ის ზამთარი მართლა განსაკუთრებულად მკაცრი გამოდგა. დიდთოვლობამ კონსტანტინის იქით ფეხი არ მოაცვლევინა

ოჯახის წევრების უმრავლესობას, დაკრძალვიდან ორი-სამი დღის მერეღა ჩამოაღწიეს, მაგრამ პაპაჩემი მაინც ერთობ ღირსეულად წავიდა ამ ქვეყნიდან. გარდაცვალების დღეს, დილით, დაიბანა ლამაზად, საკვირაო ტანსაცმელი ჩაიცვა, ეკლესიაში წირვას დაესწრო და აღსარებაც თქვა, მობრუნდა მერე შინ სულიერად და ხორციელად განწმენდილი, დაწვა და ბებიაჩემის ხელში დალია სული. ბებიაჩემმა როცა იგრძნო, რომ ხელიდან გამოეცალა, ესღა წარმოთქვა — „დამტოვე, ბლან?" — და ვიდრე ჯერ ეკლესიაში და მერე სასაფლაოზე არ წაიყვანდნენ, გვერდიდან აღარ მოსცილებია.

გზის პირველი ნაწილი სულ რამდენიმე ათეულ მეტრს მოიცავდა, რადგან ლუი ბლანის სახლი ეკლესიის ქუჩის კუთხეში იდგა, მერიის ფართო, მართკუთხა მოედნის ჩრდილოეთ ნაწიბურზე. მერე კი, სასაფლაომდე მისასვლელად, ისევ სახლის წინ უნდა გაგევლო, მთელი სოფელი უნდა გადაგეჭრა და დასავლეთი ბოლოდან გასულს დაახლოებით ორი კილომეტრი უნდა გევლო კიდევ თოვლსა და ყინვაში.

თავის ამ უკანასკნელ გზაზე პაპაჩემი მარტო როდი იყო. უწინარეს ყოვლისა, იქ იყო ერთი კარგი, ხნიერი, შავი ცხენი, რომელიც მის ბალდახინს მიათრევდა, იყო, რა თქმა უნდა, მისი ცოლი, ერთი მისი ქალიშვილი, ორი ვაჟი, იყვნენ უეჭველად რძლებიც, ძმისწულები — ვაჟები და ქალები, ბიძაშვილები და გარებიძაშვილები, რომლებიც იქვე, იმ შემოგარენში ცხოვრობდნენ. იყვნენ, ცხადია, ნაცნობ-მეგობრები მთელი სოფლიდან, მოხუცებულები, რომლებიც სულ უფრო და უფრო ხშირად იმეორებდნენ თავიანთ ამ როლს. ბებიაჩემისა და ბიცოლაჩემის მეგობრები, ჩემი ბიძების, არმანისა და ემეს ამხანაგები. ყველა, ერთი სიტყვით, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, მთელი ქრისტიანული ხენშელა იქ იყო და ერთობ ხალხმრავალი იყო ეს ქრისტიანული ხენშელა.

მაგრამ ორმოცი წლის მერე გონების თვალით რომ წარმოვიდგენ ახლა იქაურობას, ყველაზე მეტად ის მიჩუყებს გულს, რომ ჩალმებისა და ნაირ-ნაირი თეთრ-თეთრი თავსაბურავების მთელი ტყეც იყო ამავე დროს იქ აღმართული. სასწაული იყო პირდაპირ, საიდან აღარ მოდიოდნენ! იმდენნი იყვნენ, სახლიდან ეკლესიამდე, მთელ მერიის მოედანზე და მეზობელ ქუჩებზეც ტევა აღარ იყო, გეგონებოდათ, რომ მთელ ისლამურ სამყაროს იქ ჰქონდა დათქმული შეხვედრა იმ დღეს. უზარმაზარი სივრცე იყო იქ წარმოდგენილი: ქსარ ბაგჰაი ჩრდილოეთიდან, აინ ელ ამამი აღმოსავლეთიდან, ულედ იეკუბი და ტამაგრა სამხრეთიდან... რემილას თაბუნსაც თავისთავად გულისხმობდა უკვე ხალხის ასეთი სიმრავლე, ცხადია, რომ ისინიც იქ იქნებოდნენ, იქ იქნებოდა ყველა შემორას, ბულეფრეის, ფუნ ელ გეისისა და კაისის წარმომადგენლობათა ჩათვლით. არაბულ ტელეფონს ყველგან მიეწვდინა ხმა, კუთხე-კუნჭული არ იყო დარჩენილი იმ არე-მიდამოში, ეს ამბავი რომ არ შეხებოდა. შაუიას უბირი გლეხების კეთილშობილებას ხორცი შეესხა, ერთიანად აყრილიყო თავიანთი განმარტოებული საცხოვრისებიდან და ბნელ ღამეში, ორედან მონაბერ ყინულოვან პირქარში, ზოგი ფეხით, ზოგიც ვირზე, ან ჯორზე ამხედრებული, დანიშნულ დროზე გამოცხადებულიყო იქ, რათა სადღაც რომელიღაც კედელს მიყუდებული უჩუმრად დალოდებოდა იმ ადამიანის ამ ქვეყნიდან გასტუმრებას, რომელიც მისი მეწისქვილე იყო მხოლოდ და სხვა არაფერი.

უთვალავია მათი რიცხვი, ისინი აქ არიან ყველანი, რადგან თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ აქ ყოფნა. არაფერს არ გამოელიან აქედან, მადლობასაც კი არავინ არ ეტყვით, ისინი უჩუმრად გაჰყვებიან უკან პროცესიას ეკლესიის კარებამდე, მაგრამ ეკლესიაში არ შევლენ, დაიცდიან და მერე სასაფლაომდე მიჰყვებიან მიცვალებულს, სასაფლაოს კარებში მით უმეტეს არ შევლენ, მერე კი, როცა მათ მეგობარს მიწა მიიბარებს და, ესე იგი, ღმერთი მიიბარებს, გაქრებიან იქიდან ფრთაშესხმულნი, აორთქლდებიან, წავლენ უკან იგივე გზებითა და ბილიკებით, რაც აქეთობისას გამოიკვლიეს კუნაპეტ ღამეში. ერთი დღე გინდა იქით ყოფილა და გინდა აქეთ, თუ ღარიბი ხარ. მუცელს რას დაეძებ კაცი, ცარიელია თუ არა, როცა გული გაქვს დიდი?

ლუი ბლანის წისქვილში მე არც ისე ხშირადა ვარ ნამყოფი — სულ ორჯერ თუ სამჯერ, მეტად არა. ოჯახში ერთი გაყვითლებული საფოსტო ღია ბარათი გვაქვს, სადაც

პაპაჩემია აღბეჭდილი ერთი, არაფრით გამორჩეული ნაგებობის ფონზე. ქვემოთ განმარტებითი წარწერა აქვს დატანებული ამ ბარათს, რაც მე ბავშვური სიამაყით აღმავსებდა ხოლმე ყოველთვის, როცა კი დავხედავდი: „ბლანის წისქვილი, რემილა". არ ვიცი, რომელ ტურისტს მოსწყვეტდა თვალს და საერთოდ თუ მოსვლია ნეტა ვინმეს აზრად ოდესმე ამ, ესთეტიკური თვალსაზრისით ყოვლად უმწეო ფოტოსურათის დანიშნულებისამებრ გამოყენება. ბლანის წისქვილის არქიტექტურა არაფრით არ იპყრობდა მნახველის ყურადღებას. ეს იყო ერთი ჩვეულებრივი შემოღობილი, რომელიც რამდენიმე პატარა, ერთიმეორეზე მიჯრით მიწყობილი ოთახისაგან შემდგარ საცხოვრებელ ფართს მოიცავდა და ერთ ვრცელ სამუშაო ოთახს თავისი მეზონინით, სადაც პაპაჩემი თავის ერთ-ერთ ვაჟთან ერთად დღენიადაგ იწყვეტდა წელს შრომასა და გარჯაში. იქვე ჰქონდათ გამართული რამდენიმე საწყობი მარცვლეულისათვის, სხვადასხვა ჭირნახულისათვის და სამუშაო იარაღებისათვის. ეზოში იყო საჯინიბო, ბოსელი და საქათმე. აღმოსავლეთ ფასადის გაყოლებაზე ბოსტანი ჰქონდათ გაშენებული, სადაც სალათა, პრასი, სტაფილო, ბოლოკი, კომბოსტო და იმდენი კარტოფილი მოჰყავდათ, მთელს ამ ჯამაათს რომ ჰყოფნოდა შვილებისას, შვილიშვილებისას, რძლებისას, ბიძაშვილ-შამიდაშვილებისას, ძმისწულებისას და აგრეთვე ჟანდარმებისასაც, რომელნიც სულ იქ ტრიალებდნენ და ყოვლად ბუნებრივად მიაჩნდათ ეს ამბავი. ლუი ბლანისა და მისი ცოლის სახლის კარები ყოველთვის ყველასათვის ღია იყო. რაც ჰქონდათ, ის გამოჰქონდათ სუფრაზე სტუმართმოყვარეობის იმ ძველთაძველი გლეხური წესადათის თანახმად, რასაც მუსულმანური გარემოცვა, კიდევ უფრო მეტად თუ აღვივებდა, თორემ ხელს არაფერში არ უშლიდა.

ჩემი ბავშვური წარმოდგენით ეს წისქვილი ნამდვილი ციხესიმაგრე გახლდათ. ერთ ადგილზე ვერ ვისვენებდი, თაგვივით დავსუნსულობდი სულ აქეთ-იქით — ხან ბოსელში შევძვრებოდი, ხან საქათმეში, ხან საჯინიბოში, ხანაც წისქვილში გავირინდებოდი და მონუსხულივით მივაშტერდებოდი პაპაჩემის წელზე შემოტკეცილ ფართო, წითელი ფლანელის სარტყელს, პირდაბჩენილი შევცქეროდი, მარცვლეულით პერანგამდე სავსე მძიმე-მძიმე ტომრებს როგორ აკიდებდა ბეჭზე, ეტაცებდა ხოლმე ხელში და როგორ აპირქვავებდა ვეება საფქვავში, ვითომც არაფერი. თან კლიენტებს აქცევინებდა თავს მათთვის, როგორც ჩანს, სავსებით დამაკმაყოფილებელი, დამტვრეული ფრანგულ-შაუიაურით, ვიდრე ბებიაჩემი, ან დედაჩემი ლანგრით ჭიდან ახალამოღებულ ცივ წყალს, ან ყავას და ნამცხვარს გამოიტანდნენ. საფქვავს მეგობრობასაც რო დაურთავდი, ძალიან უხდებოდა. ზოგჯერ ისე გავთამამდებოდი ხოლმე, რომ გადახურულში თავიანთი რიგის მომლოდინე, საპალნეაკიდებული სახედრების მოსაფერებლად გამიწევდა გული, პატრონები ხელის ჩამორთმევით მესალმებოდნენ, ხანდახან ვირზეც კი შემსვამდნენ ხოლმე და წისქვილის ირგვლივ შემომატარებდნენ. მეწისქვილის შვილიშვილობა აშკარად უფლისწულის სტატუსს მანიჭებდა. ჩემს დაუდეგარ, ბავშვურ ცნობიერებაში ლუი ბლანი მითიურ განზომილებას ღებულობდა. წისქვილი მისი სასახლე იყო, რემილა კი მთლიანად მას ეკუთვნოდა. ყველაზე ლამაზი ყოველთვის ის სამფლობელოა, რომელიც არავითარ სანოტარო აქტს არ საჭიროებს. მთავარი სიმდიდრე კი არ იყო, მთავარი ის იყო, რომ მყავდა პაპა, რომელსაც ხელეწიფებოდა უდაბნო ლეგენდად ექცია. რემილა, ხენშელა — ეს მოგონებები მუსიკის ჰანგებივით მიტრიალებს დღემდე თავში. ცხადია, მე უფრო მეტი მიოცნებია ამ ადგილებზე, ვიდრე იქ მიცხოვრია, მაგრამ მთელი ჩემი ბავშვობისა და სიყრმის წლებში ეს ადგილები ის ერთადერთი მყარი და უცვლელი ორიენტირი იყო, საითკენაც მიმიწევდა გული ყოველთვის, როცა ცუდად, ან არც ისე კარგად მქონდა საქმე.

მე ახლა მოვინახულე ეს წისქვილი. გზიდან მეგზური ავიყვანეთ, წინ რომ გაგვძღოლოდა, რადგან მართლა ქვეყნის დასალიერია ეს ადგილი უკვე. აცა-ბაცად გაკლაკნილი ბილიკებით ვიარეთ და ერთი პატარა მაღლობის თავზე რომ აღმოვჩნდით, რემილას უკიდეგანო ჟანგმიწა გადაგვეშალა თვალწინ. დაახლოებით მის შუაგულში, ძალიან შორს, მიმწუხრისაგან უკვე იისფრად შეღებილი ცის ქვეშ, ერთი კოროში

გამოჩნდა, ერთადერთი მწვანე კორომი, მწვანე და მოშავო: „იმ ხეს ხედავ? — კი. — იქ არის. ის ხე პაპაშენის დარგულია!“ — უცნაურად დამიქნია თავი მეგზურმა, ერთგვარი მოწიწებით. თვალები მარცხენა ფანჯრისაკენ მივატრიალე.

წისქვილისაგან ნანგრევებიღა იყო დარჩენილი. ძრავის ნაწილები, უზარმაზარი დოლაბი, საკისრები, ყველაფერი დაშლილი და დამსხვრეული უპატრონოდ ეყარა მიწაზე. არავის არ დაუდია იქ ბინა. იშლებოდა და ირღვეოდა ნელნელა ყველაფერი, სახურავიც ალაგ-ალაგ ჩამოქცეული იყო უკვე და იმ მიწას შერეოდა, რითიც ამ შენობის კედლები იყო ნაშენები თავის დროზე. ბენ მახლუფმა, იქაურობის ახალმა გამგებელმა, ისეთი რამეები მიამბო პაპაჩემზე და დედაჩემზე, ვისთან ერთადაც უთამაშია თურმე ბავშვობაში, რომ გული ამიჩუყდა. მადლობა გადავუხადე. ეზოში რომ შევედი, ძაღლი, რომელიც არავის არ აჭაჭანებდა იმ არე-მიდამოში და ყველას უყეფდა, მოულოდნელად გაჩუმდა უცებ. ულისე არ იყო ჩემი ბიძაშვილი. ვიცინეთ ბევრი. ცარიელ საჯინიბოში შევიხედე. ნაცნობი სუნი შევიგრძენი. კოკო იქ დამხვდა, თავისი თეთრი ფლოქვებით, თავისი გრძელი კისრით, თავისი კრთომითა და კანკალით... უხილავ ჯიდაოზე გადავუსვი ხელი თვალდახუჭულმა.

მერე ისევ ხენშელასაკენ გავაგრძელეთ გზა. უკვე უკუნი ღამე იყო, სასაფლაოს დაკეტილ კარებს რომ მივადექით. მე ქალაქგარეთ მეგულებოდა, შუაგულ ქალაქში კი აღმოჩნდა. იძულებული შევიქენი, გორაკზე ავფორთხებულიყავი და იქიდან გადავმხტარიყავი ერთი კარგა მოზრდილი თხრილის თავზე. ვინ იცის, მერამდენედ ცლიდნენ უკვე იქ საკანალიზაციო მილებს. დავაბრახუნე ძველისებურ, ერთიანად ჩაჟანგებულ ალაყაფის კარებზე. ეს ჩემი მოგზაურობის დასასრული იყო უკვე. ძალიან დაღლილი ვიყავი. ბავშვების მთელი ჯგრო გამოეყო უცებ სიბნელეს, დაგვყეფა ძაღლმა. „შემოსვლა გინდა? — კი. — მოიცა!“. მოციმციმე პატრუქებით ბრუნდებიან უკან. „ვისი ნახვა გინდა? — ბლანების ოჯახის საძვალე მინდა ვნახო!“. ჩურჩული. „წამო!“ — ერთი პატარა გოგო მკიდებს ხელს, გარშემო მთელი ბანდა გვიტრიალებს აპარპალებული პატრუქებით ხელში და გზას გვინათებს. სასაფლაოზე მხიარული აჩრდილები ჟრიამულობენ. ხეივნის ბოლოს, მარცხენა მხარეს, მოულოდნელად წამოიმართება ის მიწიდან, მთელი და ხელუხლებელი, მოოქროვილ ასოებს ოდნავ წასვლიათ ფერი, მაგრამ მკაფიოდ იკითხება მაინც, ყველანი აქ არიან: ლუი ბლანი, ფრანსუა ბლანი, არმან ბლანი, ლეონ გურლიე, მარი-ტერეზი... მე ერთი თვალის გადავლებით ვპოულობ ჩემს დიდედასა და პაპას, ჩემს ბიძებს, ჩემს პატარა დას, თხუთმეტი წლისა რომ გარდაიცვალა, მთელ ჩემს გვარ-ტომს, რომელიც მე, პატარა ბლანს, ერთ დროს უხანო და მარადიული მეგონა.

ბავშვები ჩაჩუმდნენ. საფლავს ქვას მოვაცილებ-მეთქი ძირიდან, ვიფიქრე, კედლის ქვემოთ ბალახის წვრილი ამონაყარივით რაღაც დავინახე, ამსისქე ბეტონში როგორ გამოაღწია-მეთქი, გამიკვირდა, დავიხარე და ერთი უსუსური ნაგერალი ყაყაჩო შემრჩა ხელში.

ფრანგულიდან თარგმნა
მამუკა ცეცხლაძემ

მთარგმნელისაგან

„არაქაური აქაურები“ — დაახლოებით ასე შეიძლება ითარგმნოს ქართულად საერთო სათაური ევროკავშირის კულტურული პროგრამის ფარგლებში გამოცემული იმ მომცრო კრებულისა, რომელიც საფრანგეთის ყოფილი კოლონიების ადგილობრივ მკვიდრთა და უცხოური, ფრანგული, წარმოშობის მოქალაქეთა ყოფილ და ამჟამინდელ ურთიერთობებს ეძღვნება და სადაც ცხრა, მეტ-ნაკლებად ცნობილი ფრანგი მწერლის თითო მოთხრობაა თავმოყრილი. ეს პრობლემატიკა გლობალიზაციის კვალობაზე სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს და ამ კრებულისათვის შერჩეულ მოთხრობებშიც დიდი ფრანგული ლიტერატურისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი მაღალი მხატვრული ოსტატობით არის ასახული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკა აგიაშვილი

ამ ცოტა ხნის წინათ ნიკა აგიაშვილის ქვრივმა ქალბატონმა ქეთევან მამფორიამ, ქართული მწერლობის ერთგულმა ჭირისუფალმა, გადმომცა განსვენებული მეუღლის არქივში დაცული რამდენიმე საინტერესო მასალა, რომელთა შორის გამოირჩევა თვით ნიკა აგიაშვილის მოგონებები (10 ფურცელი) თავის ძველ მეგობარზე, დემნა შენგელაიაზე.

ბატონ დემნა შენგელაიას ბევრჯერ შევხვედრივარ და უმალ ვიგრძენი, რამდენად ზუსტი და უტყუარია ნიკა აგიაშვილის მონათხრობი. თავადაც მქონდა ბედნიერება, ერთი ზაფხულის აგვისტო დემნა შენგელაიას გვერდით გამეტარებინა ქვიშხეთის ყიფიანისეულ სახლში, მაგრამ მაშინდელ შთაბეჭდილებებზე ამჯერად არაფერს ვიტყვი.

„სანავარდოს" და „ბათა ქექიას" ავტორს უფრო ხშირად მას შემდეგ ვხვდებოდი, რაც ჩემი უფროსი მეგობრის, პროფესორ აკაკი ხინთიბიძის ქვისლი გახდა – ცოლად შეირთო ქალბატონი თამარ ოქროშიძე, საუკეთესო ადამიანი და მეცნიერ-ფოლკლორისტი. შეუძლებელი იყო, დემნა შენგელაიას ნაკითხობას, განსწავლულობას არ განეცვიფრებინე. მისი გამოკვლევების ბადალი ქართულ მითოსზე არაფერი დაწერილა. მახსოვს, პავლე ინგოროყვას ნაშრომი გაიხსენა, რომელშიც ფისტიკაურად ცნობილ ჩვენს ერთ მთავარ საზომზეა მსჯელობა და მკვლევარმა ამ საზომის დამამკვიდრებლად მოიაზრა რეალური პიროვნება, ვინმე ბისტიკა, უცნობი ბრმა, თვალზე ბისტგადაკრული პოეტი და იგი ქართველ ჰომეროსად წარმოიდგინა. ეს ჩვენი პავლეს გენიალური მიხვედრა�ა, აღტაცებული ამბობდა იგი.

წინამდებარე მოგონების დასაწყისში ძვირფასი ნიკა აგიაშვილი სევდანარევი ხუმრობით აღნიშნავს (უეჭველია, რომ არაერთი მისი ჩანაწერი ამ ფურცლების მიღმაა დარჩენილი):

„ძალიან ბევრი რამ შემორჩა ხსოვნას. მრავალი ფაქტი და ამბავია ჩაწერილი და, ალბათ, მაშინ გამომზეურდება, როცა ჩვენ, დემნას თანატოლები, ჩვენ-ჩვენს გრძელსა და მოუბრუნებელ გზას დავადგებით".

თამამად შეგვიძლია, ვთქვათ – დემნა შენგელაიას თაობას, ბატონ ნიკასა და მის მეგობრებს, ნიჭითა და კეთილშობილებით აღსავსე ქართველ მწერლებს „მოუსვლელ გზაზე დამდგარებად" ვერასგზით ვერ ჩავთვლით; ისინი მუდამ ჩვენთან არიან და, დამიწებულნიც, საფიცარი სამშობლოს საკეთილდღეოდ იღწვიან, იქედანაც გვაშველებენ სიტყვას.

მცირეოდენი დაკვირვებაც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ ბატონი ნიკას მოგონებები დაუმთავრებელია. ამაზე მიგვანიშნებს სათაურიც („იქნებ, ენამ უყივლოს!"), რომელიც ტექსტში არსად არ ფიგურირებს, მაგრამ ვიმედოვნებთ, ქართველი მკითხველისთვის ნიკა აგიაშვილის არქივში შემონახული ეს ათიოდე ფურცელიც მიმზიდველი და საყურადღებო იქნება.

ემზარ კვიტაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ, ენამ უყივლოს!

ოდნავ შეცვლილი სახით გავიხსენოთ გალაკტიონის სტრიქონები:

ჩვენმა ახალგაზრდობამ, დღემან
პირმომცინარემ,
განვლო ვით გაზაფხულის
შფოთიანმა მდინარემ...

მართლაც! შფოთიანი, მღელვარე და დაუდგრომელი გახლდათ ჩვენი თაობის ადამიანთა ცხოვრება, შრომა და ბრძოლა იმ ახალგაზრდულად პირმომცინარე, მაგრამ ძალზე მძაფრ და პირქუშ, ცეცხლოვან დღეებში...

სწორედ ამ მჩქეფარე და მღელვარე ცხოვრების მომსწრე და მონაწილე იყო და არის ჩვენთვის და მრავალთათვის საყვარელი მწერალი დემნა შენგელაია.

რამდენი რამ აქვთ სათქმელი და მოსაგონარი მის ტოლ-მეგობრებს, ახლობლებს, მისი მშვენიერი შემოქმედების დამფასებლებსა და პატივისმცემელთ...

ძალიან ბევრი რამ შემორჩა ხსოვნას. მრავალი ფაქტი და ამბავია ჩაწერილი, სხვა ელოდება აღდგენასა და აღნუსხვას. ყველაფერი, დღესდღეობით, არ ითქმება საჯაროდ. ეს შემდგომისთვის დარჩება ჩაწერილი და, ალბათ, მაშინ გამომზეურდება, როცა ჩვენ, დემნას თანატოლები, ჩვენ-ჩვენს გრძელსა და მოუბრუნებელ გზას დავადგებით.

ახლა კი მოვიგონოთ ზოგიერთი არც თუ ისე მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც საინტერესო რამ. ესაა სხვადასხვა წლებში დემნასთან ურთიერთობისას სახელდახელოდ ჩაწერილი, ძალზე მოკლე-მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, წვრილ-წვრილი შენიშვნები და ამბები. უმეტესი მათგანი ეხება ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელ სახლში მასთან გატარებულ დღეებს.

იმ ზაფხულს მრავალი მწერალი ისვენებდა ქვიშხეთში, უფრო ხშირად ყიფიანისეული სახლის ვრცელ ეზოში იყვნენ მთელი დღე გამოფენილი. დემნა ყველას ჩამოუვლიდა, ყველას ეხმაურებოდა — სიცილით, ხალისით, რაღაცას წაიხუმრებდა, ყველაზე მეტად დათიკო გაჩეჩილაძეს ექილიკებოდა. ისიც მხარს უბამდა. დროს ატარებდნენ, ერთობოდნენ მოკლე-მოკლე სასაცილო ამბების მოგონებით, ანეგდოტებით.

ნარდსა და ჭადრაკს გვარიანად თამაშობდა. იმ ცალი თვალითაც კარგად ხედავდა კამათლებსა და ფიგურებს, ხშირად იგებდა. უხაროდა ეს და იცინოდა, თავისებურად ხითხითებდა ისე, თითქოსდა მომცრო დოქის პირიდან, ანდა ჭინჭილის ვიწრო ყელიდან დაუსრულებელი ლიკლიკით იღვრებოდა თავანკარა ღვინო. სახე კი მუდამ სერიოზული ჰქონდა და იმ სიცილისაგან ყივანახველიან ბალღივით რომ ჩაბუირდებოდა, ძალზე მოქანცულს, ბრაზიანი, მეტად ხმაურიანი ხველა აუტყდებოდა. ეს ქრონიკული ბრონქიტის ბრალი გახლდათ.

ვერ დავმალავ: ყოველთვის სასტიკი ხმაურით, ზათქითა და ზრიალით, ვაუკაცურად იცის დაცხიკვება, თითქოს რაღაც ძნელად ასამუშავებელ საკრავს ჩაბერავს და ტრიალით აახმიანებს.

— ერთხელაც იქნება, სადღაც რომელიმე ძარღვი გაგიწყდება და გაგისკდება-მეთქი, ვუთხარი ერთხელ.

— კაი ხანია გაწყვეტილია ყველაფერი, მეტი რაღა გამისკდებაო, — მიპასუხა. — მაგის არ მეშინია, ტვინში ნუ გამიწყდება ძარღვი, ტვინში, თორემ სხვაფრივ არაფერს დავეძებო. ამ თვალებმა მიმტყუნეს, — იტყოდა ხშირად, — თორემ გული, კუჭი, გონება ჯერჯერობით ისევ ისე მაქვს. მერე სადღაც, ოდესღაც რაიმე მიმუხთლებს, გამომკრავს კვანტს და ისინიც ერთი-ერთმანეთს მიჰყვებიანო. ახლა თბილისში რომ ჩავალ, ახალ-ახალ კბილებს ჩავიჯენ, ისევ ახალ ცხოვრებას დავიწყებ, ამ ქვეყანას ერთხელ კიდევ დავხრავ და შევახრამუნებო...

მე „ბრუციანს“ მეძახის — რასაკვირველია, ხუმრობით. მეც ასევე, ხუმრობითვე, რომ გამოვკითხე, ამის მიზეზი ასე მომი-

გო: – მე მთლად ბრმა ვარ და ვითომც დიდი საქმე იქნება, შენ რომ ბრუციანი იყო, ამით რა დაშავდებაო.

როცა აკადემიკოსი გახდა, მივულოცე. საამბოროდ რომ ხელი მოვხვიე, ყურში ჩამჩურჩულა: – ხომ არ გშურს ჩემი აკადემიკოსობა? თუ მაინცდამაინც გეხარბება, კაი, მასე იყოს, მაგრამ დავრჩეთ ასე: მე აკა-დემნია, შენ – აკადემ-ნიკა!

ეცვა ყოველთვის (საგარეოდ!) ულალი ან შავი საზაფხულო კოსტიუმი, ღია ცისფერი პერანგი – ღილჩახსნილი; კოხტა ფეხსაცმელები, თავზე – ბავშვის წითელი ქუდი (ჟოკეისავით!). ზედ წარწერა თეთრი ლათინური ასოებით დანიურ ენაზე: მარჯვნივ: მარცხნივ: და ერთი ძალზე პატარა, წვრილი ხუთქიმიანი ვარსკვლავი ზედ იმ მარჯვენა წარწერასთან. ეს ქუდი ქალიშვილმა თამრიკომ და მისმა მეუღლე – თამაზმა უყიდეს და ჩამოუტანეს ქვიშხეთში...

ეს მაშინ, როცა „ხალხში“ გამოდიოდა, დარბაზობის მონაწილესავით, ანდა ხანდახან სადმე ახლო-მახლო ექსკურსიაზე წავიდოდით... ხოლო საშინაოდ ემოსა: შიშველ (უწინდებო!) ფეხზე რბილი ჩუსტები და თბილი ლურჯი ან სქელი ფლანელის (ხანაც ნაქსოვი) „ტოლსტოვსკის“ მსგავსი სამოსი, პიჟამოს როლს რომ ასრულებდა. მკერდზე რაღაც ცისფერი ნიშანი („ზნაჩოკი“) და გულჯიბიდან ამოჩრილი კალმისტარი – მწერალთა საკავშირო ყრილობის საჩუქარი, დელეგატებს რომ დაურიგეს.

ფერმკრთალი და თითქოს მოყვითალო, თითქოს შებოლილი სავსე ლოყები, მთელი სახე უწვერულვაშო, სუყოველთვის გაპარსულივით, თმა საფეთქლებზემოთ – ბევრი და ხშირი, თხემზე ცარიელი, პირწმინდად გადახოტრილივით, ზომიერი ყურები, მაგრად, მტკიცედ და მჭირშნედ მიკრული ყვრიმალებს ზემოთ; წარბები და თმა ერთფერი, უჭაღარო.

– რაც დავიბადე, მერე თმა არ გამიკრეჭია. აკვანში ჩაკრული პირველშობილის თმა შემრჩა... მეტი აღარც გაიზარდა, აღარ დამცვივდა, არც გაჭაღარავდა და ქეა ასეო, – იხუმრა ერთხელ.

საერთოდ, მთელი მეტყველი სახე და ლამაზი თავი ისეთივე აქვს ულალულად, როგორიც იყო 20-30 წლის ქუჩაში. სიმარჯვეც თითქმის იგივეა, ძველებური, ოღონდ ოდნავ აჩქარებული, თითქოს სადღაც მისწრაფის, თითქოს ფრთებს ისწორებს და ცდილობს, უფრო ფართოდ გაშალოს მხარმკლავები, ოღონდ არ ანებებს რაღაც მომნუსხველი, უხილავი ძალა და ადგილზევე ტოვებს აფართქალებულს. ეს სიბერეა. ეს ოთხმოცი წელიწადია, მძიმე ტვირთად რომ ჰკიდია მის მხრებსა და მძიმედვე აწვება ბეჭებს.

და ისევე ძველებური სიცილი, დემნასებური, თითქოს ხალისიანი, მაგრამ რამდენი სევდაა ამ სიცილში. ხშირად უჩიოდა მარტოობას და იტყოდა:

– ერთადერთი ვაჟიშვილი დავკარგე, ჩემი სიყრმის მეგობარი – მეუღლე დავკარგე, ეს თვალისჩინიც დამეშრიტა, აღარაფერი აღარ შემრჩა, რაღაა ჩემი ცხოვრებაო.

– სამწუხაროდ! ეს სიმართლე გახლდათ. მაგრამ საბედნიეროდ, ისიც სიმართლეა და სინამდვილე, რომ დემნა შენგელაიას ოჯახი არ დანგრეულა: მას ჰყავს საყვარელი ქალიშვილი – თამრიკო, ვაჟკაცი სიძე – თამაზ ქარელიშვილი, შვილიშვილი ქეთინო და მხარში უდგას კვლავ სიყრმის მეგობარი, მოამაგე მეუღლე თამარ ოქროშიძე. ხოლო ჩვენი საყვარელი მწერლის წიგნებს არასოდეს მოაკლდება მკითხველთა ყურადღება და ინტერესი და დიდხანს და დიდხანს იქნებიან გამოსადეგნი ჩვენთვის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის.

ერთხელ ვკითხე, ლექსებს თუ წერდიმეთქი. არა და არაო, იუარა, მაგრამ მერე გაამხილა: – გიმნაზიაში სწავლისას დავწერე ორიოდე ლექსი, მაგრამ მალე მივხვდი, პოეტობა ჩემი საქმე რომ არ იყო და თავი მივანებეო. – ერთი მაინც თუ დაგიბეჭდია-მეთქი, ჩავაცივდი, არაო. ერთი სტრიქონი მაინც, იქნებ, გაიხსენო, იქნებ, გაიხსენო, იქნებ, მოთხრობებს რომ ბეჭდავდი, წაგცდა ხელი და სადმე დასაბეჭდად მიიტანე-მეთქი. აღარაფერი აღარ მაგონდებაო, რაღაც საბრალო ხმით მითხრა,

და – სადღაც მთებისკენ, მიაპყრო დაშრეტილი მზერა, სათვალის შიგნით მიმქრალი თვალები.

მე კი ვიცი, რომ დაბეჭდილი აქვს რამდენიმე. ერთ-ერთი ლექსის სტრიქონები ზეპირადაც მახსოვს:

ვწუხვარ და ვშფოთავ ვით კაენი
ბაირონისა,
ჩემს გულში ფიქრებს გაუმართავთ
ფართო მეჯლისი,
სიბნელის დარად მეჩვენება მე სახე
მზისა
და გულსაკლავად – უიმედო ჩემი
მერმისი... და ა.შ.

ან კიდევ სხვა ლექსის ბოლო ბწკარები:

ყვავილები ძირს ნაზად ხრიან თავს,
წყაროც ჩხრიალით გზას მიიკაფავს...

ლექსებს მარტო სახელს აწერს: დემნა. დაბეჭდილია „თეატრსა და ცხოვრებაში". წელი და ნომერი აღარ მაგონდება. ეს ადვილი დასადგენია.

მერე თქვა:

– ჩემი პირველი მოთხრობა „ნირვანა" გაზეთ „თემში" დამიბეჭდა გიგო დიასამიძემ (წელი ვერ მოვიგონეთ!).

როცა ვუთხარი, გიგო დიასამიძე, აგერ – სულ ახლახან, 1968 წელს, ამერიკაში გარდაიცვალა-მეთქი, ძალიან დაღონდა და ცრემლი მოერია, ეს ამბავი სად ეწერაო. მინდა, ამ კაცზე ერთი კარგი მოგონება დავწეროო. შემდეგ განაგრძო: – აუარებელი მოთხრობა მაქვს დაბეჭდილი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ისინი არც ერთ წიგნში არ შემიტანია და არც შემაქვს. ანდერძს დავტოვებ, ჩემი სიკვდილის შემდეგ წიგნებად არავინ გამოსცეს და კრებულშიაც არ მოათავსონ. საერთოდ, 1922 წლამდე დაწერილი და დაბეჭდილი ნაწარმოებები არ შემაქვს წიგნებში.

დიდი ბაირონის კაენის წუხილისა და შფოთის რა მოგახსენოთ, ოღონდ, დემნა შენგელაია თავიდანვე იმ „ნირვანის" დაწერიდან დღემდის, წუხს, შფოთავს, ბობოქრობს, წერს და წერს ზეშთაგონებული, და ასევე წუხან, შფოთავენ, ბობოქრობენ, სძრავენ და აღაგზნებენ მკითხველსა-გულს მისი რომანებისა და მოთხრობათა დაუვიწყარი გმირები. თავისი გმირებივით დაუღალავი, მოძრავი, მოქმედი, შემტევი, უკომპრომისო – ასეთია დემნა.

ბევრჯერ უთქვამს:

– ვითომ ავიც ვიყავი და ძალზე ფიცხიც, მაგრამ – გულჩვილი და კეთილი, ცუდს არაფერს ჩავიდენდი და არც ჩამიდენია. მაგრამ ზოგჯერ თავს ვერ ვიოკებ, სულ ცოტა რაიმეზე გავფიცხდები, ხანდახან წამომცდება ბევრისთვის საუგო სიტყვა და ვიმდურებ ადამიანებს, მერე კი სანანებლად და საბოდიშოდ მიხდება საქმე...

ამ სიტყვებშია მთელი დემნა შენგელაია, ნაღდი მწერალი: „სანავარდოს", „ბათა ქექიას", „შთაგონებისა" და „ცისკრის" დამწერი და კიდევ რამდენი და რამდენი კარგი მოთხრობის მაჯამოუღლელი ავტორი და შემქმნელი.

როცა ის განთქმული და მართლაც მეტად საყურადღებო „განძი" დაწერა, ზოგიერთები უსამართლოდ აუმხედრდნენ და აუხირდნენ კიდეც, თითქმის ცილისმწამებლურად გაკენწლეს: იმ უჯიშო საულიას შემთხვევით ნაპოვნი ოქრო არ უნდა მიეთვისებინა, სადაც ჯერ არს, იქ უნდა წარედგინაო. მერე რაღა მოთხრობა იქნებოდა. ჩააბარებდა იმ განძს სოფლსაბჭოს და გათავდა! სადაო და საკამათო რაღა იყო. მოთხრობაც აღარ დაიწერებოდა: ეს ხომ გაზეთში დასასტამბავი უბრალო, ყოველდღიური შემთხვევის თემა დარჩებოდა. „განძი" სწორედ ამის გამოა დაწერილი, რომ საულია ასე ვერ მოიქცა და ამიტომაც სულ ბედუკულმა დაუტრიალდა ცხოვრების ჩარხი.

ახლა ძალიან უჭირს წერა და წიგნის კითხვა. მერე როგორი მკითხველი იყო. ბევრს შეშურდება მისი ცოდნა და განსწავლულობა. იცნობს უძველესი დროებიდან დღევანდლამდე უამრავი მწერლის, მეცნიერისა და სახელოვანი ადამიანის ნაწერსა და ნააზრევს, სულ გადაკითხული აქვს მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სხვადასხვა ავტორთა

წიგნები და ახლა რამდენია კიდევ საინტერესო და საყურადღებო.

იმ დღეს ამბობდა: ამასწინათ შევარჩიე და გადავდევი ასზე მეტი წიგნი. სიკვდილამდე ეს ასი წიგნი აუცილებლად უნდა წავიკითხო-მეთქი. მერე დავფიქრდი: მოვასწრებ კი? ვეღირსები? მივყევი და გადავარჩიე: ჯერ ორმოცდაათამდე დავიყვანე, მერე ოცდახუთზე დავედი, დავიწყე კითხვა და ის იყო: თვალებმა მიღალატეს, დავღონდი, მაგრამ თავი რით ვინუგეშე, იცი? ამქვეყნად რომ აღარ ვიქნები და გაივლის 100, 200 და უფრო მეტი 1000 წელიწადიც, რამდენი დიდი მწერალი დაიბადება ამ ხანში, აბა, რამდენი გენიალური ნაწარმოები შეიქმნება! იმათაც ხომ ვერ წავიკითხავ... გული აღარ დამწყვეტია, რომ იმ ჩემგან გადარჩეული ოცდახუთი წიგნის წაკითხვასაც ვეღარ მოვერეოდი...

მარტო ვერ ძლებს, სულ ადამიანებთან ყოფნა და საუბარი უნდა. თუ ძალიან არ მიუახლოვდი, აგრე იოლად ვერ გიცნობს. საღ თვალთან ერთად იმ ცალი მოჭუტული თვალითაც ისე იყურება, თითქოს ეჭვიანად ჩახედავს და ჩაუკირკიტებს ყველას, ვეღარ გიცანი, ვინა ხარ? ხმა ამოიღე, ხმაზე გიცნობო! — და ბავშვივით აფოფინდება, როცა ეს გამოცნობილი ადამიანი მისი საყვარელი და ახლობელი ვინმე აღმოჩნდება.

ბევრი რამ უამბნია ჩემთვის, სხვებისთვისაც სერიოზული, სანტერესო და სახუმარო ამბები.

გავიხსენებ ზოგ მათგანს:

დემნამ გვითხრა: როცა კონსტანტინე გამსახურდიას „თვალთაი" და ჩემი „ბათა ქექია" ცალკე წიგნებად გამოვიდა, კარლო კალაძემ იხუმრა: ერთი შალთაია, მეორე ბალთაი... გვიხაროდა და ვიცინოდით.

მწერალთა კავშირში ერთ დროს პროზის სექციას მე განვაგებდი, დრამატურგიისას — მიხეილ მრევლიშვილი. შევდიოდი ოთახში და ვიტყოდი: აბა, ახლა, ჩემო მიშა, დავიწყოთ მიშაობაო და დავიწყებდით მი/უ/შაობას.

უდიდესი თაყვანისმცემელი ვიყავი და ვარ ჩვენი სახელოვანი ლეო ქიაჩელისა, მაგრამ მისი „მთის კაცი" რატომღაც ისე არ მომეწონა, როგორც სხვა მისი შედევრები. „ტარიელ გოლუა", „ბვადი ბიგვა", „ალმასგირ კიბულანი", „თავადის ქალი მაია", „ჰაკი აძბა" — ერთ დიდ მწერალს მარტო ესენი ეყოფა. ჭეშმარიტი მწერლის ხელით დახატული და გამრჯე გონებით შექმნილი ეს გმირები ისე დგანან ჩვენს წარმოდგენაში, როგორც ცხადი და სინამდვილე. მაგრამ „მთის კაცი"... აქ ყველაფერი ჭადრაკივით სიმეტრიულადაა დალაგებული, გამართულია კომპოზიცია, თხრობა, დიალოგები... მაგრამ ლეოს შესაფერი არაა, სული არ აქვს, კარგად მორთულ-მოწყობილ სასტუმროსავითაა, სადაც ადამიანები კი არ ცხოვრობენ, არამედ დროებით ბინადრობენ. ეს თავად ვუთხარი ლეოს ერთხელ.

— ეს მეც კარგად ვიცი და შენი ნათქვამიც მჯერა, მაგრამ ხმამაღლა ნუ იტყვი და ნუღარც ვინმეს გააგონებო, — წამჩურჩულა ლეომ და სათვალიდან მაღვალაკურად ჩამიკრა თვალი.

ერთხელ ავადმყოფი შალვა დადიანი ვინახულეთ რამდენიმე მწერალმა.

— ე, ჩემო კარგებო, ნუ გეშინიათ, მალე საიქიოში შევხვდებით ერთმანეთსო, — გვითხრა შალვამ და რაღაც ეშმაკურად შეგვათვალიერა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, — შესძახა კოლაუ ნადირაძემ. — რა დროს თქვენი საიქიოა ჯერ... აბა, რას ბრძანებთ...

— არა, ყმაწვილო. მე გითხარით, რესტორან „საიქიოში" შევხვდებით მეთქი.

იყო ასეთი სახელწოდების სამიკიტნო მეტეხის უბანში.

ერთ ზამთრის პირას დემნას მწერალთა კავშირის საგარდერობოდან ვიღაცამ ახალი პალტო მოპარა.

მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ გიორგი ლეონიძემ,დროებით თავისი მოკლე ქურთუკი ათხოვა დემნას და დაპირდა, არტელში ჩვენი საფასით ახალ პალტოს შეგიკერავენ და

მანამდე ეს ატარეო. დემნასთვის ძალზე გრძელი იყო გოგლას ქურთუკი.

ამის მუნასიბად გამოთქვეს:

სანამ დემნას იმ გრძელ პალტოს
შეუკერავს არტელია,
დემნა გოგლას პოლუშუბკით
პოლუპრედსედატელია.

– ეს ჩვენმა საყვარელმა დათიკო გაჩეჩილაძემ გამომითქვა, – გვითხრა დემნამ. – შესაძლოა, ავტორი სულაც სხვა იყო. ისე კი, დათიკოს ეხერხებოდა ასეთი რამეების წერა. ნიჭიერი პოეტი გახლდა, განათლებული და კარგი ადამიანი. ძალიან მეცოდება. არასოდეს გაუხარია. სოფელში ხელმოკლედ ცხოვრობდა. სწავლობდა სიღარიბეში. თბილისში რომ ჩამოვიდა, ღამეებს ბაღებში ათევდა. ახლა ავადაა. კიბო აქვს. ყასიდად ვეხუმრები და ვამხნევებ, თორემ ისე გული მიკვდება... თვითონაც იცის, რომ დათვლილია მისი დღეები, მაგრამ სულ ხუმრობის გუნებაზეა და სულ სიცილ-ხარხარში უნდა დალიოს უკანასკნელი დღეები. – აბა, რა გაცინებს და ან რა გეოხუნჯება, როცა შენ თვითონვე გრძნობ, კარგად რომ ვერა ხარ-მეთქი, ვუთხარი ამასწინათ. – აბა, როდისღა ვიხუმრო, რომ მოვკვდები, მერე რაღას მოვესწრებიო, – მითხრა და კვლავ თავისებურად გაიქილიკა: – რამდენიმე დღის წინათ ჩემმა მკურნალმა ექიმმა მახარა: დავით, ნულარ გეშინია, არავითარი კიბო შენ არა გაქვს, სულ სხვა ავადმყოფობა გჭირდა და გაქრა, გეშველა, მალე განიკურნებიო. რაღა ვქნა ახლა მე, ხომ მომეჭრა თავი, მთელმა საქართველომ იცის, რომ კიბოთი ვიყავი ავად, ამ ამბავს რომ გაიგებენ, რას იტყვიან, ეს რა მომივიდა, რა სირცხვილში ჩავვარდიო, – მხიარულ სიცილ-ხითხითით ამბობდა იგი.

ესეც დემნამ გვიამბო:

ერთმა ოქროყანელმა გლეხმა დავით გაჩეჩილაძეს შესთავაზა, ძმის ხატულის ქვაზე პატარა ეპიტაფიასავით რამე დამწერეო, – იმ გლეხის ძმა თბილისს წასულა ღვინის გასაყიდად და მტკვარში დამხრჩვალა. დათიკომ ასე გალექსა ეს ამბავი:

დილით ქალაქში წავედ სავაჭროდ,
შინ მომიტანეს საღამოს მკვდარი,
ღვინო მიყვარდა, წყალმა დამახრჩო,
წვრილშვილის გაზრდას ვერ
მოვესწარი...

– გასამრჯელოდ ორი ბოთლი რძე მომიტანესო, – უთქვამს დათიკოს დემნასთვის, – ააშენა ღმერთმა, რაც დედის ძუძუს მომწყვიტეს, რძე აღარ დამილევია, – ღარიბი ვიყავი, რძეს ვინ მაღირსებდაო.

დემნამ ესეც გაიხსენა:

დავით გაჩეჩილაძეს ერთმა ხელმოკლე პოეტმა რჩევა სთხოვა, ფულის იოლად შოვნის ხერხი მასწავლეო.

– დილდილობით ძალიან ადრიანად წამოდექ, სანამ წესრიგის დამცველნი ჯერ კიდევ არ იქნებიან გამოსულნი თბილისის ქუჩებში – აკრძალულ ადგილას, სადაც წითელი შუქ-ნიშნებიც არ იქნება ჯერ ანთებული, ხშირ-ხშირად გადადიგადმოდი, დამჯარიმებელი არავინ გეყოლება და შენც რამდენიმე ასეული მანეთი შეგრჩება და ფულიც გექნებაო, – დაარიგა დავითმა ფულს მონატრებული ახალგაზრდა.

ერთხელ დემნას შევახსენე: – არ გახსოვს, აპულეუსის „ოქროს ვირში“ წერია: ქათამმა პირდაპირ, უკვერცხოდ დაბადა წიწილა-მეთქი, დემნას ენა დაება, სახეზე წამოენთო: – ასე არაფერი მომწონებია, ეს მე უნდა დამეწერა, მე უნდა დამეწერა... იმ ურჯულომ როგორ დამასწროო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ ლორთქიფანიძე

რამ გადაგვარჩინა

საქართველოს ისტორიულ წარსულზე თვალის ერთი გადავლებაც კი ბადებს კითხვას: რამ გადაგვარჩინა? ჩვენი ასაკის ერები ხომ თითო-ოროლაღა შემორჩნენ.

გადაგვარჩინა მრავალმა ფაქტორმა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გეოგრაფიული მდებარეობა ევრაზიაში. ევროპისა და აზიის გზასაყარზე მდებარე საქართველო აღმოსავლელ-დასავლელ, სამხრეთელ თუ ჩრდილოელ დამპყრობთა ინტერესების სფეროში შედიოდა. არც ერთს არ სურდა მისი დათმობა, რასაც კარგად იყენებდნენ ჩვენი წინაპრები.

გადაგვარჩინეს ბუნებრივმა პირობებმა. ბუნებრივი გარემო, რომელშიც ხალხს ცხოვრება უხდება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ისტორიაზე, ესაა: ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რელიეფი, ჰავა, ნიადაგები, შიგა წყლები, ფლორა, ფაუნა, წიაღისეული სიმდიდრე... საქართველო ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, რის გონივრულ გამოყენებას მნიშვნელოვანი სარგებლის მოგანა შეუძლია. ეს სიმდიდრე დიდად უწყობდა მას ხელს, მაგრამ ამ სიმდიდრეზე სხვებსაც ეჭირათ თვალი.

მნიშვნელობა აქვს მასზე გამავალ ახლო თუ შორეულ მეზობლებთან დამაკავშირებელ გზებს. საქართველოზე უძველესი დროიდან აღგილობრივი, კავკასიური თუ საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალები გადიოდა (ახლაც გადის), რაც ხელს უწყობდა მის განვითარებას, მაგრამ ამ გზათა მფლობელობისთვის დიდი დამპყრობნიც იბრძოდნენ (ახლაც იბრძვიან).

გეოგრაფიული გარემო აფერხებს ან აჩქარებს საზოგადოების განვითარებას, რაც უფრო დაბალია საზოგადოების განვითარების დონე, გეოგრაფიული გარემო უფრო აქტიურად ზემოქმედებს მასზე, საზოგადოებრივი პროგრესის შესაბამისად მისი გავლენა შედარებით მცირდება, მაგრამ ამ ფაქტორს მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროსთვისაც აქვს, ხოლო რა როლი აკისრია საქართველოს ისტორიისთვის, კარგადაა ცნობილი.

ქვეყნის ისტორიისთვის მნიშვნელობა აქვს მის გარემოცვას, ვინ არიან მისი მეზობლები: კულტურული, თუ განვითარების დაბალი დონის, ძლიერი და აგრესიული, თუ სუსტი და მშვიდობიანი ქვეყნები. საქართველო, როგორც წესი, მასზე ძლიერი და აგრესიული მტრების გარემოცვაში იმყოფებოდა, რომელთა შორის იყვნენ, როგორც მაღალკულტურული დონის, ისე განვითარების დაბალი დონის ხალხებიც.

ქართული მიწა-წყლის დაუფლებისათვის საუკუნეთა მანძილზე იბრძოდნენ ასურელები და ურარტელები, მიდია, აქემენიანთა ირანი, რომის იმპერია და მისი მემკვიდრე ბიზანტია, სასანიანთა ირანი და არაბთა სახალიფო. იმავდროულად ჩრდილოეთიდან თავს ესხმოდნენ სკვითები, კიმერიელები, ჰუნები, ხაზარები და სხვა მომთაბარენი, რომელთა მიზანი ძარცვა და რბევა იყო.

მიუხედავად საუკუნეთა მანძილზე უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ გამუდმებული ბრძოლებისა, საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდანვე გასდევს ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ტენდენცია. შინა და გარეშე მტრების ძალით, ერთიანი ქართული სახელმწიფო იშლებოდა, შემდეგ, შედარებით ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების პირობებ-

ში, ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს მეფის, და მის გარშემო შემოკრებილ პატრიოტულ ძალთა ენერგიული მოქმედებით, ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით, ერთიანდებოდა, შემდეგ ისევ იშლებოდა...

მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლების პირობებში, ჩვენმა წინაპრებმა X ს-ის ბოლოს შექმნეს ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია, საქართველო, რომელიც XI-XII საუკუნეებში მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერესი სახელმწიფო იყო. მაგრამ შემდეგ წამოვიდნენ მონღოლები (თავისი ასწლოვანი ბატონობით), თემურლენგი, რვაგზისი დამანგრეველი შემოსევებით (1386-1403 წწ.), რომელმაც უმძიმესი ზიანი მიაყენა ქვეყანას. ამ დროიდანაა საქართველოში რომ გახშირდა: ნაფუძარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, ნაციხარი, ნაეკლესიარი...

უმძიმესი ლახვარი ჩასცა საქართველოს ბიზანტიის იმპერიის დაცემამ (1453 წ.). მიუხედავად იმისა, რომ ისიც დამპყრობელი იყო, რომელიც იტაცებდა ქართულ მიწა-წყალს, ცდილობდა მეფის ხელისუფლების დასუსტებას მასზე გავლენის გავრცელების მიზნით, ჩვენში სწორება მაინც ბიზანტიაზე ხდებოდა, რადგან ყველა დამპყრობთა შორის, ის ერთადერთი ქრისტიანული-მართლმადიდებლური, ევროპული, ცივილიზებული სახელმწიფო იყო.

დიდი გამაერთიანებელი ძალა იყო ქართული ეროვნული თვითშეგნება, რომლის საწყისები ძვ.წ. პირველ ათასწლეულზე მოდის და რეალურად იკვეთება ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად. IX საუკუნეში სინას მთაზე მოღვაწე ქართველი ბერები ლოცულობდნენ „ყოველთა ძმათა და ყოველთა ქრისტიანეთა,.. და, უფროს ყოველთასა – ყოველთა ქართველთათვის". X საუკუნის შუა წლების დიდი ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე გვაუწყებს, რომ ქართლი „ფრიადი" (დიდი) ქვეყანაა „რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების". IX ს-ის ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე ილარიონი, ტომით კახი, ქართველია. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის (X-XV სს.) არსებობის პირობებში, ქართული ეროვნული თვითშეგნება განსაკუთრებით მტკიცდება, რომლის ამოძირკვა-ვერავინ-თარმა ძნელბედობამ ვერ შეძლო.

XV საუკუნის ბოლოსა და XVI ს-ის დასაწყისში ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია დაიშალა სამ, ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. საქართველო მთლიანად მაჰმადიანურ რკალში აღმოჩნდა, სამხრეთ-დასავლეთიდან ძლიერი აგრესორი ოსმალთა იმპერია გაუმეზობლდა, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – აგრეთვე ძლიერი და აგრესიულად განწყობილი სეფიანთა ირანი, ჩრდილოეთიდან ყოფილი ქრისტიანი მეზობლების მაგიერ მონღოლთა და თემურლენგის შემდეგ გამაჰმადიანებული სამთავრო-სახანოები.

ოსმალთა სუნიტური იმპერია და სეფიანთა შიიტური ირანი მახლობელ აღმოსავლეთში ბატონობისათვის იბრძოდნენ. XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე ამ ორ სახელმწიფოს შორის გამუდმებული საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა. ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი და ობიექტი საქართველო იყო. იდებოდა და ირღვეოდა ზავი, საქართველოს ხან იყოფდნენ ერთმანეთში, ხან მასზე რომელიმე მებრძოლი მხარის ბატონობას აღიარებდნენ. ქართული სახელმწიფოები არ სცნობდნენ მათ საზავო პირობებს. ამ დროს შემუშავდა ფორმულა „ღონედ უძლურებისა თვისისა" გარეშე ძალის გამოყენება, იბრძოდნენ ან ირანის დახმარებით ოსმალთა წინააღმდეგ, ან ირანის წინააღმდეგ ოსმალთა დახმარებით. გადავიტანეთ (თუ ამას გადატანა ჰქვია) ოსმალთა გამუდმებული თავდასხმები, ირანის შაჰების დამანგრეველი ლაშქრობები, ჩრდილო კავკასიიდან სხვადასხვა მომთაბარეთა (ჩვენ რომ ლეკიანობას ვუწოდებთ) მძარცველური თავდასხმები, გადავიტანეთ ე.წ. ტყვეთა სყიდვა..

საქართველოს ბარში მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა, საქართველოს მთიელები ბარში იწყებენ ჩამოსვლას, XVI ს-დან გაძლიერებული რუსეთი ჩრდილო კავკასიის ველებს უტევს, რომლის მოსახ-

ლეობა კავკასიონის ჩრდილო კალთებს აფარებს თავს, შემდეგ თანდათან კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და მთისწინა ზოლშიც აღწევს. ასე ჩნდება თანდათან XVI საუკუნიდან კახეთში ლეკების, შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში ოსების დასახლებები. დასავლეთ საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან აფსუები გადმოდიან, რომელთაც ჩვენმა წინაპრებმა, რადგან ისინი ქართულ ისტორიულ პროვინცია აფხაზეთში დასახლდნენ, აფხაზები უწოდეს.

XVI საუკუნიდან ჩრდილოეთიდან რუსეთი მოიწევს. ბუნებრივია, ქართველ მოღვაწეთა მზერა ძლიერი, ერთმორწმუნე რუსეთისაკენაა მიპყრობილი. ქართველთა შეგნებაში რუსეთი ბიზანტიის ადგილს იკავებს. ჩნდება მაჰმადიანური რკალის გარღვევის, მოწინავე ევროპაზე (რუსეთიც ევროპაა) გასვლის იმედი, XVI ს-დან რუსეთსა და ქართულ სახელმწიფოებს შორის იდება ხელშეკრულებები. იმედები ჩნდება, რეალურად კი არაფერია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს არ შეუსრულებია ხელშეკრულებებით აღებული არცერთი ვალდებულება (დღეის ჩათვლით). დაახლოებით ასე იქცეოდა ბიზანტიაც, ისიც თითქმის არასოდეს არ ასრულებდა აღებულ ვალდებულებებს, მაგრამ სწორება მაინც ბიზანტიაზე იყო. იგივე მეორდება რუსეთის მიმართ. გადამწყვეტი მნიშვნელობა რწმენას აქვს. მიუხედავად იმისა, რომ დამპყრობლები სარწმუნოების შეცვლას და ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამოძირკვას ცდილობდნენ, ამ მხრივ წარმატებას ვერ აღწევდნენ. მართალია, XVI საუკუნიდან საქართველო დაშლილია, მაგრამ მათ „საქართველოები" ეწოდებათ. XVIII ს-ის დასაწყისში ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის „სწავლული კაცები" მეფის დაკვეთით ერთიანი საქართველოს, და ara ქართლის სამეფოს, ისტორიას წერენ. ერთიანი საქართველოს ისტორიას წერს ბედის უკუღმართობით რუსეთში გადახვეწილი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ძე, დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც თავის კაპიტალურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" („საქართველოს ისტორია") ქართველთა ეროვნული თვითშეგნების კონცეფცია წარმოადგინა. ვახუშტი წერს: „უკუეთუ ჰკითხო ვინმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა და ჰერკახსა, რა რჯული ხარ[1], წამს მოგიგებს „ქართველი"... და ჰკითხო წინათქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი, მყის მოგიგებს: „ქართული". ე.ი. იმერი[2], მესხი, ჰერკახი, ყველა ქართველია, და მათი ყველასი ენა ქართულია. ვახუშტიმ ძალიან კარგად იცის, რომ „იმერში" გაერთიანებულ მეგრელებს, სვანებს, აფხაზებს თავისი სალაპარაკო ენა აქვთ, რასაც ის თავისი ნაშრომის სათანადო განაკვეთებში აღნიშნავს კიდეც, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ყველა ესენი ქართველები არიან, რომ მათი ეკლესიის წირვა-ლოცვის, მწერლობის, სახელმწიფო მმართველობის ენა ქართულია. და ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკური დაშლიდან ორსაუკუნენახევარია გასული. XVIII საუკუნეში ქართველთა ეროვნული თვითშეგნება მყარია.

საქართველოს ანექსიის შემდეგ რუსეთი იწყებს საქართველოს გარუსების პოლიტიკას. უნდა ამოძირკვულიყო სახელმწიფო „საქართველო" (Грузия). საქართველო ორ ადმინისტრაციულ ერთეულად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დაყვეს, საქართველო (Грузия) გააქრეს რუკაზე. ანექსიისთანავე იწყება ბრძოლა. ყველა აჯანყება სოციალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებს (1802 წ. 1804 წ. 1812 წ. 1819-20 წწ. 1841 წ. 1857 წ.) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 1832 წლის შეთქმულებას, იღვრება სისხლი, იხოცება მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი, ფაქტიურად უშედეგოდ. იწყება იდეოლოგიური ბრძოლა.

[1] აქ რჯული ეროვნებასაც აღნიშნავს და სარწმუნოებასაც.

[2] იმერი აქ ყველა დასავლელქართველია.

დიდი ილია და მისი თანამოსაგრენი იბრძვიან ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

დაემხო რუსეთის იმპერია,მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია, ვერ მოვრიგდით, დავიშალეთ. დამყარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918 წ. 26 მაისი) – იარსება არასრული სამი წელი. რუსეთმა, უკვე ბოლშევიკურმა, მოახდინა საქართველოს ანექსია (1921 წ. თებერვალი) – აჯანყებები, შეთქმულებები, რეპრესიები... დაემხო რუსეთის ახალი იმპერია (კომუნისტური),მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა.

მიუხედავად საუკუნეთა მანძილზე არსებული უმძიმესი ვითარებისა, შევინარჩუნეთ მამული (შემცირებულ-შეკრეჭილი); მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მცდელობისა, ერთიანი საბჭოთა ხალხის და ერთიანი საბჭოთა ენის დასამკვიდრებლად, შევინარჩუნეთ ენა, შევინარჩუნეთ საშუალო და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე, შეიქმნა მდიდარი ქართული მწერლობა, განვავითარეთ ქართული მეცნიერება, ხელოვნება... მიუხედავად სასტიკი დევნისა, დამცირებისა, შევინარჩუნეთ რწმენა, შევინარჩუნეთ ეროვნული თვითშეგნება, ამანაც გადაგვარჩინა.

გადაგვარჩინა ქართველი კაცის დიდმა სიყვარულმა სამშობლოსადმი, მადლიანი ქართული მიწისადმი. როგორც კი დამპყრობლებს განდევნიდნენ, გახიზნულნი თავის ფუძეს უბრუნდებოდნენ. ქართველი გლეხი თავისი პრიმიტიული სამუშაო იარაღით აღადგენდა მეურნეობას. ქართველი თავის მიწაზე იყო მიბმულ-მიჯაჭვული. ბოლო წლებამდე თითქმის არ არსებობდა მოსახლეობის მიგრაცია, უძველესი დროიდანვე ჩვენ ძირითადად მხოლოდ პოლიტიკური ემიგრანტები გვყავდა.

ოჯახში ძე, სამშობლოს კიდევ ერთი დამცველის გაჩენას ნიშნავდა. დედა აკვნიდანვე უნერგავდა შვილს თავისი ვალის შეგნებას ერისა და ქვეყნის წინაშე, ის მას სამშობლოს დამცველად ზრდიდა. დედ-ილიას ლექსი „ნანა“ ჩვენში არსებული ხალხური „ნანა“-ს არსებული სულისკვეთების გამოხატულებაა: „დედათა გული ჩვილი მამულისთვის მაგრდება, რად მინდა იგი შვილი, თუ მისთვის არ მოჰკვდება!“... „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია“. მამულისთვის სიკვდილი ქართველის წმინდა ვალი იყო. ამანაც გადაგვარჩინა. გადაგვარჩინა ქართული ოჯახების მრავალშვილიანობამაც.

ქართველთა გადარჩენაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანულ რწმენას და ეკლესიას. მაჰმადიანთა რკალში და უღელქვეშ მყოფ ქართველთათვის ქართველი და მართლმადიდებელი ქრისტიანი სინონიმურ ცნებებად აღიქმებოდა, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ლაშქარს წინ ჯვარი მიუძღოდა. ქართული ეკლესია, როგორც წესი, ქვეყნის გამაერთიანებელი ძალების გვერდით იდგა.

მიუხედავად საუკუნეთა მანძილზე მაჰმადიან დამპყრობთა მცდელობისა, ჩვენში ისლამი არ (თუ ვერ?) გავრცელდა[1].

გადაგვარჩინა ფართო კულტურული კავშირების არსებობამ. საქართველო არასოდეს ყოფილა კარჩაკეტილი, თავის ნაჭუჭში გამომწყვდეული, მან ბევრი რამ მიიღო როგორც კეთილ მეზობელთაგან, ისე მტრებისაგანაც; ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ-ირანულ-სპარსული, რუსული კულტურიდან. მაგრამ არსებობდა რაღაც უხილავი ფილტრი. ძირითადად იღებდნენ მხოლოდ იმას, რაც არ ეწინააღმდეგებოდა და არ ბღალავდა ეროვნულ ტრადიციებს. ზოგჯერ, დამპყრობთა გავლენით ხდებოდა უცხოურ თანამდებობათა დანერგვა, მაგრამ თანდათან ხდებოდა მათი გაქართულება, XVIII ს-ში ირანის პოლიტიკური მძლავრების პირობებში, სპარსული კულტურა იჭრებოდა საქართველოში. მეფე თეიმურაზ I,

[1] ის რაც XVII-XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ისტორიულ ტაოკლარჯეთში) მოხდა, სხვა ხასიათის მოვლენაა. ეროვნულ სხეულს მოწყვეტილი ეს ქართული მხარე ოსმალთა იმპერიის რიგით ადმინისტრაციულ ერთეულად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც სულ ირანელთა წინააღმდეგ იბრძოდა, კარგად იცნობდა მათ კულტურას და წერდა: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“. მაგრამ ამ „სიტკბოდან“ მან მხოლოდ ის მიიღო, რაც ქართულისთვის სასარგებლო შეიძლებოდა ყოფილიყო, და ეს ის თეიმურაზ მეფეა, რომელმაც ქართულ პოეზიაში ეროვნული თემატიკა შეიტანა. ასეთი „ფილტრი“ საკუთრივ ქართული კულტურა და ეროვნული თვითშეგნება იყო.

ქართველი ხალხი ისლამს კი არ ებრძოდა, როგორც სარწმუნოებას, ის დამპყრობთაგან იცავდა თავს.

ჩვენში არსებული შემწყნარებლობა, როგორც სხვა ეროვნების წარმომადგენელთა, ისე განსხვავებული სარწმუნოების აღმსარებელთა მიმართ, ზოგისთვის ძნელად გასაგებია.

საუკუნეთა მანძილზე ჩვენში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ებრაელები, სომხები, მაჰმადიანები (სუნიტებიც და შიიტებიც), კათოლიკები, ბერძნები, ქურთები... მშვიდობიანად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე. ფაქტია, რომ ბაგრამიანის სახელობის სომეხთა ბატალიონი აფხაზეთში ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა, თუმცა აქ მცხოვრებ სომხებს ქართველები არ ერჩოდნენ. დღეს რაც ხდება, ყველამ ვიცით, მაგრამ საქართველოში მცხოვრებ რუსებს არავინ ერჩის. ეს ჩვენი ეროვნული თვისებაა. ევროპისა და აზიის გზასაყარზე მდებარე საქართველოში საუკუნეთა მანძილზე არაერთი უცხო ეროვნების და აღმსარებლობის ხალხი ჩამოსახლდა, ყველასთან შეგვეძლო და შეგვიძლია ცხოვრება, ალბათ, ამანაც გადაგვარჩინა.

თავისებური იყო ქართველთა დამოკიდებულება მეფისადმი. მეფე ჩვენში სახელმწიფოებრიობის, თვითმყოფადობის სიმბოლო იყო. ამ თვითმყოფადობის გამომხატველნი კი – ბაგრატიონები. შუასაუკუნოვან საქართველოში არაბაგრატიონი მეფედ არ აღიქმებოდა. XVI საუკუნის დამდეგს, როდესაც ფეოდალური საქართველო სამ სამეფოდ დაიშალა, სამივე სამეფოში მეფე ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელი იყო. ჩვენში ხალხი, როგორც წესი, არ იბრძოდა ბაგრატიონი მეფის წინააღმდეგ. იყო ერთი ბაგრატიონი მეფის მეორე, ისევ ბაგრატიონი მეფის მეცვლის შემთხვევები, მაგრამ დინასტიის შეცვლისა – არა. დიდებულ ფეოდალთა, თავადთა ბრძოლა, როგორც წესი, საკუთარი უფლებების გაზრდის, მეფის კარზე მაღალი თანამდებობების მოპოვებისათვის მიმდინარეობდა. ბაგრატიონთა სამეფო სახლის ასეთ მდგომარეობას დიდად უწყობდა ხელს ეკლესიის მიერ ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის აღიარება, მათი ხელისუფლების ღვთის მიერ რწმუნების თვალსაზრისი.

გადაგვარჩინა ჩვენი მეფეების ბრძნულმა პოლიტიკამ. მართალია, ყველა მეფე ერთნაირად ბრძენი არ იყო, მაგრამ მთლიანობაში, ქართველი მეფეები დახვეწილი დიპლომატები იყვნენ,მათ ხომ საგანგებოდ ზრდიდნენ და ამზადებდნენ თავისი დიდი მისიისათვის. გამონაკლისები არსებობდნენ, მაგრამ მხოლოდ გამონაკლისები.

როდესაც დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა, როდესაც ბრძოლა მხოლოდ დიდ მსხვერპლს, ქვეყნის მორიგ დანგრევას მოიტანდა, ჩერდებოდნენ, თუ სხვა გზა არ იყო, სარწმუნოებასაც იცვლიდნენ, მხოლოდ ფორმალურად, ფაქტიურად კი თავის რწმენაზე რჩებოდნენ (საზოგადოება ამას კარგად ხედავდა და გრძნობდა) და მომავალი ბრძოლებისათვის, იმავე რწმენის შენარჩუნების ბრძოლებისათვის ემზადებოდნენ. როგორც კი ხელსაყრელი დრო დადგებოდა, თავის ხალხს თვითონ მიუძღოდნენ წინ მტერთან საბრძოლველად. მეფე ყოველთვის ბრძოლის წინა ხაზზე იდგა, ასეთი წესი იყო საქართველოში. ქართველმა მეფეებმა დაიმსახურეს თავისი ხალხის პატივისცემა. საზოგადოება „უმეფობას“ ძნელად ეგუებოდა. მაგ. VI ს-ში, როდესაც ირანელთა მიერ ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, ადგილობრივი უზენაესი ხელისუფალი „ერისმთავრის“ სტატუსით აღდგა, ქართველები მას „მეფეს“ უწოდებდნენ, და ასევე „მეფედ“ იწოდებიან ისინი ქართულ საისტორიო თხზულებებში. XVII ს-ის

ქართლის მაჰმადიან გამგებლებს, რომელნიც ფაქტიურად შაჰის „ვალი“ (გუბერნატორები) არიან, ქართული საისტორიო წყაროები როსტომს (1632-1658 წწ.), ვახტანგ V-ს (1658-1675),... „მეფეს“ უწოდებენ. „მეფედ“ იხსენიებს მათ ვახუშტი ბაგრატიონიც, რომელიც საკმაოდ კრიტიკულადაა განწყობილი მათ მიმართ. „მეფე“ სახელმწიფოს არსებობის სიმბოლო იყო.

რუსეთის ხელისუფლებისათვის კარგად იყო ცნობილი ქართველთა დამოკიდებულება საკუთარი მეფისადმი, ამიტომ იყო, როდესაც XIX ს-ის დასაწყისში საქართველოს ანექსია განახორციელეს, საკუთრივ სამეფო სახლის ყველა წარმომადგენელი, უკლებლივ ყველანი, რუსეთს გადაასახლეს.

მიუხედავად სიძნელეებისა, ერმა, ქვეყანამ მოიტანა არსებობა XXI საუკუნემდე. შექმნა უნიკალური კულტურა, შეიტანა თავისი წვლილი მსოფლიო კულტურის განვითარებაში. ისევ სიძნელეების წინაშე ვდგავართ. ახლა უკვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი გვემუქრება. გლობალიზაცია ეკონომიკის სფეროში შეიძლება მცირერიცხოვანი ერებისთვისაც იყოს დადებითი ფაქტორი, მაგრამ მას არ უნდა გადავაყოლოთ ჩვენი ტრადიციები, თავისთავადობა. უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ.

უძველესი დროიდანვე განათლებული ქართველისათვის აუცილებელი იყო საკუთარი წარსულის ცოდნა.

X ს-ში შედგენილ სასწავლო წიგნში სავალდებულო საგნად საქართველოს ისტორიაა შეტანილი. ერის მამამ, ილია ჭავჭავაძემ გააფრთხილა ქართველები, რომ „ერის გათახსირება“ იწყება მაშინ, როდესაც ის ივიწყებს საკუთარ ისტორიას, რომ შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მისი მამა.

რუსეთის კოლონიად ყოფნის პირობებში (მეფისა და კომუნისტების) სხვა ხალხებში გათქვეფისაგან საკუთარი ისტორიის, ჩვენი წარსულის ცოდნამ, მშობლიურმა ქართულმა ენამ, ქართულმა მწერლობამ, ეროვნული ტრადიციების ფესვებზე მყარად დგომამ, მთლიანობაში ქართულმა კულტურამაც გადაგვარჩინა. საერთაშორისო გლობალიზაციის პირობებში ჩვენი გადამრჩენი, უპირველეს ყოვლისა, ქართული ეროვნული კულტურაა, რომელიც დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას, ყოველმხრივ ხელის შეწყობას მოითხოვს.

ქართველმა ხალხმა ბრძოლით და შრომით მოიყვანა თავისი ქვეყანა დღევანდელ დღემდე. თავდადებული შრომით შეინარჩუნა და განავითარა წინაპართა მიერ შექმნილი კულტურული ფასეულობანი და კულტურის თითქმის ყველა სფეროში (მეცნიერება, მწერლობა, ხელოვნება, სპორტი...) შექმნა მსოფლიო სტანდარტების ტოლფასი უნიკალური ქართული კულტურა, რამაც უნდა მისცეს მას უფლება, დაიმკვიდროს თავისი საკუთარი ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში.

თამაზ ჭილაძე

მარადისობის რუჯა

ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც საქართველომ ამ ბოლო დროს ევროპაში, ანუ გენეტიკურად მშობლიურ სამყაროში დასაბრუნებლად გადადგა, ზოგიერთმა ჩვენგანმა, ალბათ, აზროვნების ინერციის გამო, ქვეყნის თავისთავადობის დაკარგვადაც კი მიიჩნია. დღეს ჩვენი ევროპულობის შესახებ საუბარი უცხოელებთან უფრო ადვილია, ისინი უფრო გაგებით ხვდებიან ამ ფაქტს, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე. უკვე ბანალურად იქცა, თუმცა აქტუალობას მაინც არ კარგავს იმის მტკიცება, რომ ჩვენი კულტურა ევროპული ბუნებისაა, აშკარა ნათესაობას ამჟღავნებს მასთან, ამავე დროს, საგრძნობლად განსხვავდება ბიზანტიური თუ რუსული კულტურებისგან. გარკვეული პერიოდის მანძილზე სწორედ ბიზანტია იყო (ისევე, როგორც შემდგომში რუსეთი) ერთგვარი შლაგბაუმი ევროპისკენ მიმავალ გზაზე. მართალია, ბიზანტიაც და რუსეთიც, საქართველოს მსგავსად, მართლმადიდებელი ქვეყნებია, მაგრამ მათ მიერ, თუნდაც, აღმსარებლობის უკიდურესი პოლიტიზირების გამო, წარმოიქმნა ერთგვარი ჯებირი, რომელიც, შეიძლება ითქვას, მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენი კულტურის თავისებურების, თავისთავადობის ჩამოსაყალიბებლად. ამ შემთხვევაში, შეიძლება მეტად საგულისხმო აღმოჩნდეს ის ფაქტი, რომელიც რამდენიმე ხნის წინ, ჩვენი კულტურის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა რევაზ სირაძემ შეგვახსენა და, რომელიც, ჩემი აზრით, ჩვენი ეკლესიის ნათელხილვას უტოლდება: მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა ეკლესიამ მართლმადიდებლობის მუხტი ბერძნული ეკლესიიდან მიიღო, ბიზანტიას კი არა, როგორც თითქოს მოსალოდნელი იყო, არამედ ანტიოქიის საპატრიარქოსა და იერუსალიმს დაუკავშირდა, ანუ მბრძანებლად ის აღიარა, ვისაც მისი პოლიტიკური დამორჩილება არ შეეძლო.

საქართველოს გაცილებით მეტი რამ აკავშირებდა ბიზანტიასთან (საკმაოდ ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე ისინი მეტოქენიც იყვნენ და მოკავშირენიც), ვიდრე ზოგიერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოს, რომელსაც მხოლოდ შორიდან, როგორც მირაჟული ჩვენება, ძილს უფრთხობდა ბიზანტიის მოოქროვილი სამრეკლოების ლანდი. შემთხვევით როდი ეჩვენებოდა ტიუტჩევს სტამბოლის (კონსტანტინეპოლის) თავზე მთვარით განათებული ოლეგის ფარი! როდესაც დოსტოევსკი წერდა, რუსეთი რუსეთში დარჩება, მაგრამ გახდება კონსტანტინეპოლის მეუფეო, ამით ამხელდა რუსული ეკლესიის წმინდა სინოდის ძველისძველ განზრახვას – „მესამე რომი“ იდეურად, ანუ მკვეთრად დაპირისპირებოდა „მეორე რომს“ და რუსეთი ერთადერთ მართლმადიდებელ ქვეყნად გამოეცხადებინა. რუსი სწავლულები აღნიშნავენ, „საეკლესიო ნაციონალიზმი დამახასიათებელი რუსული მოვლენაა“-ო. არ შეიძლებოდა გარკვეულ პერიოდში ბიზანტიური ბრწყინვალება და, თუნდაც, ასაკობრივი უპირატესობა ხელისშემშლელი არ აღმოჩენილიყო „მესამე რომის“ ქრისტიანულ სამყაროში დასამკვიდრებლად. ლოგიკურია, ვიფიქროთ, ალბათ, ამითაც აიხსნება ერთმორწმუნე საქართველოსადმი რუსეთის განსაკუთრებული სისასტიკე და დაუნდობლობა. ქვეყნის დაპყრობისთანავე (1801 წ.) თითქმის მაშინვე, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1811 წ.), ქართულის „ძაღლის ენად“ გამოცხადება,

ქართველი მღვდელმსახურების დევნა და ციმბირში გადასახლება, უნიკალური ფრესკების კირით გადათეთრება, არც ერთ სხვა დამპყრობელს რომ არ ჩაუდენია. ამ შემზარავმა მაგალითებმა და ამ ბოლო დროს იერუსალიმში, ისტორიულად ქართულ „ჯვრის მონასტერში" მართლმადიდებელი ბერძნების ბარბაროსულმა ქმედებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ერთმორწმუნეობა მეგობრობის გარანტია არ ყოფილა, რომ დამპყრობლისა და დაპყრობილის მეგობრობა წარმოუდგენელია, თუ უსვინდისობა არა. რუსული ეკლესიის წმინდა სინოდს არ შეიძლება არ ახსოვდეს (ეკლესიას ხომ გაცილებით უკეთესი მახსოვრობა აქვს, ვიდრე ნებისმიერ პოლიტიკოსს, რადგან მისგან განსხვავებით, წარმავალს კი არა მარადიულს ემსახურება!) საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების უძველესი თარიღიც, რაც კანონიერ და მნეობრივ უფლებას ანიჭებს ეკლესიას, არ დაემორჩილოს მასზე უმრწემესთა ნებას; არ შეიძლება არ ახსოვდეს, რომ გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ფსკოველი ბერის ეპისტოლეში „მესამე რომის" ცნება გახმიანდებოდა, სულმნათი თამარი ემზადებოდა, ბიზანტიის მსგავსად, მართლმადიდებლური იმპერიის შესაქმნელად...

იმედია, არავინ იფიქრებს, რადგან პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მივაღწიეთ, ყოველგვარმა საფრთხემ გადაიარა. ჩვენისთანა ახლახან გათავისუფლებული ხალხებისთვის დღევანდელი სამყარო უამრავი ნაღმითა თუ ხაფანგითაა სავსე. თავისუფლება საქონლად იქცა, რომლითაც დაუფარავად ვაჭრობს კიდეც გაერთიანებულ ერთა ორგანიზაცია. დღევანდელ უაღრესად პოლიტიზირებულ მსოფლიოში, როცა წმინდა მეცნიერული, თავისთავად კეთილშობილური თეორიებიც პოლიტიკის იარაღად არის გადაქცეული, როცა ადამიანთა მასობრივი განადგურების იარაღის ავტორი „წმინდანად" მოიხსენიება, ქართული კულტურის გენეზისის გარკვევისას, ჩემი აზრით, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან დღევანდელ დღეს ადვილი შესაძლებელია, უნებურადაც კი, დავკარგოთ ძველ-ბედობის დროს შენარჩუნებული [illegible] ვადობა. ამიტომ, არავის [illegible] გაუკვირდეს, თუკი ასეთი, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო კითხვა გაგვიჩნდება: კულტურათა ბიზანტიურ ოჯახში საქართველოს გაწევრიანების ცდა ხელოვნურად ხომ არ გვაშორებს ორგანულ, ბუნებრივ წიაღს – ევროპას – და სლავური სამყაროსკენ ხომ არ გვიბიძგებს? მითუმეტეს, რომ რუსი ბიზანტიოლოგები, მათ შორის ისეთი გამოჩენილი მეცნიერი, როგორიც ვიქტორ ბიჩკოვია, ფიქრობენ, ძველი სლავური კულტურა ისე აშკარად დაემსგავსა, თუ დაუნათესავდა ბიზანტიურს (რაც განსაკუთრებით საგრძნობი მხატვრული აზროვნების სფეროში გახდა), რომ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელიც კია ძველ-სლავური ხელოვნების ძეგლების მოხმობა ბიზანტიური ესთეტიკის ამა თუ იმ საკითხის დასამტკიცებლადო. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ და ბიზანტიურ კულტურებს უსათუოდ გააჩნია მსგავსი ნიშნები, რაც, სხვათაშორის, ნებისმიერ სხვა კულტურაშიც შეიძლება აღმოაჩინო, ანუ ყველა ნამდვილად ღირსეული კულტურისთვის საერთო ნიშანს წარმოადგენდეს, ამასთანავე აშკარაა ქართული და ბიზანტიური კულტურების მკვეთრი განსხვავებაც. ამავე დროს, როცა „მესამე რომი" არსებობს, ყოველშემთხვევაში, ყოველ ღონეს ხმარობს არა მარტო არსებობის, არამედ საკუთარი ძლიერების დასამტკიცებლადაც, საკმაოდ სახიფათოა (და ეს ბევრმა შენიშნა!), თუნდაც წმინდა მეცნიერული, ყოველგვარი პოლიტიკური ქვენაზრახვისგან დაცლილი ცდა „ბიზანტიურ ოჯახში" საქართველოს გაწევრიანებისა, მითუმეტეს, რომ ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში, პოლიტიკურად ბეცი სწავლულების წყალობით და კიდევ არავინ იცის, რის გამო, ქართული კულტურა კარგახანია სლავისტური კათედრების პროგრამებშია მოქცეული... ბიზანტიისა და რუსეთის კულტურათა ნათესაობას და ამავე დროს, საქართველოსგან მათ განსხვავებას დასავლეთ-ევროპულ აღორძინებასთან დამოკიდებულებაც ამეღავნებს. პუშკინის თქმით, აღორძინების დიად ეპო-

ქას რუსეთზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია. მართლაც, თუ ბიზანტიურსა და ძველ-სლავურ სამყაროებში დასავლეთ-ევროპული რენესანსის სიოც კი არ იგრძნობოდა, საქართველოში ჯერ კიდევ XII საუკუნეში რენესანსის წინაპირობათა მსგავსი მოვლენები აშკარა იყო, ხოლო რუსთაველმა მეცნიერებს საშუალება მისცა, ესაუბრათ დასავლეთ-ევროპულის მსგავს ქართულ რენესანსზე. სხვათაშორის, ამ აზრს რუსი სწავლულებიც ეთანხმებიან, ისეთი გამოჩენილი მოაზროვნე, როგორიც ალექსეი ლოსევი იყო, რუსთაველს „XII საუკუნის ქართული რენესანსის მეთაურს" უწოდებს.

მეცნიერები აღნიშნავენ, რელიგიის პოლიტიკად გარდაქმნის, პავლე მოციქულის მიერ შედგენილი ქრისტიანობის კონსტიტუციის დარღვევის პირველი მაგალითი ბიზანტიამ გვიჩვენაო; ხოლო „მესამე რომობის" მსურველმა რუსეთმა რელიგიის ეკლესიურობის ცნება სახელმწიფოებრიობის ცნებით შეცვალა. ნ. ბერდიაევის თქმით, რუსულ სახელმწიფოს კარგა ხნის მანძილზე იდეოლოგიურად მართავდა წმინდა სინოდის ცნობილი ობერ-პროკურორი კ.პ. პობედონოსცევი. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სამივე რომი აღმოცენებულია პოლიტიკური ინტერესებიდან. სამართლიანობა მოითხოვს, აქვე ითქვას: ალბათ, ასეთივე იქნებოდა ის ქართული „რომიც", თამარს თავისი ჩანაფიქრის განხორციელება რომ მოესწრო. როდესაც რუსი თეოლოგები (ს. ბულგაკოვი, პ. ფლორენსკი...) ხმარობენ ტერმინ „ეკლესიას", გულისხმობენ ახალ მართლმადიდებლურ იმპერიას, რუსეთის სახით, იგივე „მესამე რომს", ანუ ეწინააღმდეგებიან ეკლესიის უნივერსალობის დოგმას და წმინდა წყლის იმპერიალისტურ ზრახვებს ამჟღავნებენ. დოსტოევსკი ამბობდა: „კათოლიკური ქრისტიანობიდან მხოლოდ სოციალიზმი აღმოცენდა, ჩვენგან კი აღმოცენდება ძმობა"-ო. ამ შემთხვევაში, ის კი არ არის საინტერესო, რომ ამ მოსაზრებას ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი რუსი ფილოსოფოსი არ ეთანხმებოდა, არამედ ის, რომ დიდ რუს მწერალს დასაშვებად მიაჩნდა რელიგიური მოძღვრებიდან პარტიული მიმდინარეობის აღმოცენება, რაც ეჭვს ნიშნავს, რომ ის რელიგიას პოლიტიკურ (პარტიულ) ფენომენად მიიჩნევდა. ჩვენ კი ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი დიდებული მოღვაწეობის მაგალითი გვასწავლის, რომ რელიგიის პოლიტიკად გარდაქმნიდან, ანუ ქრისტიანობის ძირითადი მოწოდების – სიკეთისა და შემწყნარებლობის ნაცვლად, ეჭვის, შიშისა და სისასტიკის დამკვიდრებამდე ერთი ნაბიჯია. ჩვენთვის მართლმადიდებლობა ეროვნული ფენომენია და არა პოლიტიკური. ჩვენი ეკლესია ყოველთვის შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ყოველგვარი რელიგიური თუ ფილოსოფიური მიმდინარეობების მიმართ, ნუგეშის მძებნელი ყველა ადამიანისათვის ერთნაირად მოწყალე იყო და, შეიძლება ამიტომაც არ იცოდა, რა იყო სექტანტობა, რუსული ეკლესიის ეს ძველისძველი, მოუშორებელი ჭირი. ჩვენი ეკლესია იძულებით კი არა, დარწმუნების გზით ცდილობდა ადამიანის ზიარებას ჭეშმარიტებასთან. ჩვენთვის მაცხოვრის ხარების აზრი ადამიანის მიერ საკუთარი ამქვეყნიური არსებობის შეცნობაა, საკუთარი პიროვნული მნიშვნელობის აღმოჩენაა. ცხოვრება შენშია – იცხოვრე! – იმპერატიული ტონი მაცხოვრისა გადამრჩენი ბიძგია სასოწარკვეთილთა და უმწეოთათვის, ნეტარებაა აწმყოში მარადისობის აღმოჩენით. ქართულ ესქატოლოგიას საფუძვლად უდევს მაცხოვრის დიადი შეგონება: „ღმერთი ცოცხლების არის და არა მკვდრების" (მათე). ქართული და ბერძნული, ისევე როგორც ქართული და სლავური (რუსული) მართლმადიდებლობა არა მხოლოდ გარეგნულად (თუნდაც, არქიტექტურით!) განსხვავდება ერთმანეთისგან, არამედ სულისკვეთებითაც. ეს განსხვავება განპირობებულია, თუნდაც, ისტორიით, ცხოვრების წესით, კულტურით, გეოგრაფიითაც. ალბათ, იმასაცა აქვს მნიშვნელობა, რომ ბიზანტიაცა და რუსეთიც ორივე იმპერიაა, საქართველოს კი, გარკვეული პერიოდის გარდა, სულ თავის დაცვა უხდებოდა უამრავი მომხდურისაგან, მათ შორის ბიზან-

ტიისგან და რუსეთისგანაც. ამიტომაც მისი მთავარი ძალა, რაც ჩვენმა ეკლესიამ ცხადყო და დააკანონა კიდეც (რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, 1103 წ.), მოაზროვნე ღირსეული პიროვნებაა და არა მორჩილი ჯარისკაცი. ამასთანავე, საერთო აღმსარებლობის რომელიმე წესისთვის, ან ხასიათისთვის რაიმე უპირატესობის მინიჭებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ყველა ხალხი ისე ცხოვრობს (უნდა ცხოვრობდეს!), როგორც თვითონ მიაჩნია საჭიროდ. ყველა ხალხის ცხოვრების წესი მხოლოდ და მხოლოდ პატივისცემას იმსახურებს ყველასგან.

უცხო ადამიანისათვის, სწავლულისთვისაც კი, ალბათ საკვირველია ის თავისთავადობა, რომლითაც ქართული კულტურა ყოველთვის გამოირჩეოდა ისეთ მდიდარ და მძლავრ სამყაროსთან ურთიერთობის დროს, როგორიც ბიზანტიური კულტურა იყო. ასევე საკვირველია შემდგომ, ბიზანტიის მემკვიდრის, „მესამე რომის" მიერ დაპყრობილმა, როგორ შეინარჩუნა სრული კულტურული დამოუკიდებლობა. ჰქონდა რა თავისი არალეგალური თავისუფლება, ჯოჯოხეთურ პირობებში ქმნიდა მწერლობისა და ხელოვნების შედევრებს. ეროვნულ კულტურათა ურთიერთზეგავლენა ნორმალური, ბუნებრივი მოვლენაა, რამდენადაც კაცობრიობის განვითარებასა და პროგრესს უწყობს ხელს. პოლიტიკურად უფლებააყრილმა ჩვენმა ხალხმა თავისთავადობა იმითაც შეინარჩუნა, რომ კულტურა ეროვნულ ენერგიად გარდაქმნა. საერთოდ, ეროვნული ცნების გარეშე კულტურა არ არსებობს. კულტურით გამოვაღწიეთ დაუნდობელ წარსულს, მაგრამ მისი შენარჩუნება დღეს პრობლემად გვექცა. ბოლო თექვსმეტი წლის მანძილზე გააფთრებულმა პარტიულმა ბრძოლებმა, დამანგრეველმა სამოქალაქო ომმა, ძვირფასი ქართული მიწების დაკარგვამ, სიღატაკემ, ყალბი იდეალებისა და ყალბი ავტორიტეტების აღიარებამ, ბოლომდე ამოუძირკვავმა კერპთაყვანისმცემლობამ, გარეშე მტრის გამუდმებულმა ღია თუ ფარულმა აგრესიამ, ჩვენს სინამდვილეში მტრის მიერ შემოგდებულმა რელიგიური სეპარატიზმის – სექტანტობის ბაცილამ მთელი ისტორიის მანძილზე საკუთარი ეროვნული ბის შენარჩუნებისთვის მებრძოლი ჩვენი ერი არა მარტო გლობალიზაციის საფრთხის წინაშე დააყენა, არამედ, შეიძლება ითქვას, მის ადვილ ნადავლადაც გაამზადა. გლობალიზაცია აბსტრაქტული ცნება არ არის, არც ციდან ჩამოფრენილი ურჩხულია, მარტივად რომ ვთქვა – კულტურაზე გამარჯვებული ცივილიზაციაა, ამიტომაც, ცხოვრების ასპარეზიდან, უპირველეს ყოვლისა, კულტურას აძევებს – ეროვნულობის საფუძველსა და ჯავშანს. ადამიანს სამშობლოს ნაცვლად მსოფლიოს სთავაზობს და ამით, რა თქმა უნდა, მისი პიროვნების ტრადიციულ, ნორმალურ ფსიქოლოგიურ სტრუქტურას ამსხვრევს. მას „იარაღის მკეთებელი ცხოველი" ჭირდება და არა „მოაზროვნე ლერწამი", რომელიც ამ ქვეყნად ყველა ჭეშმარიტებაზე მაღლა სამშობლოს აყენებს და რომელმაც იცის, არავითარი ფასი არა აქვს პიროვნულ თავისუფლებას ეროვნული თავისუფლების გარეშე. გლობალიზაციის ემისრები ცდილობენ, სივრცე, რომელიც აქამდე ეროვნულ ენერგიად გარდაქმნილ კულტურას ეპყრა, გლობალიზაციის დამკვიდრების პლაცდარმად აქციონ. ცხოვრების ზედაპირზე გარკვეული მიზეზით ამოტივტივებული მედროვეები გლეჯენ და ინაწილებენ თავისუფლების მონაპოვარს. ანტილოპას ლომი ჰკლავს, მაგრამ ნანადირევს სვავებისა და აფთრების მთელი არმია შეექცევა. ამავე დროს, ჩვენში გლობალიზაციის დამკვიდრების პროცესი არა მარტო ხელოვნური დაჩქარების ხასიათს ატარებს, არამედ ასეთი უცნაურობითაც აღინიშნება; წამლეკავი ზვირთივით მოწოლილ გლობალიზაციის საფრთხეს, სხვებისგან განსხვავებით, რატომღაც ჩვენ თვითონვე ვუხსნით კარს, როცა ქვეყნები, რომლებსაც აშკარად ვბაძავთ, ანდა ვცდილობთ, მივბაძოთ (მიბაძვასაც გარკვეული კულტურა ჭირდება!) და ბევრი რამ მათგან ჩვენი ეროვნული ტრადიციების, თავისებურებების გაუთვალისწინებლადაც კი გადმოგვაქვს, გლობალიზაციას მთელი ძალით ეწინააღმდეგებიან,

ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნება სახელმწიფო პოლიტიკად აქვთ ქცეული. თავისუფლებას, მითუმეტეს, „განსაცდელით სავსე თავისუფლებას“ (ილია) დიდი გაფრთხილება ჭირდება. ისევე, როგორც ქირურგიული ოპერაციის შემდეგ, პაციენტის გამოსაჯანსაღებლად, გონივრულად, ზუსტად წარმართული მკურნალობა ზოგჯერ თავად ოპერაციაზეც მნიშვნელოვანია, თავისუფლების მოპოვების მერეც დგება გადამწყვეტი მომენტი მისი ნოვატორული პათოსის ღირსეულად შენარჩუნებისათვის, ანუ თავისუფლების ცხოვრებისეულ აუცილებლობად გადაქცევისთვის.

ყველა ერს ამყვეყნად მოვლინების საკუთარი მისია და მომავლისკენ მიმართული საკუთარი გზა გააჩნია. ჩვენი გზა დიდი წინაპრების, კერძოდ, ილია მართლის მიერ ჩვენთვის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მარშრუტია, რომელიც ევროპისკენ მიემართება. ეს სიცოცხლის უალტერნატივო გზაა, ამ გზით მივდივართ არა მარტო საკუთარი მომავლისკენ, არამედ საკუთარი თავისკენაც. ამ გზიდან ყოველი გადახვევა, როგორც ისტორიულმა გამოცდილებამ დაგვანახვა (მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დაგვარწმუნა!), კატასტროფით მთავრდება ხოლმე. ევროპა კაცობრიობის კულტურის რეზერვუარია, საიდანაც ყველა ქვეყანა, აკუტაგავას იაპონია იქნება ის, თაგორის ინდოეთი, თუ უიტმენის ამერიკა, იღებს მისთვის აუცილებელ სულიერ საზრდოს. ამერიკამ მეძავებით გაძეძგილი ხომალდების გარდა, ბევრი ისეთი რამ მიიღო საჩუქრად ამ „ბებერი კონტინენტიდან“ (გოეთეს გამოთქმაა!), რამაც მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვრის – პიროვნების თავისუფლების ქარტიის – ცხოვრებაში დამკვიდრებას შეუწყო ხელი. მიუხედავად დღევანდელი ამერიკული კულტურის აშკარა თავისთავადობისა (მწერლობა, მუსიკა, არქიტექტურა...), მაინც შეიძლება ითქვას, ის ევროპელების შექმნილია. ჩვენ კი, ქართველებს, რატომღაც გვავიწყდება, თუ ხელოვნურად გვავიწყებენ, რომ არა მარტო ვსესხულობთ ზოგჯერ ევროპისგან იმას, რაც ჩვენი სულიერებისთვის აუცილებლად მიგვაჩნია, არამედ, როგორც ერთერთ უძველეს ევროპულ ერს საყურადღებო წვლილიც მიგვიძღვის ამ დიადი კულტურის შექმნასა და განვითარებაში...

ბიზანტიურსა და რუსულ კულტურებს, ისევე, როგორც ყველა ჭეშმარიტად მნიშვნელოვან კულტურას, მიზიდულობის უდიდესი ძალა აქვს. ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა დროს (ადრე ბიზანტიის, რუსეთისა მოგვიანებით, XIX საუკუნიდან) ჩვენც აშკარად განგვიცდია მათი, ზოგ შემთხვევაში, სასიკეთო გავლენა და მათაც ბევრი საყურადღებო და მნიშვნელოვანი რამ მიუღიათ ჩვენგან. დიდი ხნის განმავლობაში ქართული კულტურა ევროპაში რუსეთის გზით, რუსული ცენზურის, რუსული ფილტრის გავლით გადიოდა. ამავე გზით, ამავე ფილტრის გავლით, შემოდიოდა ევროპული კულტურაც საქართველოში. ამიტომაცაა, კულტურულ მსოფლიოს დღემდე სრული, ნამდვილი წარმოდგენა რომ არ გააჩნია საქართველოზე და ჩვენთვისაც მსოფლიო კულტურული ცხოვრების ბევრი მიღწევა შეუმჩნეველი დარჩა. ევროპისკენ საკუთარი გზის გაჭრა დღეს სასიცოცხლო აუცილებლობად იქცა. საქართველო უსათუოდ დაუბრუნდება თავის მშობლიურ სახლს – ევროპას და ეს ძეშეცთომილის კი არა, გათავისუფლებული პატიმრის დაბრუნება იქნება...

არსებობს მარადისობის რუკა, რომელიც ძალიან განსხვავდება იმ პოლიტიკური რუკისგან, რომელიც ადამიანთა მოდგმას ხელოვნურად შეუქმნია ძალადობითა თუ სიხარბით, უმეცრებითა თუ ვერაგობით, ამიტომაცაა, ასე ხშირად რომ იცვლება, თუმცა ჭკუის სასწავლებლად ნამდვილად გამოდგება, თუკი, რასაკვირველია, შეგვიძლია კაცობრიობის გამოცდილებიდან სათანადო დასკვნების გამოტანა. თუ პოლიტიკურ რუკაზე ათასნაირად გაჩეხილი, დაქუცმაცებული საქართველოს მხოლოდ ნაწილიღაა შერჩენილი, სამაგიეროდ, მარადისობის რუკაზე ჩვენს ერს ხანგრძლივი, ტანჯული, ღირსეული ცხოვრებით საკუთარი ადგილი აქვს მოპოვებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელკა ბაკალოვა

ივირონის კარის ღვთისმშობლის ორი ხატი ბულგარეთიდან

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატებთან დაკავშირებულმა სასწაულებმა და გამოცხადებებმა განაპირობეს ის დიდი ინტერესი, რომელიც ათონის მთის მიმართ არსებობს. ამ ხატებიდან კარის ღვთისმშობელი ათონის ივირონის მონასტრის მთავარი სიწმინდეა. ამ სასწაულმოქმედი ხატის ისტორიის ზეგავლენით შეიქმნა მისი მრავალი ასლი და მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში, განსაკუთრებით კი რუსეთსა და უკრაინაში გავრცელდა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ არც ერთი ცნობილი ასლი ივირონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა (თვით ივირონის მონასტერში დაცული დედანი თუ მისი ასლები რუსეთსა და უკრაინაში) არ შეიცავს მისი სასწაულებისა და გამოცხადებების ამსახველ სცენებს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბულგარეთში დაცული ორი ხატი ღვთისმშობლისა, რადგან სწორედ იგი შეიცავს სცენებს ათონის მთასთან დაკავშირებული სასწაულებისა. მიუხედავად ამგვარი გამორჩეულობისა, ბულგარული ხატები დღემდე არ ყოფილა საგანგებო კვლევის საგანი. ერთი მათგანი ამჟამად ინახება ღვთისმშობლის შობის ტაძარში, როცჰენში (ეს ტაძარი 6კმ. არის დაშორებული ქ. მელნიკიდან). მოცემული ხატი ჩამობრძანებულია ივირონის მონასტრიდან. როგორც ხატის წარწერა გვაუწყებს, იგი დაუწერია ივერიელ ბერს – იაკობს. 1790 წელს მონასტრის წინამძღვრის დავალებით ხატს სპეციალური ხის პროსკინეტარიუმი გაუკეთეს.

ისტორიული ცნობების მიხედვით, როცჰენის მონასტერს ათონის მთასთან გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა. ივირონის მონასტერი უკვე მე-14 საუკუნიდან მელნიკის შემოგარენში ფლობდა პატარა დასახლებას ეკლესია-მონასტრით, იგი წმინდა გიორგის სახელს ატარებდა. ადრეული სარწმუნო ცნობა როცჰენის მონასტრის არსებობისა და აქ ჩამოყალიბებული სამწერლობო მოღვაწეობის შესახებ შემორჩენილია ოქტეოხოსის ხელნაწერში, რომელიც დღეს ათონის მთაზე, კერძოდ, წმინდა ათანასეს ლავრაშია დაცული. მოცემული უწყების თანახმად, ხელნაწერი 1551 წ. როცჰენის ყოფილმა წინამძღვარმა – კოზმამ გადაწერა. შემონახულია ასევე სხვა წერილობითი წყაროები მე-16 საუკუნის შუა წლებიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით, რომლებიც როცჰენის მონასტრის რეკონსტრუქციის მნიშვნელოვან მომენტებს ასახავენ. მაგალითად, ერთ-ერთი წყარო მოგვითხრობს კონსტანტინეპოლელი პატრიარქის განახლებული სიგილიუმის ამბავს, რომელიც დათარიღებულია 1728 წ. იგი დღეს ივირონის არქივში ინახება და გვაუწყებს როცჰენის ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტრის დღესასწაულის შესახებ, აქვე ვიცით, რომ იგი კვლავ მთავარი მონასტერია და დამოუკიდებელი. 1728 წ. მონასტერი არქივთან ერთად დაიწვა. დაიწვა ადრეული როცჰენის მონასტრის სტაუროპეგიაც, გადარჩა მხოლოდ პატრიარქის სიგილიუმი. მელნიკის რეგიონის ქრისტიანებმა დიდი შრომით და მრავალი შეწირულობით აღადგინეს მონასტერი და თხოვნით მიმართეს ეკუმენ პატრიარქებს, რომ მათი დამოუკიდებლობა დაედასტურებინათ. დაახლოებით 30 წლის შემდეგ როცჰენის მონასტერმა, კერძოდ პატრიარქის სიგილიუმ-

მა, არსებითი ცვლილებები განიცადა. 1761 წელს აგვისტოში დამტკიცდა ამ მონასტრის დამოუკიდებლობა ათონის ივირონის მონასტრისაგან. ცნობილი სტავროპეგიას მონასტრის დაქვემდებარებითა და ივირონის მონასტრის გავლენით მელნიკის რეგიონი ერთობ გაძლიერდა. შემოგვრჩა ოფიციალური მინაწერი მელნიკის მიტროპოლიტ მაკარი III-ისა (1755-1763). ეს მინაწერი მოწმობს იმაზე, რომ მაღალი სასულიერო იერარქი იძულებული იყო, ამ განკარგულებისთვის ყურადღება მიექცია. უცნობია, თუ რამდენ ხანს იყო როცჰენის მონასტერი დამოუკიდებელი ივირონისგან. ცხადია ისიც, რომ კარის ღვთისმშობლის ხატი მის ჰროსკინეტარიუმთან ერთად ივირონში იყო დაცული, იგი მე-18 საუკუნის II ნახევარში როცჰენის მონასტერში გადააბრძანეს.

როცჰენის მონასტრის სასწაულმოქმედი ხატი მისდევს წინასახეს. ამას მოწმობს მისი ზომებიც (137X94სმ) და ნიშნები. ეს არის ივირონის კარის ღვთისმშობელი განსხვავებული იკონოგრაფიული რედაქციით. ამაზე მიგვანიშნებს ხატის ბოლოს დაცული წარწერა. კომპოზიციაში, ორიგინალის მსგავსად,ღვთისმშობელი ოდიგიტრიის ტიპისაა, მას მარცხენა ხელში ყრმა იესო უჭირავს. ნ.კონდაკოვის მიხედვით, კარის ღვთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპი თავისი მდგომარეობის მიხედვით განსხვავებულია. იგი ყრმას თითქოს მიმართავს და გადახრილია მისკენ, რადგან მისი თავი მოლიანად ფრონტარულადაა მოცემული. მარჯვენა ლოყაზე ან ყელზე სისხლის კვალია. იგი შეგვახსენებს არაბი ბარბაროსის მიერ ხატისთვის ჭრილობის მიყენების ამბავს, როცა სისხლმა სასწაულებრივად იწყო დენა. განსხვავება როცჰენის ხატსა და ორიგინალს შორის ვლინდება იმით, რომ მოცემული ხატის ორივე მხარეს ათი სცენაა გამოსახული. ეს სცენები აღნიშნული ხატის ისტორიაში დიდ მნიშვნელობას იძენს. ისინი აგებულია ზემოდან ქვემოთ, მარცხნიდან-მარჯვნივ.

მოცემული სცენები ასე წარმოგვიდგება:

1. ხატმებრძოლი იმპერატორის თეოფილეს (829-842) ჯარისკაცები უბრძანებენ ქვრივს ხატის ზღვაში ჩაგდებას.

2. ქვრივი ხატს ზღვაში აგდებს, მაგრამ იგი არ იძირება.

3. ხატი ივირონის მონასტრის გალავანთან ნათლით მოცული გამოჩნდება.

4. ბერები ცდილობენ ხატის წყლიდან ამობრძანებას, მაგრამ იგი შორდება მათ.

5. ღვთისმშობელი ეცხადება ბერ გაბრიელს და უბრძანებს მას ხატის ზღვიდან ამობრძანებას.

6. გაბრიელი გამოაბრძანებს ხატს ზღვიდან. ბერები მას ნაპირზე ელოდებიან.

7. ბერ-მონაზვნები მიაბრძანებენ ხატს მონასტერში და აღუვლენენ ღვთისმსახურებას.

8. ღვთისმშობელი ძირავს არაბების ან სპარსელების გემებს, რომლებიც მონასტერს თავს დაესხნენ.

9. შიმშილობის დროს, როცა ფქვილი გამოილია, ღვთისმშობელი ეცხადება კვლავ ბერ გაბრიელს და ატყობინებს, რომ ბეღელი სავსეა.

10. ერთი ბერი ლოცულობს ხატის წინაშე.

წარწერა გვაუწყებს კიდევ ერთ სასწაულზე, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს უკავშირდება. მონასტრის ქურდს ხელი უხმება და ლოცვის შემდეგ კვლავ იკურნება. შეიძლება ეს არის არაბი ბარბაროსის ამბის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელმაც დანით დასერა ღვთისმშობლის ხატი; მისი ქმედების შემდეგ სასწაულმოქმედმა ხატმა სასწაული კვლავ აღასრულა. როცჰენის ხატი სტილისტური ნიშნებით მე-18 საუკუნეს განეკუთვნება და განიცდის ბაროკოს დიდ გავლენას. ჩვილედი ღვთისმშობლის ცენტრალური გამოსახულება ოქროს ფონზე სტატიურია და მოდელირებულია ზუსტად ორიგინალის სტილზე. ნ. კონდაკოვის მიხედვით, იგი მე-12 საუკუნეში წარმოიშვა. ეს ფიგურა, ასევე მისი ოქროს ფონი, ძლიერ კონტრასტულ დინამიკაშია გვერდით გამოსახულებებთან. გამყოფი ორნამენტული ზოლები ბაროკოს სტილშია გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემული და სცენებს ერთმანეთისგან მიჯნავს. მთელი სიზუსტით მოცემული ვარდები, მზესუმზირები, შროშანები ჰაერში ჰკიდია, რომლებიც ბაროკოს სტილის აკანტის ფოთლებზეა დაკიდული. ისინი ქმნიან დეკორატიულ ფორმებს, რომლებიც შუაში ვიწროვდებიან და ბოლოში ფართოვდებიან. მათ შორის არსებული მდელოები ოვალურ კონტურებს ქმნიან. სცენები არქიტექტონურია, ლანდშაფტურ ფონზე დიდი ნაწილი მოქმედ პერსონაჟებს უკავიათ. მოქმედება სხვადასხვა სივრცით-მოცულობით პერსპექტივაშია გადაწყვეტილი. ფიგურები ხშირად სივრცით-მოცულობით პოზებში არიან გამოსახულნი და ცოცხლად არიან წარმოდგენილნი. ფერთა გამა აგებულია საპირისპირო ტონებზე: თბილი და ცივი ტონები (გაბატონებულია ძირითადად წითელი და მწვანე-მოლურჯო) ხატს მხატვრულ სიმდიდრეს ანიჭებს.

როგორც აღვნიშნეთ, თვით ივირონის კარის ღვთისმშობლის ხატს და ასლების უმრავლესობას აკლია მისი ისტორიის და სასწაულების ამსახველი ილუსტრაციები. ისმის კითხვა: როდის და როგორ ჩამოყალიბდა როცჰენის მონასტრის ხატის სურათის ციკლი? რომელია ის ძეგლები, რომელთანაც დაკავშირებულია მხატვრული ტრადიცია? როგორც ცნობილია, ამ კითხვის პასუხის გაცემას განსაკუთრებული კვლევა სჭირდება. მცდელობა ხატის სასწაულების ამსახველი ციკლის შესახებ აჩვენებს, რომ ეს პრობლემა დაკავშირებულია ამ ხატის ისტორიასთან. აღსანიშნავია, რომ ყველა მკვლევარი ერთ დასკვნამდე მივიდა (ისინი ცოტანი არ არიან), რომ ეს ასლები, როგორც ხატი, გვიან წარმოიშვა. ეს ჰიპოთეზა გამყარებულია საუკეთესო ქრონოლოგიური აზრთა სხვადასხვაობით, რომელთა ერთი ნაწილი ათონს აღნიშნავს. მაგ: ხატის ისტორიის დასაბამად მიჩნეულია იმპერატორ თეოფილეს (829-842) გამგზავრება, ხოლო ივირონის მონასტრის დაარსების თარიღად ერთის მხრივ, ყაჩაღთა თავდასხმები, ხან არაბების, ხან სპარსელების, ხან კი კატანალების სახით. ზოგიერთი ვერსიით ეს ფაქტი 1044 წ. თარიღდება, სხვათა აზრით 1306-1308 წლებით. სხვა გადმოცემებშიც თეოფილეს იმპერატორი ხატმებრძოლად არის მიჩნეული. ათონის მთის სხვა სასწაულმოქმედი ხატები ზღვაში ინახებოდა. კერძოდ კი, ფილოთეოს მონასტრის გლიკოფილისის ღვთისმშობლის ხატი , ასევე ზოგრაფეს მონასტრის წმინდა გიორგის ხატები, რომელთაგან ერთ-ერთი პალესტინიდანაა, მეორე კი არაბეთიდან, ვატოპედის მონასტრის ხატი და სხვა. მონასტრების დევნის გამო, ზოგიერთი ვერსიით, ხატები სამოცდაათი წელი ზღვაში ინახებოდა. ზუსტად ასეთივე რაოდენობა მოიხსენიება იერონდისას პანტოკრატორის მონასტერში დაცული ღვთისმშობლის ხატების ისტორიაში. სამწუხაროდ, არავითარი გამოკვლევა არსებობს ამ ცნობის წერილობით წყაროებსა და ხელნაწერებზე. არის მხოლოდ მოგზაურთა რამდენიმე ცდა ივირონის ძველი ძეგლების აღწერილობისა. აქედან დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-18 საუკუნეში აღნიშნული გადმოცემა უკვე ცნობილი იყო. ვ. ბარსკიჯი, რომელიც მონასტერს 1847 წ. ესტუმრა, ამბის ყველა დეტალს აღწერს. ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია მე-18 საუკუნის ქართველი მოგზაურის — ტიმოთე გაბაშვილის მიმოსვლა. ის გვთავაზობს არა მარტო მთელი ამბის აღწერას, არამედ მოგვითხრობს ცალკეული სასწაულების შესახებ, რომლებიც, შესაძლებელია, მოგვიანო ხანაში წარმოიშვა.კერძოდ, ის გვაუწყებს 1755 წ. მომხდარ სასწაულზე, რომელიც მან ათონზე ორწლიანი სტუმრობის დროს იხილა. იგი ეხება მონასტრის სასწაულებრივ გადარჩენას ხანძრისაგან. მიმოსვლის თანახმად, მე-18 საუკუნის II ნახევარში ამ ამბის მთავარი ვარიანტი უკვე არსებობს, რომელიც ბერებმა ზეპირი ტრადიციით უკვე იცოდნენ და მოგვიანებით ახალი ელემენტებით შეავსეს.

ჩვენს მიერ მოძიებული ცნობების მიხედვით, ამ ამბის ამსახველი ადრეული ილუსტრაციები მე-17 საუკუნის ბოლოსა და

მე-18 საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება. მოცემული ილუსტრაციები დათარიღებული არ არის. აღსანიშნავია, რომ კარის ღვთისმშობლის ადრეულ ასლებს ეს ილუსტრაციები ყოველთვის აკლია. პირველ რიგში ჩაფიქრებულია ხატი, რომელიც რუსეთის იმპერატორის – ალექსი მიხეილის ძის (1645 – 1676) სურვილით გადმოიღეს და 1648წ. მოსკოვში გადმოაბრძანეს. იგი დღეს ნიკოდევიჩის მონასტრის კათოლიკონში – მოსკოვში ინახება. მსგავსი ასლი 1656წ. ნიკონმა ბალდის მონასტრისათვის შეუკვეთა.

ექვსი ამბავი კარის სასწაულმოქმედი ხატის ისტორიიდან ივირონის მონასტერში შეიქმნა. ეს ტაძარი, რომელიც აღნიშნული ხატის სახელს ატარებს, აგებულია მე-12 საუკუნეში. ეკლესიის სინოდიკონის მიხედვით, 1680წ. ტაძარი მთლიანად დასრულდა. ერთ-ერთ ფასადზე დაცული წარწერა გვაუწყებს, რომ 1683წ. 30 სექტემბერს ექვთიმეს წინამძღვრობის, კონსტანტინეპოლის პატრიარქის – დიონისე IV და ქართველი კათალიკოსის – ნიკოლოზის დროს მოიხატა. ეს წარწერა გვამცნობს ნაოსის მოხატვის შესახებ. იგი გვეხმარება ნარტექსის მხატვრობის თარიღის დადგენაში, კერძოდ, აქ გადმოცემული მოძრაობა მიემართება ნაოსის მხატვრობას.

როგორც თვით ამბავი, ასევე ამ სცენების იკონოგრაფია თვალნათელს ხდის როცჰენის ხატისა და ამ ექვსი სცენის იგივეობას. შესაძლებელია, კედლის ფერწერა სასწაულმოქმედი ხატის სცენებს ასახავს. ყოველ შემთხვევაში ივირონის მონასტრის სასწაულთა ციკლი მოგვიანო ხანის ყველა ასლზეა ასახული. მსგავს შემთხვევას აქვს ადგილი როცჰენის მონასტრის შეკვეთილ ხატზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხატის ავტორი ბერი იაკობ ივერიელია, მე-18 საუკუნის 80-90-იანი წლების მოღვაწე. შემოგვრჩა მის მიერ შექმნილი სხვა ხატებიც. კერძოდ, სმირნაკი მას მიაწერს სამი იერარქის ციკლის მხატვრობას, რომელიც მას 1793 წელს დაუწერია. ეს გახლავთ ე.წ საკურთხევლის კარი. ასევე 1785 წელს მის მიერ იქმნება იკონოსტასის ჯვარცმის ფერწერა.

კარის ღვთისმშობლის ამბის იშვიათ ილუსტრაციას წარმოადგენს რვა ვერცხლის medალიონად სახელწოდებული რედაქცია, სადაც ღვთისმშობელს პერანგი მოსავს. ეს ხატი მე-17 საუკუნის 80-იანი წლებით თარიღდება და მოსკოვის ნოვოდევიჩის მონასტერშია დაბრძანებული. აღნიშნული სცენები ამ მონასტერში შეიქმნა. ეს ხატი ეკუთვნოდა რუსეთის პრინცესა სოფიოს, რომელიც მისმა ძმამ – პეტრე დიდმა განდევნა. medალიონებზე ოქროს ფონზე მინანქრის ტექნიკით შესრულებულია რვა სცენა, რომელზეც ხატის ისტორია და სასწაულებია ასახული. ერთ-ერთი სცენა, კერძოდ, სპარსელების განდევნა, შესაძლებელია დღემდე შემორჩენილ ცნობილ ციკლთა შორის უადრესია.

დანარჩენი სხვა ცნობილი მსგავსი ციკლები მოგვიანო ხანაში ჰპოვებენ პარალელს. ამ ტრადიციის გვიანი შთამომავალია კარის ღვთისმშობლის ხატიც, რომელიც ტრიავნაში წარმოიშვა (იგი მე-19 საუკუნით თარიღდება). დღეს მოცემული ხატი ველიკო ტარნოკოს მუზეუმში ინახება. მისი ზომა 63\51,3 სმ. საინვენტარო №163. ხატის ქვემოთ მოთავსებულ წარწერაში მოიხსენიება მორჩილი ჯანკო. როცჰენის მონასტრის ხატი მე-18 საუკუნის ბალკანური ბაროკოს ხელოვნების ოსტატობის ნიმუშია, ტრიავნის ხატი კი მე-19 საუკუნის პრიმიტიული ნაწარმოებია.

რაც შეეხება სცენების არჩევას, ისინი როცჰენის ხატიდან წარმოიშვნენ. მათ შორის განსხვავებაც არსებობს. კერძოდ, სასურათო სიბრტყის ქვედა ნაწილი ტრიავნას ხატზე დათმობილი აქვს ივირონის მონასტრის პანორამას, სწორედ ეს განასხვავებს ტრიავნას ხატს წინამორბედთაგან. როგორც დავინახეთ, კარის ღვთისმშობლის ხატის ძირითადი შტრიხებია მისი სასწაულები, ისტორია და ხატის ქვედა ნაწილში ივირონის მონასტრის გამოსახულება. ცენტრალურ ნაწილში კი თვითონ ჩვილედი ღვთისმშობელი გამოისახება. ხატის

იკონოგრაფიის ახალი შტრიხებით შევსება (განსაკუთრებით ლითოგრაფიაში) მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ათონიდან მთელ მართლმადიდებლურ საქრისტიანოში ვრცელდება. ივირონის მონასტერს შეგვახსენებს ხატზე ასახული მონასტრის პანორამა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გამოსახულება და ის სასწაულები, რომლებიც ცალკეულ სცენებშია გადმოცემული. ასეთი ლითოგრაფია ღვთისმშობლის მონასტრიდან არბანასში გადაიტანეს, რომელიც დღეს მის კათოლიკონში ინახება.

ზემოთ განხილული ტრიავნას ხატის ლითოგრაფია გვიჩვენებს ცალკეული სცენების იკონოგრაფიის ერთ მთლიანობას. მხოლოდ ერთადერთი ბულგარულ ენაზე შესრულებული წარწერა გამიჯნავს მათ ერთმანეთისგან. განსაკუთრებით თვალში საცემია არქიტექტურული დეტალებისა და პანორამების ერთობლიობა. ასევე ხუთგუმბათიანი კათოლიკონი, მონასტრის შესასვლელთან მოცემული კოშკები, მონასტრის გალავანი და პოსტი. განსხვავება არსებობს შესრულების მანერაში. პირველ პლანზე გრაფიკა დგას, მეორეზე კი ფერწერა.

ცხადია, რომ ტრიავნელმა მხატვარმა ეს და სხვა მსგავსი ლითოგრაფია გამოიყენა, რათა ჯანკოს არაბნისას სხვა ეკლესიისთვის შეექმნა ანალოგიური ხატი (ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხატი არაბნისას ქრისტესშობის სახ.ეკლესიაში წარმოიშვა). ათონის ხატი არის ტრიავნას ხატის პროტოტიპი. ტრიავნას ხატი კი მე-19 საუკუნის ბულგარული ხელოვნების საინტერესო ნიმუშია.

ეს ხატები მე-18-19 საუკუნეების საინტერესო ძეგლებია. აღნიშნული ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ათონური ტრადიცია გრძელდება და არ დაუკარგავს თავისი ცხოველსმყოფელობა.

გერმანულიდან თარგმნა

ირმა მამასახლისმა

მთარგმნელისაგან

ელკა ბაკალოვა — თანამედროვე ბულგარელი მკვლევარია, ხელოვნებათმცოდნე. იგი ძირითადად შეისწავლის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გამოსახულებებს. მისი სამეცნიერო ნაშრომებიდან უმნიშვნელოვანესია „ბაჩკოვოს საძვალე". მკვლევარის ინტერესების სფეროდან გამომდინარე, იგი გარკვეულწილად დაკავშირებულია შუასაუკუნეების ქართულ ხელოვნებასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ბუაჩიძე

ფილოსოფია უპირველეს ყოვლისა*

ესაუბრა ოთარ ხუციშვილი

– ბატონო თამაზ, დღეს ყველა ხედავს და გრძნობს საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართ მკვეთრად გამოხატულ უარყოფით პოზიციას. ეგ კი არა, როგორც ვიცი, სტუდენტთა ერთი ნაწილი ფილოსოფიის კურსის გაუქმებასაც მოითხოვს. რითი ახსნით ასეთ მძაფრ რეაქციას?

– ვფიქრობთ, ასეთ პოზიციას ფილოსოფიისადმი თავისი მიზეზები აქვს და საკმაოდ სერიოზულიც. შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ არსებობს ფილოსოფიის ორი სახე. ერთია ოფიციალური, „კარის ფილოსოფია“ და მეორეა ჭეშმარიტი, ნამდვილი ფილოსოფია. პირველი ნაკლებად ზრუნავს ჭეშმარიტების წვდომაზე, მისი ძირითადი საზრუნავია კარის მსახურება. მეორე თავისუფალი აზროვნების ნაყოფია და მიზნად მხოლოდ ჭეშმარიტების ძიებას ისახავს. რაც ჩვენთან ისწავლებოდა და რაც კიდევაც ისწავლება, ძირითადად სწორედ „კარის ფილოსოფიის“ ნაირსახეობაა. იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა ტოტალიტარულ სახელმწიფოში და ცდილობდა, ფილოსოფიურად გაემართლებინა, დაეფუძნებინა მბრძანებელი ელიტის თვითნებური გადაწყვეტილებები, დიქტატი, მასობრივი რეპრესიების პრაქტიკაც კი.

სწორედ ამ განდიდებისა და დაფუძნების პროცესში, როგორც იტყვიან, ფილოსოფია სიცრუითა და სიყალბით გაიტენა, ამის დასტურად რად ღირს თუნდაც „განვითარებული სოციალიზმის“ გახსენება. გარწმუნებთ, ბრეჟნევს ან სუსლოვს რომ განეცხადებინათ ჩვენში უკვე კომუნიზმია აშენებულიო (დღემდე მიკვირს, რატომ არ გააკეთეს ეს), ამ „ისტორიული მნიშვნელობის“ მქონე დებულების გამართლებას არცთუ ცოტა ფილოსოფოსი მიუძღვნიდა სქელტანიან წიგნს. ამ „პრობლემაზე“ მრავალი დისერტაციაც დაიწერებოდა. ეს „ქმნა სიყალბისა“ არის ერთ-ერთი მიზეზი ფილოსოფიისადმი უარყოფითი განწყობისა.

ამ პოზიციას, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებიც აქვს. ერთი მათგანი ისიც არის, რომ მრავალი წლის მანძილზე ფილოსოფიას ჩვენში ჟანდარმის ფუნქციაც ეკისრებოდა. ფილოსოფოსებს უნდა შეემოწმებინათ, შეესაბამებოდა თუ არა რომელიმე მეცნიერის, ან ხელოვანის ქმნილება ოფიციალური იდეოლოგიის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს. ამას აბსურდამდე, ტრაგიკომედიამდე მივყავდით: უნიჭო, გაუნათლებელი, მაგრამ ძალაუფლებით აღჭურვილი „ფილოსოფოსი“ ასწავლიდა დიმიტრი უზნაძეს ფსიქოლოგიას, ივანე ბერიტაშვილს – ფიზიოლოგიას, ანა

* ფილოსოფოსის არქივიდან

კალანდაძეს – ლექსების წერას. ამგვარმა „ფილოსოფოსებმა“, როგორც ცნობილია, მეცნიერებათა დარგებიც კი გააუქმეს.

კიდევ ერთი მიზეზი – ოფიციალური ფილოსოფია არ იძლეოდა თავისუფალი აზროვნების საშუალებას. ის წარმოადგენდა მზამზარეული დოგმების კრებულს, მკვდარ, მოსაწყენ დისციპლინას, რომელიც არ ითხოვდა ადამიანისაგან ინტელექტუალურ ძალთა დაძაბვას. პირიქით, მისი „კეთილდღეობა“ ინტელექტის სრულ პასიურობას, ინერტულობას ეფუძნებოდა. მახსენდება ერთი ძალზე ტიპიური გამოცდა დიალექტიკასა და ისტორიულ მატერიალიზმში. სხვადასხვა სპეციალობის ასპირანტები – ნიჭიერი ფიზიკოსები, ქიმიკოსები, გეოლოგები აბარებდნენ საკანდიდატო მინიმუმს... სურათი კურიოზული იყო: ის, ვინც „მოკლე კურსის“ მეოთხე თავს დაზუთხულს ჩააბულბულებდა, უსიტყვოდ იმსახურებდა მაღალ ნიშანს, ხოლო ვინც ოდნავ მაინც გამოამჟღავნებდა დამოუკიდებელ აზროვნებას, საკუთარ პოზიციას პრობლემისადმი, უმალ ისჯებოდა. მერწმუნეთ, იმ გამოცდას ალბერტ აინშტაინიც ვერ ჩააბარებდა!

უნდა ითქვას, ოფიციალური ფილოსოფია საკანდიდატო მინიმუმის სახით დღესაც თამაშობს ფილოსოფიის არსებისათვის შეუთავსებელ ფუნქციას – ის, როგორც ფხიზელი იდეოლოგიური გუშაგი, კვლავაც დგას ნებისმიერი მეცნიერების კარიბჭესთან და ცოდნის ტაძარში შესვლის უფლებას რთავს მხოლოდ იმას, ვინც მის დოგმებს დაიზეპირებს. ვფიქრობ, ამგვარი ცერბერი დღეს არცერთ მეცნიერებას არ ესაჭიროება. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: დღევანდელ პირობებში, ღრმად რელიგიური ივანე პავლოვისათვის – ნობელის პრემიის ლაურეატისათვის – ფიზიოლოგიის კარი დახურული აღმოჩნდებოდა.

რა თქმა უნდა, ოფიციალური ფილოსოფიის ეს დოგმატიზმი, შეურიგებლობა ცოცხალ, თავისუფალ აზროვნებასთან, სულაც არ იყო შემთხვევითი. მრავალი წლის მანძილზე ხომ ფილოსოფია ჩვენთან ტოტალიტარული სახელმწიფოს ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენდა. ამგვარ სახელმწიფოს არ ესაჭიროებოდა თავისუფალი აზრი, არსებითად მას სჭირდებოდა არა ფილოსოფია, არამედ ანტიფილოსოფია. მას ყოველი მოქალაქე უნდა ექცია დიქტატორული რეჟიმის ბრმა მონად, უსახო ჭანჭიკად, ადამიანად, რომელსაც არ ექნებოდა დიქტატორისაგან განსხვავებული აზრი, დიადი სოციალისტური „დერჟავისაგან“ განსხვავებული სამშობლო, უფროსი ძმის ენისაგან განსხვავებული სახელმწიფო ენა. რეჟიმის პოზიცია გამჭვირვალე იყო: თუ გსურს, კარგად იცხოვრო, მაშინ უნდა ამომძახო, რასაც ჩაგძახებ. ამის გამო იყო, რომ კლასიკოსთა ციტატებით გატენილი დისერტაციები სწრაფად მტკიცდებოდა უმაღლეს საატესტაციო კომისიაში, ჩვენი თაობის მშვენების – ზურაბ კაკაბაძის უბრწყინვალეს სადოქტორო დისერტაციას კი ამისათვის წლები დასჭირდა.

სწორედ იმიტომ, რომ ჩვენში ფილოსოფია იქცა სიყალბის ქმნად, რომელიც ასრულებდა ჟანდარმის, იდეოლოგიური ცენზორის როლს, გზას უხშობდა შემოქმედებით აზროვნებას, საზოგადოებრიობამ სავსებით სამართლიანად აქცია მას ზურგი.

– მაშასადამე, თქვენ ამართლებთ ამ პოზიციას?

– რადგან ეს ეხება „კარის ფილოსოფიას“, კი. ანტიფილოსოფია ჭირია, ჭირს კი უნდა განვერიდოთ. მაგრამ, ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საერთოდ უარი ვთქვათ ფილოსოფიაზე, ნამდვილ ფილოსოფიურ აზროვნებაზე, ანდა ფილოსოფიის სწავლებაზე, უნდა გითხრათ, რომ ასეთი აზრიც არსებობს. განსაკუთრებით ბუნებისმეცნიერებათა წარმომადგენელთა წრეებში. რა თქმა უნდა, ფილოსოფიისადმი

ამგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება ახალი არ არის. ჩვენს ქვეყანაშიც იყვნენ ადამიანები, რომლებიც მარქსიზმის კლასიკოსების, განსაკუთრებით ენგელსის ციტატების მოშველიებით ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ ფილოსოფიამ თავისი დრო მოჭამა. მალე აშკარა გახდა, რომ ფილოსოფიის არგუმენტებული (და არა „შიშველი") უარყოფა თავად ეყრდნობა გარკვეულ ფილოსოფიურ დებულებებს, ე.ი. ფილოსოფიას. საერთოდ, ფილოსოფიური კითხვები ადამიანის ყოფიერების სიღრმიდან აღმოცენებული კითხვებია და ამიტომ ადამიანი ისევე წარმოუდგენელია მათ გარეშე როგორც, ვთქვათ, სამკუთხედი გვერდების გარეშე, ანდა მზე სინათლის გარეშე.

ქართველ ხალხს უბრწყინვალესი ფილოსოფიური ტრადიციები აქვს. მე რომ მკითხოთ, ყოველი მოაზროვნე ქართველი შეპყრობილია „ფილოსოფიური ეროსით". ჭეშმარიტი ფილოსოფიური აზროვნების სწორედ ამ უსაზღვრო სიყვარულის გამო საქართველოში ნამდვილი ფილოსოფია არ გადაშენებულა არც სტალინური დესპოტიზმის წლებში და არც „დამყაყების" ეპოქაში. დიახ, ფილოსოფიური ჟანდარმერია საქართველოშიც მძვინვარებდა. მისი მსახვრალი ხელი მოსპობით ემუქრებოდა შალვა ნუცუბიძეს და დიმიტრი უზნაძეს, სერგი დანელიას და კოტე ბაქრაძეს, სავლე წერეთელს და ანგია ბოჭორიშვილს. მოსე გოგიბერიძე და კიტა მეგრელიძე გადასახლებაში დაიღუპნენ და მაინც საქართველოში ნამდვილი ფილოსოფია ვერ აღგავეს. ჩვენი დროის ქართული ფილოსოფიის თავკაცების მიერ ახალგაზრდობაში ჩადებული მუხტი ძალზე ძლიერი აღმოჩნდა. დღეს ჩვენი ამოცანაა ერთ დროს უფლებააყრილ ნამდვილ ფილოსოფიას კვლავ დავუბრუნოთ მისთვის კუთვნილი უფლებები. ღვთაებრივი პლატონისა და საოცარი იმანუელ კანტის ქმნილებებმა უნდა დაიკავონ მიტინების, იუდინების და კონსტანტინოვების ნაჯღაბნის ადგილი.

– მაგრამ, თქვენ მაინც არ გითქვამთ, კონკრეტულად როგორ – გესახებათ ფილოსოფიის სწავლება დღევანდელ ვითარებაში?

– მე შემიძლია გამოვყო მხოლოდ ზოგიერთი, ჩემი აზრით მნიშვნელოვანი მომენტი. ფილოსოფიის დარგში ჩვენ თავისუფლებისაკენ უნდა წავიდეთ. თავისუფლება, შემოქმედება ყოველი პედაგოგის მოვალეობადაც კი უნდა იქცეს – მძიმე მოვალეობად. მოვალეობის ეს სიმძიმე ნათელი გახდება, თუ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ფილოსოფიის ყოველმა პედაგოგმა თვითონ უნდა შეადგინოს საკუთარი კურსის პროგრამა. უნდა გამოვეთხოვოთ ფილოსოფიის მასწავლებლების შეზღუდვას „ზევიდან" მოსული ათასი მითითებებით. კაცი, რომელიც ფილოსოფიას ასწავლის, გონებაუმწიფარი ყრმა როდია. მას „გუვერნიორები" არ ესაჭიროება. ცხადია, პედაგოგის მიერ შედგენილი პროგრამა არ შეიძლება იყოს თვითნებური და ცალმხრივი. ის უნდა შეიცავდეს ფილოსოფიის ყველა ძირეულ პრობლემას და წარმოადგენდეს საყრდენს ფილოსოფიის შესავლის კურსისათვის. ამდენად, აუცილებლად უნდა გახდეს კოლეგების – სათანადო კათედრის წევრების განხილვის საგანი. ვიმეორებ, კათედრის წევრებისა და არა სხვა ზემდგომი ინსტანციებისა. ის თუ რა თანამიმდევრობით დაალაგებს პრობლემებს ლექტორი, თავად მასზე უნდა იყოს დამოკიდებული. მთავარია, ყურადღების გარეშე არ დარჩეს ფილოსოფიური დარგების – ონტოლოგიის, გნოსეოლოგიის, აქსიოლოგიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ეთიკის, ესთეტიკის და სხვათა ძირეული პრობლემები.

უნდა შეიცვალოს ფილოსოფიურ აზროვნებაში მსმენელთა შეყვანის წესიც. ლექტორმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა აჩვენოს, რომ ფილოსოფიური პრობლემა მართლაც პრობლემაა, ესე იგი. სიძნელეა, თავისებური თავ-

სატეხია, რომელიც ანტინომიის, წინააღმდეგობის სახეს იღებს და რომ საჭიროა აზროვნების მაქსიმალური დაძაბვა, რათა ეს სიძნელე გადაილახოს. პრობლემის ამგვარი მიწოდება თავიდანვე აძლევს სტიმულს შემოქმედებით აზროვნებას, მიმართულია დოგმატიზმის წინააღმდეგ. ლექტორმა, ცხადია, უნდა მიაწოდოს პრობლემის გადაწყვეტის თავისი ვარიანტი, მაგრამ ამავე დროს, ეს უნდა იყოს სწორედ ვარიანტი, არ გამორიცხავდეს პრობლემაზე შემდგომ ფიქრს, თუნდაც სხვა ვარიანტის გააზრებას სტუდენტის მიერ. ფილოსოფია თავისუფალი აზროვნების სამყაროა და ლექტორმა უნდა შეძლოს, შეიყვანოს სტუდენტი იმ სამყაროში, რომელშიც მასწავლებელიცა და მოსწავლეც შემოქმედებითი სიცოცხლით ცხოვრობენ.

ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ფილოსოფიის კურსი მსმენელისათვის უნდა იყოს საინტერესო, ცოცხალი, მიმზიდველი. პირადად მე რომ მკითხონ, ფილოსოფიის კურსს ასე ავაგებდი: განხილვის ცენტრში მოვათავსებდი ყველასათვის საინტერესო საკითხს – ადამიანის პრობლემას, ხოლო სხვა ფილოსოფიურ პრობლემებს – ონტოლოგიურს, გნოსეოლოგიურს, აქსიოლოგიურს და ა.შ. ადამიანის საკითხთან კავშირში გავაანალიზებდი. ცხადია, ეს მხოლოდ ჩემი პირადი მოსაზრებაა.

– მაინც დღეს რომელი ფილოსოფიური პრობლემები მიგაჩნიათ ყველაზე აქტუალურად და გათვალისწინებულია თუ არა ისინი თქვენი ინსტიტუტის კვლევით საქმიანობაში?

– აქტუალურ ფილოსოფიურ პრობლემებს რა გამოლევს, მით უფრო დღეს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ეპოქაში. ბუნებრივია, ახლა ფილოსოფიური აზრი ყველაზე უფრო უნდა ჩაუღრმავდეს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ერი და ენა, ენა და მსოფლხედვა, ენა და ისტორია, ერი და კულტურა, ერი და ისტორია, ვფიქრობ, ეროვნული სულის – ამ ცოცხალი შემოქმედებითი ძალის გარეშე შეუძლებელია ერისა და ეროვნული კულტურის ფენომენის გაგება. უნდა ითქვას, ინსტიტუტში ამ მიმართულებით უკვე ინტენსიურად ვმუშაობთ.

ბევრი რამ კეთდება ჩვენთან იმისათვის, რომ მოიშალოს ქართული ფილოსოფიის ისტორიას ჩაბღაუჭებული სტერეოტიპები (მაგალითად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ანალიზისას), თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავონ ერთ დროს „უფლებაჩამორთმეულმა" მოაზროვნეებმა – არჩილ ჯორჯაძემ, ვიქტორ ნოზაძემ, მიხაკო წერეთელმა და სხვებმა.

დღევანდელი დღე გვკარნახობს, განსაკუთრებით ვიზრუნოთ ზნეობრივ პრობლემებზე, მაღალი ფილოსოფიური პოზიციებიდან გავაანალიზოთ ისეთი ფენომენები, როგორებიცაა თავისუფლება, ღირსება, სინდისი, მოვალეობა, სიყვარული, სამართლიანობა, შემწყნარებლობა.

ჩვენი ინსტიტუტის სტრატეგია გულისხმობს სამი ძირეული პრობლემის – ადამიანის, კულტურის და ღირებულების პრობლემათა მრავალმხრივ კვლევას. ვფიქრობ, რომ ეს სტრატეგიული ხაზი ჩვენი დღევანდელი დღის და საერთოდ თანამედროვე სამყაროს ყველაზე აქტუალურ საკითხებს მოიცავს.

ბუნებრივია, ამ პრობლემების კვლევისას ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ქართული ფილოსოფიური აზროვნების შესწავლით. პლატონისა და არისტოტელეს, კანტისა და ჰეგელის ნააზრევის დაუფლება ყველა ფილოსოფისის ვალია, რადგან ის მხოლოდ ბერძნული ან გერმანული ფილოსოფიის ისტორიის შემადგენელი ნაწილი კი არ არის, არამედ საერთოდ ადამიანური აზროვნების მწვერვალია.

– ახლა ერთი პირადი ხასიათის კითხვა: როგორ საქართველოზე ოცნებობთ?

– ჩემი ოცნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო „რადიკალურია“, ვიდრე ზოგიერთი „რადიკალისა“. მე ვოცნებობ არა მხოლოდ „იმპერიული“ გველეშაპისაგან თავისუფალ საქართველოზე, არამედ ჭეშმარიტად თავისუფალ საქართველოზე, არ გეგონოთ, ეს სიტყვების თამაში იყოს. მე მსურს, ალბ გარედან მოსული გველეშაპი არ მეცალოს ჩვენიანმა, ქართველმა გველეშაპმა. მე ვოცნებობ თავისუფალ, კულტურულ საქართველოზე. კულტურული ქვეყნის მთავარი ნიშანი კი ასეთია: იქ პიროვნება თვითმიზანია, თავისუფალია, ხელშეუხებელია.

1990 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოური პიესების კრებული*

„თანამედროვე ევროპული პიესა“ როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ მრავალ საინტერესო სიახლეს გვთავაზობს. შთამბეჭდავია დრამატურგთა სახელებიც: ტომ სტოპარდი, ჰაროლდ პინტერი, სლავომირ მროჟეკი, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, ტანკრედ დორსტი, ოლეგ შიშკინი. შეიძლება ამ ჩამონათვალში მკითხველისთვის ჯერ უცნობი სახელებიც იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ მნიშვნელობას შესძენს ახლადგამოცემულ კრებულს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ქართულ ენაზე თარგმნილი პიესების კრებულებით ნამდვილად არა ვართ განებივრებული. ალმანახ „დრამატურგიის“ მხოლოდ რამდენიმე გამოცემა მივიღეთ და ეს საიმედო წამოწყებაც ნაადრევად გაქრა. ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების რაოდენობაც მინიმუმამდეა დაყვანილი, ამიტომ ქართველი დრამატურგისთვის პიესის გამოქვეყნება სერიოზულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მსოფლიოს საუკეთესო დრამატურგთა ათტომეული რომ გამოიცემოდეს, მნიშვნელოვნად შეივსებოდა ამ სფეროში გაჩენილი ხარვეზი.

„თანამედროვე ევროპული პიესა“ არცთუ მცირე მოცულობის ანთოლოგიაა. წიგნის შემდგენელმა და რედაქტორმა მალხაზ ხარბედიამ საკმაოდ უხვი მასალიდან საუკეთესო პიესები გამოარჩია და შესთავაზა ქართველ მკითხველს. შემდგენელმა ქართული თარგმანების რედაქტირებაც თვითონ გასწია. ბუნებრივია, ის საფუძვლიანად იცნობდა არჩეულ მასალას და ცდილობდა, დედანთან სიახლოვე შეემოწმებინა.

ტომ სტოპარდის პარადოქსებზე აგებული დრამისაგან (მთ. ასმათ ლეკიაშვილი) როგორც მხატვრული სტრუქტურით, ისე შინაარსით ბევრად განსხვავდება ჰაროლდ პინტერის დრამა „მტვერი მტვრადვე მიიქცევი“ (მთ. ზაზა ჭილაძე). ამ სასიყვარულო დრამაში ინტრიგა და მოჩვენებითი ძალადობის ელემენტი ერთმანეთშია გადახლართული. სიტუაციის და დიალოგის უჩვეულობა ისეთ შთაბეჭდილებას აღძრავს, თითქოს ყოფით სივრცეში არსებული ადამიანები კი არ საუბრობენ ერთმანეთთან, არამედ მათივე შინაგანი ხმები. ამ ხმებთან ერთად ფინალში ექოც შემოიჭრება.

სლავომირ მროჟეკის „ქვრივები“ (მთ. ნათელა გავაშელი) პარადოქსულობის თვალსაზრისით სხვა პიესებისგან არ განსხვავდება და გამონაკლისს არ წარმოადგენს. არსებული სიტუაცია და თვითონ ქვრივების საუბარი ხაზგასმულად წარმოაჩენს პირობითობის ელემენტს. ქვრივების ლაბირინთივით დახლართული და ბუნდოვანი საუბრიდან თანდათან იკვეთება სინათლის შემომტანი კონტურები და მათივე ქმრების სახეები ამოიზიდება. ფაბულაც უცნაურად ვითარდება და თვითონ ქვრივებისთვის მოულოდნელ ამბებს ამზეურებს.

ტანკრედ დორსტის პიესა „მე, ფოიერბახი“ (მთ. შორენა შამანაძე). ყველა სხვა პიესისგან განსხვავდება იმით, რომ ყურადღების შუაგულში ერთი პერსონაჟია მო-

*თანამედროვე ევროპული პიესა, „არეტე“, 2005 წ.

ქცეული. ეს პერსონაჟია მსახიობი ფოიერბახი. მეორე პერსონაჟი ფაქტობრივად საბაბია, რათა ფოიერბახმა ვრცლად ისაუბროს და მკაფიოდ გამოკვეთოს თავისი სახე. ფოიერბახის დიალოგი უფრო მონოლოგს წააგავს. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ეს პერსონაჟი საკუთარ თავს ესაუბრებოდეს. ფოიერბახი თავის ცხოვრებას იხსენებს და თეატრზე საუბრობს, ეს მსახიობის აღსარებაა და ამავე დროს მისი ცხოვრებისეული მრწამსის გამჟღავნება. შეუძლებელია, ამ პიესის წამკითხველს არ გაუჩნდეს ერთი კითხვა: ამ პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი ხომ არ იქნება მონოტონური და მოსაწყენი? ბუნებრივია, ამ პიესას, როგორც სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშს, სცენის გარეშეც უნდა ჰქონდეს (და ამ შემთხვევაში აქვს კიდეც) მხატვრული ღირებულება, მაგრამ საბოლოოდ ხომ სპექტაკლადაც უნდა იქცეს?

ოლეგ შიშკინის (მთ. ანდრო ბუაჩიძე) „ანა კარენინა II" აგვირგვინებს კრებულს „თანამედროვე ევროპული პიესა". ეს ნაწარმოები ავტორის წინათქმაშივე გვიმჟღავნებს ავტორის ორიგინალურ ჩანაფიქრს. საქმე ისაა, რომ ოლეგ შიშკინმა გადაწყვიტა, ლევ ტოლსტოის „ანა კარენინას" გაგრძელება შეეთხზა. ამ გადაწყვეტილებას გარკვეული მოსაზრება დაედო საფუძვლად.

აი, რას წერს პიესის ავტორი: „ამ დრამის ავტორი თვითონ ტოლსტოის რომანის ტექსტიდან გამომდინარეობს. ერთ-ერთი გადაკითხვისას წიგნის სავსებით სხვა ტონალობა შევნიშნე. ეს ტონალობა ჩემს ბოლოდროინდელ ფიქრებს დაემთხვა. მე მაღელვებდა იმაზე ფიქრი, თუ როგორ მოქმედებს თანამედროვე ტექნიკა მორალზე და საერთოდ, იმ პროცესებზე, რომლებიც ადამიანის გრძნობად სამყაროში ხდება... ტოლსტოიმ ინტუიტურად იგრძნო ვითარება და შექმნა „ანა კარენინა", ეს ნაწარმოები არა მხოლოდ ტრაგიკულ სიყვარულზეა, არამედ იმ ახალ მორალზე, ორთქლმავალმა და ტელეგრაფმა რომ წარმოშვა".

ვერაფერს იტყვი. საინტერესო ჩანაფიქრია, თუმცა ცალკე საკითხია, თუ რამდენად იძლევა საამისო საფუძველს რომანი. ტექნიკური ცივილიზაციის მორალზე ზემოქმედების პრობლემა გამოკვეთილად ნამდვილად არ ჩანს ტოლსტოის ეპიკურ თხზულებაში. თუმცა შიშკინს უამისოდაც შეეძლო, დაეწერა „ანა კარენინას" გაგრძელება. კლასიკური ნაწარმოებების ვარირება, გაგრძელება თუ ცალკეული დეტალების თუ პერსონაჟების გამოყენება თანამედროვე მწერლობაში ახალი ხილი არ არის.

ოლეგ შიშკინისეული ანა კარენინა ინვალიდად არის ქცეული და ეტლით დაიარება ოთახებში. მას შენარჩუნებული აქვს თავისი პროტესტის გრძნობა მეუღლის მიმართ, მათი ურთიერთობა რთულია, მაგრამ თანდათან კალაპოტში ექცევა. ერთ-ერთი სამხედრო შეტაკების დროს დასახიჩრებული ვრონსკიც დავრდომილია და ამ ორი, ეტლში მჯდარი შეყვარებულის შეხვედრა შიშკინს შთამბეჭდავად აქვს გადმოცემული, მაგრამ მთავარი ეს არ არის: შიშკინი მართლაც ცდილობს, ეს პერსონაჟები ახალი ცივილიზაციის ფონზე დახატოს. პიესაში ნაჩვენებია ახალი ეპოქის ექსცესები, კერძოდ, წარმოდგენა, სადაც ქალბატონი ფოსტინი გამოდის ხალხის წინაშე.

საინტერესოა ანას საუბარი მეუღლესთან. მისი მეუღლე, კარენინი ამბობს, რომ ლოკომოტივებს უკვე ვეღარაფერი გააჩერებს. სარკინიგზო ქსელის ზრდის პროცესი შეუქცევადია. და თუმცა ეს პროცესი იწვევს კატასტროფებს და მსხვერპლს, მაგრამ ამავე დროს უზარმაზარი სარგებლობის მომტანიც არის. ტექნიკური ცივილიზაციის პროგრესის თემა „ანა კარენინას" „ახალ ვერსიაში" გადაჭდობილია პერსონაჟების ბედ-იღბალთან.

ზურაბ კალანდაძე

უცხოეთის კულტურული სიახლეები

აშშ

ამერიკის შეერთებული შტატების თეატრალური პრემია „ტონი" 1947 წელს დაარსდა და მის ლაურეატს, ფარული კენჭისყრით, ამერიკის დრამატული ხელოვნების საბჭოსა და თეატრთა ლიგის 750 წევრი ასახელებს. წელს ეს პრესტიჟული პრემია ორმა სპექტაკლმა დაიმსახურა.

ბრიტანელი დრამატურგის, ალან ბენეტის პიესამ „ნორჩი ისტორიკოსები", რომელიც ინგლისური სკოლის ყოველდღიურობის თემას ეხება, ჯილდო ექვს ნომინაციაში მიიღო — საუკეთესო პიესა, საუკეთესო რეჟისურა, მამაკაცის საუკეთესო როლი და ა.შ./. პრიზი დრამატურგს ჰოლივუდის ყველაზე ძვირადღირებულმა მსახიობმა, ჯულია რობერტსმა გადასცა. უნდა აღინიშნოს, რომ ჯულია რობერტსი, წელს თავადაც დებიუტანტი აღმოჩნდა. თეატრალურ სცენაზე მან თავისი ძალები პირველად მოსინჯა და ბროდვეის ერთ-ერთი თეატრის სპექტაკლში „სამი წვიმიანი დღე", მთავარი როლი ითამაშა. მსახიობის დებიუტს კრიტიკა საკმაოდ გულგრილად შეხვდა და „ტონი" მისთვის არავის გაუმეტებია, თუმცა მსახიობმა ეს მარცხი არ შეიმჩნია და დაჯილდოებულებს „ძალიან ნიჭიერები ხართო", განუცხადა.

მეორე სპექტაკლი აღმოჩნდა მიუზიკლი „მთვლემარე კომპანიონი ქალი", რომელსაც პრიზი ხუთ ნომინაციაში მიანიჭეს — საუკეთესო მუსიკის, საუკეთესო ლიბრეტო და ა.შ./. მუსიკა ამ სპექტაკლისთვის კანადელმა კომპოზიტორებმა: ბობ მარტინმა, ლიზა ლამბერტმა და გრეგ მორისონმა შექმნეს. მარტინი, გარდა ამისა, მიუზიკლში მთავარ პარტიას, ნოსტალგიით დაავადებული ნიუ-იორკელი უცოლო კაცის როლსაც ასრულებდა. ამ სპექტაკლის დებიუტი ტორონტოში შედგა, სადაც ის გულგრილად მიიღეს და თორმეტი წარმოდგენის შემდეგ საერთოდ მოხსნეს. ამიტომ ის აღტკინება, რითაც ბობ მარტინი მიკროფონში „გმადლობთ, ამერიკაო", გაჰყვიროდა, ყველასათვის გასაგები აღმოჩნდა.

არაგეთის გაერთიანებული ემირატი

არაბულ სამყაროში პირველი სალიტერატურო პრემია დაარსდა. შეიხ ზაიდას ეს პრემია, რომელიც ემირატების ოცდაცამეტი წლის მანძილზე უცვლელი პრეზიდენტის, შეიხ ზაიდ ბენ სულტან ალ ნახაიანას სახელს ატარებს და რომლის საპრიზო ფონდიც ორ მილიონ დოლარს შეადგენს, რამდენიმე ნომინაციით გაიცემა: მხატვრული და განვითარებადი ლიტერატურა, ხელოვნება, საბავშვო ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები.

თავად პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პრემია მოწოდებულია, შემქმნელებსა და მოაზროვნეებს ხელი შეუწყოს, რათა მათ არაბული კულტურისა და ხელოვნების განვითარება და დანერგვა შესძლონ და პიროვნების პატივისცემისა და ჰუმანურობის იდეები დანერგონ.

გერმანია

დასავლეთ პომერანიის პატარა ქალაქ შვერინში, „ჰიტლერის უსაყვარლესი მოქანდაკის" არნო ბრეკერის გამოფენა გაიხსნა და დიდი დაპირისპირებაც გამოიწვია. არნო ბრეკერი ალბერტ შპეერისა და ადოლფ ჰიტლერის უახლოესი მეგობარი იყო და ნაციზმის ეპოქაში კუნთებიანი არიელების ქანდაკებებს ქმნიდა. რა თქმა უნდა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, მის ნამუშევართა დიდი ნაწილი განადგურდა, თავად მოქანდაკის სახელი კი მივიწყეს. იგი 1991 წელს გარდაიცვალა. მრავალი წლის შემდეგ მისი შემოქმედების კვლავ ამოტივტივებას და თანაც მეკლენბურგში, რაც ნეონაციზმის ბუდედ ითვლება, საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა. ბევრს მიაჩნდა, რომ ნაცისტთა იდეოლოგიის ფიზიკური ხატების შემქმნელი მოქანდაკე ისტორიაში არ უნდა შევიდეს. გამოფენის საწინააღმდეგო მოწოდებას ხელი 30-მა მხატვარმა, გალერეების მფლობელმა და ისტორიკოსმა მოაწერა. ბერლინის ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტმა, კლაუს შტეკმა, პროტესტის ნიშნად, საკუთარი ნამუშევრებიც კი გამოფინა.

მიუხედავად ამისა, დასავლეთ პომერანიის კულტურის განყოფილებამ ასეთი გამოფენა დღეს „ნამდვილად აუცილებელიაო", განაცხადა. მათი აზრით, ომის შემდეგ უკვე სამოცი წელი გავიდა, გერმანია მესამე რეიხის გაგებას უკვე ძალიან დაშორდა და უკვე შეუძლია, დიქტატურისა და ხელოვნების ურთიერთობაზეც დაფიქრდეს და თავს შეკითხვაც დაუსვას: ასეთმა ნიჭიერმა ხელოვანმა ნაცისტებს თავი როგორ გაანადგურებინა?

„ჩვენ არ ვაპირებთ მსჯელობას დიდი მხატვარი იყო ბრეკერი თუ საშინელი მხატვარი და ეს არც გვაინტერესებს, - განაცხადა შვერინის მერმა. — ჩვენ მხოლოდ ხელოვნებისა და იდეოლოგიის ურთიერთზემოქმედება გვსურდა, გვეჩვენებინა. ყველა დაინახავს, რომ მის შემოქმედებას ჩვენც კრიტიკულად ვაფასებთ და მის რეაბილიტაციას არავინ ცდილობს."

❀ ❀ ❀

სალმან რუშდი გერმანელი მწერლის გიუნტერ გრასის დასაცავად გამოვიდა. შეგახსენებთ, რომ გიუნტერ გრასმა

ცოტა ხნის წინ აღიარა, ახალგაზრდობაში სს-ის საჯარისო ნაწილებში ვმსახურობდიო და ანტიფაშისტური რომანებით ცნობილი მწერლის ამ განცხადებამ საზოგადოებაში ისეთი შოკი გამოიწვია, მწერალთა ნაწილმა მისთვის ნობელის პრემიის ჩამორთმევაც კი მოითხოვა.

სალმან რუშდის არ მიაჩნია, რომ გრასის საქციელი ორპირობის ნიშანია. „იგი მთელი ცხოვრება ებრძოდა იმ იდეებს, რომელიც თავში ბავშვობისას ჩაუტენეს. ეს კი თავისთავად, უკვე სიმამაცის აქტია", - განაცხადა მან.

გიუნტერ გრასის დასაცავად ხმა კიდევ ერთმა ცნობილმა მწერალმა, ჯონ ირვინგმა აღიმაღლა. „გრასი ჩემთვის ნამდვილი გმირია, - განაცხადა მან. – როგორც მწერალიც და როგორც გერმანიის მოქალაქეც, სანიმუშო მამაცობით გამოირჩევა და უკანასკნელი აღიარებით ამას არაფერი აკლდება".

ასეთი კეთილმოსურნეობით კი ბევრი არ გამოირჩევა. მოწინააღმდეგეთა ბანაკი თავის პოზიციებს არ თმობს. გაზეთმა „კოლნერ შტადტანცაიგერმა" ისიც კი აღნიშნა, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საიდუმლო პოლიციის არქივები ეს-ესაა გაიხსნა, სს-ის ისტორიის გამოქვეყნებას უკვე აპირებდნენ და გრასმა, თავისი აღიარებით, უბრალოდ ამ პუბლიკაციას დაასწროო.

ერთი კი ფაქტია: გიუნტერ გრასის ახალი წიგნი, რომელიც ომისდროინდელ მოგონებებს ეძღვნება, არნახული სისწრაფით იყიდება.

❀ ❀ ❀

გერმანიაში ადოლფ ჰიტლერის მიერ გადაკეთებული ბიბლია აღმოაჩინეს. როგორც გაირკვა, 1940 წელს ფიურერს საკუთარი „წმინდა წერილის" ასამდე ეგზემპლარი დაუბეჭდავს, რაც ომის დამთავრების შემდეგ მორწმუნეებმა გაანადგურეს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ეგზემპლარი გერმანიის ეკლესიებში ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების ბოლოს მოიძებნა, ოღონდ მაშინ, საზოგადოებას ეს ფაქტი დაუმალეს.

მესამე რეიხის რელიგიური ისტორიის სპეციალისტის, ჰანს იოგბასის განცხადებით, 1939 წელს, ჰიტლერმა თეოლოგთა ჯგუფი შეკრიბა და ახალი აღთქმის ხელმეორედ შექმნა დაავალა. ამ სახარებას უნდა დაედასტურებინა, რომ ქრისტე ებრაელი არ იყო, ჯვარზე კი, სწორედ ებრაელებთან ბრძოლის გამო გააკრეს. ამ მიზნით სპეციალური კვლევითი ინსტიტუტიც კი შეიქმნა, ვისაც გერმანულ ეკლესიაზე ებრაული ზეგავლენა უნდა გაენადგურებინა. ჰიტლერული ბიბლია სათაურით „გერმანელები ღმერთთან ერთად" სწორედ ამ ინსტიტუტის თაოსნობით გამოვიდა.

მესამე რეიხის თეოლოგებმა ლოცვიდან ყველა ებრაული წარმოშობის სიტყვა, მაგალითად „ალილუია" და „მესია", ამოიღეს, იერუსალიმს კი „ღმერთის მარადიული ქალაქი" უწოდეს.

რაც შეეხება ბიბლიურ ათ მცნებას, იგი ჰიტლერმა პირადად შეასწორა და თორმეტი გამოუვიდა. ახალი მცნებები ასე აჟღერდა:

1. პატივი ეცი ფიურერს და ღმერთს.
2. დაიცავი სისხლისა და ღირსების სიწმინდე.
3. მზად იყავი თავგანწირვისათვის.
4. მოუფრთხილდი საკუთრებას.
5. მთელი გულით მიენდე უფალს.
6. გაუფრთხილდი და გაზარდე მემკვიდრეობა.
7. მოკრძალებული იყავ უფლის წინაშე.
8. გახსოვდეს: გერმანელები ტყუიან.
9. წმიდათა წმიდაა შენი სულიც და შენი სხეულიც.
10. დაეხმარე და მიუტევე.
11. პატივი ეცი მამას და დედას. შენი შვილებისთვის მაგალითი გახდი.
12. ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მხოლოდ პატიოსნება და ერთგულებაა.

ინგლისი

რადიარდ კიპლინგის პირად არქივში მოულოდნელად, ასი წლის წინ დაწერილი და ჯერ გამოუქვეყნებელი მოთხრობა აღმოაჩინეს.

კიპლინგი ინდოეთში დაიბადა, პირველი ენა მისთვის ჰინდი იყო და გასაოცარი ალბათ არაფერია, რომ მისი შემოქმედება ინდური და მოგვიანებით აფრიკული მითებითაა გაჟღენთილი. ინდოელი მწერლები დღესაც აღიარებენ, რომ ინგლისურენოვან ინდურ მწერლობას საფუძველი სწორედ კიპლინგმა ჩაუყარა. ინგლისს მასთან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდა. კიპლინგს ხან ივიწყებდნენ, ხან ისევ იხსენებდნენ, რადგან ხანგრძლივი დროის მანძილზე იგი კოლონიალური იმპერიალიზმის მეხოტბედ ითვლებოდა.

რადიარდ კიპლინგი პირველი ინგლისელი იყო, ვინც ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიიღო.

ახალი მოთხრობა არც თუ ისე დიდია და სკოლის მოთხრობათა ციკლის ნაწილად ითვლება. იგი სამი პატარა ბიჭის ისტორიას აღწერს. ბავშვებმა აღმოაჩინეს, რომ უფროსები ტყუიან და გადაწყვიტეს, მათ ჭკუა ასწავლონ.

თავად კიპლინგმა, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ მოთხრობა სუსტი გამოვიდა და მისი გამო-

ქვეყნება არ ისურვა. ახლა კი, მისმა თაყვანისმცემლებმა ეს ნაწარმოები დღის სინათლეზე მაინც გამოიტანეს.

❀ ❀ ❀

ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე, უელსის უფლისწული ჩარლზი, კულინარიული რეცეპტების წიგნს გამოსაცემად ამზადებს. როგორც გაირკვა, უფლისწული საზოგადოებას ქიმიკატების გარეშე მოყვანილ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს სთავაზობს, თანც თავისი საყვარელი კერძების, მათ შორის ცნობილი სენდვიჩის სიას აქვეყნებს.

სამეფო კულინარიული წიგნი ოთხი თავისგან შედგება. ყველა კერძი წლის რომელიმე სეზონს ესადაგება. თავად ჩარლზის განცხადებით წიგნის მიზანია, ეროვნულ სუფრას ტრადიციული ინგლისური ხასიათი დაუბრუნოს და ამით უცხოური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი შეზღუდოს.

❀ ❀ ❀

ბიზნესმენმა მო იბრაგიმმა აფრიკის პრეზიდენტებისთვის განსაკუთრებული პრემია დააწესა. პრემიას, რომელიც ათი წლის მანძილზე ყოველწლიურ ხუთ მილიონ დოლარს, შემდგომში კი, მთელი სიცოცხლის მანძილზე წლიურ ორასი ათას დოლარს პირდება, ის პრეზიდენტი მიიღებს, რომლის მმართველობაც დემოკრატიული პრინციპების დაცვით აღინიშნება. გადაწყვეტილებას, თუ როგორ მართავდა პრეზიდენტი ქვეყანას და როგორ ცხოვრობდნენ ქვეშევრდომები მისი მმართველობის პერიოდში, ჰარვარდის უნივერსიტეტი მიიღებს.

ეს პრემია კაცობრიობის ისტორიის მანძილზე უმსხვილეს პრემიად ითვლება. მისი დაფუძნება და პრეზენტაცია, ოქტომბრის თვეში, ლონდონში შედგა.

იტალია

ცნობილმა იტალიელმა მწერალმა, ინტელექტუალმა და ერუდიტმა, უმბერტო ეკომ თავისი მეხუთე რომანი „დედოფალი ლოანას ჯადოსნური ალი" გამოაქვეყნა და საზოგადოებას გამოუცხადა, მეტ რომანს აღარ დავწერო.

რომანის მთავარი გმირია მილანელი ბუკინისტი იამბო, რომელმაც ავადმყოფობის გამო მეხსიერება დაკარგა. ვეღარც ცოლ-შვილს ცნობს, აღარც მშობლები ახსოვს და აღარც საკუთარი სახელი. სამაგიეროდ ზუსტად ახსოვს ყველაფერი, რაც კი აქამდე წაუკითხავს. დაკარგული დროის მოსაძებნად იამბო თავის ბავშვობის სახლში მიემგზავრება და იქ, სხვენზე, ძველ გაზეთებს, დღიურებსა და აფიშებს შორის, არა მხოლოდ თავისი ბავშვობის, მთელი თაობის ისტორიას იხსენებს.

საფრანგეთი

სხვადასხვა ქვეყნის, განსხვავებული სალიტერატურო სკოლისა და მიმართულების წარმომადგენელი ორმოცი მწერალი, არდენის სააბატოში შეიკრიბა და დილის თორმეტიდან ღამის თორმეტ საათამდე, ერთმანეთის მონაცვლეობით ფრანც კაფკას დღიურებს კითხულობდა. ამ თორმეტი საათის განმავლობაში ორმოცმა მწერალმა დიდ შემოქმედთან ერთად, მისი ცხოვრების უკანასკნელი გზა გაიარა. ასეთი შეკრება უკვე ტრადიციად გადაიქცა. 2004 წელს ამგვარად ჯეიმზ ჯოისი წაიკითხეს, 2005-ში კი გუსტავ ფლობერი.

შვედეთი

ნობელის ინსტიტუტი 50 ქვეყნის ას ყველაზე უფრო ცნობილ მწერალს დაუკავშირდა და მსოფლიო ლიტერატურის ათი საუკეთესო ნაწარმოების დასახელება სთხოვა. სიაში, რომელიც ინსტიტუტმა ამ თხოვნას თან დაურთო, ისეთი პოპულარული ნაწარმოებები იყო შესული, როგორიცაა ჰომეროსის „ილიადა" და „ოდისეა", ტოლსტოის „ომი და მშვიდობა" და „ანა კარენინა", დოსტოევსკის რამდენიმე რომანი, გაბრიელ გარსია მარკესის, ფოლკნერის, ფლობერის, თომას მანის და კაფკას წიგნები. მწერალთა უმეტესობამ, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე შექმნილ საუკეთესო რომანად მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტი" დაასახელა.

❀ ❀ ❀

2006 წლის ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში თურქ მწერალს, ორჰან პამუკს მიანიჭეს. კომიტეტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს პრემია მან „კულტურათა შეხლისა და გადაჯაჭვულობის ახალ სიმბოლოთა" აღმოჩენისთვის მიიღო. ორჰან პამუკი პოლიტიკური კონფლიქტების ცენტრში არაერთხელ აღმოჩნდა. თურქეთში მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესიც კი დაიწყო, რადგან სომეხთა გენოციდის საკითხი სწორედ მან წამოწია. იგი პირველი მუსულმანი მწერალი იყო, ვინც სალმან რუშდის წინააღმდეგ წამოწყებული ლაშქრობა დაგმო. რვა წლის წინ უარი განაცხადა სამშობლოში მისთვის „სახალხო მწერლის" ტიტული მიენიჭებინათ და ამით ქურთების წინააღმდეგ თურქ ხელისუფალთა პოლიტიკას დაუპირისპირდა. საერთაშორისო აღიარება მას რომანმა „თეთრი ციხესიმაგრე" მოუტანა, რომელიც ვენეციელი მონისა და მისი მეპატრონის, ახალგაზრდა სწავ-

ლულის ურთიერთობას ეხება. უკანასკნელი რომანი „წითელი მქვია", ამერიკის შეერთებულ შტატებში 11 სექტემბრის მოვლენების წინ გამოქვეყნდა და ამ წიგნში სწორედ ორი ცივილიზაციის – ისლამურისა და დასავლეთის – ურთიერთობის თემაა განხილული.

ბოლო წლების მანძილზე ნობელის პრემიის მინიჭება სკანდალურ ფონზე მიმდინარეობს. 2004 წელს ელფრიდა ელინეკს პრემია „სიტყვათა მუსიკალური ნიაღვრისათვის" მიანიჭეს, თუმცა კრიტიკოსებს მიაჩნდათ, რომ მისი შემოქმედება შიშველი რეალიზმით გამოირჩევა. თავად ელინეკი პრემიის მისაღებადაც კი არ ჩამოვიდა. 2005 წელს კომიტეტის რიგები პროტესტის ნიშნად ერთერთმა უხუცესმა წევრმაც კი დატოვა, თუმცა ჰაროლდ პინტერის წინააღმდეგ არავის გაულაშქრია. ორჰან პამუკის სახელს მაშინაც ახსენებდნენ. კომიტეტს ბრალიც კი დასდეს, რომ მწერალს მხარი არ დაუჭირა, როცა სამშობლოში ასეთი პრობლემები ჰქონდა. კრიტიკოსთა ერთი ნაწილი დღემდე აცხადებს, ვერ გაგვიგია, მწერალს რა კრიტერიუმებით აფასებენო. მიუხედავად ამისა, ლიტერატორთა უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ ნობელის პრემიას მწერალი რჩეულთა რიგებში შეჰყავს. „ყველაფერი მარტივდება, - განაცხადა კრიტიკოსმა პელე ანდერსონმა. – მკითხველს ხომ ძალიან უყვარს წიგნის თაროები ნაცნობი სახელებით შეავსოს".

ჩინეთი

ჩინეთის ტელევიზიებს ცნობილი მულტფილმების: სიმპსონების, პოკემონისა და მიკი მაუსის ჩვენება აუკრძალეს. პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა კანონი, რომლის მიხედვითაც ყველაზე ინტენსიურ საეთერო დროს, 17.00-დან 20.00-მდე ასეთი მულტფილმები ეთერში არ უნდა გავიდეს. ასეთი რადიკალური ზომებით ჩინეთის მთავრობა ეროვნული მულტიპლიკაციის გადარჩენას ცდილობს, რომელსაც უცხოური პროდუქციის შემოტევა ძალიან სერიოზულ ზიანს აყენებს. ახლა, ყველაზე მასობრივ საეთერო დროს ისეთი ფილმები დაიკავებს, სადაც გმირები ჩინურად ისაუბრებენ და კულტურული ფასეულობაც შესაბამისი იქნება.

სინამდვილეში კი, უცხოური, განსაკუთრებით კი იაპონური მულტფილმები ჩინეთში ძალიან პოპულარულია, რაც ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ძალიან აწუხებს, რადგან ეროვნული მულტიპლიკაცია ასეთ კონკურენციას ვერ უძლებს.

მასალა მოამზადა
მანანა მიქელაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ანდრო ბუაჩიძე

პასუხისმგებელი მდივანი
დინარა ჩაკვეტაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
შორენა ფარქოსაძე

ჟურნალი გამოდის ორ თვეში ერთხელ
იბეჭდება მხოლოდ რედაქციის მიერ შეკვეთილი მასალები

ჟურნალის ნინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

რედაქციის მისამართი:
0105 სიონის ქ. №13/40
ტელ. 899 78 31 45

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი ორი ლარი

28
5
14,0